PRIME Time

N3 (304) ორშაბათი, 26 იანვარი 2015 წ.

ყოველკვირეული გაზეთი ფასი 2 ლარი www.ptpress.ge

EUROPEAN YOUTH OLYMPIC FESTIVAL 2015 TBILISI

GINO ჯინო PARADISE ფერადაისი

ნაცების ავანტიურა EXCLUSIVE ზურაბ ჟვანიას საქმის გარშემო

გოგლა ჟვანია: „ხარშილაძის განცხადებებს არანაირი ფასი არ აქვს. ხარშილაძე არის მატყუარა... ვინც რა უნდა ილაპარაკოს და სცადოს, თავი იმართლოს, ყველას პასუხისმგებლობა დადგება, რადგან არსებობს უტყუარი მტკიცებულებები“

სად და როდის შეხვდა მიხეილ სააკაშვილი იგორ გიორგაძეს

ჭანტურია, საჯაია, სანაია, ჟვანია და ვაზაგაშვილი – დამკვეთები, შემსრულებლები და შედეგები

EXCLUSIVE

რა მოლაპარაკებას აწარმოებს საგანელიძე მარგველაშვილთან

ირინა იმერლიშვილს პრეზიდენტი კოტე კუბლაშვილის პოსტზე ამზადებს

EXCLUSIVE

ალასანია ქუჩაში გადის

ვალერი გელბახიანი: „ირაკლი ალასანია პირველი იქნება, ვინც ქუჩას მიაკითხავს... ყველაზე კარგ ვარიანტში შეიძლება მივიდეთ ვადამდელ არჩევნებამდე, ყველაზე ცუდ ვარიანტში კი – რევოლუციამდე“

EXCLUSIVE

გია ხუხაშვილი: „ვასაძის ლეგენდა უფრო ჩვენი შექმნილია, ვიდრე ის რეალურად იმსახურებს ყურადღებას... ვერ ვხედავ შესაძლებლობას, რომ ის პოლიტიკურად გააქტიურდეს“

EXCLUSIVE

„პრაიმტაიმის“ სკანდალური ექსკლუზივი

- სად იგეგმებოდა აფეთქება
- რა მინიშნებები გააკეთა პრემიერმა

„არ გამოვრიცხავ, რომ ვაზაგაშვილისთვის ცრუ ინფორმაცია სწორედ გივი თარგამაძეს მიეწოდებინა, მეტიც, თარგამაძეს, შესაძლოა, ამ ტერაქტის ორგანიზება არ გაუწევია, თუმცა, ამ ინფორმაციის მატარებელი იქნებოდა“...

EXCLUSIVE

ვისი დაკვეთით აწყობს საბოტაჟს ეროვნული ბანკი

„ეს ყველაფერი ჩუმი ობსტრუქციის ელფერს ნამდვილად ატარებს. ობსტრუქცია კი ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მხრიდან დამღუპველი იქნება მისთვის“

რა პრეტენზიები აქვთ მშობლებს ექიმებთან

მარი კორკოტაძე: „ექიმს ბავშვი 10 წუთის ნანახი ჰყავდა, როცა მითხრა, რომ 8-9 წლის ასაკში თუ მივიდოდა პირველად სკოლაში და თან სპეციალურში“

EXCLUSIVE

ვინ ლობირებს ირაკლი კობახიძეს

„წავიდა ერთი, მოვა სხვა, ვინც პარტიას დაალაგებს და არჩევნებისთვის მოამზადებს“

EXCLUSIVE

რატომ არ სურს პარლამენტს პრეზიდენტის მოსმენა

დავით უსუფაშვილმა რეგლამენტი დაარღვია

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ბადაშვილის უწყებაში დიდი საკადრო წმენდა იწყება?

გიორგი ბადაშვილი

EXCLUSIVE

მირიან ბოქოლიშვილი

იური ვაზაგაშვილის მკვლელობამ 2006 წელს კორტებთან ჩატარებული სპეცოპერაციის გამოძიება დააჩქარა. როგორც ვაზაგაშვილების ადვოკატები ვარაუდობენ, საქმე 2-3 კვირაში გაიხსნება და კონკრეტული პირები პასუხისგებაში მიეცემიან, თუმცა კვლავაც უპასუხოდ რჩება კითხვა: ვინ აფერხებდა ამ დრომდე გამოძიებას და როგორ ჟონავდა ინფორმაცია პროკურატურიდან? თავად ვაზაგაშვილი გარდაცვალებამდე რამდენიმე დღით ადრე მიცემულ ინტერვიუში აცხადებდა, რომ მისი შვილის მკვლელებს ჭიკაიძე მფარველობდა. მიუხედავად იმისა, რომ ჭიკაიძემ ბრალდებები კატეგორიულად უარყო, მან მორალური პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე აიღო და თანამდებობა დატოვა, პრემიერ-მინისტრმა კი აღნიშნა, რომ იური ვაზაგაშვილს შეგნებულად აწვდიდნენ არასწორ ინფორმაციას.

ასეა თუ ისე, ვაზაგაშვილების საქმეს შს მინისტრი შეეწირა, თუმცა, როგორც ექსპერტები ამბობენ, ეს მხოლოდ დასაწყისია. მასშტაბურ საკადრო ცვლილებებს პროკურატურაშიც ელოდებიან. ამ მოსაზრებას ამყარებს ვაზაგაშვილების ადვოკატების განცხადებაც იმის შესახებ, რომ საგამოძიებო უწყებიდან ინფორმაციები ჟონავდა.

გაგი მოსიაშვილი, ვაზაგაშვილების ოჯახის ადვოკატი:

– ნამდვილად მოხდა ინფორმაციის გაჟონვა. ამ თემაზე ბატონ იურის ჰქონდა საუბარი და, საბედნიეროდ, ბოლო პერიოდში გამოძიებას აწარმოებენ ის ადამიანები, რომლებსაც არანაირი შეხება არ ჰქონიათ 2006 წლის სპეცოპერაციასთან, ან მის გამოძიებასთან. ამის შემდეგ ინფორმაციის გადინებას ადგილი აღარ ჰქონია.

– ეს იყო იმდენად მნიშვნელოვანი, რომ შესაძლოა, ჭეშმარიტების დადგენას ხელი შეშლოდა?

– როცა გაქვს ეჭვი, რომ შესაძლოა, ინფორმაცია ჟონავდეს, შესაბამისად, უნდობლობის ხარისხი მატულობს. ეს არ იყო განსაკუთრებული ინფორმაცია, თუმცა გვაძლევდა იმის ვარაუდის საფუძველს, რომ შესაძლოა, უფრო მნიშვნელოვანი ინფორმაცია გასულიყო გამოძიებიდან. პროკურატურაში და, ზოგადად, ძალოვან უწყებებში საკმაოდ ბევრნი არიან ისეთი ადამიანები, რომლებიც წინა წლებში უშუალოდ იღებდნენ

გაგი მოსიაშვილი

„ნამდვილად მოხდა ინფორმაციის გაჟონვა. ეს არ იყო განსაკუთრებული ინფორმაცია, თუმცა გვაძლევდა იმის ვარაუდის საფუძველს, რომ შესაძლოა, უფრო მნიშვნელოვანი ინფორმაცია გასულიყო გამოძიებიდან“

უკანონო გადაწყვეტილებებს. მათ ჰყავთ თავიანთი სანაცნობო, რომლებსაც ხელეწიფებათ ინფორმაციების გატანა უწყებიდან.

მთავარი პროკურორის მოადგილე ირაკლი შოთაძე ზურაბ ვაზაგაშვილის საქმეზე პროკურატურიდან ინფორმაციის გაჟონვას გამორიცხავს.

„პროკურატურიდან რომ რაღაც ინფორმაცია გასულიყო, გაცილებით მეტი ინფორმაცია გამჟღავნდებოდა, რადგან საქმეში არ არის ერთ მოწმეზე საუბარი, გაცილებით მეტ მოწმეზე და მეტ მტკიცებულებაზეა საუბარი. გამოვრიცხავ, რომ პროკურატურიდან რაიმე ინფორმაციაა გასული“, – **აღნიშნა ირაკლი შოთაძემ.**

ვაზაგაშვილის საქმე არ ყოფილა ერთადერთი, სადაც პროკურატურის მიმართ მსგავსი ბრალდებები გაჟღერდა. თითქმის ყველა გახმაურებულ საქმეზე გაჩნდა ეჭვი, რომ საგამოძიებო უწყებებში ამ საქმეებს ვიღაც შეგნებულად აფერხებდა, იქნება ეს ბუტა რობაქიძის, თუ ზურაბ ჟვანიას საქმეები. სწორედ ამის გამო, თავის დროზე იური ვაზაგაშვილი მთავარი პროკურორის

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ᲠᲝᲒᲝᲠ ᲟᲝᲜᲐᲕᲡ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ ᲡᲐᲒᲐᲛᲝᲫᲘᲔᲑᲝ ᲣᲬᲧᲔᲑᲘᲓᲐᲜ?

„ᲔᲡ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲨᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ „ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲐᲡᲗᲐᲜ“, ᲐᲛ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲙᲝᲜᲙᲠᲔᲢᲣᲚ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲔᲑᲗᲐᲜ ᲓᲐ, ᲑᲣᲜᲔᲑᲠᲘᲕᲘᲐ, ᲛᲐᲗ ᲐᲬᲕᲓᲘᲐᲜ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲔᲑᲡ ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲡᲐᲥᲛᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲫᲘᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ“

იმდროინდელი მოადგილის, ლაშა ნაცვლიშვილის მიმართ საქმის აღძვრასაც კი ითხოვდა.

„ვთხოვდი, მარტო ერთ კითხვაზე გამეცით პასუხი, განზრახ მკვლელობით მიდიხართ თუ არა-მეთქი. მე ვითხოვ, ნაცვლიშვილისა და კბილაშვილის პასუხისგებაში მიცემას და იცით, რატომ? როცა წინ ედოთ, თითქმის, გამოძიებული საქმე, არ გამოიძიეს. პროკურატურაში იყო დაინტერესებული პიროვნება, რომელიც ხელს უშლიდა ამ გახმაურებული საქმეების გამოძიებებს. მინდა გითხრათ, რომ ყველანაირად მტკიცდება, რომ ეს კვალი მიდის ლაშა ნაცვლიშვილისკენ... ნაცვლიშვილი უშუალოდ მფარველობდა შს მინისტრის ყოფილ მოადგილეს ლევან გვაზავას, რომლის უშუალო ხელმონერით მოხდა სპეცდანიშნულების რაზმის გაყვანა. ლაშა ნაცვლიშვილის წარსულს რომ გადავხედოთ, სულ წინა ხელისუფლების მაღალჩინოსნებთან იყო ჩახუტებული. ის უშუალოდ მეგობრობს იმ ხალხთან, ვინც ამ მკვლელობებით, ქონების წართმევითა და ბიზნესმენების ტერორით იყვნენ დაკავებულები. მისი საძმაკაცოა ეს ხალხი... მეტსაც გეტყვით, მინისტრის მოადგილე ლევან გვაზავა, რომელიც ძალიან ბევრ ბინძურ საქმეებშია გასვრილი, დღემდე ვინმეს უხსენებია? ის ნაცვლიშვილის უახლოესი მეგობარია და ყოველ საღამოს რესტორნებში ქეიფობდნენ ერთად და, ალბათ, გაიგებდით, კიდევ რა ბინძურ საქმიანობას ეწევიან ერთად. ნაცვლიშვილი მფარველობდა მათ. დიახ, ბატონო, ჩემი შვილის მკვლელებს მფარველობდა ლაშა ნაცვლიშვილი. სხვა საქმეებსაც მფარველობდა ლაშა ნაცვლიშვილი. ყველა ძველ კადრს უშუალოდ ის მფარველობდა. როგორ შეიძლება შაქრო ზაალიშვილი, თენგიზ ხარებავა და სხვები მუშაობდნენ პროკურატურაში?!“ – აცხადებდა იური ვაზაგაშვილი პრესისთვის მიცემულ ინტერვიუებში.

პროკურატურაში მასშტაბური საკადრო ცვლილებების აუცილებლობაზე საუბრობენ იურისტებიც. ადვოკატი მამუკა ნოზაძე „პრაიმტაიმს“ იმ პროკურორების ნაწილს უსახელებს, რომლებიც თავის დროზე „ადეიშვილის უკანონო დავალებებს ასრულებდნენ და ამჟამადაც საკმაოდ კომფორტულად გრძნობენ თავს“.

მამუკა ნოზაძე, ადვოკატი:

– პროკურატურაში 80 პროცენტი ძველი კადრია, რომლებიც ადეიშვილისადმი განსაკუთრებული ერთგულებით გამოირჩეოდნენ. ბუნებრივია, ეს ადამიანები კავშირში არიან „ნაციონალურ მოძრაობასთან“, ამ პარტიის კონკრეტულ წარმომადგენლებთან და, ბუნებრივია, მათ აწვდიან ინფორმაციებს სხვადასხვა საქმის გამოძიების შესახებ. „ნაციონალურ მოძრაობას“ ამ ადამიანების მიმართ აქვს

ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲜᲝᲖᲐᲫᲔ

გარკვეული მაკომპრომეტირებელი მასალები, ამიტომ ისინი იძულებულნი არიან, სხვადასხვა სახის ინფორმაციები მიაწოდონ.

– შეგიძლიათ, კონკრეტული გვარები დაასახელოთ?

– მაგალითისთვის კმარა თუნდაც ის პროკურორი, რომელიც ვაზაგაშვილის საქმეში ფიგურირებს და რომლის მიმართაც თავად იური ვაზაგაშვილს ჰქონდა პრეტენზია. ეს არის თენგიზ ხარებავა, რომელმაც აქტიური მონაწილეობა მიიღო ზურაბ ვაზაგაშვილის საქმის ფალსიფიცირებაში. უდანაშაულო ახალგაზრდა ყაჩაღური დაჯგუფების წევრად გამოიყვანა. დღეს ხარებავა კვლავ თანამდებობაზეა და რა გასაკვირია, რომ მის ინტერესებში არ შედის კორტებთან ჩატარებული სპეცოპერაციის გამოძიება. შემიძლია, დავასახელო შიდა ქართლის საოლქო პროკურორი ბაკურ აბულაძე, რომელიც „ნაციონალური მოძრაობის“ დროს გურჯაანის რაიონული პროკურატურის ერთ-ერთი რიგითი პროკურორი იყო. ის გამოდიოდა ჟურნალისტ სოფო ნიკოლაიშვილის გახმაურებულ საქმეზე და ყოველგვარი საფუძვლის გარეშე წარუდგინეს მკვლელობის მუხლი ამ გოგონას. ადამიანი, რომელიც გიორგი ჩივიაშვილს ემორჩილებოდა და უსიტყვოდ ასრულებდა მის დავალებებს, დღეს დააწინაურეს და შიდა ქართლის საოლქო პროკურორად გაამწესეს. ყველამ კარგად იცის, როგორ წინაურდებიან ასეთი ადამიანები, რა თქმა უნდა, პროფესიონალიზმი არაფერ შუაშია. კიდევ უამრავი გვარის დასახელება შეიძლება, თუნდაც თამარ აღლემაშვილი – მთავარი პროკურატურის ანტიკორუფციული დეპარტამენტის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებელი. ის ვანო მერაბიშვილის ნათესავი და „ნაცმოძრაობის“ აქტივისტია. თანამდებობაზეც ამ ნიშნით დანიშნეს. ჩემთვის გაუგებარია, რატომ რჩებიან თანამდებობებზე წინა ხელისუფლების ყოფილი რეკეტორები. ადამიანები, რომლებიც საპროცესო გარიგებებს შანტაჟისა და დასჯის საფუძველზე აფორმებდნენ, განსაკუთრებით ბიზნესმენებთან და მეწარმეებთან. ადამიანებს აიძულებდნენ საჩივრების გამოტანას, არჩადენილი დანაშაულის აღიარებას.

– ანუ პროკურატურაში საკადრო ცვლილებები აუცილებელია?

– პროკურატურაში საკადრო ცვლილებები მოხდა, ოღონდ ერთი რაიონიდან გადაიყვანეს მეორეში, ან მოხდა დაწინაურება იმ პროკურორების, რომელთა მიმართაც ძალიან ბევრი კითხვა არსებობს. სხვა რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილება არ ყოფილა, ამიტომაც დროა, ხელისუფლება დაფიქრდეს ამ საკითხზე, წინააღმდეგ შემთხვევაში ეს ისევ მათ შემოუტრიალდებათ. როგორ შეიძლება, თანამდებობაზე რჩებოდეს ვალერი იოსავა, გიორგი გვარაკაძე, რომლებიც ქონების წართმევის საქმეებში გამოირჩეოდნენ. სამწუხაროდ, არც კბილაშვილისა და არც მისი შემცვლელების პერიოდში არავის უფიქრია ამ პრობლემის მოგვარებაზე.

– საუბარი იმაზე, რომ ეს ადამიანები აფერხებენ თუნდაც გახმაურებული საქმეების გამოძიებას, ცოტა მიამიტური მიდგომა ხომ არ არის?

– არანაირად. ეს ადამიანები, ცხადია, ხელს უშლიან გახმაურებული საქმეების გამოძიებას. უკვე მესამე წელია, რაც ეს ხელისუფლებაა მართვის სათავეში. მაშინ გეკითხებით – რა უდგას წინ ამ საქმეების ბოლომდე მიყვანას? ეს ხდება იმიტომ, რომ თითს თითზე არ აკარებენ. ჰაერშია გამოკიდებული უამრავი საქმე, იქნება ეს გურამ შარაძის მკვლელობა, ვაზაგაშვილი თუ სხვ. მათი პასუხი, რომ გამოძიება მიმდინარეობს, უკვე ძალიან სასაცილოდ ჟღერს. საზოგადოებას უნდა უთხრან – ან ვერ იძიებენ საქმეებს, ან მისცენ კონკრეტული პირები პასუხისგებაში. თუ ხელისუფლებას დარჩა საღი აზროვნების უნარი, ის პროკურორები, რომლებიც უკანონო ქმედებებში იყვნენ შემჩნეულნი, თანამდებობებიდან უნდა გაათავისუფლოს. სხვა შემთხვევაში ისევ მათ შემოუტრიალდებათ, არჩევნები მოდის და საზოგადოება უკვე სხვაგვარ გადაწყვეტილებას მიიღებს.

– და ქვეყანაში არსებობს რესურსი, რომ ერთბაშად ამდენი პროკურორის ჩანაცვლება მოხდეს?

– ეს რესურსი ნამდვილად არსებობს. ძალიან ბევრი კვალიფიციური და პატიოსანი იურისტი გვყავს, რომელთა გამოყენებაც შეიძლება, მაგრამ მრჩება შთაბეჭდილება, რომ პატიოსანი და პრინციპული ადამიანი თანამდებობაზე არ სჭირდებათ, რადგან ასეთი ადამიანი ყურმოჭრილი მონა ვერ იქნება.

© ᲧᲕᲔᲚᲐ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲓᲐᲪᲣᲚᲘᲐ, ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲜᲔᲑᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲐ ᲘᲙᲠᲫᲐᲚᲔᲑᲐ

ვაზაგაშვილის აფეთქ

კინოლოგები ასაფეთქებელ მოწყობილობას ზურაბ ვაზაგაშვილის მემორიალთანაც ეძებდნენ

მირიან ბოქოლიშვილი

იური ვაზაგაშვილის საქმეზე პროკურატურა გამოძიების დეტალების გახმაურებისგან თავს იკავებს, შესაბამისად, საზოგადოებაში დღითი დღე მატულობს კითხვები. პრემიერ-მინისტრმა ბადაშვილის უწყებას საქმის უსწრაფესი გამოძიება მოსთხოვა, თუმცა ჯერაც პასუხგაუცემელია მთავარი კითხვა – ვინ დგას ამ შემზარავი დანაშაულის უკან?

სანამ გამოძიება დუმს, საზოგადოებაში რამდენიმე ვერსია მუსირებს. ამბობენ, რომ საგამოძიებო უწყებაში უკვე დევს სავარაუდო ბრალდებულთა სიაც, რომელიც მოწმეების დაკითხვისა და იური ვაზაგაშვილის გადაადგილების მარშრუტის ამსახველი ვიდეოფირების გაშიფვრის შემდეგ შედგა. „პრაიმტაიმის“ ინფორმაციით, ასეთი ფირები სამართალდამცავებმა იუსტიციის სახლთან დამონტაჟებული ვიდეოკამერებიდანაც ამოიღეს. მოგეხსენებათ, „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ იუსტიციის სახლის წინ ზურაბ ვაზაგაშვილის მემორიალი გაიხსნა. ჩვენ მიერ დაზუსტებული ინფორმაციით, ყარაფილაში მომხდარი აფეთქების შემდეგ სამართალდამცავები ასაფეთქებელ მოწყობილობას სწორედ ამ მემორიალთან ეძებდნენ. ადგილზე კინოლოგთა ჯგუფი სპეციალურად განწრთნილი ძაღლებით მუშაობდა, თუმცა უცნობია, იპოვეს თუ არა ზურაბ ვაზაგაშვილის მემორიალთან ნაღმი. საგამოძიებო უწყებები, კომენტარს არ აკეთებენ, თუმცა, თუ იუსტიციის სახლთან ნაღმის არსებობა დადასტურდა, არ არის გამორიცხული, რომ იური ვაზაგაშვილის აფეთქება სწორედ იქ, ქალაქის ცენტრში იგეგმებოდა. მკვლელს, რომელმაც ზუსტად იცოდა იური ვაზაგაშვილის შვილის საფლავზე გასვლის პერიოდულობა, სავარაუდოდ, ისიც ეცოდინებოდა, რომ ის საკმაოდ ხშირად სტუმრობდა ამ მემორიალს.

ვაზაგაშვილის აფეთქების დღეს იუსტიციის სახლთან კინოლოგების მუშაობის შესახებ ინფორმირებულია კრიმინალური პოლიციის ყოფილი უფროსი ირაკლი ფირცხალავაც, რომლის სახელმაც უშუალოდ გაიჟღერა ვაზაგაშვილების საქმეში. საზოგადოების ნაწილი და მათ შორის ოჯახის ადვოკატები, იური ვაზაგაშვილის აფეთქებას სწორედ იმ სპეცოპერაციას უკავშირებს, რომელსაც ზურაბ ვაზაგაშვილი ემსხვერპლა და რომელსაც ირაკლი ფირცხალავა ხელმძღვანელობდა.

ირაკლი ფირცხალავა, კრიმპოლიის ყოფილი უფროსი:

– დიახ, მე მაქვს ინფორმაცია, რომ იუსტიციის სახლთან, სადაც თეა წულუკიანმა მემორიალი გაუხსნა ზურაბ ვაზაგაშვილს, მუშაობდნენ კინოლოგები, მიყვანილი ჰყავდათ ძაღლები და ეძებდნენ ნაღმს. ფაქტია, რომ ეს არ არის უბრალოდ კრიმინალი, ეს გაცილებით სერიოზულ შედეგზე იყო გათვლილი, ვიდრე ერთი პიროვნების ლიკვიდაციაა.

– რას გულისხმობთ?

– სავარაუდოდ, ეს არის სახელმწიფოს წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაული, ჯერ კიდევ არ ვიცით, რა გაგრძელება ექნება ამ ყოველივეს. ეს არის ზუსტად მიზანმიმართულად გაკეთებული, რათა მომხდარიყო გარკვეული პოლიტიკური ჯგუფების მიმართ მოქმედი, თუ ყოფილი სამართალდამცავების დისკრედიტაცია, ხელისუფლება კიდევ ერთხელ უნდა დაედანაშაულებინათ უუნარობასა და უსუსურობაში. გამოეწვიათ საზოგადოებრივი მღელვარება და ამ ფონზე ვიღაცას პოლიტიკური ქულები ჩაეწერა. კორტებთან ჩატარებული სპეცოპერაციისა და ამ ტრაგედიის დაკავშირება ხელს აძლევს რიგ პოლიტიკურ ძალებს. იმედია, ამას საზოგადოება ადრე თუ გვიან გააცნობიერებს.

– თუკი აფეთქების მიზანი საზოგადოებრივი მღელვარებისა და ქაოსის გამოწვევა იყო, როგორ ფიქრობთ, ეს პროცესი ამით დასრულდება?

– ეს არის დასაწყისი. მათ, ვისაც ქვეყანაში არეულობა და ქაოსი უნდათ, ამაზე არ გაჩერდებიან. მათ, ალბათ, კარგად ესმით, რომ მხოლოდ ვაზაგაშვილის აფეთქებით ეს მიზანი ვერ მიიღწევა, თუმცა ამ ბოლო შემთხვევამაც აჩვენა, როგორ ახმაურდნენ ის ძალები, რომლებიც ამ ტრაგედიაზე ხელის მოთბობას ცდილობენ. ამ დღეებში არაერთი პოლიტიკური გვამი გაცოცხლდა.

– ვინ დგას ამ ყველაფრის უკან?

– ეს არის რუსეთის სპეცსამსახურების ხელწერა. საფლავებზე ადამიანების აფეთქება რუსეთში ჯერ კიდევ 90-იან წლებში დაინერგა. ძალიან ბევრი ადამიანი, იქნება ეს საზოგადოებრივი ფიგურა თუ კრიმინალური ავტორიტეტი, ააფეთქეს სწორედ სასაფლაოზე. ჩემს ამ ეჭვს აღრმავებს ისიც, რომ ეს სოფელი, სადაც ვაზაგაშვილი ააფეთქეს, პირდაპირ საოკუპაციო ხაზთან მდებარეობს. თუ საქართველოში ვინმეს აქვს სურვილი და მიზანი, რომ ქვეყანაში არეულობა მოაწყოს, შეიარაღებულმა ბანდებმა ითარეშონ, ამას, მგონი, აღარავინ დაუშვებს. აშკარად ჩანს, რომ ეს არის გარედან მართული სცენარი, რითაც სწორედ შიდა არეულობის მიღწევა სურთ. კიდევ ვიმეორებ, ეს არის დასაწყისი. იური ვაზაგაშვილის მიმართ საზოგადოების ინტერესი ნამდვილად დიდი იყო, სწორედ ამიტომ შეარჩიეს მსხვერპლად. ეს არის კარგად დაწერილი სცენარი, რითაც ქვეყანაში არეულობის გამოწვევა უნდათ.

მოკლედ, ირაკლი ფირცხალავა მომხდარში რუსულ კვალს ხედავს, თუმცა თავად ვაზაგაშვილების ოჯახს ეჭვი აქვს, რომ აფეთქების უკან სწორედ ფირცხალავა და მისი თანამოაზრეები დგანან. ოჯახის ადვოკატი ირმა ჭკადუა ამბობს, რომ იმ ადამიანებმა, რომლებმაც ზურაბ ვაზაგაშვილის ლიკვიდაცია მოახდინეს, დღეს რეალური საფრთხე იგრძნეს და შესაძლოა, სწორედ ეს გამხდარი-

„არ გამოვრიცხავ, რომ ვაზაგაშვილისთვის ცრუ ინფორმაცია სწორედ გივი თარგამაძეს მიეწოდებინა, მეტიც, თარგამაძეს, შესაძლოა, ამ ტერაქტის ორგანიზება არ გაუწევია, თუმცა, ამ ინფორმაციის მატარებელი იქნებოდა...“

მარიამ ნადირაძე

სოზარ სუბარმა უკვე თქვა, რომ ვაზაგაშვილის მკვლელობა ძალიან ჰგავს ნაციონალების ხელწერას, რომელიც ყოველგვარი სასამართლოს გარეშე, ქუჩაში ხოცავდა და ცხრილავდა ხალხს. მინისტრს უკვე შეახსენეს, უდანაშაულობის პრეზუმფცია.

ხელისუფლება ფრთხილ შეფასებებს აკეთებს, თუმცა, ირწმუნება, რომ ეს საქმე გაიხსნება და ყველაფერს თავისი სახელი დაერქმევა.

პრემიერ-მინისტრმაც, თავის მხრივ, მხოლოდ მინიშნებები გააკეთა, შს მინისტრის გადადგომის თემაზე კომენტარისას მან თქვა: „გასაგებია, რომ ვიღაცამ შეგნებულად გაავრცელა ეს ცრუ ინფორმაცია და ბატონ იურის მიაწოდა. იყვნენ ადამიანები, რომლებმაც ეს შეგნებულად გააკეთეს, მაგრამ სიმართლე გაირკვევა, გამოძიება დაადგენს ყველაფერს“.

ექსპერტი ტრისტან წითელაშვილი მიიჩნევს, რომ გავრცელებულ ვერსიებს შორის ერთ-ერთი პირი, ვისაც, შესაძლოა, ცრუ ინფორმაცია გაევრცელებინა გივი თარგამაძეა:

- არ გამოვრიცხავ გივი თარგამაძე იყოს... უკრაინაში ნაციონალების შტაბიდან დირექტივებს სწორედ პირადად გივი იღებს, სწორედ ის არის აქ მაყურებლის როლში... არ გამოვრიცხავ, რომ ვაზაგაშვილისთვის ცრუ ინფორმაცია სწორედ გივი თარგამაძეს მიეწოდებინა, მეტიც, თარგამაძეს, შესაძლოა, ამ ტერაქტის ორგანიზება არ გაუწევია, თუმცა, ამ ინფორმაციის მატარებელი იქნებოდა...

არც იმას გამოვრიცხავ, რომ ამ ტერორისტული აქტის შესახებ ინფორმაციის მატარებელი თარგამაძე ყოფილიყო...

რაც შეეხება ჭიკაიძის წინააღმდეგ მიმართულ კამპანიას, ეს ახალი არ არის. უფრო ადრეც, არაერთხელ, იყო მცდელობა კრიმინალების უკვე ექსმინისტრთან დაკავშირების. ერთ-ერთი ასეთი ხმაურიანი ფაქტი დიჯეის მკვლელობა იყო. მაშინ ამბობდნენ, თითქოს მკვლელი ჭიკაიძის ნათესავი იყო და ხელსაც ამიტომაც აფარებდნენ.

ახლა მსგავსი სახის კამპანია სწორედ ვაზაგაშვილის მკლელებთან დაკავშირებით აგორდა. როგორც მაშინ, ახლაც, ამბობდნენ თითქოს მინისტრი ჭიკაიძე მკვლელებს ხელს აფარებდა. თუმცა, საკმარისი იყო ის გადამდგარიყო, რომ ახლა ახალი კამპანია დაიწყო. ამჯერად ამტკიცებენ, რომ ჭიკაიძე ვერავის დააფარებდა ხელს და რომ მთავრობამ თავად უნდა აგოს პასუხი...

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ბა იუსტიციის სახლთან იგეგმებოდა

ყო მამის მკვლელობის მოტივი.

„საფუძვლიანი ეჭვი მაქვს, რომ ეს პერსონა იმ ადამიანების მხრიდან იყო შერჩეული, ვინც მისი შვილი მოკლა. მისი შვილის საქმის გამოძიება პრაქტიკულად დასრულებული იყო. იმდენად დიდია მათი პასუხისგებაში მიცემის ალბათობა, რომ ისინი შესაძლოა, აგონიაშიც არიან. მაშინ, როცა თავად იყვნენ ხელისუფლებაში, მსგავსი შედეგი ვერანაირად ვერ დადგებოდა. ახლა რეალური საფრთხის წინაშე დადგნენ და ამიტომაც განახორციელეს ეს აფეთქება. რაც შეეხება, ზურაბ ვაზაგაშვილის მემორიალთან ასაფეთქებელი მოწყობილობის არსებობას, არ გამოვრიცხავ, რომ ყველა ის ადგილი ყოფილიყო დანაღმული, სადაც ბატონი იური დადიოდა“, – ამბობს „პრაიმტაიმთან“ საუბრისას ირმა ჭკადუა.

ვაზაგაშვილების კიდევ ერთი ადვოკატი, გაგი მოსიაშვილი კი „პრაიმტაიმთან“ იმ სამ ვერსიას ასახელებს, რომლის ირგვლივაც მუშაობს გამოძიება. პირველი ვერსიით, იური ვაზაგაშვილის აფეთქება მართლაც იმ პირებს უკავშირდება, რომლებიც მისი შვილის ლიკვიდაციაში მონაწილეობდნენ. მეორე ვერსიით, რომელსაც პროკურატურა ამუშავებს, აფეთქება საოკუპაციო ზონიდან იმართებოდა. მესამე ვერსიით კი, იური ვაზაგაშვილის აფეთქება იყო გაფრთხილება ყველა იმ ადამიანისა, ვინც ქვეყანაში სამართლიანობის აღდგენას მოითხოვს.

გაგი მოსიაშვილი, ვაზაგაშვილების ადვოკატი:

– მოსაზრების, რომ მკვლელობა ოკუპირებულ ტერიტორიაზე მყოფი პირისგან განხორციელდა, გამორიცხვა არ შეიძლება. თუმცა არც ის არის გამორიცხული, რომ ოკუპირებულ ტერიტორიაზე მყოფი პირების მხრიდან, უბრალოდ, შესრულდა ეს მკვლელობა და შემკვეთი, ანუ დაინტერესებული მხარე საქართველოშია. რუსული სპეცსამსახურების ინტერესი შესაძლოა, იყოს ქვეყანაში დაძაბულობის შექმნა, ეს თეორიულად არ არის გამორიცხული. როგორც ვერსიას, ამას გამოძიება განიხილავს, მაგრამ ამან ყურადღება არ უნდა გაუფანტოს სხვა ვერსიების მიმართ, რომელიც გაცილებით რეალურად ჟღერს, ვიდრე რუსული კვალი. ეს ვერსია უნდა განიხილონ, მაგრამ სხვა ვერსიებთან ერთად. მთავარია, გამოძიებამ ამ ვერსიებს შორის, გამოარკვიოს სწორი მიმართულება, რომელსაც სჭირდებ ნება და საკმაოდ სერიოზული მუშაობა. ეს არის ამჟამინდელი პროკურატურის ღირსების თემა, რომელიც აუცილებლად უნდა გამოიძიონ.

– სხვა რა ვერსიებზე მუშაობს გამოძიება... თქვენ რა ინფორმაცია გაქვთ?

– მეორე ვერსიით, ეს აფეთქება, სავარაუდოდ, უკავშირდება ზურაბ ვაზაგაშვილის საქმეს, ანუ იმ ადამიანებს, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობდნენ მისი შვილის ლიკვიდაციაში და მესამე ვერსია – ზოგადად, სამართლიანობის აღდგენის შეფერხება. ფაქტია, რომ იური ვაზაგაშვილი იყო სამართლიანობისთვის მებრძოლი ერთ-ერთი აქტიური საზოგადოებრივი სახე. ვიღაცებს არ მოსწონდათ ამ მიმართულებით მისი აქტიურობა. ეს შესაძლოა, იყოს გაფრთხილება და

ვადებში უნდა მოხდეს გამოძიება, თუმცა ეს ძალიან რთული იქნება. ამ ფაქტთან დაკავშირებით რამდენიმე ვერსიაზე შეიძლება ვისაუბროთ, რომლებიც უკავშირდება როგორც პოლიტიკურ, ისე აპოლიტიკურ მოტივებს“, – განაცხადა სესიაშვილმა.

დეპუტატი იური ვაზაგაშვილის მკვლელობას ტერორისტულ აქტს უწოდებს და არ გამორიცხავს, რომ მომავალში საქმის გამოძიება ტერორიზმის მუხლით გადაკვალიფიცირდეს. მისივე თქმით, იური ვაზაგაშვილის მკვლელობა მიმართული იყო არა ზურაბ ვაზაგაშვილის მკვლელობის საქმის ხელის შეშლისკენ, არამედ საზოგადოების დაშინებისკენ და სახელმწიფო სტაბილურობის მოშლისკენ.

„ჩვენ ყველას შინაგანი რწმენა და ეჭვი გვაქვს, რომ ეს ყველაფერი მისი შვილის გამოძიებას უკავშირდებოდა, თუმცა მე მიმაჩნია, რომ დამკვეთის მიზანი ვერ იქნებოდა ზურაბ ვაზაგაშვილის მკვლელობის საქმის გამოძიებაში ხელის შეშლა. მიუხედავად იმისა, როგორ დასრულდებოდა ეს ტერორისტული აქტი, ამ საქმისთვის ხელის შეშლა წარმოუდგენელი იყო, რადგან გამოძიება ბოლომდეა მიყვანილი და ეს ტერორისტული აქტი ვერ შეაჩერებს გამოძიების პროცესს. დარწმუნებული ვარ, რომ უფრო მეტი მონდომებით მოხდება ზურაბ ვა-

ირაკლი ფირცხალავა: „ეს არის დასაწყისი. მათ, ვისაც ქვეყანაში არეულობა და ქაოსი უნდათ, ამაზე არ გაჩერდებიან. მათ, ალბათ, კარგად ესმით, რომ მხოლოდ ვაზაგაშვილის აფეთქებით ეს მიზანი ვერ მიიღწევა“

მესიჯი ყველა იმ ადამიანის მიმართაც, ვინც დღეს სამართლიანობის აღდგენას ითხოვენ.

იური ვაზაგაშვილის მკვლელობის შესახებ სხვადასხვა ვერსიებზე

ირაკლი სესიაშვილი: „იური ვაზაგაშვილის მკვლელობა მიმართული იყო არა ზურაბ ვაზაგაშვილის მკვლელობის საქმის ხელის შეშლისკენ, არამედ საზოგადოების დაშინებისკენ და სახელმწიფო სტაბილურობის მოშლისკენ“

საუბრობენ პოლიტიკურ წრეებში. არაერთგვაროვანია უმრავლესობის

ვარაუდებიც. მაგალითად, ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელია არ გამორიცხავს, რომ იური ვაზაგაშვილის აფეთქება კორტებთან ჩატარებულ სპეცოპერაციასთან დაკავშირებით მიმდინარე გამოძიებას უკავშირდებოდეს. ბესელიას ინფორმაციით, აღნიშნულ საქმეზე გამოძიება დასასრულს უახლოვდებოდა, ბოლო პერიოდში ის დაჩქარებული ტემპებით მიმდინარეობდა და შესაძლოა, სწორედ ეს გახდა სოფელ ყარაფილაში დატრიალებული ტრაგედიის ერთ-ერთი მიზეზი.

„შეძრწუნებული ვარ მომხდარი ტრაგედიით. იური ვაზაგაშვილი იყო ჩვენი დიდი ხნის თანამებრძოლი, ადამიანი, რომელიც ჩვენთან ერთად იბრძოდა არა მარტო თავისი შვილის ტრაგედიის საქმეზე, არამედ იმ უსამართლო რეჟიმის წინააღმდეგაც. ჩვენთვის მნიშვნელოვანი იყო ამ საქმის გამოძიება. სულ რამდენიმე ხნის წინ ვესაუბრე იური ვაზაგაშვილს მისი შვილის მკვლელობის ფაქტზე გამოძიების მიმდინარეობასთან დაკავშირებით. ვიცი, რომ შეხვდა მთავარი პროკურატურის ხელმძღვანელებს. იური ვაზაგაშვილს ჰქონდა მოლოდინი

იმისა, რომ გამოძიება მალე დასრულდებოდა და კონკრეტულ შედეგს დადებდა. კორტებზე ჩატარებული გამოძიების საქმე სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა და პრაქტიკულად დასასრულს უახლოვდებოდა. არ გამოვრიცხავ, რომ სწორედ გამოძიების გააქტიურებას უკავშირდებოდეს დღევანდელი ფაქტი“, – ამბობს **ეკა ბესელია.**

მისი კოლეგა, პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი სესიაშვილი კი ვარაუდობს, რომ იური ვაზაგაშვილის მკვლელი საოკუპაციო ზოლიდან მოქმედებდა. როგორც სესიაშვილმა განაცხადა, მკვლელობის ადგილი საოკუპაციო ზოლთან მდებარეობს.

„საქმე რთულად იქნება გამოსაძიებელი. გეოგრაფიულად ადგილი, სადაც აღნიშნული ფაქტი მოხდა, ახლოს არის საოკუპაციო ზოლთან და ერთ-ერთი ვერსიით, შესაძლოა, მკვლელი საოკუპაციო ზონიდან მოქმედებდა. ეს კიდევ უფრო ართულებს ვითარებას. მაქსიმალურად მოკლე

ზაგაშვილის მკვლელობის საქმის ბოლომდე მიყვანა. მიმაჩნია, რომ ჩადენილი აქტი, თავისი ხასიათით, ტერორისტულ ქმედებას უფრო ჰგავს. ტერორიზმის მიზანია საზოგადოების ფართო მასების შოკირება, მათზე ზემოქმედების მოხდენა და გარკვეულწილად დაუცველობის განცდის გაჩენა საზოგადოებაში. ეს აქტი უფრო მეტად მიმართულია საზოგადოების ტერორისკენ, დაშინებისკენ, რასაც, უნდა ვივარაუდოთ, რომ შესაძლოა, ჰქონდეს პოლიტიკური მოტივები. არავისკენ ხელს არ ვიშვერ, თუმცა იური ვაზაგაშვილის მკვლელობა მიმართული იყო არა ზურაბ ვაზაგაშვილის მკვლელობის საქმის ხელის შეშლისკენ, არამედ საზოგადოების დაშინებისკენ და სახელმწიფო სტაბილურობის მოშლისკენ. მუხლი, რითაც საქმე აღიძრა, ამ ეტაპზე სწორია, თუმცა შემდგომ შესაძლებელია შეცვლა და ტერორიზმის მუხლით გადაკვალიფიცირება“, – **აღნიშნა სესიაშვილმა.**

ირმა ჭკადუა: „ეს პერსონა შერჩეული იყო იმ ადამიანების მხრიდან, ვინც მისი შვილი მოკლა. იმდენად დიდია მათი პასუხისგებაში მიცემის ალბათობა, რომ ისინი შესაძლოა, აგონიაშიც არიან“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

სად და როდის შეხვდა მიხეილ

მარიამ ნადირაძე

გამოძიებისთვის ყველაზე ეფექტური მუშაობის მეთოდი გამორიცხვის მეთოდია. ამ მეთოდის გამოყენების გარეშე ძალიან რთულია, ვინმე გაუმკლავდეს იმ უამრავ ვერსიას, რაც იური ვაზაგაშვილის უსასტიკესმა მკვლელობამ წარმოშვა. ერთგვარ ექსპერიმენტს ჩვენც შევთავაზებთ ჩვენს მკითხველს, თუმცა თავშივე გეტყვით, რომ თქვენთან ერთად შევეცდებით, არ დავიკარგოთ იმ პოლიტიკური წარსულის ლაბირინთებში, სადაც სახეზეა გია ჭანტურიას, ნუგზარ საჯაიას, ზურაბ ჟვანიასა და სხვათა ცხედრები. სწორედ ამ ცხედრებზე გაიარა საქართველოს პოლიტიკურმა წარსულმა, რომელმაც შედეგად სხვადასხვა დროის ხელისუფლებაში არა მოსალოდნელი, არამედ სულ სხვა, მოულოდნელად აღმოცენებული პოლიტიკური გუნდები მოიყვანა...

მკითხველისთვის ეს შესაძლოა, აბსოლუტურად მოულოდნელი განვითარება იყოს ვაზაგაშვილის მკვლელობის თემისთვის, თუმცა, თუ მსჯელობას ერთად გავყვებით, ეგებ არცთუ უმნიშვნელო მესიჯები ამოვიკითხოთ იქ, სადაც მავანი საერთოდაც არ ელის.

ერთი შეხედვით კი ყველაზე მთავარი გზავნილი საზოგადოებას 20 იანვარს უნდა მიეღო, როდესაც სოფელ ყარაფილას სასაფლაოზე შვილის მკვლელობის ობიექტური გამოძიებისთვის მებრძოლი მამა საკუთარი შვილის საფლავზევე აფეთქდა. ამ გზავნილის შინაარსი ცალსახად ასე უნდა წაკითხულიყო – მე ვარ ის, ვინც შვილი მოგიკლა! შესაბამისად, ქართველი საზოგადოების ერთმა ჭკვიანმა ნაწილმა გადაწყვიტა, რომ ნამდვილი მკვლელი შემთხვევის ადგილზე საკუთარი თავის გამოსააშკარავებლად ასეთ აშკარა მესიჯს არ დატოვებდა, ამიტომაც გადაწყდა, რომ ვაზაგაშვილზე შური უნდა ეძია არა ნაციონალურ გუნდს, რომელსაც გარდაცვლილი შვილის მკვლელობაში აშკარად ადანაშაულებდა, არამედ სულ სხვა ძალას, რომელსაც სწორედ ნაციონალებისკენ უნდოდა ისრების გადასროლა, მეორე მხრივ კი ხელისუფლების უნიათობის კიდევ ერთხელ ხაზგასმა. ამ ვერსიას განსაკუთრებით ინტენსიურად ის ადამიანები ავითარებენ, ვის მიმართაც პირველ რიგში შეიძლება წარმოიშვას ეჭვი...

სანამ მკითხველთან ერთად მსჯელობა სულ სხვა სივრცეებში გადაგვისვრის, გამოგიტყდებით და ერთი ისტორია არ მანებებს თავს. ისტორია კი ასეთია:

რკინიგზის სადგურში ორი ნაცნობი შეხვდა ერთმანეთს. ერთმა მეორეს მარტივი კითხვა დაუსვა: მოშე, სად მიემგზავრებიო. მოშეს არ უნდოდა მეგობარს გამოსტყდომოდა, რომ ოდესაში მიდიოდა და დაიწყო ფიქრი: „თუ ვეტყვი, რომ არ მივდივარ ოდესაში, ის იფიქრებს, რომ სწორედ იქ მივდივარ. ამიტომაც ვეტყვი, რომ მივდივარ ოდესაში, რათა ეგონოს, რომ ვატყუებ“. ამიტომაც ხმამაღლა უპასუხა, – ოდესაში მივდივარო. მეგობარმა გაიკვირვა: მოშე, რატომ მატყუებ, შენ ხომ მართლაც ოდესაში მიდიხარ...

ერთი სიტყვით, რა ვერსიაზეც არ უნდა განვავითაროთ მსჯელობა, არ დაგვავიწყდეს, რომ ეს ვერსიები იური ვაზაგაშვილისთვის ტერაქტის დამკვეთებს უკვე გავლილი და დამუშავებული ექნებათ. ამიტომაც, ნებისმიერი თემის უკან შესაძლოა, მარტივად „გამოსარიცხი“ გათვლა იდგეს.

თუ მიზანი მკვლელობის შედეგად პოლიტიკური გრადუსის მოსინჯვაა, ობიექტი ნებისმიერი მათგანი შეიძლებოდა ყოფილიყო და ყველა ასეთ შემთხვევაში დაისმებოდა ეს მიამიტური კითხვა – რატომ მაინცდამაინც „ის“?

რუსული კვალი თუ სწორედაც რუსული კვალი?!

რაკი ნაწილობრივ ვისაუბრეთ ვერსიაზე, პირობითი სახელწოდებით – „ნაციონალები“?.. თუ მართლაც „ნაციონალები“? – ახლა განვიხილოთ რუსული კვალის ალბათობაც, რომელიც ამ ტრაგედიის გარშემო მომძვინვარებულ ვერსიებში, ლეგიტიმურობის თვალსაზრისით, ერთ-ერთ უპირატეს ადგილს იკავებს.

მახსოვს, შევარდნაძეზე განხორციელებული ტერაქტის შემდეგ, როდესაც მთავარი ეჭვმიტანილი, იგორ გიორგაძე საქართველოდან გაიქცა, ქვეყანაში დატრიალებული თითქმის ყველა უბედურების მიღმა სწორედ მის აჩრდილს ხედავდა პოლიტიკური ისტებლიშმენტი. ამ აჩრდილმა არ მოასვენა საზოგადოება არც სააკაშვილის ხელისუფლებაში ყოფნის დროსაც. ამიტომაც უხერხულობას მოვიხსნით, თუმცაკი ბოდიშს მოვუხდით ბატონ იგორს და მის მომხრეებს, როდესაც ქვემოთ შემოთავაზებულ ვერსიას მისი სახელის აშკარა, შეფარულობის გარეშე მოხსენიებით ქვემოთ წარმოდგენილ ვერსიას განვავითარებთ. ამას მხოლოდ თემის სიცხადისთვის გავაკეთებთ მხოლოდ.

მაშ ასე, თუ გავიხსენებთ ერთ-ერთ საპრეზიდენტო არჩევნებს, როდესაც გიორგაძის კანდიდატურა ცესკომ არ მიიღო იმის გამო, რომ პრეზიდენტობის კანდიდატს უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში უნდა ეცხოვრა საქართველოს ტერიტორიაზე, მაშინ ამ კანდიდატმა პოზიციების გასამყარებლად განაცხადა, სამხრეთ ოსეთის რეგიონში ვცხოვრობდიო... ეს ფაქტი გახსენებად, ალბათ, ღირს, თუ გვითვალისწინებთ ირაკლი სესიაშვილის ერთგვარ მინიშნებას, როცა ამბობდა, იური ვაზაგაშვილის აფეთქების ადგილი, სოფელი ყარაფილა, კონფლიქტის რეგიონისპირა სოფელიაო... მით უმეტეს, დაკვირვებად, ალბათ, ღირს პროცესებიც, სადაც ამ ტრაგედიის შემდეგ ზოგიერთი პოლიტიკური ფიგურა, რომელიც სწორედ გიორგაძესთან ასოცირდება, აქციებისკენ „იქაჩება“. აკი ამბობენ კიდეც, ამ ტერაქტის ავტორების მიზანი ქვეყანაში არეულობის ორგანიზებააო...

ჩვენს მკიხველთაგან რომელიმეს, ალბათ, გაუჩნდება კითხვა – შესაძლოა თუ არა, ვიფიქროთ რუსულ-„ნაციონალურ“ კვალზე ერთობლივად? ან გამორიცხავს თუ არა ერთი მეორეს?

თუ გავიხსენებთ რამდენიმე ფაქტს, რომელთაგან ზოგი გახმაურდა, ზოგიც – ჯერ არა, ალბათ,



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

სააკაშვილი იგორ გიორგაძეს

ეს კითხვაც ლეგიტიმური იქნება. ვინაიდან ცნობილია სააკაშვილისთვის გიორგაძისმიერი საჩუქარი დაჯავშნილი „მერსედესების“ სახით. უფრო მეტიც, არსებობს კულუარული ინფორმაცია იმის შესახებაც, რომ „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ შევარდნაძისგან დევნილი ნომერ პირველი ტერორისტი ახალ ხელისუფლებას ბათუმში შეხვდა. ამ შეხვედრის მონაწილე კი, სააკაშვილთან ერთად, ჟვანიაც გახლდათ... სკეპტიკოსები, რაღა თქმა უნდა, გიორგაძის მომხრეების მასობრივ დაპატიმრებებს გაიხსენებენ სააკაშვილის რეჟიმის დროს ამ ალიანსის დასაშვებობის გასაბათილებლად, თუმცა ზოგიერთი ანალიტიკოსი არც ამ აქტს შეხედავს ზედაპირულად და სიღრმეებში კვლავაც შეთქმულების კვალს დაინახავს, სულ სხვა ჭრილში... თუმცა, ამ ეტაპზე განხილვას ამ მიმართულებით შორს წასვლის შესაძლებლობის მოტივით შევწყვეტთ და კვლავაც 20 იანვრის შემზარავ ფაქტს დავუბრუნდებით...

სახიფათო ცნობადობა

ეს ტერმინი პირველად მაშინ გავიგეთ, როდესაც გიორგი სანაია მოკლეს. სწორედ მაშინ გაჟღერდა, რომ ჟურნალისტმა სწორედ სახიფათო ცნობადობის ზღვარს მიაღწია და ამიტომაც შეიძლებოდა, ის რომელიმე ქვეყნის სპეცსამსახურების „ობიექტივში“ აღმოჩენილიყო, რომელიც ასეთი ცნობადობის

სისხლიანი მკვლელობების თანამდევი უსისხლო გადატრიალებები

თუ ჩავლილ პროცესებს დავაკვირდებით, აღმოვაჩენთ, რომ არაერთ სკანდალურ მკვლელობას მოჰყოლია ქვეყანაში პოლიტიკური მოთამაშეების ჩანაცვლება.

თავის დროზე „ეროვნულ-დემოკრატიული პარტია“ საკმაოდ შეკრული და ძლიერი გუნდი იყო იმისთვის, რომ ხელისუფლების სადავეები აეღო ხელში. გია ჭანტურიას მკვლელობის შემდეგ გუნდი დაიშალა, ხელისუფლებაში კი სულ სხვა მოვიდა...

იმ „სხვის“ ხელისუფლების წიაღში შეიქმნა კიდევ ერთი გუნდი, რომელსაც პირობითად საჯაიას გუნდს უწოდებდნენ. მისი წევრები შევარდნაძის რეჟიმის დასასრულისკენ პერიოდში უმაღლეს თანამდებობებს ინაწილებდნენ. ეს იყო დრო, როდესაც ინტენსიურად დაიწყო მოძრაობა შევარდნაძის მემკვიდრეობის ხელში ასაღებად. გუნდი ჯერ კიდევ მაშინ დასუსტდა, როდესაც ერთ დღეს უშიშროების საბჭოს მდივანი საკუთარ კაბინეტში გარდაცვლილი აღმოაჩინეს. მოგვიანებით ამ გუნდის რეპრესირება მოხდა. ხელისუფლების სადავეები კი ისევ სულ სხვამ აიღო ხელში...

მორიგი „სხვა“ შედგებოდა გუნდისგან და არაგუნდისგან, ანუ

ჭანტურია, საჯაია, სანაია, ჟვანია და ვაზაგაშვილი

მქონე ადამიანის ლიკვიდაციის შედეგად პოლიტიკური პროცესების დაჩქარებას უმიზნებს. ამ ფაქტმა კი ნამდვილად დააჩქარა შევარდნაძის რეჟიმის დასასრული...

ერთი შეხედვით არავის შეიძლებოდა ჰგონებოდა, რომ იური ვაზაგაშვილის ცნობადობა ასეთ ნიშნულს უახლოვდებოდა. იგივე რანგში შეიძლებოდა განხილულიყო ბუტა რობაქიძის, ან გამცემლიძის მშობლები... თუმცა საქმეც სწორედ ეს არის... თუ მიზანი მკვლელობის შედეგად პოლიტიკური გრადუსის მოსინჯვაა, ობიექტი ნებისმიერი მათგანი შეიძლებოდა ყოფილიყო და ყველა ასეთ შემთხვევაში დაისმებოდა ეს მიამიტური კითხვა – რატომ მაინცდამაინც „ის“?

ჟვანიას გამოზრდილი წრისგან და სააკაშვილის ბიჭებისგან. ზურაბ ჟვანიას სიკვდილის შემდეგ ეს გუნდიც „ჩაირეცხა“, დარჩენილი ნაწილი კი სააკაშვილს შეერწყა და პოლიტიკური თამაშის სივრცედ მხოლოდ პარლამენტის კედლებს დაჰყაბულდა...

თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ პროცესების შუაში მოკლეს გიორგი სანაია და ამან ეს პროცესები საგრძნობლად დააჩქარა, რატომ არ უნდა დავსვათ კითხვა – შეცვლის თუ არა პოლიტიკურ სცენაზე მოთამაშეებს იური ვაზაგაშვილის მკვლელობაც? მით უმეტეს, რომ ამ ფაქტის შემდეგ ზოგიერთი ანალიტიკოსი ნაციონალების მასობრივ დაჭერებსა და მათი პოლიტიკური სივრციდან „გაუჩინარებას“ პროგნოზირებს...

ეს ლოგიკა სულაც არ ემსახურება ჩამოთვლილი მკვლელობების ავტორების დადგენას, მით უმეტეს, როცა ქართული რეალობის განვითარებისთვის სცენარები ძირითადად სულ სხვა ქვეყნებში იწერება. სახეზეა მხოლოდ ფაქტები, ხოლო ვინ არიან მისი დამკვეთები და შემსრულებლები, ამის დადგენას მხოლოდ გამორიცხვის მეთოდი არ შველის.

ამდენად, სანამ გამოძიება 20 იანვრის მკვლელობის წახნაგებს სწავლობს, მე და მკითხველს მოგვიხდება, დაველოდოთ პროცესებს და ერთად ვნახოთ, რომელ გუნდს „ჩარეცხავს“ იური ვაზაგაშვილის მკვლელობა და ვინ იქნება ის „სულ სხვა“, რომელიც ჭადრაკის დაფის განაპირა უჯრაზე გაძვრება და მეფედ გადაიქცევა...

დამკვეთები, შემსრულებლები და შედეგები



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

რატომ უფასურდება ლარი და როგორ უნყობს

ნაციონალების გუნდის წევრი, გიორგი ქადაგიძე ხელისუფლებას საგოტაჟს უწყობს?!

მარიამ ნადირაძე

როდესაც სააკაშვილის გუნდი ხელისუფლებაში მოვიდა, ერთ-ერთი პირველი საკადრო ცვლილება ეროვნული ბანკის პრეზიდენტს შეეხო. 2009 წელს არჩეული გიორგი ქადაგიძე ახალი ხელისუფლების კვალდაკვალ უკვე მესამე წელია ხელმძღვანელობს ეკონომიკის მთავარ არტერიას. ამასობაში კი უკვე მესამედ ვდგავართ ლარის გაუფასურების საშიშროების წინაშე.

იმ აურზაურში, როდესაც ეროვნული ბანკი ფინანსთა სამინისტროსკენ იშვერს ხელს, ხოლო ფინანსთა სამინისტრო – პირიქით, პოლიტიკოსები საკუთარი პოლიტიკური დივიდენდების გასამყარებელ განცხადებებს აკეთებენ, ხალხი კი პანიკამ მოიცვა, „პრაიმტაიმმა" გადაწყვიტა, ესაუბროს ექსპერტს, რომელიც საზოგადოებას პოპულარული და არასპეციფიკური ენით აუხსნის, რა სჭირს რეალურად დღეს ეროვნულ ვალუტას და შეიძლება თუ არა მისი რყევა კვლავაც პოლიტიკური ქიშპობის შედეგი იყოს.

მაშ ასე, გთავაზობთ ინტერვიუს ეკონომიკის ექსპერტთან, მიხეილ დონდუასთან:

– ბოლოს და ბოლოს, იქნებ გაგვარკვიოთ, ლარის რყევა სამთავრობო გუნდის ბრალია, თუ ეროვნული ბანკის მოქმედებების, ან უმოქმედობის?

– აქ ძალიან მნიშვნელოვანია ეროვნული ბანკის გადაწყვეტილება, რადგან მთავარი მოქმედი ფაქტორი არის ეროვნული ბანკი. მან ბოლო ორი წლის განმავლობაში დიდი ოდენობის დოლარის მასა ამოიღო მიმოქცევიდან. ამან გასული წლის დეკემბერში, ბუნებრივია, გამოიწვია კურსის რყევა. მერე ეროვნული ბანკი იძულებული გახდა, 220 მილიონი უკან დაებრუნებინა, წელს მხოლოდ 100 მილიონი დააბრუნა. საბოლოოდ სუფთა ამოღებამ 235 მილიონი დოლარი შეადგინა. ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს იმ-

ას, რომ როდესაც ეკონომიკური აქტიურობა იზრდება, ბოლო წლის განმავლობაში კი ეს აქტიურობა გაზრდილია, ამ დროს ეკონომიკას სჭირდება როგორც ლარი, ისე დოლარი. ამ შემთხვევაში, თუ დოლარს ამოვიღებთ და მხოლოდ ლარს დავტოვებთ, ეს, ბუნებრივია, ლარისა და დოლარის ბალანსს დაარღვევს, დოლარის დეფიციტს შექმნისა და ლარის გაუფასურებას გამოიწვევს. მთავარი პრობლემა აქ უფრო მეტად დოლარის დეფიციტშია, ვიდრე ლარის სიჭარბეში. დოლარი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეკონომიკისთვის, განსაკუთრებით ნოემბერ-დეკემბერში, როცა იმპორტი იზრდება. შესაბამისად, დოლარზე მოთხოვნა მატულობს. ამიტომაც ეროვნული ბანკის მიერ ამოღებულმა 235 მილიონმა დოლარმა თავი სწორედ ამ პერიოდში იჩინა. ამას, რა თქმა უნდა, დაერთო დოლარის საერთაშორისო გამყარების ტენდენცია და მთელი რიგი ფაქტორები. ამ ფაქტორებმა ლარის კურსის ვარდნას ხელი შეუწყო, მაგრამ გამომწვევი მიზეზი ინტერვენციული, ჩარევითი თვალსაზრისით იყო ეროვნული ბანკის მოქმედება ბოლო ორი წლის განმავლობაში.

– იმით, რომ გაზარდა საერთაშორისო რეზერვების მაჩვენებელი?

– დიახ. ამავდროულად მთავრობამ საერთაშორისო წყაროებიდან მიიღო 145 მილიონი დოლარი. ეს რეზერვების გაზრდას მოხმარდა. მიმოქცევაში ლარი გავიდა. ეს, ბუნებრივია, აღრმავებს ლარი-დოლარის დისბალანსს და ითხოვს დოლარის მეტ მიწოდებას. ახლა მთავარია, რომ ეროვნულმა ბანკმა მიიღოს სწორი გადაწყვეტილება. ვინაიდან 2 მილიარდ 700 მილიონზე მეტია ახლა უკვე საერთაშორისო რეზერვები ეროვნულ ბანკში, 100 მილიონი დოლარი მაინც გამოიტანოს იმისთვის, რომ კურსის დაბალანსებას ხელი შეუწყოს. სხვა რისთვის გვჭირდება ჩვენ რეზერვი? რეზერვი არის გამოკეტილი თანხა, რომელიც საჭიროა იმისთვის, რომ კრიტიკულ სიტუაციაში დავეხმაროთ ეროვნულ ვალუტას, რათა მისი დევალვაციის პრობლემა არ შეიქმნას. თავისთავად, ერთ ადგილას გამოკეტილი დოლარის რეზერვი არავითარი სარგებლის მომტანი არ არის არც მოქალაქისთვის, არც ქვეყნისთვის, არც ეკონომიკისთვის. ეს არის გამოკეტილი ფული. თუ მას გონივრულად არ გამოვიყენებთ და იმ დროს არ გამოვიყენებთ, როდესაც ეს სჭირდება ეკონომიკას, ბუნებრივია, მაშინ ლარის გაუფასურებაში დამნაშავე ის სტრუქტურა იქნება, რომელიც ამ ნაბიჯს არ დგამს. არადა, რაღაც ნარატივი ვრცელდება კონკრეტულ წრეებში, რომ ყველაფერი ფინანსთა სამინისტრო ბრალია. ეს არასწორი ფორმულირებაა, ვინაიდან ლარის კურსზე ფინანსთა სამინისტროს გავლენა არ აქვს. ბიუჯეტის დეფიციტის მაჩვენებელი არ არის ზღვარს გადასული, არ არის ისე, როგორც, ვთქვათ, სხვა წლებში არ ყოფილა, არის ნორმის ფარგლებში. ფინანსთა სამინისტროს ბუნებრივად არ შეუძლია, გავლენა მოახდინოს ლარი-დოლარის კურსზე. მთავარი, გადამწყვეტი სიტყვა ამ შემთხვევაში ეროვნულმა ბანკმა უნდა თქვას, რომელმაც თავისი ორწლიანი მოქმედებით უკვე შექმნა დოლარის დეფიციტი.

– რამდენად მოქმედებს ამ პროცესზე ექსპორტი, ლარით ინვესტიციები, გზავნილები...

– მთელი ეს მონაცემები ჯგუფდება და ჯამდება ერთ მაკროეკონომიკურ პარამეტრში, რასაც ჰქვია საგადამხდელო ბალანსის მიმდინარე ანგარიში. საგადამხდელო ბალანსის მიმდინარე ანგარიში 2012 წელს იყო მილიარდ 850 მილიონი დოლარი. დაახლოებით იგივე იყო 2011 წელს. 2013 წელს განახევრდა ეს მაჩვენებელი, ანუ 900 მილიონზე მეტით შემცირდა. 2014 წელს 2013-თან შედარებით ცოტათი გაიზარდა, მაგრამ ამის მიუხედავად, ის გაცილებით ნაკლები იყო, ვიდრე 2012-ში და 2011-ში და ნებისმიერ წელს, 2005 წლამდე პერიოდში. ანუ მკვეთრადაა გაუმჯობესებული ბოლო ორ წელიწადში საგადასახადო ბალანსის მიმდინარე ანგარიში, რომელიც საექსპორტო-საიმპორტო შემოსავლებსა და საინვესტიციო შემოსავლებს აერთიანებს. შესაბამისად, იმის თქმა, რომ მთავრობის არასწორმა პოლიტიკამ ფულის ქვეყნიდან გადინების გაზრდა გამოიწვია და ეს გახდა ლარის გაუფასურების მიზეზი, არასწორია, ვინაიდან ეს მაკროეკონომიკური

თიბისი ბანკმა ფულადი გზავნილების გათამაშების 10 გამარჯვებული დაჯილდოვა

თიბისი ბანკის ფულადი გზავნილების გამარჯვებულები 5 000 და 1 000-ლარიანი ფულადი პრიზებით დაჯილდოვდნენ.

5 000 ლარის მფლობელები ზვიად ადეიშვილი, სვეტლანა მელნიჩუკი, ზაზა დავითაძე, ლალი შალიკიანი და სოფიკო ჩიხლაძე გახდნენ.

ფულადი გზავნილების გათამაშება 1 აპრილიდან 10 იანვრის ჩათვლით მიმდინარეობდა და მასში ჩართული იყვნენ მომხმარებლები, რომელთაც აღნიშნული პერიოდის განმავლობაში თიბისი ბანკის მეშვეობით მიიღეს ან გააგზავნეს ფულადი გზავნილები.

სოფიკო ჩიხლაძე მთავარი პრიზის, 5000 ლარის ერთ-ერთი მფლობელი: „დიდი ხანია ვსარგებლობ თიბისი ბანკის მომსახურებით. ფულადი გზავნილების აქტიური მომხმარებელი ვარ, შემთხვევით გავიგე, რომ თიბისი ბანკში შემეძლო Intel Expres-ის გზავნილით მესარგებლა. თავიდანვე დიდი აზარტით ჩავერთე გათამაშებაში და ფინალურ გათამაშებაში 5 000 ლარიც მოვიგე. ძალიან ბედნიერი ვარ და დიდ მადლობას ვუხდი თიბისი ბანკს ამ სასიხარულო სიურპრიზისთვის".

მთავარ ფულად პრიზებთან ერთად აქციის ფარგლებში თიბისი ბანკმა სხვადასხვა პრიზებით 8 ათასამდე მომხმარებელი დააჯილდოვა.

თიბისი ბანკში და ახლა უკვე თიბისი კონსტანტას ფილიალებში, მთელი საქართველოს მასშტაბით, შესაძლებელია ყველა წამყვანი ფულადი გზავნილების სისტემით სარგებლობა, როგორებიცაა: Western Union, Contact, IntelExpress, Zolotaya Korona, Anelik, Ria, Money Gram და Unistream. Ⓐ

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ამას ხელს ეროვნული ბანკი?

პარამეტრები ცნობილია, მას აკვირდება საერთაშორისო სავალუტო ფონდი, ეს გამჭვირვალე და დანახვადი სიდიდეა. შესაბამისად, ერთადერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რამაც ეს ძალიან ცუდი პრეცედენტი გამოიწვია, რასაც ჰქვია, ლარის გაუფასურება, არის ეროვნული ბანკის მოქმედება, რომელმაც 235 მილიონი დოლარის წმინდა ამოღება განახორციელა 2 წელიწადში და დღესაც თავს იკავებს, რომ ერთი დოლარიც კი მიაწოდოს ეკონომიკას, როცა ეკონომიკა ითხოვს დოლარს.

– ამბობენ, რომ ამ პროცესებზე დიდი გავლენა მოახდინა ფულადი გზავნილების შემოდინების შემცირებამ, განსაკუთრებით კი რუსეთიდან...

– ამან, რა თქმა უნდა, ხელი შეუწყო პროცესს, მაგრამ გამომწვევი მიზეზი არაა. 2012 წელთან შედარებით, როდესაც ვალუტა დასტაბილურებული იყო, საერთაშორისო გზავნილების მაჩვენებელი გაზრდილია. მისი მოცულობა არსებით გავლენას არ ახდენს ამ პროცესზე. აქ მთავარია დოლარის დეფიციტი. როდესაც ეკონომიკიდან დოლარს ამოიღებ, ეს უკმარისობა იმ დროს გამოჩნდება, როდესაც დოლარზე მოთხოვნა განსაკუთრებით იზრდება და გავიმეორებ – ეს მოხდა დეკემბერში. ახლა უკვე იანვარია. წესით, უნდა დარეგულირდეს პროცესი, მაგრამ მიდის ინერციით. თუ ამ დროს ეროვნული ბანკი არ ჩაერევა და როგორც წინა შემთხვევაში, ახლაც არ მიაწოდა ბაზარს რეზერვიდან 100 მილიონი მაინც, პროცესის დარეგულირება გაჭიანურდება. ეს კი დიდი ალბათობით პანიკას გამოიწვევს.

– ამ პანიკის ფარგლებში შესაძლოა, სამომხმარებლო ბაზარზე ისევ მოხდეს პროდუქტებზე ფასების აწევა?

– ვინც იმპორტული პროდუქტების გაყიდვით არის დაკავებული, ის ჯერჯერობით ეგუება მოგების ნორმის შემცირებას და არ ზრდის ფასს, თუმცა მოლოდინი შეიძლება ერთი კვირა გაგრძელდეს. თუ ეს სამ კვირამდე გაჭიანურდება, ამან, ბუნებრივია, შეიძლება გამოიწვიოს ფასების მატების პროვოცირება. თუ ეს მოხდება, მერე უკვე ჩარევა გაცილებით ძვირად დაუჯდება ეროვნულ ბანკს. ამიტომ სჯობს, ახლა გაიცეს თანხა, ვიდრე დაელოდოს, როდის აცდება ინფლაცია ექვსპროცენტიან ნიშნულს.

– თუ არ ვცდები, 2006 წელს იყო ასეთ ნიშნულზე ლარი. მაშინ როგორ მოახერხა წინა ხელისუფლებამ პროცესების შემოტრიალება?

– სწორედ ასე – ეროვნულ ბანკს გამოჰქონდა რეზერვიდან თანხა. ეს ჩვეულებრივი პრაქტიკა იყო. ჩვენ ხომ ვიცით, როცა პოლიტიკური გადაწყვეტილება მიიღებოდა, ამ გადაწყვეტილებას ეროვნული ბანკი ასრულებდა.

– თუ ამას დღეს არ გააკეთებს, შეგვიძლია, ვიფიქროთ, რომ კვლავაც პოლიტიკურ გადაწყვეტილებას ემორჩილება ეროვნულის ბანკი ხელმძღვანელობა, ოღონდ ეს პოლიტიკური გადაწყვეტილება ოპოზიციურ პოლიტიკურ გუნდს ეკუთვნის? ვგულისხმობ, შესაძლებელია თუ არა, ვიფიქროთ ეროვნული ბანკის მხრიდან საბოტაჟის მცდელობაზე?

– ძალიან არ მინდა პოლიტიკურ სპეკულაციებში შევიდე, მაგრამ ქადაგიძის ასეთი გაჭიანურებული მოქმედებები ძალიან ჰგავს პოლიტიკურ კონიუნქტურას დაქვემდებარებული პირის ნაბიჯს. არ მინდა ამ თემის მეტად პოლიტიზება, რადგან თემას ვნებს, მაგრამ ნამდვილად საეჭვოა ქადაგიძის ეს მოქმედება, მით უმეტეს, იმ ნარატივის ფონზე, როდესაც ვრცელდება არასწორი ინფორმაცია, თითქოს ეს ყველაფერი ბიუჯეტის, ან მთავრობის რაღაც სტრუქტურების ბრალია. ამ დროს კი ამ პროცესის შემოქმედი არის ეროვნული ბანკი, რომელიც დუმს, არავითარ განცხადებას არ აკეთებს და 100 დოლარის გაყიდვასაც არ აპირებს. ეს ყველაფერი ჩუმი ობსტრუქციის ელფერს ნამდვილად ატარებს. ობსტრუქცია კი ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მხრიდან დამღუპველი იქნება მისთვის.

– და არა ეკონომიკისთვის?

– სიტუაცია სამ კვირაში მაინც გადარჩება, თავისთავად დასტაბილურდება. ეს სამი კვირა კი ძალიან მნიშვნელოვანია ქვეყანაში ეკონომიკურ-ფსიქოლოგიური გადაწყვეტილებების მიღებისთვის.

– რატომ უნდა დასჭირვებოდა ქადაგიძეს მაინცდამაინც უკანასკნელ ორ წელიწადში საერთაშორისო რეზერვების გაზრდა და არა, ვთქვათ, მანამდე?

– სხვათა შორის, როდესაც ეროვნულმა ბანკმა წინა წელს საერთაშორისო რეზერვები გაზარდა, მისმა მოცულობამ სამ მილიარდს გადააჭარბა და ეს იყო საქართველოსთვის ისტორიული მაქსიმუმი. თუ მის 2012-2013 წლის ანგარიშში ჩავიხედავთ, ის ასეთ რამეს აცხადებს, რომ სავალუტო ფონდის სტანდარტის მიხედვით მისთვის მთავარია, რომ საერთაშორისო რეზერვები იყოს თვის იმპორტის მაჩვენებელზე სამჯერ მეტი. მართლაც ასეთია სავალუტო ფონდის სტანდარტი. მაგრამ თუ დავაკვირდებით, ვნახავთ, რომ როდესაც მან რეზერვების მოცულობა გაზარდა, ის თვის ექსპორტთან შედარებით არა სამჯერ, არამედ 3,8-ჯერ მეტი იყო, 4-ჯერ მეტი, 5-ჯერ მეტიც იყო. რაში სჭირდებოდა ქადაგიძეს ეს ფრიადოსნობა? რაში სჭირდებოდა დოლარის მიმოქცევიდან ამოღება და ჩაკეტვა? ფულის ჩაკეტვა არავის არგებს. თუ სისტემა მდგრადია, სხვა დანარჩენი თანხა ეკონომიკას უნდა მოხმარდეს.

– ქადაგიძის ეს „ფრიადოსნობა“ იმ შედეგებისკენ ხომ არ იყო გამიზნული, რა რეალობაშიც დღეს ჩვენ აღმოვჩნდით?

– თუ კონსპირაციის თეორიით ვიმსჯელებთ, ეს შეკითხვა შეიძლება იყოს ლეგიტიმური. მე არ მინდა სიღრმეებში წავიდე, თუმცა ეჭვს ნამდვილად იწვევს.

– ბოლოს მინდა გკითხოთ საერთაშორისო სესხებსა და გრანტებზე... როდესაც სახელმწიფო ასეთ თანხას იღებს, ეს მიღებული მეთოდია, რომ ეროვნულმა ბანკმა დოლარი დაარეზერვოს და ლარი მიმოქცევაში გაუშვას?

– ასე ხდება, ეს არის ჩვეულებრივი ტექნიკური პროცედურა. როდესაც გრანტს, სესხს, ამ რაიმე დახმარებას მიიღებს მთავრობა, ვალუტა ეროვნული ბანკის განკარგულებაში რჩება, მიმოქცევაში კი ლარი გადის. თუ ეროვნულ ბანკს აქვს მიზნად, რომ ლარი-დოლარის ბალანსი შეინარჩუნოს, მან ლარის პარალელურად მიმოქცევაში დოლარიც უნდა გაუშვას. წარმოიდგინეთ, მთავრობამ რომ მიიღოს ერთი მილიარდი დოლარი და ეკონომიკას მივაწოდოთ მისი მოცულობის ლარი ბიუჯეტის ხარჯების გზით, ეს ერთი მილიარდი დოლარი კი დარეზერვდეს, ბუნებრივია, ლარი გაიზრდება, დოლარი დაიკეტება და შესაბამისად, ლარი-დოლარის ბალანსი დაირღვევა. ამიტომაც, თუ ეროვნული ბანკი ადეკვატურ ნაბიჯებს არ გადადგამს, ნებისმიერი საერთაშორისო დახმარება ცუდი ადამიანის ხელში შეიძლება იქცეს იარაღად იმისთვის, რომ ობსტრუქცია მოაწყოს, თუ ასე აქვს გადაწყვეტილი ეროვნული ბანკის ხელმძღვანელს. შესაბამისად, ეს პოზიტივი, ანუ საერთაშორისო დახმარება ადვილად შესაძლებელია, გახდეს ნეგატივი. სწორედ ეს ეჭვები უნდა გაფანტოს ეროვნული ბანკის ხელმძღვანელმა და ეკონომიკას დოლარი მიანოდოს.

რა მოლაპარაკებას აწარმოებს საგანელიძე მარგველაშვილთან

მირიან ბოქოლიშვილი

ირინა იმერლიშვილი ერთადერთია, ვისმა გვარმაც პრეზიდენტსა და პარტიებს შორის კონსულტაციების დროს გაიჟღერა. მედიაში უკვე გაჟონა ინფორმაციამ. კონსულტაციებიდან გამოსული პატიების წარმომადგენლები პირად საუბრებში ადასტურებენ, რომ მარგველაშვილს სწორედ უშიშროების საბჭოს მდივნის წარდგენა სურს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის პოსტზე. მართალია, დავით საგანელიძემ ღია კომენტარებში კონკრეტულ პირებზე საუბარი უარყო, მაგრამ კულისებში ირწმუნებიან, რომ უმრავლესობის ლიდერმა ჟურნალისტებს სიმართლე ბოლომდე არ უთხრა:

– კონსულტაციები კიდევ გვექნება პრეზიდენტთან. ძალიან საინტერესო და კონსტრუქციული დიალოგი გვქონდა. ყველას ერთი ამოცანა და სურვილი გვაქვს, რომ უზენაეს სასამართლოს ყველაზე ღირსეული, პროფესიონალი და სანდო თავმჯდომარე ჰყავდეს. დარწმუნებული ვარ, ასეც იქნება. დანარჩენი დეტალები და ნიუანსები კონსულტაციების შედეგად გადაწყდება...

კონსულტაციებში ჩართული პირები ამბობენ, რომ პრეზიდენტს სურს, კანდიდატურა პარლამენტთან წინასწარ შეათანხმოს და ამიტომაც მათ წინასწარ შეხვდა. ახლა პრეზიდენტი ჯერ უმრავლესობიდან ელოდება პასუხს. დავით საგანელიძეს კიდევ ერთხელ მოუწევს ადმინისტრაციაში მისვლა, ამჯერად უკვე პასუხის მისატანად. სწორედ მაშინ გაირკვევა უმრავლესობის პოზიციაც.

კულუარული ინფორმაციით, ამჯერად პრეზიდენტი მარგველაშვილი მოწადინებულია უმრავლესობასთან საერთო ენა იპოვოს, რათა მისი კანდიდატურა არ ჩავარდეს. როგორც ამბობენ, ეს იმიჯის საკითხია.

ერთხელ მან უკვე სერიოზული დარტყმა მიიღო პარლამენტში. მაშინ როცა ორჯერ დაადო ვეტო მოსმენების შესახებ კანონს და შემდეგ თავადვე მოუწია მასზე ხელის მოწერა.

ახლა არ სურს, რომ იგივე განმეორდეს და დაპირისპირებაში წააგოს. ამიტომაც პოზიციებს ჯერ უმრავლესობასთან ათანხმებს. არ გამორიცხავენ, რომ დავით საგანელიძემ სხვა კანდიდატურა შესთავაზოს პრეზიდენტს პარლამენტში შემოსატანად.

რა შანსები აქვს ირინა იმერლიშვილს კოტე კუბლაშვილის ადგილის დასაკავებლად

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ვინ ლობირებს ირაკლი კობახიძეს და რა გარიგება დაიდო კულისებში

ირაკლი კობახიძე

გია კობახიძე

ექსპერტების შეფასებით, პარტია „ქართულმა ოცნებამ“ ბევრი რამ უნდა მოასწროს, არჩევნებისთვის რომ ფორმაში ჩადგეს

ქეთი ხატიაშვილი

ყველა დავოსიდან ირაკლი ღარიბაშვილის დაბრუნებას ელოდა. პარტია „ქართული ოცნების“ საბჭოს წევრები აცხადებდნენ, რომ სწორედ ამას შემდეგ გადაწყდება, ვინ გახდება მმართველი პარტიის აღმასრულებელი მდივანი. თუმცა, მანამდე ვიცე-პრემიერმა კახი კალაძემ ამ პოსტზე ახალი სახის დანიშვნა უკვე დააანონსა, თუმცა, კონკრეტულად არ დაუსახელებია. მან მხოლოდ ის თქვა, რომ პარტიას აღმასრულებელი მდივანი ჰყავს, რომელსაც უახლოეს დღეებში წარადგენენ:

– პარტიაში გარკვეული ცვლილებები განხორციელდა. ჩვენ გვყავს ახალი აღმასრულებელი მდივანი, რომლის წარდგენაც უახლოეს მომავალში მოხდება. რაც შეეხება გეგმებს, საკმაოდ ამბიციური გეგმები გვაქვს და ეს ყველა რაიონული ორგანიზაციისთვის იქნება ცნობილი. 2016 წელს ჩვენ გვაქვს არჩევნები, თუმცა მანამდე ძალიან ბევრი უნდა ვიმუშაოთ იმისთვის, რომ ნამდვილად ჩამოვაყალიბოთ პარტია, რომელიც სოციალურ-დემოკრატიულ იდეოლოგიაზე იქნება დაფუძნებული. თუ რა ღონისძიებები გატარდება და რა პროექტები განხორციელდებოდა, ამის შესახებ უახლოეს ხანში გაინერება სამოქმედო გეგმა...

მოგვიანებით კი მედიაში გაჟონა ინფორმაციამ და ახალი სახეც გამოჩნდა. პარტია „ქართული ოცნების“ ახალ პერსპექტიულ სახედ ირაკლი კობახიძე დასახელდა. ამ ახალგაზრდის შესახებ ბევრი არაფერია ცნობილი, სამაგიეროდ მისი მამა გია კობახიძე საკმაოდ ცნობილი და გამოცდილი პოლიტიკოსია. ის „ედპ“-ს წევრი იყო ჯერ კიდევ გია ჭანტურიას დროს, აქტიური დეპუტატი გახლდათ და პარტიის გაყოფის შემდეგ ირინა სარიშვილთან დარჩა, მჭიდროდ თანამშრომლობდა ზურაბ ჟვანიასთან, მოგვიანებით კი ნინო ბურჯანაძის პარტიაში მოხვდა.

ზვიად ჯანყარაშვილი

ხმაურიან დანიშვნაზე თავად ირაკლი კობახიძე სულ რამდენიმე ფრაზით შემოიფარგლა:

– ჯერჯერობით ვერაფერს დაგიდასტურებთ. უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში კონსულტაციები მქონდა, ზოგადად, სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით, მათ შორის, თანამდებობასთან დაკავშირებითაც. პარტიის წევრი თავიდანვე ვიყავი, ერთ-ერთი დამფუძნებელი წევრი ვარ და აქედან გამომდინარე, პარტიასთან მუდმივად მქონდა კავშირი და აქტიური კონსულტაციებიც... რაც შეეხება კახა კალაძის განცხადებას, მეც მოვისმინე და წარდგენა უახლოეს მომავალში განხორციელდება. წარდგენის შემდეგ გაირკვევა ყველაფერი...

შესაძლოა იმიტომ, რომ პირველად ამ დანიშვნის შესახებ სწორედ კახი კალაძემ გაამჟღავნა. გავრცელდა ინფორმაცია, რომ ახალგაზრდა და გამოუცდელი პოლიტიკოსი სწორედ მან დაალობირა. მიუხედავად იმისა, რომ პრემიერის ჩამოსვლამდე ოფიციალურ კომენტარებში არავის არაფერი დაუდასტურებია, თავად გია კობახიძის (მამა) პოლიტიკიდან წასვლის ფაქტი უკვე იყო პასუხი – ირაკლი კობახიძეს (შვილი) აღმასრულებელ მდივნად დანიშნავენ.

საერთოდ, ეს პოსტი საკმაოდ ხმაურიანი აღმოჩნდა. ეს პოზიცია პარტიაში ხომ მას შემდეგ გახდა ვაკანტური, რაც ზვიად ჯანყარაშვილმა ის საკუთარი განცხადების საფუძველზე დატოვა

ზვიად ჯანყარაშვილი პრემიერის გუნდის წევრი იყო, კობახიძეს კალაძის გუნდის წევრად მიიჩნევენ. და აქვე, კულისებში, კალაძე-ღარიბაშვილის დაპირისპირების თემაც გააქტიურდა. ქართულ პოლიტიკაში ასეთი ეჭვები უკვე ლოგიკად იქცა. არ ყოფილა ჯერ მმართველი პარტია, სადაც ასეთ დაპირისპირებებს არ ეძებდნენ სწორედ საკადრო პოლიტიკაში. ძალიან შორს არ წავალ და „ნაციონალური მოძრაობაც“ იყოფოდა გიგი უგულავას, ვანო მერაბიშვილისა და ახალაიების გუნდებად; „რესპუბლიკური პარტია“ არასოდეს ყოფილა მმართველ პოზიციებში – დღეს არის ნაწილობრივ, და უკვე საუბარია ბერძენიშვილებისა და უსუფაშვილის დაპირისპირებაზე.

ფაქტია, რომ საბჭოს წევრებიდან ბევრმა პირად საუბრებში ირაკლი კობახიძის დანიშვნა გააპროტესტა. შეიძლება მდივნის პოზიციებზე ჯანყარაშვილის დანიშვნა გაუგებარი იყო – მას არანაირი პოლიტიკური გამოცდილება არ ჰქონდა და ცოტა რამ იცოდა პოლიტიკური პარტიის შესახებ – მაგრამ რა იცის ან რა გამოცდილება აქვს ირაკლი კობახიძეს? ამიტომაც პარტიაში ეს დანიშვნაც გაუგებარია. პირად საუბრებში ამბობენ, რომ მისი კანდიდატურა კახი კალაძემ გაიტანა და შეათანხმა ბიძინა ივანიშვილთან.

კოალიციაში შემავალი სხვა სუბიექტები დარწმუნებულები არიან, პარტია „ქართული ოცნება“ ვერც ამ დანიშვნით წაიწევს წინ. მაინც მუსირებს აზრი, რომ ბიძინა ივანიშვილმა რამდენიმე პარტიის შერწყმით მოახდინოს „ქართული ოცნების“ გაძლიერება. აქ კი მსურველი ბევრია. მათ შორის, პირველ რიგში, რესპუბლიკელები, რომლებიც ხშირად ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ყველაზე ძველი, ტრადიციული, დემოკრატიული და მცოდნე პარტია სწორედ რესპუბლიკური პარტიაა. წამყვანი პოზიციების მოპოვებაც კოალიციაში სწორედ მათი მთავარი ინტერესი და ამოცანაა ახლა.

ექსპერტების შეფასებით, პარტია „ქართულმა ოცნებამ“ ბევრი რამ უნდა მოასწროს, არჩევნებისთვის რომ ფორმაში ჩადგეს. სკანდალები პარტიას არც ადრე აკლდა. ერთ-ერთი ყველაზე სკანდალური ფიგურა ისევ და ისევ დავით საგანელიძე იყო, რომელიც არჩევნების დროს შტაბს ხელმძღვანელობდა. მაშინ მას მძიმე ბრალდებები წაუყენეს.

ასეა თუ ისე, საინტერესო იქნება, რა ახალი პროცესები დაიწყება „ქართულ ოცნებაში“ და რამდენად დასჭირდება მას კოალიციაში სხვა პარტიებთან გაერთიანება. როგორც ითქვა, ახლა პარტიის მშენებლობაზე პასუხს სწორედ კახი კალაძე აგებს. ვიცე-პრემიერის განმარტებით: „წავიდა ერთი, მოვა სხვა, ვინც პარტიას დაალაგებს და არჩევნებისთვის“ მოამზადებს.

ანუ გამოდის, რომ ირაკლი კობახიძისგან პარტიის დალაგებასა და არჩევნებისთვის მის მომზადებას ელიან. საბჭოს წევრები მიიჩნევენ, რომ ეს ასეთი გამოუცდელი ახალგაზრდა ბიჭისთვის შეუსრულებელი მისიაა. თუმცა, უახლოეს პოლიტიკაში იყვნენ ისეთი ახალგაზრდები, ვისაც აღმაცერად უყურებდნენ, მაგრამ შედეგი დადეს, თანაც შთამბეჭდავი. მაგალითად, იგივე ჟვანია, რომელმაც პარლამენტის თავმჯდომარის პოსტი 32 წლის ასაკში ჩაიბარა, ვანო მერაბიშვილი კი შს მინისტრი 36 წლისა გახდა და სერიოზული რეფორმები განახორციელა. ვნახოთ, იმალება თუ არა ირაკლი კობახიძეში არაორდინარული უნარები...

კახი კალაძე

კოალიციაში შემავალი სხვა სუბიექტები დარწმუნებულები არიან, პარტია „ქართული ოცნება“ ვერც ამ დანიშვნით წაიწევს წინ. მაინც მუსირებს აზრი, რომ ბიძინა ივანიშვილმა რამდენიმე პარტიის შერწყმით მოახდინოს „ქართული ოცნების“ გაძლიერება

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

რითი დაამახსოვრა ხალხს თავი ალექსანდრე ჭიკაიძემ

ხათუნა მგალობლიშვილი

გადადგომა, რომელსაც ყველა ელოდა, და დანიშვნა, რომელიც ყველასთვის მაინც მოულოდნელი იყო. ალექსანდრე ჭიკაიძე არაორდინარული მინისტრი იყო, ის ყოველთვის ექცეოდა ჟურნალისტების ყურადღების ცენტრში.

„გამოძიება დაწყებულია აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით და წინასწარ კომენტარის გაკეთება ჩემგან ცოტა უპრიანი იქნება

ჭიკაიძის მინისტრობის პერიოდს რამდენიმე წარმატებული საქმე უკავშირდება. მათ შორის არ შეიძლება, არ აღინიშნოს, უპრეცედენტო რაოდენობის ავღანური ჰეროინის ამოღება. საქართველოში ამ მასშტაბის საერთაშორისო ნარკოტრაფიკი წარმოუდგენლად გვეჩვენებოდა, თუმცა, როგორც გაირკვა, საქართველოს გავლით ასეულობით მილიონი დოლარის ღირებულების ნარკოტიკების მოძრაობა სავსებით შესაძლებელი ყოფილა. უპრეცედენტო რაოდენობის ჰეროინი საქართველოში აზერბაიჯანიდან შემოდიოდა. 2 ტონა და 790 კილოგრამი თხევადი ჰეროინი ჭიკაიძის უწყებამ სატვირთო ავტომობილის ჩხრეკისას ამოიღო. გამოძიებამ დაადგინა, რომ სატვირთო ავტომობილი საქართველოს გავლით თურქეთის მიმართულებით მოძრაობდა. სამართალდამცველებმა ავტომობილიდან 93 ერთეული 30-კილოგრამიანი კასრი ამოიღეს თხევადი ჰეროინით. საექსპერტო-კრიმინალისტიკური სამსახურის ცნობით, აღნიშნული ნარკოტიკული საშუალება 80% სუფთა ჰეროინს შეიცავს, რომლის საბაზრო ღირებულება ასეულობით მილიონი დოლარია.

ნარკოტრაფიკის გახმაურებული საქმე ნამდვილად შეიძლება ჩავწეროთ ჭიკაიძის ანგარიშზე, ისევე, როგორც მისი მინისტრობის დროს ქურდული სამყაროს არაერთი წარმომადგენლის დაკავება. ჭიკაიძის უწყებამ კრიმინალური სამყაროს წინააღმდეგ ერთ-ერთი ბოლო სპეცოპერაცია გორში ჩაატარა... სპეცდანიშნულების რაზმის თანამშრომლებმა, ქურდული სამყაროს წევრობის ბრალდებით, ერთდროულად ექვსი პირი აიყვანეს. მანამდე კრიმინალური „ავტორიტეტებისგან“ ქვემო ქართლის რეგიონიც გაწმინდეს. მაშინ სპეცოპერაცია მარნეულისა და დმანისის რაიონებში ჩატარდა, სადაც ქურდული სამყაროს 13 წევრი აიყვანეს. დაკავებულებიდან 9 პირი წარსულში სხვადასხვა მძიმე დანაშაულისთვის იხდიდა სასჯელს. გამოძიებით დადგინდა, რომ დაკავებულები ქვეყნის გარეთ მყოფი ე.წ. კანონიერი ქურდების გავლენის ქვეშ იმყოფებოდნენ. კერძოდ კი, რვაკაციანი დაჯგუფება კონკრეტულ დავალებებს იღებდა და ასრულებდა რუსეთში მცხოვრები ე.წ. კანონიერი ქურდის ნოდარ ჯინჭველაშვილისგან. ხოლო მეორე ხუთკაციან დაჯგუფებას მართავდა ე.წ. კანონიერი ქურდი ნადირ სალიფოვი, მეტსახელად „გულუ“, რომელიც აზერბაიჯანის ციხეში იხდის სასჯელს.

ალექსანდრე ჭიკაიძემ პრემიერ-მინისტრის საჯარო შექება დაიმსახურა სასაზღვრო-გამშვები პუნქტების მოდერნიზაცია-მშენებლობისთვის. „ის, რაც ალასანიამ ვერ მოახერხა, ამ კაცმა ერთ წელში შეძლო“, – აღნიშნა ღარიბაშვილმა ერთ-ერთი განახლებული სასაზღვრო პუნქტის გახსნისას.

ჭიკაიძის სახელს უკავშირებენ საზღვრის უკანონო გადაკვეთის წინააღმდეგ ბრძოლის გააქტიურებას. შსს-ში ამას სწორედ ახალი სასაზღვრო პუნქტების ამოქმედებით ხსნიან. უწყებამ ხის კონსტრუქციები, თანამედროვე სტანდარტების შენობებით შეცვალა.

„ამით შსს გაცილებით ეფექტურ კონტროლს განახორციელებს სასაზღვრო პუნქტებზე, რაც, თავის მხრივ, მესაზღვრეებს მისცემს ეფექტური მუშაობის საშუალებას და კიდევ უფრო შეამცირებს საზღვრის უკანონო გადაკვეთის ფაქტებს“, – აცხადებენ შსს-ში.

მეორე მხრივ, ჭიკაიძე საუბრის მანერის თავისებურებითა თუ დგომის მანერით მუდმივად განხილვის თემა გახლდათ. განსაკუთრებით ნადირობდა მის მარგალიტებზე ოპოზიცია.

„ნარკოტრაფიკის გახმაურებული საქმე ნამდვილად შეიძლება ჩავწეროთ ჭიკაიძის ანგარიშზე, ისევე, როგორც მისი მინისტროობის დროს ქურდული სამყაროს არაერთი წარმომადგენლის დაკავება. ჭიკაიძის უწყებამ კრიმინალური სამყაროს წინააღმდეგ ერთ-ერთი ბოლო სპეცოპერაცია გორში ჩაატარა...“

მისი ცნობილ გამონათქვამებს შორის დიდი პოპულარობით სარგებლობს რამდენიმე ფრაზა:

„2014 წლის 14 ივლისს, შინაგან საქმეთა სამინისტროს კრიმინალური დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ ფინანსთა სამინისტროს გამშვები პუნქტის თანამშრომლებთან ერთად, ამოღებულ იქნა 2 ტონა და 790 კგ თხევადი ნარკოტიკული საშუალება, გერაინი, რომელიც ევროპის... დაინტერესდი, მოვიკვლიე, ევროპაში არ ამოღებულა იქით... ეს არის ავღანური წარმოშობის ნარკოტიკი, რომელიც მიეკუთვნებოდა თალიბანს, ამის გადატანა ხდებოდა ევროპის მიმართულებით და ამ თანხებით კიდევ ხდებოდა ამ თალიბანის, ამ პიროვნების დაფინანსება“.

„ეს არის ავღანური წარმოშობის ნარკოტიკი, რომელიც მიეკუთვნებოდა თალიბანს, ამის გადატანა ხდებოდა ევროპის მიმართულებით და ამ თანხებით კიდევ ხდებოდა ამ თალიბანის, ამ პიროვნების დაფინანსება“

„გამოძიება დაწყებულია აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით და წინასწარ კომენტარის გაკეთება ჩემგან ცოტა უპრიანი იქნება, დაველოდოთ გამოძიების შედეგებს და დამნაშავეები აუცილებლად დაისჯებიან“.

„2013 წელს, როცა ამინისტია განხორციელდა, რაღაც პრობლემები იყო, კრიმინალმა მოიმატა, მაგრამ ახლა მინდა სრული პასუხისმგებლობით მოგახსენოთ, რომ კრიმინალი არის შესანიშნავ მდგომარეობაში“.

მოგვიანებით მინისტრი ჭიკაიძე იტყვის, რომ კამერების წინ საუბარი არ შეუძლია:

– მოგეხსენებათ, რომ კამერების წინ მაინცდამაინც მჭერმეტყველი არ ვარ, თქვენ ნახეთ, რომ დაიწყო ჩემი პიროვნებისადმი შეურაცხმყოფელი ეპითეტების გამოყენება. თუ ასეთი სუსტი ვარ, როგორც მინისტრი და სუსტი თანამშრომლები მყავს, მაშინ რაში სჭირდებათ ჩემთან ამხელა ბრძოლა?

სამაგიეროდ, კამერების წინ დანის ტრიალი ეხერხებაო, ახალი სალაპარაკო მინისტრმა ოპოზიციას მაშინ მისცა, როცა დევდორაკის ხეობაში მეწყერი ჩამოწვა. ამ ფაქტთან დაკავშირებით კომენტარს პრემიერი ღარიბაშვილი იძლევა, უკან კი ჩანს მინისტრი ჭიკაიძე, რომელიც ხელში ჯიბის დანას ათამაშებს.

გასაკანდალდა მისი რამდენიმე ინტერვიუც, სადაც ჭიკაიძე სააკაშვილის მიერ დაგეგმილ ქაოსზე საუბრობს:

– ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, შესაძლოა ადგილი ჰქონდეს სახელმწიფო ხელისუფლების ხელში ჩასაგდებად შეთქმულების მომზადებას. აღძრულია სისხლის სამართლის საქმე და მიმდინარეობს გამოძიება... სააკაშვილს მიცემული აქვს დავალებები, რომ შეიქმნას კარგად ორგანიზებული 500-კაციანი მობილური ჯგუფი, რომელიც თავის მხრივ დაიყოფა ცალკეულ მობილურ ჯგუფებად. მათ უნდა იმოქმედონ პროვოკაციულად, მათ შორის პოლიციის თვალწინ, ეცადონ მოახდინონ პოლიციის პროვოცირება, შექმნან ფორსმაჟორული სიტუაციები, აგრესიული საპროტესტო აქციები, სხვადასხვა თემის მანიპულირებით, როგორიცაა კრიმინოგენული ვითარება, სოციალური და ეკონომიკური საკითხები, რუსეთთან ურთიერთობა, დევნილთა პრობლემები...

– მე ვადასტურებ იმ ფაქტს, რომ რამდენიმე პორტატული კომპიუტერი, რომლის მეშვეობითაც შეიძლებოდა გაკონტროლებულიყო ხმის მოსმენა ან ვიდეოთვალთვალი, სამინისტროდან დაკარგულია. გამოძიებას უნდა დაველოდოთ და წინასწარ საუბარი არასერიოზული იქნება, მაგრამ მაშინ ამ ტექნიკის განკარგვა წინა მთავრობის წარმომადგენლებს შეეძლოთ და დამერწმუნეთ, გამვლელი პირები ვერ გაიტანდნენ სამინისტროდან. ე.ი, გამოდის, რომ ეს ტექნიკა შესაძლოა, ძველი მთავრობის წარმომადგენლებში იყოს გაშლილი.



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

დინების საწინ

my View
თამარ გონგაძე

„ასაკი აღარ მიწყობს ხელს, თორემ... რევანში ნამდვილად იქნებოდა“

„დამანგრია, ფსიქიკა დამიზიანდა. ძნელად გადავხარშე, გამიჭირდა ცხოვრებიდან ამდენი წლის ამოღება“

„არ ვიცი, ეს დამემართა ქალს, რომელიც პირველ რიგში თავისი ოჯახით ამაყობდა. ყველგან ვამბობდი, რომ ჩემნაირი ოჯახი მეორე არ იყო“

ორი წელია მარინა ბერიძე ახალი ცხოვრებით ცხოვრობს. პირველი წელი მძიმედ გადაიტანა, მეორე შედარებით გაიოლდა. ცვლილებებმა დეპრესიაში ჩააგდო – პირად ცხოვრებასა და სამსახურში ყველაფერი თავდაყირა დადგა. იყო ასეთი პერიოდიც, არაფრის კეთება არ უნდოდა. იყო თავისთვის, პლედისა და სავარძლის გარემოცვაში. ამას იმ მარინა ბერიძეზე გესაუბრებით „ცხრა წელი საახალწლო კონცერტებზე (და არა მხოლოდ) მომღერლებს რომ ბლოკავდა“ და მუსიკალური შოუების ჟიურიში მჯდომი „იაზო“ შიშის ზარს სცემდა კონკურსანტებს. ეს ის მუსიკალური პროდიუსერია, რომელმაც აქ ეს ტერმინი დაამკვიდრა და განუმეორებელი პროექტები დადო... და ორი წლის წინ ეს სახელი და დიდება გაფერმკრთალდა. თბილისი მის პირად ცხოვრებაზე აჭორავდა – მარინას ქმარმა უღალატა და ოჯახი დაენგრაო. „ყველაზე მეტად ჩემი ოჯახით ვამაყობდი, რომელიც ქორწინების 43-ე წელს დამენგრა“ – რუბრიკაში „დინების საწინააღმდეგოდ“ – მარინა ბერიძე.

„მარინამ მოიწყინა“

მარინა ბერიძე: „დინების საწინააღმდეგოდ“ ცურვა ჰქვია თუ რაც ჰქვია, მე მთელი ცხოვრების მანძილზე სიახლის სურვილი მქონდა. ყველაფერი ახალი მომწონდა. როცა ყველაფერი ახალი მოგწონს, პროგრესი გხიბლავს, როგორც წესი, დინების საწინააღმდეგოდ მიდიხარ. არავის ვებრძვი, უბრალოდ, ყველაფერში სიახლეს ვეძებ – ურთიერთობაში, საქმეში, სამსახურში... არც პროტესტი მაქვს, არც ამისკენ ვარ მომართული, სხვანაირად მე მწყინდება.

– საიდან იღებთ იმ ენერგიას, რომელიც ყოველთვის უშრეტად გაქვთ?

– იმდენი რამ გადავიტანე, რომ ახლა ამის ანალიზს ვაკეთებ, საამისოდ დროც მეტი მაქვს. მივხვდი, რომ ყველაფერს ადამიანებისგან ვიღებ, მათ შორის ენერგიასაც. ვარ საინტერესო ადამიანების ძიებაში. კარგთან ერთად ცუდი ენერგიაც მიმიღია ადამიანებისგან. ამ დროს ურთიერთობას ვწყვეტ. თუ ადრე ამას დელიკატურად ვაკეთებდი, ახლა უკვე მგონია, რომ მაქვს იმის ფუფუნება, მშვიდად, მაგრამ უცებ გავწყვიტო კავშირი. მეგობრებმა იციან – „მარინამ მოიწყინაო“. დანგრევით ბევრი რამ დამინგრევია – დოგმა, სტერეოტიპი. ამიტომაც მთელი ცხოვრება ვიღაც მებრძვის. პლუსზე სიმღერის საოცრად დიდი პროტესტი მქონდა. მაგრამ მივხვდი, რომ საუბრით არ უნდა ებრძოლო. საქმით უნდა დაამტკიცო. საბავშვო პროექტ „ანა ბანაში“ციცქნა ბავშვებს ცოცხლად ვამღერებდი ბენდთან და ამ დროს ცხრა სანტიმენტრიან ქუსლზე რომ დგახარ დიდ საკონცერტო დარბაზში და პლუსზე მღერი, თუ ოდნავ რამე გაწუხებს, უნდა შეგრცხვეს. გია ყანჩელის პროექტით დავიწყე, აბსოლუტურად ყველაფერი დავანგრიეთ – ესთეტიკა, კულტურა, სიმღერის მოწოდება, გემოვნება. თუ დააკვიდით, შემდეგ ხუთი წელი ვერავინ ვერაფერი გააკეთა. საერთოდ, ყანჩელის პროექტის დონის პროექტი ვერც ვერავინ ვერაფერი გააკეთა. არსებული სტერეოტიპები „ჯეოსტარითა“ და „ანა-ბანათიც“ დავანგრიე.

სტერეოტიპების მსხვრევა

„ნერვებს მიშლიდა ფონოგრამა. ბენდთან ერთად სიმღერა დავიწყეთ. ეს ყველაფერი ჩემს თავში იბადებოდა. ნოვაცია ყოველთვის ჩემგან მოდიოდა. იდეა გადასაგდებია, თუ ის ხალხი არ გყავს, ვინც ამის რეალიზაციას გააკეთებს. რომ მოვკვდე, ისეთს არ გავაკეთებ, რაც სხვას უკვე გაკეთებული აქვს. არ მესმის იმ ადამიანების, შენ გააკეთებ და მერე გაუთავებლად რომ იმეორებენ. მე მწყინდება და ახალზე ვიწყებ ფიქრს“.

– ყანჩელის პროექტი ახსენეთ, რომელიც „არტ იმედის“ პერიოდს უკავშირდება. პერიოდს, როდესაც თქვენი სახელის გასწვრივ ხმაური იყო.

– ჩემნაირ ადამიანს უნდა ებრძოლო, რომ ის იაფფასიანი, რასაც აკეთებ, დანერგილი იყოს. ბევრ ადამიანს ვუშლი ხელს, გინდა არ გინდა, გაკვალულ გზაზე უნდა მდიო. ყანჩელის პროექტის შემდეგ მომღერლების მთელი პლეადა გაქრა სცენიდან. ნატო მეტონიძე, რომელიც მანამდე ერთი ნიჭიერი მომღერალი იყო, კაშკაშა ვარსკვლავი გახდა.

– ჯემალ სეფიაშვილთან და ეკა კვალიაშვილთან დაპირისპირებაც „არტ იმედის“ დროს იყო...

– და გათავდა? დღემდე გრძელდება ლანძღვა და თან ერთი და იგივე ხალხის. ვერ მომინელეს, ძნელად მონელებადი ვარ. მერე დაიწყო ტელევიზიის პერიოდი და „ჯეოსტარი“.

– და ზენიტში ადიხართ.

– და ვვარდები კიდეც, ძალიან სერიოზულადაც. გადის დრო სამსახურებსაც ვკარგავ და მერე თავიდან ვიწყებ.

– ფერფლიდან აღმდგარი ფენიქსი ხართ.

– არ ვიცი, რა ვარ. არიან ადამიანები, რომლებიც მთელი ცხოვრება მომყვებიან და ჩემი დახუჭული თვალით სჯერათ. ეს ძალას მაძლევს. ასე არასდროს დამიფიქსირებია, მე ჩემზე ათი წლით უფროსი და მყავს. ლალი უზომოდ გონიერი ადამიანია. ჩემს ჩამოყალიბებაში დიდი წვლილი მიუძღვის. ის ჭკვიანი, განათლებული, ინტელექტუალური იყო. მე თხა, გიჟი, იმპულსური, ხან ვცემდი ვიღაცას, ხან ვამტვრევდი, არ ვკითხულობდი, მხოლოდ ფორტეპიანოსთან ვიჯექი. ლალიმ ჩემი მოქცევა დაიწყო და მოახერხა კიდეც. კარგი გემოვნება აქვს. ეთერიდან რომ გამოვდივარ, მას ვუურეკავ. ერთადერთი ადამიანია, რომელიც ზუსტად მეტყვის, რა იყო ცუდი და რა იყო კარგი. მყავს ბავშვობის მეგობრები, რომლებიც ისეთს მიღებენ, როგორიც ვარ. „ჯეოსტარში“ რომ დავჯექი, მეგობარმა დამირეკა და მითხრა, მარინა, მღერიხარ არ არის ქართული, მღერი თქვიო. ერთხელ თქმა საკმარისი იყო. მეც ხომ ვუსწორებ, რომ მუსიკები არ თქვან. ვიღაცას რომ დაერეკა, სხვა ემოცია ჩამერთვებოდა. ჩემი გოგოები სამოსის ფერებზე მაძლევენ რჩევებს. ძალიან ბედნიერი ვარ, რომ მყავს დათო დოიაშვილი და ნიკოლოზ რაჭველი. წლების წინ ვიღაცამ მითხრა, ნახე, კარგი სპექტაკლია „ცხოვრება იდიოტისაო“. ველოდებოდი „პაკლონზე“ ვინ გამოვა-მეთქი. რომ არ მომწონებოდა, მოვიწყენდი. გამოვიდა პატარა ცისფერთვალება ბიჭი. მეც ჩემებურად შევვარდი კულისებში, წივილით, კივილით, ემოციებით. იმ დღიდან დაიწყო ჩემი მეგობრობა დოისთან. ნიკა 14 წლის იყო რომ მომიყვანეს. ბუთქუჩა ბავშვი იყო, მის ნიჭზე რა დამემართებოდა. ასე მოვდივართ. ახლა ერთად ვისვენებდით ეგვიპტეში და ვეუბნებოდი, მე 40 წლის ვიყავი თქვენ რომ 18-20 წლისები იყავით-მეთქი. და დოი მეკითხება, ჩვენ, გასაგებია, შენ სახლში მოსვლა გვაინტერესებდა, სახლში სტუდია გქონდათ, ღია კარი და აივნის შეკრებები იყო და შენ რა ჯანდაბა გინდოდა ჩვენთან, რატომ დაგვიმეგობრდიო. მე 18 წლის ადამიანი არ მაინტერესებსო. სხვანაირი სახლი მქონდა... ბევრი ვიცოდი, მხიარული ვიყავი, არავინ კრძალავდა აქ სიგარეტს ნუ ეწევითო. ერთად გავიზარდეთ. იმ საქმეს, რომელსაც ახლა ვაკეთებთ, ისინიც მაშინ იწყებედნენ და მეც. მე ჩემი ცოდნით და ისინი თავიანთი ნიჭით, ვავსებდით ერთმანეთს. აი, ეს ადამიანები ნამდვილად არ მომცემენ იმის უფლებას, პლედი გადავიფარო, გადავბრუნდე და ვთქვა – არაფერი მინდა-მეთქი. მქონდა პერიოდი, როდესაც ვამბობდი, არაფერი მინდა-მეთქი. ოჯახური მდგომარეობა, „რუსთავი 2“-დან წამოსვლა, მთავრობის შეცვლა, სამინისტროში „ტისკები“... ერთდროულად მოხდა ყველაფერი. არაფერი მინდოდა. ვერ ვუმკლავდებოდი. ექიმთან არ ვყოფილვარ, წამალი არ დამილევია. იმდენი ვიტირე, რამდენიც სიცოცლეში არ მიტირია. დავიცალე. თავიც კი შემეცოდა. მუსიკას ვერ ვუსმენდი, როიალი მძულდა. ძნელია ჩემს ასაკში გამოიცვალო სახლი, სამსახური არ გქონდეს. იმ სამსახურში, რომელიც გაქვს, გრძნობდე, რომ ადამიანებს სძულხარ. ეს ხდება იმ ასაკში, როდესაც აბსოლუტურად შემდგარი პიროვნება ხარ. არავის ჩემთვის სამსახური არ მოურთმევია, ჩემი შრომით მივაღწიე ყველაფერს. სამსახურებს ვიგონებდი. ცნება – მუსიკალური პროდიუსერი ძალიან დიდხანს ვერ გაიგეს რა იყო. ერთ მშვენიერ დღეს დავჯექი და ვიფიქრე ამ ეტაპზე ვინ ვარ-მეთქი. მივხვდი, რომ მე მუსიკალური პროდიუსერი ვიყავი. ორი წლის წინ კი ისე ცუდად გავხდი, თვალებში მიყურებდნენ, შეშინებულნი. ეს გინდა? არ მინ-დააა. მოწესრიგებული, ჩაცმულ-დახურული კი ვიყავი, ჩაცმა მიყვარს. მაგრამ აი, შინაგანად მომსპარი ვიყავი. წელიწადნახევრიანი მუშაობის შემდეგ ნამოვედი კულტურის სამინისტროდან, იმ ტემპში ვერ წავყვებოდი, რაც იქ იყო. პროგრესი სადაც არ არის, არ შემიძლია ყოფნა. „ცხრა წელი გვბლოკავდა ეს ქალიო“ – ყველგან ამას ვკითხულობდი, პრესაში თუ „ფეისბუქზე“, ჭკუიდან გადამიყვანეს. აი, ასე, ჩემმა გარემოცვამ არ მომცა საბნის გადახურვის უფლება. დავით კოვზირიძემ თავის გადაცემაში – „მძიმე კაცთან“ დამპატიჟა. ძლივს დამიყოლია. ინტერვიუ რომ გავიდა, სტუმრად მოვიდა დოი და მითხრა: სანამ ინტერვიუ დაიწყებოდა, ვნერვიულობდი, მაგრამ დაიწყე თუ არა ინტერვიუ, გაცოცხლდიო. ცოტა „ჟულიკი“, ცოტა იუმორით, ცოტა ავანტიურისტი ვიყავი. ჩაირთო კამერა და უცებ გავხდი მარინა. რა ვქნა, ოთახში კამერები დაგიყენო, რომ ადგეო? ნიკა გვარამიას დავურეკავ კამერები რომ დაგიყენოს, ეგებ რამე მოგინდესო, დოი ხუმრობდა. ამ ხუმრობაში ყველამ ერთად მოიფიქრეს, რომ მე „შუადღეში“ გადაცემა გამეკეთებინა. მთელი ცხოვრება ვიქნები დოის, ნიკა გვარამიას და გერსიკას – დათო გერსამიას მადლიერი – ჩემების. მიხვდენენ, რა მჭირდებოდა. მე ვერ მივხვდებოდი.

ექსკლუზიურად

„ახლა მაღიზიანებს ის, რომ ქართული სიმღერა ქრება. ყველაფერი ინგლისურით წაილეკა. ისტერიკულები ვართ. პირველი მე ვუწყობდი ხელს, რომ აუცილებლად უცხო ენაზეც ემღერათ. ეს ინტელექტს აფართოებს და საჭიროა. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ქართულად ორი ფრაზა ვერ იმღერონ. მოვიფიქრებ რაიმეს. ექსკლუზიურად მოგიყვები ერთ ჩემს იდეაზე. არაჩვეულებრივმა კომპოზიტორმა ნინო ჩხიკვაძემ დაწერა საბავშვო მიუზიკლი. ტექსტი მარიამ წიკლაურს ეკუთვნის. ეს იდეა ჩემი სამინისტროში მუშაობისას დაიბადა. ძალიან მაგარი რამეა. 12-დან 18 წლამდე თინეიჯერული ასაკისთვისაა განკუთვნილი. მწვავე სოციალურ თემაზეა. ენთუზიასტები შევკრიბეთ – ზალიკო ჩიქობავა, ზვიად ბოლქვაძე... მეც წამოვალ, მეც წამოვალო და გუნდი შეიკრა. მოვასმენინებ ვიღაცებს და პროექტს დავძრავ. დადგამს ზალიკო ჩიქობავა. დოი დაკავებულია, უნგრეთში მიდის. ჩავატარებ კასტინგს. ვფიქრობ, საშობაოდ გაკეთდეს და დიდ საონცერტო დარბაზში ვითამაშოთ. უნდა წამოვიდეს თაობა, რომელიც ცეკვავს და მღერის. ამ ამბავმა ამანთო. მაქვს საბავშვო სტუდია „ანა-ბანა“, ვასწავლით ცეკვას, სიმღერას, და 25-კაციანი გუნდი მყავს, რომელიც ზვიად ბოლქვაძეს ჩავაბარე. ბავშვებს მიზანმიმართულად ვამღერებ ქართულ სიმღერებს, თანამედროვე ჟღერადობით“.

„რუსთავი 2“

– „რუსთავი 2“-დან წასვლის პერიოდს როგორ იხსენებთ?

– მწარედ ვიხსენებ. ამ გადასახედიდან ჩემი ბრალიც იყო, ნაჩქარევად მივიღე გადაწყვეტილება. ვაბრალებ იმას, რომ სიტუაციის გამო ძალიან არეული ვიყავი. ძალიან ვიჩქარე. ავვარდი. ჩემი ყველაზე დიდი დანაშაულია ის, რომ არ გავარკვიე პირველ პირე-

„არის სიტუაცია, სადაც კი არ უნდა ჩახლართო და იეშმაკო, უნდა მიხვიდე და თქვა,სინამდვილეში როგორც არის. აღარ გიყვარვარ? მოდი და მითხარი! ნუ ჩამიხლართავ“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

მარინა ხერიძე ოჯახის დანგრევით გამოწვეულ დეპრესიულ პერიოდზე

„არაფერი მინდოდა. ვერ ვუმკლავდებოდი. ექიმთან არ ვყოფილვარ, წამალი არ დამილევია. იმდენი ვიტირე, რამდენიც სიცოცლეში არ მიტირია. დავიცალე. თავიც კი შემეცოდა. მუსიკას ვერ ვუსმენდი, როიალი მძულდა. ძნელია ჩემს ასაკში გამოიცვალო სახლი, სამსახური არ გძონდეს. ეს ხდება იმ ასაკში, როდესაც აბსოლუტურად შემდგარი პიროვნება ხარ“

EXCLUSIVE

„ჩვენი ერთ ჭერქვეშ ცხოვრება გაუსაძლისი იყო. რაღაც დამთავრდა. ბევრის თმენაც შეიძლება, მაგრამ რაღაც წერტილამდე. ორი უცხო ადამიანის ერთად ცხოვრება ძალიან ძნელია“

ბთან – რა გინდათ-მეთქი? ბუნებით ჭორიკანა არა ვარ. 200 კაცში ხმამაღლა ვლაპარაკობ, რუპორით. მაგრამ მოტანილმა ამბებმა ჩემზე იმოქმედა, ავყევი. ცივი გონება დავკარგე. ამ დროს ისეთი ქალი არ ვარ, რომელიც ასე აყვება. აქამდე არ მოვიდოდი. ამაში ვადანაშაულებ თავს. დღემდე ვერ გავიგე, რატომ ვიჯექი „ცეკვავენ ვარსკვლავებში“. არც მახსოვს. ვიღაცის ჯინზე ვიჯექი – მე ჯერ ცოცხალი ვარ-მეთქი! ის პერიოდი არ მახსოვს. ვიცვამდი ბლუზოჩკებს, ჩემი პერსონით ვიყავი წარმოდგენილი და ამ დროს საერთოდ არ ვიცი, რა არის ცეკვა.

– გიორგი ხაბურზანიასთან ახლა როგორი ურთიერთობა გაქვთ?

– არა უშავს, მეგობრული. უმტკივნეულოდ შევხვდით ერთმანეთს. მაგრამ დიდი ბზარი გაჩნდა. და გული მწყდება. გიორგი ხაბურზანია და დემნა ჯაფარიძე ის ადამიანები არიან, რომლებიც რთულად პატიობენ რაღაცებს. ვერავინ ვერ შემეკამათება, „რუსთავი 2“-ში მუსიკალური ინდუსტრია მე ავაწყვე. იმ ქარხნის შექმნაში დიდი წვლილი მიმიძღვის და, რასაკვირველია, ის ტემპი მენანება და მენატრება. მაგრამ ეს მოხდა... ჩემს მერე ჟიურის წევრობის ესთეტიკა იმდენად შეიცვალა, რომ გიორგი და დემნა მართლები არიან, მე რომ არ მთავაზობენ ჟიურიში დაჯდომას. ის იყო, ახლა „ზაგრიანი“, გრძელფეხებიანი, სილიკონიანი, დეკოლტეიანი გოგონები სხედან ჟიურიში. წარმოგიდგენიათ ჩემი სიმაღლით, სათვალეებში, დაბალი ფეხსაცმელით რომ მე „პრახოდი“ დავვარტყა ჟიურის სკამამდე? სასაცილოა. ესთეტიკა შეიცვალა. წარმოგიდგენიათ მე დავჯდე და ვიღაცას ვუთხრა რა საყვარელი გოგო ხარ-მეთქი? მე ხომ შეფასებისას სხვა რამ მაინტერესებს. „იქს ფაქტორი“ ძალიან მომწონს. შინაგანად ძალიან ჩემია. რასაკვირველია, ვიქნებოდი ჟიურის წევრი, მაგრამ მთლიანად უნდა შეიცვალოს პროექტის ესთეტიკა. რა ძალა ადგიათ, ფენომენალურ რეიტინგს წერენ. ამიტომ უნდა გავაკეთეო ის სხვა, რაც ამ ეტაპზე ჩემი და ახალია.

დანგრეული პირადი ცხოვრება

„ჩემს პირადში მომხდარი სიახლე ძალიან მოულოდნელი და თავზარდამცემი იყო... ამ ეტაპზე იუმორით შემიძლია ვილაპარაკო. თქვენი გაზეთით ყველა ჟურნალისტს მინდა მადლობა გადაგიხადოთ, არასოდეს არც ერთს ეს კითხვა არ დაგისვამთ. მივხვდი, რომ ადამიანებს ვუყვარვარ. მაგრამ გარკვეულმა ადამიანებმა არ დამინდეს. წაქცეულს ზოგიერთმა ქალმა წიხლი დამაჭირა, ქმარმა მიატოვა, სახლი დაკარგა, „რუსთავი 2“-დან წამოვიდა, სამი მილიონი მოიპარაო – გაუთავებლად წერდნენ ასეთ რაღაცეებს“.

ჩვენ – მე და ზურაბ ლალიაშვილს ერთ-ერთი ყველაზე კარგი ოჯახი გვქონდა... ხმაურიანად კარგი! ორი მუსიკოსი, ასეთი ოჯახი, სტუმრებისთვის სახლის ღია კარით. და ამდენი წელი ერთად! 43 წლის თავზე კი მოხდა ეს ისტორია.

ჩვენ პირველი კლასიდან ერთად ვსწავლობდით. ჯერ იყო სიმპათია, მერე სიყვარულის ისტორია. ყველაფერი ხდება...

ჩემი ოჯახური იდილია ჩემს საქმეს შევალიე. ღამის სამ საათზე აბსოლუტურად დაღლილი რომ მიდიხარ შინ და მეორე დღისთვის კიდევ კატლეტს აკეთებ, მაგრამ შინაგანად ისევ საქმეში რომ ხარ, ამ რიტმში ვცხოვრობდი. ვიცი, რომ კატლეტი უნდა გავაკეთო და პერანგი გავაუთოო, მაგრამ თავში მუდმივად „ჯეოსტარის“ ტურებზე ფიქრი იყო. ბევრი ნოვაცია შევიტანეთ „ჯეოსტარში“. მანდ ვანგრევდი ყველაფერს. ღამის 4 საათზე კატლეტის კეთების დროს ვფიქრობდი „შინის“ ჩამოყვანაზე... ამ ასაკში კი, ფიქრობ, აღარც უნდა მოიცალო ქმრისთვის და იმან ეს უნდა გაიგოს... ამასობაში ხომ არსებობს მუდმივად ჩასაფრებული ქალების კატეგორია, სხვისი რომ წაიღონ. ღია კარი მქონდა, ჩემთან სტუდიაში ნახევარი საქართველო წერდა სიმღერებს. ის ქალბატონიც ერთ-ერთი ასეთი მომსვლელი იყო. სადღაც მყავდა ნანახი, მღეროდა, თუმცა ცუდად... ინტუიციით რაღაც რომ ხდებოდა, ვიგრძენი და ვიკითხე, მაგრამ სულ უარზე წასვლა იყო.

ამ გადასახედიდან მინდა ადამიანებს ვუთხრა, რომ ყველაფერი ცუდის კარგად გაკეთება შეიძლება. არის სიტუაცია, სადაც კი არ უნდა ჩახლართო და იუშმაკო, უნდა მიხვიდე და თქვა, სინამდვილეში როგორც არის. აღარ გიყვარვარ? მოდი და მითხარი! ნუ ჩამიხლართავ.

ვის როდის ვინ შეუყვარდება, არ იცი, შეუყვარდა... მაგრამ იმდენად სამაგალითო ოჯახი მქონდა... არის ოჯახები ხელი არ უნდა მოკიდო. არ ვიცი, ეს დამემართა ქალს, რომელიც პირველ რიგში თავისი ოჯახით ამაყობდა. ყველგან ვამბობდი, რომ ჩემნაირი ოჯახი მეორე არ იყო.

– სად მღერის თქვენი ყოფილი მეუღლის რჩეული?

– ვერ ვხედავ, რომ სადმე მღეროდეს. მას ეგონა, რომ მე ვბლოკავდი. ამაში დარწმუნებული იყო. მისმა პარტიამ გაიმარჯვა, „ოცნების“ მხარდამჭერია.

– ოჯახის დანგრევის გადაწყვეტილება ვინ მიიღო?

– ერთად მივიღეთ. ჩვენი ერთ ჭერქვეშ ცხოვრება გაუსაძლისი იყო. რაღაც დამთავრდა. ბევრის თმენაც შეიძლება, მაგრამ რაღაც წერტილამდე. ორი უცხო ადამიანის ერთად ცხოვრება ძალიან ძნელია.

– ისევ ერთად არიან?

– ერთად არიან.

– იმ ქალმა ზურაბს შვილი გაუჩინა, მაშინ ჭორაობდნენ.

– არა, ამბობდნენ, მაგრამ შვილი არ გაუჩენია. ასაკში ძალიან დიდი განსხვავებაა. ახალგაზრდა გოგოა. ჩემი შვილის ტოლი.

ამ ამბავს შეეწირა ჩემი სახლი სოლოლაკში, რომელიც მართლა ყველასთვის საყვარელი სახლი იყო. ეს იყო მამაჩემის და დედაჩემის სახლი, რომელიც ამ ამბის შემდეგ გავყიდეთ. ვისაც ის სახლი უნახავს და მე მიცნობს, რომელსაც ხან აქ და ხან იქ არ უცხოვრია, მიხვდება რასაც განვიცდი. მე, დაბადებიდან მოყოლებული, მთელი ცხოვრება სოლოლაკში იმ სახლში ვცხოვრობდი. ტაქსში რომ ვჯდები, სოლოლაკის მისამართს ვეუბნები ისევ. მთელი ცხოვრება დატოვე და წამოხვედი, ადვილი არ არის...

„ბევრი ადამიანი დავკარგე“

„ახალ სახლს რომ შევჩვეოდი და ტრავმა დამევიწყებინა მოვიფიქრე, რომ სასტუმროში ვცხოვრობდი. ხომ მიცხოვრია სასტუმროში. ცოტა სასტუმროს ტიპისაა. ამან გამომაძვრინა. არავინ არაფერს მეუბნება, ავდგები, ყავას ვსვამ, სიგარეტს ვეწევი. სადმე რომ მივდივარ, აღარ მიწევს დარეკვა, მაგვიანდება-მეთქი. რას ნერვიულობ, არავინ გელოდება და ჯანდაბას შენი თავი-მეთქი, ვეუბნები თავს. საჭმელს არ ვაკეთებ. მივდივარ მზას ვყიდულობ და მოვდივარ. დღი მეუბნება, კატლეტი მაინც გაგვიკეთეო. არ მაქვს ისეთი სამზარეულო რომ გავაკეთო, მოვალ შენთან და გაგიკეთებ-მეთქი. იქ ჩემს აივნის კარს გავაღებდი, სუნი გადიოდა, შუალედში სიგარეტს მოვწევდი, შევდიოდი, მოვურევდი... გერსამია მოვიდა და ჩემს ახალ სახლზე თქვა – სოლოლაკის მოკლე შინაარსი გააკეთა, მთავარია ეს ტახტი და როიალი აქ ყოფილიყოო. ჩემები ისევ მოცუცქდებიან, რამე გავაკეთოთო“.

– ქალური რევანშის სურვილი არ გქონიათ?

– ასაკი აღარ მიწყობს ხელს, თორემ... რევანში ნამდვილად იქნებოდა (იცინის). ცუდ ასაკში მომიწია.

– ასე მშვიდად დანებებდით?

– მშვიდად როგორ? დამანგრია, ფსიქიკა დამიზიანდა. ძნელად გადავხარშე, გამიჭირდა ცხოვრებიდან ამდენი წლის ამოღება. ახლა იქით აღარაფერი მაინტერესებს. ამ გადასახედიდან ვხვდები, რომ ძალიან მაგარი ქალი ვარ. აღმოჩნდა, რომ ვარ. მაინც ვიღაც გჭირდება, რომ გამოძვრე ამ სიტუაციიდან. აი, რამდენი რამ გელაპარაკე და ბევრი რამისგან გავთავისუფლდი...

– წყენა დაივიწყეთ?

– დავივიწყე, მაგრამ ბევრი ადამიანი დავკარგე. ლუსტრაცია მოხდა. მიმტევებელი არ ვარ. არიან ადამიანები, რომლებიც ჩემს ცხოვრებაში აღარ იარსებებენ. ვინც ხელი არ გამომიწოდა და გვერდით არ დამიდგა. მე ისინი მეგობრები მეგონა, თურმე თანამშრომლები ყოფილან.

კიბე

– ცხოვრება რა არის?

– კიბეა, სადაც ადიხარ და ჩადიხარ, ეს უნდა იცოდე. ჩამოსვლა ადვილია და წამიერია. ჩაირბენ. ასვლა ძნელია, ბევრ ენერგიას ხარჯავ. შეიძლება დაგეზაროს. რაც ასაკი გემატება ასვლა მით უფრო ძნელია. უნდა ეცადო. ნელი ნაბიჯით მაინც. ლიფტი კომფორტია და კომფორტით ასვლა რეზულტატს არ გაძლევს. უკან ჩამოსაგორებლად წამია საჭირო. არასდროს არ უნდა თქვა, რომ არ მინდა სიცოცხლე. მე არ მინდოდა სიცოცხლე. მაგრამ რომ თენდება და ბევრი სიახლე თვითონ უნდა მოძებნო. ვერავინ გიშველის. ვისაც გონია, რომ კაბინეტი სულ ექნება, ასე არ არის. უნდა იფიქრონ, ეს ბოლო დღე ხომ არ არის?

მეოთხე შვილიშვილს ველოდები. ცხოვრება საინტერესოა. მთავარია გინდოდეს. მე კიდევ მინდა ცხოვრება. ჩვენ ცხოვრებას ჩვენი ფიქრები წარმართავს. სანამ ჩემს პირადში ეს ამბები დაინყებოდა, დილით, ჩემს ცნობილ აივანზე, ჰამაკში ვიჯექი, ყავას ვსვამდი და სიგარეტს ვეწეოდი, თან ვფიქრობდი, ჩემი ცხოვრება შედგა, ყველაფერი დალაგებულია-მეთქი და ეს რომ გავიფიქრე, ძალიან შემეშინდა. არასოდეს არ უნდა იფიქრო, რომ ყველაფერი წესრიგშია, ყოველთვის უნდა აკონტროლო. თვითკმაყოფილი არ უნდა იყო. ერთხელ აივანზე გავედი და ყველა მცენარე მოწყენილი და ყურეზჩამოყრილი დამხვდა. ფატალური რაღაცები ხდებოდა. მაია, ჩემს თავს რაღაც ხდება-მეთქი, შვილს დავურეკე. ამ სახლში მხოლოდ ფულის ხე ხარობს :)

– გიყვართ ფული?

– უნდა ვიცოდე, რომ გარშემო სხვების დახმარება შემიძლია. უნდა ვიცოდე, რომ რაღაცის ყიდვა შემიძლია, წელინადში ორჯერ სადღაც წავიდე. ახლა ეს ფუფუნება არ მაქვს, მაგრამ არა უშავს. ფულის გულისთვის არასდროს არაფერი მიკეთებია.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ყოფილი ხელისუფლების ახალი ავანტი

მარიამ ნადირაძე

ამ სტატიაში შეიტყობთ, რამდენად „კეთილები“ ყოფილან ზურაბ ჟვანიას დაცვის წევრები და როგორი კეთილი განზრახვით ცდილობდნენ შემთხვევის ადგილიდან უხერხულობის გამომწვევი ნიშნების კვალის გაქრობას. ეს „ნიშანი“ კი, არც მეტი, არც ნაკლები, რაულ უსუპოვის ცხედარი ყოფილა... ასეთი შეფასებების შინაარსს ავითარებს კობა ხარშილაძისა და მიხეილ ძაძამიას დაცვის მხარე...

ჩვენ კი რესპონდენტებისა და ცოტა ანალიზის დახმარებით ქრონოლოგიურად მივყვეთ და თემა სხვადასხვა ჭრილში გავიაროთ, დასკვნის გაკეთება კი მკითხველს მივანდოთ – იყვნენ თუ არა ნამდვილად „კეთილები“ ჟვანიას დაცვის წევრები.

რაზეა გათვლილი კობა ხარშილაძის სკანდალური აღიარება?

სკანდალური აღიარება თუ სააკაშვილის პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების მცდელობა?

ჩვენი დღევანდელი მსჯელობის თემა გარდაცვლილი პრემიერის დაცვის უფროსის, კობა ხარშილაძის ჩვენება იქნება, რომელიც მან რამდენიმე დღის წინ ექსპერტ ლევან ჩაჩუას პროცესზე მისცა (სხვათა შორის, ამ ჩვენების შესახებ „პრაიმტაიმმა“ წინასწარ დააანონსა. – მ.ნ.). გთავაზობთ ციტატას მისი ნაამბობიდან: „მე ვიყავი სახლში. დამირეკა მიხეილ ძაძამიამ და მითხრა, რომ ზურა იყო უგონო მდგომარეობაში. გავემართე შემთხვევის ადგილზე, თუმცა გზაზე მანქანა გამიფუჭდა. ამის შემდეგ ბინიდან მოშორებით მომაკითხა ძაძამიამ და შემთხვევის ადგილზე მიმიყვანა. როდესაც მივედი, ფანჯრიდან დავინახე, რომ ბატონი პრემიერი უგონოდ გამოიყურებოდა. ვერ გავაღეთ კარი, შემდეგ ავძვერი გისოსებზე და ძაძამიას დახმარებით მოვაგლიჯე ეს გისოსები და შევედი ბინაში... უსუპოვი პრემიერისგან მოშორებით ეგდო, იყო არაორდინარული სიტუაცია და ამ სიტუაციის გამოსასწორებლად, მოვიფიქრე შემდეგი გეგმა: რაულ უსუპოვის ცხედარი მე და ძაძამიამ გავიტანეთ ბინიდან და ჩავდეთ მანქანაში. როდესაც მანქანაში ჩავსხედით, შემდეგ მივხვდი, რომ ეს იყო აბსურდული გეგმა და ცხედარი ისევ უკან შევიტანეთ. დავანვინეთ იმავე ადგილზე და იმავე მდგომარეობაში, როგორშიც იყო. ფეხსაცმელი, სავარაუდოდ, ამ გატანის დროს გასძვრა და სავარაუდოდ, შარვალიც ამ დროს დაესვარა... ამ ყველაფრის შემდეგ მივიღე გადაწყვეტილება და პირველი ნაბიჯი, რაც განვახორციელე, იყო გიორგი ბარამიძესთან დარეკვა და ამბის შეტყობინება. შემდეგ კი დავურეკე პრეზიდენტს...“

სანამ ჯერ გამოძიებას, ახლა კი სასამართლოს მისცემდა ამ ჩვენებას კობა ხარშილაძე (გამოძიებაში მან ჩვენება ერთ წლის წინათ, მარტში მისცა. – მ.ნ.), იგივე სცენას უამბობდა „პრაიმტაიმს“ პეტრე მამრაძე. უბრალოდ, განსხვავება ის იყო, რომ, მამრაძის მონათხრობის მიხედვით, საბურთალოს ქუჩაზე არსებული სურათის შესახებ სააკაშვილს შეატყობინეს, მან კი აღელვებულმა გასცა ბრძანება, რომ მეორე ცხედარი იქაურობისთვის მოეშორებინათ, თუნდაც მტკვარში გადაეგდოთ... თუმცა მალევე გაირკვა, რომ ის ქვემო ქართლის გუბერნატორის მოადგილე იყო და მხოლოდ ამის შემდეგ მოუხდათ ცხედრის უკან დაბრუნება...

თუ ამ ორ ნაამბობს, ერთი და იგივე კონტექსტით, ერთმანეთს შევურწყავთ, მხოლოდ სააკაშვილის ფიგურა დარჩება ზედმეტი... ამან კი შესაძლოა, დაბადოს აბსოლუტურად ლეგიტიმური კითხვა – ხომ არ აფარებს ხელს ამ აღიარებით ხარშილაძე ყოფილ პრეზიდენტს და „დანაშაულს“ სრულად საკუთარ თავზე იღებს? სულ სხვა საქმეა, რამდენად შეიძლება ეს აღიარება ახალი დანაშაულის კონტურებს კვეთდეს. ამის შესახებ ქვემოთ მოგახსენებთ და მეტიც, ჩვენ ერთად აღმოვაჩენთ, რა გათვლა შეიძლება ჰქონდეს დაცვის მხარეს ამ სკანდალურ აღიარებაზე.

მანამდე კი ვნახოთ, რამდენად იზიარებენ დაზარალებული ოჯახები ხარშილაძის მიერ სასამართლოსთვის ნაამბობ ვერსიას.

„ტყუილია ყველაფერი, ჩვენ არ გვჯერა!“

ასეთი პასუხი გაგვცა რაულ უსუპოვის მამამ, როდესაც „პრაიმტაიმმა“ მას კობა ხარშილაძის ჩვენებასთან დაკავშირებით კომენტარი სთხოვა...

იაშარ უსუპოვი:

– ხარშილაძის საუბარი თავიდან ბოლომდე არის მოგონილი, ტყუილი. მან ეს ყველაფერი თავის გამართლების მიზნით მოიგონა.

„ხარშილაძის საუბარი თავიდან ბოლომდე არის მოგონილი, ტყუილი. მან ეს ყველაფერი თავის გამართლების მიზნით მოიგონა“

– თუმცა ხარშილაძე არ იყო პირველი, ვინც ეს ვერსია განავითარა. მანამდე თითქმის იგივეს ამბობდა პეტრე მამრაძეც...

– მაშინ ყველაფერი სცოდნია პეტრე მამრაძეს...

– თუ ეს სიმართლე არ არის, რა გამოდის, პეტრე მამრაძის ვერსია მოეწონა ხარშილაძეს და გაიმეორა?

– მამრაძემ არაფერი იცის. ხან ერთს იცავს, ხან – მეორეს.

– ხარშილაძემაც იგივე თქვა...

– მან შეალამაზა. ტყუილია ყველაფერი. ჩვენ არ გვჯერა ამის. კობა ხარშილაძე არის პირველი დამნაშავე და პირველი მოღალატე ზურაბ ჟვანიასი. მაგის ჩვენების არ გვჯერა...

– მაშინ რატომ ჰქონდა დასვრილი ტანსაცმელი თქვენს ვაჟს?

– ამაზე გამოძიება გასცემს პასუხს.

– ხომ არ ფიქრობთ, რომ ძალიან გაჭიანურდა ამ პასუხის მოლოდინი?

– ჩვენ მაინც ველოდებით მის საბოლოო დასკვნას.

– იმედი ისევ გაქვთ?

– ახლაც გვაქვს იმედი. ველოდებით. ვნახოთ.

რაც შეეხება ზურაბ ჟვანიას ოჯახის წევრს, მისმა ძმამ, გოგლა ჟვანიამ ჩვენთან ინტერვიუში, ნებსით თუ უნებლიეთ, აქამდე დახურული და დაუდასტურებელი ინფორმაცია გასცა: კულუარულად იყო ცნობილი მხოლოდ, რომ პრემიერის ცხედრიდან აღებული ნიმუშები ექსპერტიზაზე საზღვარგარეთ გაიგზავნა. ამის შესახებ ვარაუდები გამოითქმებოდა მხოლოდ და ინფორმაციას ოფიციალურად არავინ ადასტურებდა. გოგლა ჟვანიამ კი ჩვენთან საუბარში განაცხადა, რომ საქმის გამოძიებაში უცხოელები ჩაერთვნენ. გთავაზობთ მასთან ინტერვიუს:

– ხარშილაძე რას ლაპარაკობს, ეს ჩემთვის აბსოლუტურად მეორეხარისხოვანია. ეს გამოყოფილი საქმეა და კონკრეტულად მის პასუხისმგებლობას ეხება, რამდენად ჯეროვნად შეასრულა მან და კიდევ დანარჩენმა ორმა სამსახურებრივი მოვალეობა. რაც შეეხება ძირითად საქმეს, ამაზე გამოძიება მიმდინარეობს. ხარშილაძის განცხადებებს არანაირი ფასი არ აქვს. ხარშილაძე არის მატყუარა... მე დღეს, ერთი მხრივ, ხელისუფლებას წარმოვადგენ, მეორე მხრივ კი – სუბიექტური ვარ. ამიტომაც, როცა სერიოზული საგამოძიებო მოქმედებები მიდის, არ მინდა, პიროვნული შეფასებები ვაკეთო ამ ადამიანებზე. საბოლოო სიტყვას იტყვის სასამართლო. ჯერ გამოძიება უნდა დასრულდეს.

– ამბობთ, რომ საქმის ძირითად ნაწილზე, თუ რა მოხდა რეალურად 2005 წლის 3 თებერვალს, ინტენსიური გამოძიება მიმდინარეობს... ამ საქმის ფარგლებში უნდა ველოდოთ ახალ ბრალდებულებს?

– რა თქმა უნდა. როცა გამოძიება დასრულდება, ვის რა პასუხისმგებლობა დაეკისრება, ამას დღეს მიმდინარე სასამართლო პროცესთან არავითარი კავშირი არ აქვს.

– თქვენი გათვლებით საქმის გამოძიება 2014 წლის ბოლომდე უნდა დასრულებულიყო. ყოველ შემთხვევაში, ამას დაბეჯითებით ამბობდით ჩვენთან ბოლო ინტერვიუში...

– სამწუხაროდ, ეს პროცესი გაჯანჯლდა. ამ საქმეში ჩაერთვნენ უცხოელები. ამან მოითხოვა დამატებითი დრო, ამის გამო ეს პროცესი გაჭიანურდა.

– ახლა როდისთვის გაქვთ საქმის გახსნის მოლოდინი?

– თარიღებს აღარ დავასახელებ...

– თქვენი აზრით, დამკვეთებზე გავა გამოძიება?

– რა თქმა უნდა. ამას მოწმობს უმნიშვნელოვანესი მტკიცებულებები, რაც ამ საქმეშია. ვინც რა უნდა ილაპარაკოს და სცადოს, თავი იმართლოს, ყველას პასუხისმგებლობა დადგება, რადგან არსებობს უტყუარი მტკიცებულებები, რომე-

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

...ურა ზურაბ ჟვანიას საქმის გარშემო(?!)

რა მიზნით ჩაერთვნენ უცხოელები გამოძიებაში?

EXCLUSIVE

„ამ სიტუაციის გამოსასწორებლად, მოვიფიქრე შემდეგი გეგმა: რაულ უსუპოვის ცხედარი მე და ძაძამიამ გავიტანეთ ბინიდან და ჩავდეთ მანქანაში. როდესაც მანქანაში ჩავსხედით, შემდეგ მივხვდი, რომ ეს იყო აბსურდული გეგმა და ცხედარი ისევ უკან შევიტანეთ“

ლიც ნებისმიერი ისეთი პიროვნების ნათქვამს გადაწონის, როგორიც ხარშილაძე და სხვები არიან...

– გავა გამოძიება სააკაშვილზე?

– ასეთი განცხადებისგან თავს შევიკავებ.

რად ფასობს „კეთილი საქმე“

თუ ობიექტურობის პრინციპს გავყვებით, ცხადია, მკითხველს ხარშილაძისა და ძაძამიას პოზიციაც უნდა შევთავაზოთ. შესაბამისად, გთავაზობთ ინტერვიუებს მათ ადვოკატებთანაც.

ბექა ბასილაია, კობა ხარშილაძის ადვოკატი:

– თქვენი დაცვის ქვეშ მყოფი პირი აცხადებს, რომ შემთხვევის ადგილზე არაორდინარული სიტუაცია დახვდა. რას გულისხმობდა?

– ამას ვერ დავაკონკრეტებ. კონტექსტიდან გამომდინარე ისედაც გასაგები უნდა იყოს. მეტ კონკრეტიზაციას ვერ მოვახდენ, ვინაიდან დელიკატური საკითხია.

– საეჭვოა, რომ დაცვის წევრს ცხედრის შემთხვევის ადგილიდან გაყვანის საკითხი თვითონ, ერთპიროვნულად, ზემდგომთან შეუთანხმებლად მიეღო...

– როდესაც მორალური საკითხი დგება და ადამიანები არიან გარდაცვლილნი, ამ დროს შეიძლება ადამიანი მოიქცეს ისე, როგორც ხარშილაძე მოიქცა. ეს იყო ცალსახად კეთილშობილური აქტი იმ ადამიანის მხრიდან, რომელსაც დღეს ლაფში სვრიან.

– ბარამიძეს ამ ყველაფრის მერე დაურეკა ხარშილაძემ?

– ათი წელი გავიდა მას შემდეგ და რთული სათქმელია, რა ქმედება რას უსწრებდა. ეს ყველაფერი ხდებოდა 10-15 წუთის ფარგლებში. პრინციპში, ამას არსებითი მნიშვნელობა არ აქვს...

– როგორ არ აქვს? ამ შემთხვევაში ბარამიძის პასუხისმგებლობის საკითხიც დადგებოდა...

– არავინ იყო საქმის კურსში ხარშილაძისა და ძაძამიას ამ გადაწყვეტილების შესახებ...

– როდესაც ასეთ აღიარებას აკეთებს თქვენი დაცვის ქვეშ მყოფი პირი, ეს შეიძლება გახდეს ახალი ბრალდების საფუძველი?

– არა. მათ მტკიცებულება არ გაუნადგურებიათ... პროკურატურა საგულდაგულოდ მალავს იმ ფაქტებს, სადაც ასახულია რაულ უსუპოვისა და ზურაბ ჟვანიას იმდღევანდელი შეხვედრის ყველა დეტალი. დღეს კი მიდის მსჯელობა იმაზე, უსუპოვის გვამის გატანა და შემოტანა ხომ არ არის დანაშაული... რატომ მალავს პროკურატურა „ეფბიაი“-ს დასკვნას? იმიტომ, რომ რაღაც დელიკატური საკითხები არ გახმაურდეს, ხომ? ანალოგიურად, ამ დელიკატური საკითხების გაუხმაურებლობის გამო მოუვიდათ აზრად უსუპოვის გვამის გატანა და შემოტანა.

– შემთხვევის ადგილიდან ცხედრის გაქრობის მცდელობა ჰქონდათ. ეს არ არის დანაშაული?

– იმ დროისთვის შემთხვევის ადგილზე არავითარი საპროცესო მოქმედება არ იყო ჩატარებული. ანუ ამ ადგილის საპროცესო გამაგრება, როგორც შემთხვევის ადგილის, არ მომხდარა, მტკიცებულებაც არ განადგურებულა და, ფაქტობრივად, სურათიც არ შეცვლილა. აქედან გამომდინარე, ამ ქმედების რაიმე სამართლებრივი შეფასება წარმოადგენს სამართლებრივ აბსურდს.

ამ ბოლო კითხვას სულ სხვანაირად პასუხობს მიხეილ ძაძამიას ადვოკატი, გელა ქენქაძე. ის აცხადებს, რომ ეს შემთხვევა ვერ გახდება ახალი ბრალდების საფუძველი, ვინაიდან ხანდაზმულობის ვადა გასულია....

სწორედ ამ თემას განვავითარებთ შემდგომ ქვეთავში და შესაძლოა, ერთადაც აღმოვაჩინოთ ის ჩანაფიქრი, რაც იქნებ წინასწარ ჰქონდა გათვლილი გუნდს, რომელსაც ზურაბ ჟვანიასა და რაულ უსუპოვის საქმე ხელისუფლების დაკარგვის ფასად დაუჯდა...

გაშიფრული ჩანაფიქრი?!

ლოგიკურია, თუ ვიტყვით, რომ, რასაც კობა ხარშილაძე ყვება, შესაძლოა, თავისუფლად დაკვალიფიცირდეს, როგორც მართლმსაჯულების განხორციელების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული. ტყუილს სულაც არ ამბობს ძაძამიას ადვოკატი, როდესაც უნებლიეთ, ალბათ, შიფრავს ჩანაფიქრს, რომ ამ ქმედებას ხანდაზმულობის ვადა გასული აქვს. ცნობისთვის, ასეთი სახის დანაშაულებს ხანდაზმულობის ვადა 5 წელი აქვს მხოლოდ. შემთხვევიდან კი უკვე 10 წელია გასული. თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ ეს ვადა პირს მხოლოდ აღიარების შემთხვევაში ეხება. კობა ხარშილაძემ კი ეს აღიარა...

ცხადია, ვინმეს სხვა კითხვაც გაუჩნდება – 10 წელია გასული იმ დანაშაულიდანაც, რასაც პროკურატურა დაცვის ორივე წევრსა და ერთ ექსპერტს ბრალდების სახით უყენებს – სამსახურებრივი მოვალეობის არაჯეროვნად შესრულება... რატომ არ მოქმედებს ხანდაზმულობის ვადა ამ შემთხვევაში?

პასუხი მარტივია, ეს ვადა ნაციონალური ხელისუფლების დროს სამსახურებრივ დანაშაულებზე 15 წლამდე გაიზარდა.

შესაბამისად, თუ კობა ხარშილაძე დაასახელებდა პირს, ვისი დავალებით მოახდინა გვამის გატანა შემთხვევის ადგილიდან, იმ პირის მიმართ, ცხადია, სამსახურებრივი პასუხისმგებლობა დადგებოდა და თუ ეს იქნებოდა მიხეილ სააკაშვილი, მის ხუსხაში კიდევ ერთი ასეთი ბრალდება ჩაიწერებოდა... ამიტომ გამოსავალი მარტივი იყო – პირი სხვისი დასჯადი დანაშაულის დაფარვის მიზნით აღიარებს დანაშაულს, რომელზეც მისთვის ხანდაზმულობის ვადა გასულია. ამდენად, ამ აღიარებისთვის პასუხი არავის მოეთხოვება, რაღა თქმა უნდა, იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო ამ ჩვენებას შეფასებას მისცემს...

ამ დეტალში შეიძლება ამოვიკითხოთ სულ სხვა მიზნებიც და ამისთვის მივყვეთ ქრონოლოგიას:

ეს ჩვენება ხარშილაძემ გასული წლის მარტში ბრალდებულის სტატუსით უკვე მისცა. რამდენიმე დღის წინ კი გაიმეორა მოწმის სტატუსით ჩაჩუას პროცესზე. თუ ამას სასამართლო შეფასებას მისცემს, ეს ძალიან დიდ ზიანს მიაყენებს ჟვანიას ძირითად საქმეს.

უფრო გასაგები რომ გახდეს მკითხველისთვის, პირობითად გავშლით სურათს: თუ გამოძიება ავითარებს ვერსიას, რომ მკვლელობა მოხდა სხვაგან და ცხედრები საბურთალოს ქუჩაზე მიიტანეს, ეს ვერსია სრულად შეიძლება ამოყირავდეს იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო იმსჯელებს ხარშილაძის ნაამბობზე, შეაფასებს მას და განაჩენშიც ასახავს. ვინაიდან განაჩენი არის დადგენილი ფაქტი, რომელიც შესწავლას აღარ საჭიროებს...

თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ამ აღიარებას გამოძიებამ ერთი წლის წინათ შეფასება არ მისცა და ხარშილაძეს ბრალი არ შეუვსო, შესაძლებელია, ვივარაუდოთ სწორედ ის, რომ გამოძიება სულ სხვა მიმართულებით მუშაობს და არა საბურთალოს ქუჩის ინციდენტზე...

პროკურატურას ამჯერად, პირიქით, დიდი ძალისხმევა დასჭირდება იმისთვის, რომ სასამართლომ, რომელიც ჯერ კიდევ ნაციონალების კონტროლქვეშ მოიაზრება საზოგადოებაში, ხარშილაძის ჩვენებას შეფასება არ მისცეს და ამით „მთავარი“ საქმე გადაარჩინოს.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

მარიკო ებრალიძე ორწლიან სასიყვა

my View
თამარ გონგაძე

მარიკო ებრალიძემ პრესას ოსტატურად არა მხოლოდ ჯვრისწერა, არამედ ორწლიანი სიყვარულის ისტორია გამოაპარა. ორწლიანი! როგორ? თავს ვერ ვპატიობ. ასეთი რამ ძნელად თუ ვინმეს „გაუბედავს“ და მოუხერხებია. ისე უჩუმრად მივიდა ქორწინებამდე, რომ ინფორმაცია არსად გაჟონილა. ებრალიძე ცეცხლზე კიდევ უფრო მიმატებს ნავთს და მეუბნება, საზოგადოების თავშეყრის ადგილებში გიორგი არსად დამიმალავს, მასთან ერთად ვჩნდებოდიო. სამაგიეროდ, ექიმისა და მომღერლის სიყვარულის ისტორიას ექსკლუზიურად მხოლოდ ჩვენთან წაიკითხავთ. მინუსსაც აქვს თავისი პლუსი, ჰოდა, ამ პლუსს ჩავეჭიდე და მარიკო თავის ქორწინებაზე ავალაპარაკე. ვერ ვიტყვი, რომ ადვილად დავიყოლიე. თუმცა ეს რაში გაინტერესებთ, მთავარია ის, რომ მარიკოს სიყვარულის ისტორიას და მეორე ნახევარს ჩვენი ფურცლებიდან გაეცნობით.

გაცნობა

ჯვარი 8 ნოემბერს მამა დავითზე დაინერეს. იყო თეთრი კაბა, თაიგული და სუფრა. თუმცა საოცნებო ქორწილი წინ არის. ბიჭი, რომელმაც ნიჭიერი და ლამაზი მომღერლის მოხიბვლა სცადა, გიორგი დოლიძეა. 31 წლის ექიმის ზუსტი პროფილი მარიკომ დიდი რუდუნებით გაგვაცნო – ვიწრო მენჯის ქირურგი, ლაპარასკოპისტი, გინეკოლოგი. ღირდა ლოდინადო, მითხრა და თვალებში ვარსკვლავები გაუბრწყინდა. ხშირად ამბობს, რომ მშვიდად არის. ეს კი მისთვის ბევრ რამეს ნიშნავს. სიმშვიდისა და თავისუფლების მომტანი ადამიანი კი მარიკოს ცხოვრებაში ორი წლის წინ გამოჩნდა.

მარიკო ებრალიძე: გიორგი ჩემი ნათესავის კოლეგაა. მაკასთან სტუმრობისას კლინიკაში შევნიშნეთ ერთმანეთი. მერე მაკასთვის უთქვამს, რა კარგი გოგოაო. თუმცა, როგორც მეუბნება, მაკა არ ჩარია და თვითონ გაიგო ჩემი ტელეფონის ნომერი.

გიორგის წარმოდგენა არ ჰქონდა, ვინ იყო მარიკო ებრალიძე, რომ ის მომღერალია... ის საფრანგეთსა და უკრაინაში იღებდა განათლებას და წლების მანძილზე არ ცხოვრობდა საქართველოში. „ანუ ის პერიოდი, როცა მე აქ სახელის მოხვეჭას მოვანდომე, გიორგი საზღვარგარეთ იყო და იქ იხვეჭდა სახელს“.

როგორც მარიკო ამბობს, სიმღერა დოლიძეების ოჯახისთვისაც არ არის უცხო და გიორგიც ცდილობს სიმღერას, ქალაქური „განხრით“. თანაც ექიმი ტუჩის გარმონს ფლობს. „ძინდა ერთად გავაკეთოთ რაღაც ნომერი, მე ვიმღერო, გიორგიმ ტუჩის გარმონით დაუკრას. ვნახოთ, ამას დამუშავება უნდა“.

– არ გეწყინა, როგორც მომღერალს რომ არ გიცნობდა?

– არა, აბსოლუტურად არ მწყენია. მე აღმოვაჩინე, გიორგიმ როგორც მომღერალი როდის აღმომაჩინა. სცენაზე რომ ავდიოდი, ფერი დაკარგა. ადგილს ვერ პოულობდა, ფეხზე იდგა. მას შემდეგ როცა კონცერტზე მესწრება, ან ცენტრში დგას და მისმენს, ან მოფარებულშია. თვალებში მიყურებს, წყალი ხომ არ მინდა, ყურში ხომ კარგად მესმის მუსიკა... ასე აღიქვა ჩემი პროფესია. კლინიკიდან რომ მოდის ჩემთვის სიმღერების ამობეჭდილი ტექსტები მოაქვს. კლინიკაში 30 პაციენტი რომ ელოდება გასასინჯად, რატომ უნდა გაახსენდეს ჩემი ტექსტები? მაგრამ ახსოვს, ჩაერთო. მოსწონს ჩემი შესრულება. ნათქვამი აქვს, რაც არ უნდა გაბრაზებული და ნაწყენი ვიყო სამყაროზე, საკმარისია შენი ვოკალი მოვისმინო, რომ მაშინვე ძალიან ბედნიერი ვხდებიო. არც მე მოვაკლებ სიმღერას :)

ტკბილი ნოემბერი

მომღერალს უკვირს, რატომ დათანხმდა შეხვედრაზე. „გინდა გააკეთო და მორჩა, ვერ ხსნი რატომ? ალბათ, თავიდანვე გაჩნდა ინტერესი. გიორგის ვიზუალმა, განათლებამ, აღნაგობამ, ქირურგობამ, ხელის მტევანმა – ყველაფერმა ერთად დამიპყრო. და შეხვედრა აღარ გადავდე“.

„გიორგის ვიზუალმა, განათლებამ, აღნაგობამ, ქირურგობამ, ხელის მტევანმა – ყველაფერმა ერთად დამიპყრო. და შეხვედრა აღარ გადავდე“

თავისი ტაქტიკა ჰქონდა გიორგისაც. ურთიერთობის დასაწყისში ისეთ ოქროს შუალედს იჭერდა, რომ მარიკოში მუდმივ ინტერესს აღვიძებდა. არ იყო მომბეზრებელი. წარმატებული ახალგაზრდა მამაკაცის ზომიერებამ მომღერალი მოხიბლა. ჯერ იყო სატელეფონო და ვირტუალური კონტაქტი, „ფეისბუქზე“. მამაკაცი მორჩილად ელოდა, როდის მოიცლიდა დაკავებული მომღერალი და როდის გაიმეტებდა თავისი ძვირფასი დროის ნაწილს მისთვის. ამასობაში გიორგიმ მარიკოს თავისი მუსიკალური გემოვნება გააცნო. „ფეისბუქზე“ საუბრისას ისეთი მუსიკოსები დამისახელა, ჩვენ – მუსიკოსებსაც რომ გვიჭირს ზოგჯერ მათი მოსმენა. მაგალითად, ის უსმენს მაილს დევისს, ბი ლევანსს, ოსკარ პიტერსონს. ამან დიდი გავლენა მოახდინა ჩემზე“.

ქალი, რისი ქალია, თუ პრაქტიკულობა არ გამოავლინა. მარიკომაც დიდხანს არ გააჯანჯლა ვირტუალური კავშირი და გიორგის მალევე დათანხმდა შეხვედრაზე. ეს იყო ერთ მშვიდ კაფეში. ცივი ნოემბერი იდგა, თუმცა წყვილმა ჯერ კიდევ არ იცოდა, რომ ის მალე ტკბილად იქცეოდა. მარიკო ადრე მივიდა და კაფეში თბილად მოკალათდა. გიორგი გარეთ იდგა და ელოდა სასურველ გოგონას. „დამირეკა, სად ხარ, მარიამო? ეგონა, ვაგვიანებდი. კაფეში ვარ-მეთქი რომ ვუთხარი, ნახე, რა თბილი ადგილი აგირჩევიაო, მითხრა... პირველ შეხვედრაზე ძალიან თავშეკავებული იყო, როგორც გაირკვა, ნერვიულობდა და ამის გადასაფარად. მან მითხრა, შენ ძალიან ბევრს იცინოდიო. ალბათ, მეც ნერვიულობის გადასაფარად ვიცინე. მანამდე ხელოვანი მამაკაცები მუდმივად იყვნენ გარშემო, მაგრამ გიორგისთან ურთიერთობაში ჩემში, როგორც ჩანს, ქალმა გაიღვიძა და გავიპრანჭე“.

გულით და გონებით

მერე იყო ისევ სოციალურ ქსელში ურთიერთობა. მალე ექიმმა დაიწყო მარიკოს გარემოცვაში გამოჩენა. და კიდევ უფრო მალე ფარდა ახადა თავის განზრახვას და გოგოს გამოუცხადა, რომ მასთან გასართობად არ იყო. „მე მინდა შენთან ოჯახის შექმნა და ნურც ერთი ნუ გავერთობით ერთმანეთთან ურთიერთობითო, რომ მითხრა, დიდად არ მომეწონა. იქნებ ერთმანეთი არ შეგვიყვარდა და რა პირდაპირ ოჯახზე ნახვედი და გაასერიოზულე-მეთქი, შევეწინააღმდეგე. თან ჩემთვის მისი მამაკაცური და სერიოზული მიდგომა მომეწონა. გამოვიდა, რომ მეც გამარფთხილა, რომ არ გავრთობილიყავი, ჩვენ აქ „ტაში პარი“ არ გვაქვს.

გაცნობის შემდეგ, კონკრეტულად რითი მოხიბლა გიორგიმ, მარიკო ვერ ხსნის. საუბრის მანერა, აზროვნება, გარეგნობა, პოზიციის დაფიქსირება - კომპლექსურად ყველაფერი მოსწონდა მასში. მომღერალიც სულ ახალ-ახალ თვისებას ეძებდა გიორგიში.

„არის მკაცრიც და რომანტიკოსიც. მრავალმხრივია. მე არ ვჩქარობდი. არც მხოლოდ გულით მინდოდა შემყვარებოდა და არც მხოლოდ გონებით. ამიტომ მათ „შეთანხმებას“ დაველოდე და როცა მივხვდი, რომ ეს ის ადამიანია, ვინც მჭირდებოდა და მის გარეშე ცხოვრება არ შემეძლო, ვაღიარე, რომ მიყვარდა“.

ტერიტორიულმა განშორებამ წყვილი უფრო დააახლოვა. ბიჭი საფრანგეთში წავიდა. აი, მაშინ კი მაქსიმალურად გაიზარდა სკაიპსა და ვაიბერში კონტაქტის დრო. „სულ კონტაქტზე ვიყავით. ერთხელ ვაიბერით ცხრა საათი ვილაპარაკეთ. არ გათიშო, შენი სუნთქვა უნდა მოვისმინო, როგორ დაგეძინებაო, მითხრა და ორივეს ვაიბერი ჩართული გვედო სასთუმალთან. ის რომ ჩამოვიდა, ცოტა ხნით მე წავედი გერმანიაში. ისევ 6-საათიანი საუბრები... ამ დროს მივხვდი, რომ ეს სიგიჟე იყო. ანუ იყო ის, რაც გონებასაც უნდოდა და გულსაც... ბევრი სიურპრიზი მოუწყია. სამ საათნახევარში ჩამოსულა ბათუმში და სასტუმროს ნომერზე დაუკაკუნებია. საიდან გაიგე სად ვიყავი-მეთქი, გავოცებულვარ. შენ არ მითხარი ტელეფონშიო, უთქვამს. დანიაში „ევროვიზიის“ რეპეტიციაზე რომ დამადგა, სრულიად შოკირებული ვიყავი. უკნიდან მომეპარა და ხელები თვალებზე ამაფარა. ბასა ფოცხიშვილი და პირველი არხის სტაფი სრულიად გულაჩუყებული გვიყურებდა. გმირად „შერაცხეს“. იქ შემოღწევა ნამდვილად არ იყო მარტივი რამ. სამი დღე იყო ჩემთან ერთად. ეს მოქმედებს ქალზე. ხვდები, რომ ეს გართობა კი არა, სხვა განზომილებაა. ურთიერთობის სხვა პლანეტაზე ხარ. ფინალში

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

რულო ისტორიაზე პირველად ყვება



EXCLUSIVE

„არ ვჩქარობდი. არც მხოლოდ გულით მინდოდა შემყვარებოდა და არც მხოლოდ გონებით. ამიტომ მათ „შეთანხმებას“ დაველოდე და როცა მივხვდი, რომ ეს ის ადამიანია, ვინც მჭირდებოდა და მის გარეშე ცხოვრება არ შემეძლო, ვაღიარე, რომ მიყვარდა“

„ჯვარი სწერია და იღბლიანი ბიჭია. ყველაფერში უმართლებს. შრომას რომ დებს, გამოსდის. ეს არ არის დიდხნიანი ლოდინის შედეგი. მალე იმკის მოსავალს. ჯერ მარტო ასეთი გოგო ჰყავს გვერდით“

რომ ვერ გადავედით მეც გვერდით ისეთი ადამიანი მჭირდებოდა, ვისთანაც დავიცლებოდი და გულისტკივილს გამოვთქვამდი. მეორე დღეს ატრაქციონებზე წამიყვანა და ისე გამართო, ყურებზე დადიოდა. ფოიერვერკული გიჟური დღე მომიწყო. ამიტომ არ განმიცდია და არ მიტირია იმაზე, რომ ფინალში ვერ მოვხვდით. ვიყავი მშვიდად და წყნარად. რომ დავაკვირდი, უფრო მეტად ვამბობ, რომ ვარ მშვიდი და წყნარი, ვიდრე ბედნიერი. რადგან მშვიდად ხარ, ესე იგი არაფერი გაღელვებს, ეს ყველაზე მეტი ბედნიერებაა. გიორგის გვერდით მშვიდი ვარ. ის ჩემი დასაყრდენია ყველანაირად. „ევროვიზიიდან“ რომ დავბრუნდი, მითხრა, ნახე, ტელევიზიიდან თუ არ გექნება სამსახურზე შემოთავაზებაო. მე მგონი კუდიანია. საიდან მოიტანა წარმოდგენა არ მაქვს. მართლაც ასე მოხდა. და მომწონს ჩემი გადაცემა, ინტელექტუალურია. აკადემიურობას ვეჩვევი და ეს სხვა ამპლუაა. მეშინოდა, რომ გავთხოვდები ჩემს საქმეს რამე ხომ არ დაემუქრება-მეთქი. პირიქით, უფრო დაკავებული ვარ. ნელ-ნელა იხსნები და თამამდებიო, გიორგი მეუბნება. მე შენი თილისმა ვარო :) ჯვარი სწერია და იღბლიანი ბიჭია. ყველაფერში უმართლებს. შრომას რომ დებს, გამოსდის. ეს არ არის დიდხნიანი ლოდინის შედეგი. მალე იმკის მოსავალს. ჯერ მარტო ასეთი გოგო ჰყავს გვერდით :)

ერთხელ მითხრა, რომ გაგიცანი, მალევე მომინდა დედაშენის გაცნობაო. ასეთი აქტიური გურულია. ერთხელ დედა შეუძლოდ იყო და არ მქონდა წნევის საზომი აპარატი. მოვიდა გიორგი და მოიტანა წნევის აპარატი, ეს ნელის ჩემგან აჩუქეო. მომავალ სიდედრს საჩუქარი გავუკეთეო. სხარტი გურული იუმორი აქვს“.

ერთ ჭერქვეშ

გასულ ზაფხულს ეგვიპტეში ერთად დაისვენეს. მარიკოს დაბადების დღეს, 29 აგვისტოს გიორგიმ სიურპრიზი მოუწყო. იყო ფოიერვერკები, ტორტი (თანაც ორი), მუსიკა... და უტყუარი ქალური ინტუიცია – მარიკო მიხვდა, რომ მალე ერთად იქნებოდნენ. მომღერალი შემოდგომაზე წმინდა მიწაზე იყო. „აი, იქ ვიგრძენი, რომ უკვე მეც მინდოდა გიორგისთან ერთად ცხოვრება. მომინდა, რომ ისრაელში დამეწერა ჯვარი. მერე ეს ჩემი სურვილი გავუმხილე გიორგის. ეს რომ ჩემგან გაიგო, უკვე მტკიცედ გადაწყვიტა, ნოემბერში ჯვრისწერა გვექნებაო. ისრაელში სხვადასხვა ტექნიკური საკითხის გამო ვერ წავედით და ჯვარი მამა დავითზე 8 ნოემბერს დავიწერეთ“.

ქორწილის დაგეგმვას პატარძალი გიორგის სახლის ეზოში აპირებს. „დიდი ეზო აქვს, 700 კვადრატული იქნება. მინდა ახალგაზრდული შოუ ქორწილის გაკეთება. თან ხელსაც მოვაწერთ“.

– რა შეცვალა ერთ ჭერქვეშ ცხოვრებამ?

– მიხარია, რომ არაფერი შეუცვლია. ისევ შეყვარებულობის პერიოდი გვაქვს. უბრალოდ, ერთად ვიძინებთ და ვიღვიძებთ, ვაიბერი არ გვჭირდება :)

– რას უმზადებ დიდი სიყვარულით?

– სამზარეულოში ტრიალი არ მეხერხება, არ ვარ კულინარი. გიორგის დედა გვიმზადებს სადილებს. ამ მხრივ კომფორტი გვაქვს. რასაც მოვისურვებთ, მზადდება. მანამდე დედა მანებივრებდა.

მადლმოსილი

„თავისუფლებისთვის მჭირდებოდა ადამიანი, რომელიც ამას მაგრძნობინებდა. ახლა გიორგისთან ყოფნა მანიჭებს თავისუფლებას. ბავშვობაში დედა თუ გვერდით არ მყავდა, შეშინებული ვიყავი. მარტოობაში ის თავისუფლება არ მაქვს, რასაც საყვარელი ადამიანების გარემოცვა მანიჭებს. გიორგი როცა გვერდით მყავს, ყველაფრის უფლება მაქვს. როცა არ არის ჩემ გვერდით, მეტად შეზღუდული ვარ ქცევაში“.

– მარიკო, რა ყოფილა სიყვარული?

– სიყვარული არის ის, რაზეც ყოველწამს ფიქრობ. არ გადის წამი და დრო, რომ ამ გრძნობაზე და პიროვნებაზე არ იფიქრო. ამ გრძნობამ მთლიანად დამიპყრო, ფეხის ფრჩხილიდან თმის ღერამდე. სარკეში იყურები და სულ სხვა ხარ, სხვანაირად დადიხარ. არ ხარ მარტო, სხვანაირად მადლმოსილი დადიხარ. გრძნობა შენშია და სხვანაირი შინაგანი მდგომარეობა გაქვს. ამ ასაკამდე მართლა არ მყვარებია, პრესაში ამიტომ არაფერს ვსაუბრობდი სიყვარულზე. სიტყვა მადლი აქამდე არ მიხსენებია. დღეს ამ მადლს ვატარებ.

„ამ გრძნობამ მთლიანად დამიპყრო, ფეხის ფრჩხილიდან თმის ღერამდე. სარკეში იყურები და სულ სხვა ხარ, სხვანაირად დადიხარ. არ ხარ მარტო, სხვანაირად მადლმოსილი დადიხარ“

„დანიაში „ევროვიზიის“ რეპეტიციაზე რომ დამადგა, სრულიად შოკირებული ვიყავი. უკნიდან მომეპარა და ხელები თვალებზე ამაფარა. ბასა ფოცხიშვილი და პირველი არხის სტაფი სრულიად გულაჩუყებული გვიყურებდა. გმირად „შერაცხეს“. ეს მოქმედებს ქალზე“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

მედიარეგულაცია თუ კანონის გამკაცრება

ია ანთაძე: „სადამდე ავწევთ თვითრეგულაციის თამასას, ჩვენზეა დამოკიდებული“

ქეთი ხატიაშვილი

საქართველოს ახალი და თანამედროვე მედია სჭირდება. პოლიტიკოსების ხელში მედია ძალიან დაემსგავსა იმ იარაღს, რომელიც კონკურენტის წინააღმდეგ არის მიმართული და ბევრწილად ქვეყნის ინტერესებისა და უსაფრთხოების ზღვარზეც სახიფათოდ გადის. ეს აფერხებს არა მხოლოდ მედიასაშუალებების განვითარებას, არამედ ხელს უშლის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან სხვა პრობლემებზე სწორ აქცენტირებას. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ, როგორც პრესა, ისე ტელევიზია დიდ პოლიტიკურ ბრძოლებშია ჩართული. განვითარების ეს ეტაპი დასავლეთის მედიამაც გაიარა. და სანამ იგივე ამერიკაში პოლიტიკოსებმა მედიასაშუალებებიდან დისტანცირება არ მოახდინეს, მანამდე თავისუფლებასა და დემოკრატიაზე საუბარიც კი ჭირდა.

ამერიკის ან იგივე ევროპის მაგალითზე რომ ვთქვათ, თავისუფლების ხარისხი იქ მაღალია, თუმცა, ასევე, ძალიან მკაცრია ის სტანდარტები, რომლითაც მედია რეგულირდება.

მქონდა ბედნიერება, ამერიკის ერთ-ერთ გაზეთში პრაქტიკები გამევლო თეთრი სახლის ადმინისტრაციისა და ამერიკის საელჩოს დახმარებით. ეს ჩემთვის საინტერესო გამოცდილება იყო. ჟურნალისტებს იგივე რეპორტაჟებისა თუ კრიმინალური ამბების გაშუქების დროს ეკრძალებათ opinion words-ს გამოყენება. ანუ შეფასებითი სიტყვები. მაგალითად, მათ შეუძლიათ, დაწერონ, რომ ამერიკის რომელიღაც ქალაქს საშინელმა ტორნადომ გადაუარა, მაგრამ ვერ იტყვიან, რომ საშინელი მკვლელობა მოხდა. მათ შეუძლიათ ფაქტი აღწერონ, მაგრამ მისი შეფასების უფლება არ აქვთ. ისინი ფაქტზე არიან ორიენტირებულნი და მხოლოდ. ისევე როგორც არ შეუძლიათ საკუთარი პოზიციის დაფიქსირება. პოზიციას გაზეთში სარედაქციო წერილით აფიქსირებენ. სარედაქციო წერილის მომზადების თავისებურებებიც საკმაოდ საინტერესო იყო ჩემთვის. რეგულაციები იმდენად ფართოა, რომ ის რედაქციებში პირად ურთიერთობებსაც არეგულირებს. მაგალითად, კოლექტივის შიგნით „ბოიფრენდის“ ან „გელფრენდის“ ყოლის უფლება არ აქვთ. არგუმენტი მარტივია – შესაძლოა, სექსუალურმა ურთიერთობამ კოლეგები არათანაბარ მდგომარეობაში ჩააყენოს. მაგალითად, თუ ფოტოს განყოფილების რედაქტორს პირადი ურთიერთობა აქვს რომელიმე ჟურნალისტთან ან ფოტოკორესპონდენტთან, შეუძლია, ის დაალობიროს, განსაკუთრებული შეღავათებით ასარგებლოს... მოკლედ, თავისუფლება თავისუფლებად და ამის მიღმა საკმაოდ სერიოზული რეგულაციები მოქმედებს. მედია სახელმწიფო ინტერესებსაც ძალიან უფრთხილდება.

სულ სხვა თემაა პოპულისტები და პოპულისტური განცხადებები, რომელიც, როგორც წესი, მედიაში არ ხვდება. მაგალითად, როცა ერთ-ერთმა პოლიტიკოსმა თქვა, გაეროს შენობა და მთელი გაერო ამერიკიდან უნდა გაიყვანო, გემები მოაყენო და სადღაც ძალიან შორს გადატვირთოო, ეს განცხადება ნიუ-იორკის არც ერთ გამოცემას არ დაუბეჭდავს. ეს ხომ სისულელეა და არასერიოზულია, პოპულიზმს უფრო ჰგავსო. სამაგიეროდ ჩამოაღწია საქართველოში და ერთ-ერთმა ქართველმა პოლიტიკოსმა სერიოზულად დაიწყო იმის ლობირება, რომ გაეროს ფუნქცია საქართველოს აეღო თავის თავზე.

საქართველოში მედია ერთ დიდ სანაგვე ყუთად იქცა, რომელშიც ტყუილიც ბევრია, ცილისწამებაც, გადაუმოწმებელი ინფორმაციაც... მოკლედ, ყველაფერია და რაც მთავარია, ბერკეტი, რომელიც ამ ყველაფერს დაარეგულირებს, თითქოს არც არსებობს, ან თუ არსებობს, არაეფექტურია.

ახლა ბევრი საუბარი მიდის იმაზე, რომ კანონში ცვლილებები შევიდეს და მედიას სერიოზული სანქციები დაეკისროს. შსს-მ კანონპროექტი უკვე მოამზადა. ამ დოკუმენტის მიხედვით, შუღლის გაღვივებისა და ძალადობრივი ქმედებისკენ მოწოდება დასჯადი გახდება.

მედიაექსპერტი ია ანთაძე მიიჩნევს, რომ საქართველოს კანონმდებლობა საკმაოდ ლიბერალურია და კანონში რაიმე სახის ცვლილებების შეტანა საკმაოდ სახიფათო შეიძლება გახდეს. შესაბამისად, ის კანონში ცვლილებების შეტანას კი არ უჭერს მხარს, თვითრეგულაციების დაწესებას ემხრობა, იგივე არსებული ქარტიის ფარგლებში. ია ანთაძის განმარტებით: „სადამდე ავწევთ თვითრეგულაციის თამასას, ჩვენზეა დამოკიდებული“.

თემა კიდევ ერთხელ გახდა აქტუალური უკვე მას შემდეგ, რაც მთავრობის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე ნინო კობახიძე ტყუილისა და ცილისწამებისთვის მაღალი ჯარიმების დაწესების ინიციატივით გამოვიდა. პოზიცია მან სოციალური ქსელებით დააფიქსირა:

„ტყუილები და ცილისწამება სანამ დიდი ჯარიმებით არ დაისჯება და ადამიანებს არ გამოუმუშავდებათ იმის შეგრძნება, რომ ამდენი ტყუილის ტირაჟირებით თაობებს უფუჭებენ ფსიქიკას, მანამდე ასეთ აგრესიულ გარემოში ვიქნებით!“, – წერს კობახიძე.

მედიაექსპერტმა ია ანთაძემ კობახიძეს სოციალური ქსელითვე უპასუხა:

„შესაძლოა, ეს განცხადება ბევრს გულზე მალამოდ დაედოს. მაგრამ გამოხატვის შეზღუდვას – მათ შორის, ტყუილისა და ცილისწამების შეზღუდვას – თავისი წესი და რიგი აქვს. ცილისწამების საკითხს კანონი აწესრიგებს, ტყუილი კი თვითრეგულირების თემაა და ვერანაირი ჯარიმით ვერ დაისჯება. სანამ ჯერ კიდევ ვრჩებით „მაშასადამე ევროპელებად“, გამოხატვის თავისუფლების ევროპულ ჩარჩოს ვერ დავანგრევთ. ეს კარგად უნდა ავუხსნათ საზოგადოებას, იმის მიუხედავად, რას ვემხრობით და რას – არა“.

როგორიც არ უნდა იყოს ახლა შეფასებები, ფაქტი მაინც ერთია, ქართულ მედიას რეგულაციები სჭირდება, ახალი ჟურნალისტიკის მოთხოვნილება არის და ეს თავისუფლების შეზღუდვას არ გულისხმობს.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ჭიკაიძემ მთავრობა ვალებით დატოვა

მირიან ბოქოლიშვილი

მინისტრების ნაწილმა 2015 წლის ფინანსური და ქონებრივი მდგომარეობის შესახებ ბოლო ინფორმაციები გამოაქვეყნა. ყოველწლიური სავალდებულო დეკლარაცია ალექსანდრე ჭიკაიძემაც შეავსო, თუმცა შს მინისტრმა რამდენიმე დღეში თანამდებობა დატოვა. მისი შევსებული დეკლარაციით კი ირკვევა, რომ ჭიკაიძე მინისტრთა კაბინეტს საკმაოდ სოლიდური ვალებით დაემშვიდობა.

რა მიზნით გამოიტანა ყოფილმა მინისტრმა 140 ათას დოლარი საქართველოს ბანკიდან?

ამ ეტაპზე სავალდებულო დეკლარაცია მხოლოდ 8 მინისტრს აქვს შევსებული. „პრაიმტაიმმა“ თვალი გადაავლო, როგორ გამოიყურებოდა მინისტრების შემოსავლები 2014 წელს. დავიწყოთ, მინისტრობიდან გადამდგარი ალექსანდრე ჭიკაიძით.

შინაგან საქმეთა აწ უკვე ყოფილი მინისტრის სახელზე ირიცხება მშენებარე ბინა ყაზბეგისა და მიცკევიჩის ქუჩების კვეთაზე, რომლის ღირებულება 169 ათას დოლარს შეადგენს, აქედან 140 ათასი დოლარი სწორედ გასულ წელს დაფარა, რომელიც საქართველოს ბანკიდან სესხის სახით აქვს გამოტანილი. სხვა ქონება ჭიკაიძის სახელზე არ ირიცხება. მისი დეკლარაციით, მხოლოდ ის ირკვევა, რომ საქართველოს ბანკში 140-ათასდოლარიანი სესხი აქვს დასაფარი.

შინაგან საქმეთა მინისტრის ქონებრივი მდგომარეობა: ალექსანდრე ჭიკაიძის სახელზე ირიცხება მშენებარე ბინა ყაზბეგისა და მიცკევიჩის ქუჩების კვეთაზე, რომლის ღირებულება 169 ათას დოლარს შეადგენს, აქედან 140 ათასი დოლარი სწორედ გასულ წელს დაფარა, რომელიც საქართველოს ბანკიდან სესხის სახით აქვს გამოტანილი

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი, გიორგი კვირიკაშვილი, რომელიც, სხვათა შორის, მრავალშვილიან მამად ითვლება, ფლობს მიწის ნაკვეთსა და საცხოვრებელ სახლს თბილისში, ზოვრეთის ქუჩაზე, ასევე, ბინას სამგორის რაიონში. საცხოვრებელ სახლს დუშეთის რაიონის სოფელ ქვეშეთში და ამავე სოფელში 3700 კვ.მ მიწის ნაკვეთს. დეკლარაციის შევსების მომენტში კვირიკაშვილს ნაღდი ფულის სახით 3700 ლარი აქვს მითითებული, გასულ წელს კი შრომითი ანაზღაურების სახით 81 250 ლარი აქვს მიღებული. ირკვევა, რომ მინისტრს „ქართუ ბანკიდან“ გამოტანილი აქვს 120 ათასი ლარი.

საკმაოდ შთამბეჭდავია მეორე ვიცე-პრემიერის, ენერგეტიკის მინისტრის კახი კალაძის ფინანსური მდგომარეობა. მას გასულ წელს მინისტრის თანამდებობაზე ანაზღაურების სახით აღებული აქვს 75 ათასი ლარი. კალაძის სახელზე ირიცხება საცხოვრებელი სახლები თბილისში, ჭავჭავაძისა და ბურძგლას ქუჩებზე, სამტრედიაში, წყნეთსა და ბაკურიანში. ასევე ორი ბინა კიევში, 3000 კვ.მ მიწის ნაკვეთი უკრაინის დედაქალაქში. ენერგეტიკის მინისტრის ავტოპარკი კი ასე გამოიყურება: „როლს როის ფანტომი“, „ბენტლი კონტინენტალი“, მერსედეს GL63“, „მერსედეს G63“, „ფერარი GTO“, „მერსედეს ბენცი S63“, „მერსედეს ბენცი A45“. კალაძეების საკუთრებაა რამდენიმე ძვირადღირებული ტილო, მათ შორის 3 ელენე ახვლედიანის და 3 ლადო გუდიაშვილის. კახი კალაძის უცხოურ ანგარიშებზე მითითებულია საკმაოდ სოლიდური თანხები. მაგალითად, „ინტეზა სანპაოლოს“ ანგარიშზე 900 000 ევრო და 3 800 000 დოლარი, „იულიუს ბაერის“ ანგარიშზე კი – 4 000 000 ევრო. ნაღდი ფულის სახით კახი კალაძის მეუღლის სახელზე ფიქსირდება 35 000, თავად მინისტრის სახელზე კი - 15 ათასი ლარი. ენერგეტიკის მინისტრი დღემდე რჩება რამდენიმე ბიზნესკომპანიის პარტნიორად, როგორც საქართველოში, ისე კვიპროსსა და უკრაინაში. გასულ წელს ენერგეტიკის მინისტრმა ქველმოქმედების სახით 70 ათას ლარამდე გაიღო, მათ შორის ონკოლოგიის ნაციონალურ ცენტრს 7884 ლარი გადაურიცხა. 2014 წელს კახი კალაძემ შემოსავალი ფეხბურთიდანაც მიიღო. მსოფლიო ნაკრებში თამაშში მას 30 000 დოლარი გადაუხადეს.

მოკრძალებულად გამოიყურება ჯანდაცვის მინისტრის ქონებრივი მდგომარეობა. დავით სერგეენკო ფლობს საცხოვრებელ სახლს თბილისში, თამარაშვილის ქუჩაზე და მიწის ნაკვეთს ბულაჩაურში. მეუღლის, ლელა მიგრიაულის სახელზე ირიცხება „ტოიოტა პრადოს“ ავტომობილი. გასულ წელს მინისტრს შრომითი ანაზღაურების სახით აღებული აქვს 75 ათასი ლარი. დავით სერგეენკოს ტყუპების – ანასა და ნინოს უმაღლეს სამედიცინო სკოლაში სწავლა წელიწადში 4000-4000 ლარი უჯდება.

ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის სახელზე ირიცხება საცხოვრებელი სახლი და მიწის ნაკვეთი დმანისის რაიონში. მისი მეუღლე, თამარ ყუბანეიშვილი კი ფლობს ბინას თბილისში, ცინცაძის ქუჩაზე. 2014 წელს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის თანამდებობაზე სოზარ სუბარს მიღებული აქვს 41304 ლარი, ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის პოსტზე კი – 33 695 ლარი. ირკვევა, რომ სუბარს საცხოვრებელი ბინის შესაძენად აღებული აქვს სესხი 140 ათასი ლარის ოდენობით, საიდანაც გასულ წელს 17 500 ლარი დაფარა. შვილების განათლება ლტოლვილთა და განსახლების მინისტრს წელიწადში 13 ათას ლარამდე უჯდება.

რაც შეეხება განათლების მინისტრს... თამარ სანიკიძე თბილისში საცხოვრებელ სახლს არ ფლობს. მის სახელზე ბინა მხოლოდ ბათუმში ფიქსირდება, მეუღლე დავით ბარძიმაშვილი კი ფლობს მიწის ნაკვეთს მცხეთის რაიონში. განათლების მინისტრის საკუთრებაშია 2007 წელს გამოშვებული „ბეემვე X5“. თამარ სანიკიძეს გასულ წელს შრომითი ანაზღაურების სახით 81 250 ლარი აქვს აღებული.

იუსტიციის მინისტრის მფლობელობაშია 1900 კვ.მ მიწის ნაკვეთი და საცხოვრებელი სახლი სოფელ დიღომში. თეა წულუკიანის საკუთრებაა სახლი საფრანგეთშიც (სტრასბურგი). მინისტრმა გასულ წელს 14400 ევრო სწორედ ამ სახლის გაქირავებიდან მიიღო, ამავე სახლის შესაძენად აღებული სესხის დასაფარად კი 8112 ევრო გადაიხადა. თეა წულუკიანის სახელზე ირიცხება 2003 წელს გამოშვებული „მინი კუპერი“. რაც შეეხება შრომით ანაზღაურებას, ერთი წლის განმავლობაში იუსტიციის მინისტრმა 87 500 ლარი მიიღო.

საგარეო საქმეთა მინისტრი თამარ ბერუჩაშვილი და მისი მეუღლე რემა ღვამიჩავა ფლობენ მიწის ნაკვეთს წავკისში, ბინას თბილისში აღმაშენებლის გამზირზე და ბათუმში, ჭავჭავაძის ქუჩაზე. დეკლარაციის შევსების მომენტში ნაღდი ფულის სახით რემა ღვამიჩავას სახელზე მითითებულია 80000 დოლარი, თამარ ბერუჩაშვილის სახელზე კი – 3500 ევრო. ბერუჩაშვილს გასულ წელს მინისტრის მოადგილის პოსტზე მიღებული აქვს 62 231 ლარი, ხოლო მინისტრად მუშაობის პერიოდში – 10 625 ლარი. დეკლარაციით ირკვევა, რომ საგარეო საქმეთა მინისტრი გასულ წელს 8000 ლარით – მშობლებს, 5000 ლარით კი შვილებს დაეხმარა.

P.S. უკვე გამოქვეყნებული დეკლარაციებით თუ ვიმსჯელებთ, ყველაზე მდიდარ მინისტრად, ცხადია, კახი კალაძე შეგვიძლია მივიჩნიოთ, ყველაზე ღარიბებს შორის კი ჯერჯერობით შს აწ უკვე ყოფილი მინისტრი ლიდერობს, თუმცა მინისტრთა კაბინეტის ნახევარს 2015 წლის დეკლარაციები ჯერ არ შეუვსია.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

სამორი ბალდემ „ერისიონის“ მოცეკვავეზე იქორწინა

გოგონას ოჯახმა სამორის ოჯახის წევრები, როგორც ამ დროს იტყვიან ხოლმე, გადმოიპატიჟა

EXCLUSIVE

my View
ნინო მჭედლიშვილი

ტელეწამყვანმა, სამორი ბალდემ „ერისიონის“ მოცეკვავეზე იქორწინა. მისი რჩეული ულამაზესი გოგონა, სოფო ბარნოვია. ტელეკომპანია „იმედის“ სახეს პირადზე საუბარი არ სურს. მას არაერთგზის მივმართეთ ინტერვიუსთვის, მაგრამ ყოველთვის უარს აცხადებს. ასეთივე პოზიცია აქვს მის რჩეულს. ამბობს, რომ პირადზე საუბარი არც მას სიამოვნებს. ამიტომ მათზე ინფორმაციების მოძიება, მათი ნათესავებისგან, მეგობრებისგან მოგვიხდა.

სოფოს თეთრი საპატარძლო კაბა არ სცმია. როგორც სოფოს ოჯახის ახლობელმა გვითხრა, „ერისიონის“ მოცეკვავესა და ტელეწამყვანს გრანდიოზული ქორწილი აქვთ დაგეგმილი

სპეციალურად ამ დღისთვის საქართველოს ესტუმრა სამორის მამა

როგორც ცოცხალი ფაქტია, ბედნიერ ადამიანებს ბედნიერ ადამიანებზე ბევრი ეჭვიანობს. ეს ეჭვიანობა ბოროტ ენებს ბოროტ ენებად ქცევამდე ბევრ ბოროტ ენებად ქცევამ ბოროტ ენებად ქცევამ ბოროტ ენებად ქცევამ

„ვასაძის ლეგენდა უფრო ჩვენი შექმნილია, ვიდრე ის რეალურად ი

სოსო მანჯავიძე: „რაც მთავარია, ლევან ვასაძეს აქვს თავისი კონცეფცია და ცდილობს, ქვეყანა კრიზისიდან გამოიყვანოს, ამიტომ ჩემთვის გაუგებარია, რატომ უყურებენ მის აქტიურობას ასე ისტერიულად“

ხათუნა მგალობლიშვილი

„ჩვენ შევძლებთ, რომ მსგავსი ავანტიურა, რაც 2009 წლის აპრილში ან 2007 წლის ნოემბერში იყო, ქუჩის მიტინგები, ან უბრალოდ, დამაშინებელი რიტორიკა, არ გადაედოს ეკონომიკურ პროცესებს. ჩვენ ყველას ვაჩვენეთ, რომ ხალხი მხარს უჭერს სტაბილურობას. ხალხი ძალიან მომწიფდა პოლიტიკურად და კარგად ესმის, რას ნიშნავს ეკონომიკის განვითარების აუცილებლობა“...

პეტრე მამრაძე: „გამოაცხადებენ, რომ ხელისუფლებამ არჩევნები გააყალბა და შეეცდებიან, პროცესი რევოლუციური გზით წაიყვანონ“

„ახლად დანიშნული თავდაცვის მინისტრის მოადგილე პირდაპირ რუსეთიდან დაფინანსებული პრორუსული პარტიიდან მოდის. ხელისუფლება ქმნის უშიშროების სამინისტროს, რომელიც ჩვენ გავაუქმეთ იმიტომ, რომ რუსეთი ითხოვდა იქ საკუთარი მინისტრის დანიშვნას. ეს იქნებოდა ბაზა საქართველოში რუსული გავლენისთვის. ამის სანაცვლოდ კი, რუსეთი სავიზო რეჟიმის მოხსნას გვპირდებოდა“

ორივე განცხადება მიხეილ სააკაშვილს ეკუთვნის. პირველი 2010 წელს გააკეთა, როდესაც ოპოზიცია დაუსრულებელ მიტინგებს მართავდა დედაქალაქში და მთავარ ქუჩებს თვეობით კეტავდა. მაშინ მოქმედი პრეზიდენტი ირწმუნებოდა, რომ მიტინგები და არაადეკვატური განცხადებები, პირველ რიგში, ქვეყნის ეკონომიკასა და დემოკრატიას დაანგრევდა. მაშინ „ნაციონალური მოძრაობის“ ყველა წევრი, მათი მხარდამჭერი პოლიტიკოსებიც და ექსპერტების დიდი ნაწილიც დეტალურად ხსნიდნენ, რამდენი მილიონი ლარით იზარალა ქვეყნის ეკონომიკამ კარვების გაშლით, საზოგადოებრივი მაუწყებლის წინ გზების გადაკეტვით...

მეორე განცხადება კი ახალია. სააკაშვილმა ქვეყნისთვის ზიანის მომტანი განცხადება ერთ-ერთი უცხოური გაზეთისთვის მიცემულ ინტერვიუში გააკეთა. ყოფილი პრეზიდენტი დღეს ზუსტად იგივეს აკეთებს, რასაც თავის დროზე ეწინააღმდეგებოდა. შეიძლება უარესსაც... ყოველ შემთხვევაში მისი ანტისახელმწიფოებრივი განცხადებები ისეთივე ზიანის მომტანია, როგორიც თავის დროზე რუსთაველზე გაშლილი კარვები იყო...

გია ხუხაშვილი, ექსპერტი:

– სააკაშვილი მაშინაც უსინდისოდ ტყუოდა, როდესაც სახელისუფლებო ძალადობას ახდენდა ხალხზე და თავისუფალ აზრზე. ცდილობდა, ძალადობა სახელმწიფო ინტერესებით გაემართლებინა. დღეს კი ის სახელმწიფოს წინააღმდეგ საბოტაჟს ეწევა. მაშინაც და დღესაც სააკაშვილის ერთადერთი მიზანი იყო ძალაუფლება და მეტი არაფერი... მისი მთავარი მიზანი ძალაუფლებაში ყოფნა იყო და პრინციპში მისი ცხოვრების კრედოც იგივეა: ჩემს შემდეგ ქვა ქვაზეც არ დარჩენილა. ბუნებრივია, მსგავსი განცხადებები ვნებს ქვეყანას, მაგრამ ეს არის სააკაშვილი.

– ლევან ვასაძეც ვადამდელ არჩევნებს ითხოვს...

– რაც შეეხება ვასაძის განცხადებას, ვფიქრობ, მას ჩვენ ზედმეტ მნიშვნელობას ვანიჭებთ. ვასაძე არ არის არც პოლიტიკური მოთამაშე საქართველოში და არც უცხოეთში სარგებლობს ავტორიტეტით. ის არის ერთი ჩვეულებრივი მოქალაქე, რომელსაც უფლება აქვს, თავისი აზრი გამოთქვამს, ჩვენ ამას მშვიდად უნდა ვუყურეთ. ვასაძის ლეგენდა უფრო ჩვენი შექმნილია, ვიდრე ის რეალურად იმსახურებს ყურადღებას. მასზე მეტად მწვავე განცხადებებიც მომისმენია სხვებისგან და რატომ სხვის განცხადებებზე არ მახვილდება ყურადღება?

– ყურადღებას მისი ფინანსური მხარე და ინტერესები იწვევს...

– მე მას არ მივანიჭებდი ამხელა მნიშვნელობას. ის, რომ მას ვიღაცაზე მეტი ფული აქვს, არ არის განმსაზღვრელი. ვერ ვხედავ შესაძლებლობას, რომ ის პოლიტიკურად გააქტიურდეს. სიმართლე გითხრათ, არც ვკითხულობ, რას წერს ლევან ვასაძე.

პოლიტიკოსები და ექსპერტებიც დარწმუნებულები არიან, რომ სააკაშვილისა და თითოეული ნაციონალის განცხადება უფრო შორეულ მიზნებს ემსახურება, ვიდრე ხელისუფლების კრიტიკას. პეტრე მამრაძის განცხადებით, ნაციონალებს დღეს ნაკლებად აინტერესებთ ქვეყნის ბედი. მთავარია, სიტუაციამ, თუნდაც ქვეყნისთვის მარცხის მომტანმა, მათ წისქვილზე დაასხას წყალი... სწორედ ამიტომ, როდესაც სააკაშვილისდროინდელი ეგრეთნოდებული რადიკალური ოპოზიციისა და დღევანდელი ნაციონალების შედარებაზეა საუბარი, ყველა ძალიან ბევრ საერთოს ხედავს და პარალელებიც თავისთავად ივლება...

პეტრე მამრაძე:

– თავის დროზე ხელისუფლებაში ყოფნის დროს სააკაშვილი აცხადებდა, რომ მიტინგები, რადიკალური განცხადებები, პირველ რიგში, ქვეყნის განვითარებას ურტყამდა...

– რა თქმა უნდა, ასე იყო და დღეს თავად იქცევა ის ასე. დღეს სააკაშვილისა და მისი თანამზრახველების გეზი ასეთია: რაც უარესი, მით უკეთესი, ეს ბოლშევიკების ცნობილი ლოზუნგია. იგივე გეზი აქვს სააკაშვილსაც. სააკაშვილი ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ ამჟამინდელ ხელისუფლებას დაჰბრალდეს ყველაფერი, მას გაუხარდება და იზეიმებს, ანექსია თუ მოხდება. ისინი ყველაფერზე წასულან და წავლენ კიდეც, ოღონდ თავის თავს არ შეწირავენ და საკუთარ სიცოცხლეს არ გარისკავენ.

– სააკაშვილსა და მის თანაგუნდელებს რამდენიმე ვარიანტი აქვთ. თუ საქმე 2016 წლის არჩევნებამდე მივა, დარწმუნებულები არიან, რომ ხელისუფლებაზე მეტი რეიტინგი ექნებათ და გაიმარჯვებენ. იმ შემთხვევაში, თუ დამარცხდებიან, გამოაცხადებენ, რომ ხელისუფლებამ არჩევნები გააყალბა და შეეცდებიან, პროცესი რევოლუციური გზით წაიყვანონ. პირდაპირ აცხადებენ, ხალხი თავად დაგვაბრუნებს ხელისუფლებაშიო.

– თუმცა სააკაშვილი ამბობს, რომ არჩევნებამდეც შეიძლება დაბრუნდეს...

– სააკაშვილს იმედი აქვს, რომ პოლიტიკური კრიზისი ისე გამწვავდება და ისეთი არეულობა დაიწყება, რომ საქმე ან რიგგარეშე არჩევნებამდე მივა, ან კიდევ მის საქართველოში ჩამოსვლას ვეღარავინ გააპროტესტებს და შეძლებს, თავის მოძრაობას ჩაუდგეს სათავეში.

– შეიძლება, რომ მსგავსი განცხადებებით „ნაციონალური მოძრაობა“ საზოგადოებას სწორედ ქუჩაში გამოსაყვანად ამზადებდეს?

– ეს პრაქტიკულად გარანტირებულია. 2016 წლის არჩევნებამდე თუ მივა საქმე, ბუნებრივია, რომ ნაციონალები მას წააგებენ და ასეთ შემთხვევაში ისინი აუცილებლად იტყვიან, რომ ხელისუფლებამ ადმინისტრაციული რესურსი გამოიყენა, იტყვიან, რომ იყო ზეწოლა ამომრჩეველზე და გაყალბებები. თუმცა ეჭვი მაქვს, ძალიან შეზღუდული კონტინგენტის გარდა, სხვა ვინმე გამოიყვანონ ქუჩაში. ისინი ამას ვერ შეძლებენ, გარდა ერთი შემთხვევისა: თუ ეკონომიკური პროცესები იმდენად ცუდად განვითარდება, რომ მოხდება ლარის კუპონიზაცია, მაშინ ხალხი შეიძლება ისევ გაჰყვეს ქუჩაში ნებისმიერ დემაგოგს. თუმცა ნაციონალებს კიდევ ერთი სერიოზული პრობლემა

სოსო მანჯავიძე: „ლევანს აქვს ძალიან დიდი გეგმები და ამავდროულად მას არ შეუძლია ამ გეგმების მარტო განხორციელება. მას შეუძლია, გახდეს გარკვეული ჯანსაღი ძალებისა თუ ჯგუფების მიზიდულობის ცენტრი, რომლებიც აქამდე პოლიტიკაში ნაკლებად ჩანდნენ“

აქვთ. პარტიაში ძალიან ცუდი ურთიერთობებია, პოლიტიკური შეკრულობა აღარ აქვთ. ეს არის დამნაშავეთა ჯგუფი, რომელიც შეკრულია ძალიან დიდი ფულით და საერთო დანაშაულით. დღეს „ნაციონალური მოძრაობის“ არაერთ სახეს, რომლებიც პარლამენტში იმყოფება, უხარია კიდეც, სააკაშვილი მოშორებით რომ არის და აღარ უწევს მისი ახირებების შესრულება. ნაციონალებში, სააკაშვილის გარდა, კიდევ რამდენიმე ადამიანია, რომელიც მზად არის, ყველაფერზე წავიდეს. მთლიანობაში კი იქ არიან ადამიანები, რომლებიც სააკაშვილის ახირებების შესრულებებზე უბრალოდ უარს იტყვიან.

– რა შეიძლება სააკაშვილმა მოითხოვოს, რის შესრულებაზეც უარს მიიღებს?

– ისეთ რადიკალურ მოთხოვნას, როგორიც ქუჩაში არეულობის შექმნაა, ან შეიარაღებული დაპირისპირება, არ შეასრულებენ.

ექსპერტების განცხადებით, „ნაციონალური მოძრაობა“ ყველანაირ გზას გამოიყენებს მიზნის მისაღწევად. არ არის გამორიცხული, მათთვის ლევან ვასაძის განცხადებებიც კი მისაღები გახდეს, რადგან ვასაძე უკვე დიდი ხანია, ვადამდელ არჩევნებს ითხოვს: ლევან ვასაძე: „რაც შეეხება ჩვენს დაახლოებით 150-კაციან პარლამენტს, თუ არ ვცდები, მისი მუშაობა 50 მილიონ ლარზე მეტი ჯდება. ჩემთვის ცხადია, რომ ეს ორგანო სრულიად არაეფექტურია – ამას ვამბობ, როგორც მართვის სპეციალისტი... თავის დასაღწევად აუცილებელია ამჟამინდელი პარლამენტის დათხოვნა და ისეთის არჩევა, რომელიც ხალხის განწყობებს მართლაც ასახავს...“

ის, რომ ვადამდელი არჩევნების ჩატარებით დემოკრატიული „ჯაჭვი“ გაწყდება, როგორც ჩანს, არც ნაციონალებს და მით უფრო, არც ვასაძეს არ ადარდებს.

იყო პერიოდი, როდესაც ლევან ვასაძე კატეგორიულად აცხადებდა, რომ პოლიტიკა არ აინტერესებდა და არასოდეს ჩაერთვებოდა მასში. თუმცა მის ერთ-ერთ ბოლო ინტერვიუში მისი ტონი ბევრად შერბილებულია, ხოლო მისი თანამოაზრეები იმ სავარაუდო წრესაც ასახელებენ, ვინ შეიძლება ვიხილოთ ვასაძის პოლიტიკურ გაერთიანებაში...

სოსო მანჯავიძე:

– საქართველოს დღეს სჭირდება ძველი პოლიტიკური ხედვების, ძველი ინერციის დაძლევა და ახალი ხედვების შეთავაზება, ახალი ეროვნული პროექტია საჭირო. საპარლამენტო არჩევნები რომ აუცილებელია, ამას დღევანდელი პარლამენტის არაპოპულარობაც ადასტურებს, უბრალოდ, დრო არის შესარჩევი სწორად.

– ეროვნულ პროექტში ლევან ვასაძეს გულისხმობთ?

– ეროვნულ პროექტში ერთი პიროვნება არ მიგულისხმია. საქართველოს სჭირდება განვითარების ისეთი პროექტი, რომელიც მომგებიანი იქნება ჩვენი საერთო ეროვნული ინტერესებისთვის. ჩვენ ახლა ძალიან საშიშ მდგომარეობაში ვართ, რადგან ამ ეტაპისთვის ჩვენი სახელმწიფოებრივი არსებობა განპირობებულია იმ ძალთა ბალანსით, რომელიც სხვადასხვა ძალებს შორისაა დამყარებული. სწორედ ამიტომ საჭიროა ისეთი კონცეფციის შემუშავება და ლობირება, რომელიც ამ საშიში ვითარებიდან გამოგვიყვანს.

– რამდენად შესაძლებელია, რომ ამ საშიში ვითარებიდან, როგორც თქვენ შეაფასეთ, ლევან ვასაძემ სცადოს ქვეყნის გამოყვანა?

– ძალიან კარგი იქნება, თუ ლევან ვასაძე პოლიტიკაში ჩართვის გადაწყვეტილებას მიიღებს. ძალიან კარგი იქნება, თუ შეიქმნება ახალი მორალური და ფინანსური რესურსის მქონე ძალა, რომელიც გახდება არსებული პოლიტიკური ძალების საპირწონე. შეიძლება ვიღაცები არ ეთანხმებიან მის სტილს, მის შეხედულებებს, მაგრამ ის, რომ ლევან ვასაძე პატრიოტია, ამაში ეჭვი არავის ეპარება. თუ ბატონი ლევანი გადაწყვეტს გააქტიურებას, მისი ავტორიტეტითა და კავშირებით, ეს მხოლოდ დაბალანსებს სიტუაციას.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

მსაჯურებს ყურადღებას“

გია ხუხაშვილი: „ბუნებრივია, მსგავსი განცხადებები ვნებს ქვეყანას, მაგრამ ეს არის სააკაშვილი“

ის, რომ ქვეყანაში ერთი მიმართულების პოლიტიკური ნაკადია, არ არის ნორმალური. შეფასებებსა და განცხადებებში, რომელიც ლევან ვასაძის მიმართ კეთდება, გარკვეული ჯგუფების პანიკური შიშები იგრძნობა. საპანიკო და გასაგიჟებელი ნამდვილად არ არის, თუ ლევან ვასაძე პოლიტიკაში შემოვა. რაც მთავარია, ლევან ვასაძეს აქვს თავისი კონცეფცია და ცდილობს, ქვეყანა კრიზისიდან გამოიყვანოს, ამიტომ ჩემთვის გაუგებარია, რატომ უყურებენ მის აქტიურობას ასე ისტერიულად. ლევან ვასაძე თუ გააქტიურდება, მე მას მხარს დავუჭერ. ლევანს აქვს ძალიან დიდი გეგმები და ამავდროულად მას არ შეუძლია ამ გეგმების მარტო განხორციელება. მას შეუძლია, გახდეს გარკვეული ჯანსაღი ძალებისა თუ ჯგუფების მიზიდულობის ცენტრი, რომელიც აქამდე პოლიტიკაში ნაკლებად ჩანდნენ.

– საზოგადო მოღვაწეებს გულისხმობთ?

– რა თქმა უნდა, ასე იქნება. თუმცა მარტო საზოგადო მოღვაწეები პოლიტიკას ვერ შექმნიან, ამისთვის საჭიროა პოლიტიკური გუნდიც. სხვაგვარად არჩევნებში მონაწილეობას ვერ მიიღებს, ასეთ შემთხვევაში კი ვერ მოახდენს პოლიტიკურ გავლენას პოლიტიკურ პროცესზე.

– ანუ შესაძლოა, რომელიმე პოლიტიკურ ძალასთან გარიგდეს?

– რატომ რომელიმე პოლიტიკურ ძალასთან? მას შეუძლია, შექმნას საკუთარი პოლიტიკური ძალა. პოლიტიკური პარტიის დაფუძნება არავითარი პრობლემა არ არის.

– თუ გქონიათ საუბარი ვასაძესთან პოლიტიკაში გააქტიურებაზე?

– პოლიტიკაში მოსვლა-არმოსვლა მისი თავისუფალი ნების საკითხია. თუ ის მიიღებს გადაწყვეტილებას, თავის ქვეყანას რაიმე ფორმით ამოუდგეს მხარში და ახალი სისხლი გადაუსხას, ეს მხოლოდ გაჯანსაღებს პოლიტიკურ პროცესს, რადგან შეიქმნება კიდევ ერთი პოლიტიკური ცენტრი. ზოგადად, ჩვენ უამრავ საკითხთან დაკავშირებით ზომიერად ერთნაირი შეხედულებები გვაქვს, შეიძლება ყველა საკითხში არ ვეთანხმებით ერთმანეთს, მაგალითად, ლევანი უფრო რადიკალური მოქმედების მომხრეა, მე ასე არ ვფიქრობ და მიმაჩნია, რომ უფრო სხვაგვარად უნდა გაკეთდეს. ასეთ საკითხებზე ვსაუბრობთ ხოლმე.

დავოსი – ღარიბაშვილი „აბრეშუმის გზის ფორუმის“ შექმნის ინიციატივით გამოდის

ხათუნა მგალობლიშვილი

გასულ წელს დავოსში წასვლაზე პრეზიდენტ მარგველაშვილსაც გაუჩნდა პრეტენზიები და ეს საჯაროდაც დააფიქსირა. მაშინ დიდი მსჯელობა წავიდა, ვინ უნდა წასულიყო და ვინ დარჩენილიყო. მოსაზრებები ორად გაიყო – ვინ პრემიერს უჭერდა მხარს და ვინ – პრეზიდენტს. თუმცა, იმიტომ, რომ ფორუმი ეკონომიკურია და პრემიერი – მინისტრთა კაბინეტის მეთაური, დავოსში ირაკლი ღარიბაშვილი გაემგზავრა.

წელს პრემიერი ფორუმზე ისე წავიდა, რომ პრეზიდენტს, ყოველ შემთხვევაში ღიად, პრეტენზიები აღარ გამოუთქვამს, ის საკუთარ ადმინისტრაციაში ახლა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის თემაზე სხვადასხვა პარტიებთან კონსულტაციებს გადის.

პრემიერი ღარიბაშვილი კი საერთაშორისო ეკონომიკურ ფორუმზე ინიციატივით გამოვიდა.

ირაკლი ღარიბაშვილმა დავოსში „აბრეშუმის გზის ფორუმის“ შექმნის ინიციატივა დააანონსა. ეს ინიციატივა საერთაშორისო საინვესტიციო ფორუმზე „საქართველო – რეგიონული ცენტრი და კარიბჭე აზიასა და ევროპას შორის“ გაჟღერდა.

პრემიერის განცხადებით, საქართველოს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი თავისი სტრატეგიული მდებარეობის გამოყენება, რათა დააკავშიროს აზია, ევროპა და შუა აღმოსავლეთი და გააფართოოს ვაჭრობა ევრაზიის ერთი ბოლოდან მეორემდე.

„აბრეშუმის გზის აღდგენა არის ერთ-ერთი უდიდესი მიღწევა, რომელიც ცივი ომის დასრულებამ მოიტანა. პოტენციალი დიდია მთლიანად რეგიონისთვისაც, თუმცა პოტენციალის რეალობად ქცევა დიდ ძალისხმევას ითხოვს. საქართველო მზად არის, გამოიყენოს თავისი სტრატეგიული მდებარეობა გზაჯვარედინზე და წვლილი შეიტანოს აბრეშუმის გზის სრულ აღდგენაში. ამ მიზნით, ნება მომეცით, გამოვიდე 2015 წელს „აბრეშუმის გზის ფორუმის“ შექმნის ინიციატივით. ჩვენი ხედვით, ეს იქნება აბრეშუმის გზის მომავლით დაინტერესებული სახელმწიფოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების ყოველწლიური მაღალი დონის შეხვედრები საქართველოში“, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

აბრეშუმის გზის მნიშვნელობაზე თავის დროზე საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის ხელმძღვანელი, ელჩი ფილიპ დიმიტროვიც საუბრობდა. მისი განმარტებით: აბრეშუმის გზა მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ეკონომიკური განვითარების, არამედ პოლიტიკური გამოწვევების გადაჭრის თვალსაზრისთაც.

– ევროკავშირისთვის მნიშვნელოვანია, როდესაც საუბარია აბრეშუმის გზაზე, ვინაიდან ამ გზის მეორე მხარეს არის ევროპა. აბრეშუმის გზას მნიშვნელობა აქვს არა მარტო ეკონომიკური განვითარების, არამედ პოლიტიკური გამოწვევების გადაჭრის მიზნითაც. ჩვენ ვთანამშრომლობთ სამხრეთ კავკასიის ქვეყნებთან როგორც რეგიონული თანამშრომლობის ჭრილში, ისე ინდივიდუალურად. მნიშვნელოვანია, რომ ინდივიდუალური მიდგომა გლობალურს შეერწყას, – ეს განცხადება ელჩმა აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტისა და ცენტრალური აზიისა და კავკასიის კვლევითი ინსტიტუტის ეგიდით მიმდინარე კონფერენციაზე ჯერ კიდევ შარშან გააკეთა.

აბრეშუმის დიდი გზა ტრანსკონტინენტური სავაჭრო-საქარავნო გზაა, რომელიც ჩინეთს ხმელთაშუა და შავი ზღვების სანაპიროებთან აკავშირებდა.

ამ გზით ვაჭრობა ძვ. წ. II საუკუნიდან იღებს სათავეს. აბრეშუმის გზით გაჰქონდათ მაღალხარისხოვანი ჩინური აბრეშუმი, რომელიც რომში, ბიზანტიაში, ახლო აღმოსავლეთის დიდი სახელმწიფოების – პართიისა და მოგვიანებით, სასანიანთა ირანის შუამავლობით ჩინეთიდან შეჰქონდათ.

არქეოლოგ მერაბ ძნელაძის განმარტებით:

„აბრეშუმის გზის გაყვანა დაკავშირებულია ბერძნული, სპარსული, ჩინური, ინდური, ხმელთაშუა ზღვისპირეთის, შავი ზღვისპირეთის ნაწილის გააქტიურებასთან. რომ წარმოვიდგინოთ, რას მოიცავს აბრეშუმის გზა რუკაზე, ეს გახლავთ ჩინეთი, ინდოეთი, შემდეგ მოდის აზია, რომელსაც გადაკვეთდნენ ხოლმე კასპიის ზღვამდე. არის კიდევ რამდენიმე გზა, რომელიც ჩვენამდე მოდის... ერთი ეს გახლავთ და მეორე – სომხეთის საშუალებით მცხეთისკენ მომავალი, მესამე კი – სამხრეთის მხრიდან“.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

paparazzi

ფოტო: თინა თუთისანი

ფაქო ტაბატაძე

გიორგი ყიფშიძე

ვალერიან შიუკაშვილი

ნინო სურგულაძე

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

paparazzi

აჩიკო მეფარიძე

გოგა ხაინდრავა

ილიკო სუხიშვილი

გიორგი ყიფშიძე და ანრი ჯოხაძე

ლელა წურწუმია და მამულიჩა

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

დავით უსუფაშვილმა რეგლამენტი დაარღვია



ხათუნა მგალობლიშვილი

პარლამენტში პრეზიდენტის სიტყვით გამოსვლა ორჯერ გადაიდო და ორივეჯერ დავით უსუფაშვილის ინიციატივით. პირველი ფაქტი 2013 წელს დაფიქსირდა. მაშინ უსუფაშვილმა „ქართული ოცნების“ სურვილი გაახმოვანა – დამარცხებული და მათთვის მიუღებელი ღირებულებების მქონე გუნდის პრეზიდენტის მოსმენა არ სურდათ. არადა ეს მიხეილ სააკაშვილის ბოლო გამოსვლა უნდა ყოფილიყო პრეზიდენტის რანგში. ნაციონალებმა უსუფაშვილის განცხადების საპასუხოდ შეკრება პარლამენტის ნაცვლად ეროვნულ ბიბლიოთეკაში გადაწყვიტეს და ამ მცდელობას რაც მოჰყვა, სავარაუდოდ, ყველას კარგად ახსოვს. საზოგადოების დიდი ნაწილი ეროვნულ ბიბლიოთეკასთან ნაციონალების მისვლამდე დიდი ხნით ადრე შეიკრიბა და პროტესტის ნიშნად არც სააკაშვილი შეუშვეს შენობაში და არც მის მოსასმენად ადგილზე მისული ნაციონალები...

რატომ არ სურს პარლამენტს პრეზიდენტის მოსმენა

დავით უსუფაშვილი, 2013 წლის 7 თებერვალი: „ჩვენ პატივს ვცემთ საქართველოს კონსტიტუციას, ჩვენ პატივს ვცემთ ყველა იმ ინსტიტუტს, რომელიც საქართველოს კონსტიტუციით არის განსაზღვრული, მათ შორის პრეზიდენტის იმ უფლებას, რომელიც წერია დღევანდელ კონსტიტუციაში, მაგრამ ამასობაში ჩვენ პატივს ვცემთ საკუთარ თავსაც და გვინდა, რომ შედგეს საქართველოს პრეზიდენტის მოხსენება სათანადო პარლამენტში, პარლამენტში, რომელიც არის სათანადო უფლებამოსილებით აღჭურვილი და არა, უბრალოდ, ადამიანების ერთობა, რომლის გადაწყვეტილებაც პრეზიდენტს შეუძლია, ერთპიროვნულად შეცვალოს“.

დღეს უსუფაშვილს ნამდვილად აქვს პრეტენზია, რომ მოქმედი პარლამენტი სათანადო უფლებამოსილებითა და საერთო ინტერესების მქონე გუნდით არის დაკომპლექტებული, თუმცა მისი გადაწყვეტილება ზუსტად ისეთივეა, როგორიც 7 თებერვალს იყო. ამ ორ განცხადებას შორის სხვაობა გადადებული გამოსვლის მიზეზის ახსნაშია.

დავით უსუფაშვილი, პარლამენტის თავმჯდომარე:

– პრეზიდენტის ყოველწლიური გამოსვლა პარლამენტში, მოგეხსენებათ, მოქმედი კანონმდებლობით საგაზაფხულო სესიის პირველ სხდომებზეა გათვალისწინებული. თუმცა, ის, რომ 4 თებერვალს ვერ იქნება ეს, უკვე გასაგებია. პირველ რიგში იმიტომ, რომ პარლამენტს წინა სესიიდან გადმოჰყვა რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი, ამიტომ პირველი პლენარული კვირის განმავლობაში გაგვიჭირდება პრეზიდენტის მოსმენა. თუმცა, დანარჩენი, როდის და როგორ იქნება, რაც შეიძლება ადრე ვამცნობთ საზოგადოებას.

სხვა, ბევრი და უფრო მნიშვნელოვანი საქმის მომიზეზებით პარლამენტი რეგლამენტს არღვევს, რადგან იქ გასაგებად წერია, რომ სიტყვით გამოსვლა საგაზაფხულო სესიის პლენარული სხდომების პირველ დღეს უნდა შედგეს.

პარლამენტის რეგლამენტი, თავი XXXV, მუხლი 200 – „პარლამენტი, როგორც წესი, საგაზაფხულო სესიის პლენარული სხდომების პირველ დღეს, საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად, ისმენს საქართველოს პრეზიდენტის ყოველწლიურ მოხსენებას ქვეყნის მდგომარეობის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე“. თავად პრეზიდენტის მოსმენა კი პარლამენტის კონსტიტუციური პრეროგატივაა და აღნიშნულ წესს რეგლამენტის მეორე თავის მესამე მუხლი იცავს. პარლამენტის რეგლამენტი, თავი 2, მუხლი 3 – „პარლამენტის კონსტიტუციური პრეროგატივა – საქართველოს პრეზიდენტის ყოველწლიური მოხსენების მოსმენა“.

იურისტ ლევან ალაფიშვილის განცხადებით, რეგლამენტი არ ირღვევა, რადგან მარგველაშვილის გამოსვლა არ გაუქმებულა

და გარდა ამისა, სიტყვით გამოსვლა ორივე მხარის ერთობლივი შეთანხმების საფუძველზე მოხდა.

ლევან ალაფიშვილი, იურისტი:

– შეიძლება ითქვას, რომ რეგლამენტი არ ირღვევა, რადგან იქ წერია, როგორც წესი, გამოსვლა ხდება პირველ საგაზაფხულო სესიაზეო. ტერმინი „როგორც წესი“ თავისთავად მოიცავს, რომ შეიძლება სულაც არ იყოს ეს საგაზაფხულო სესიის პირველი დღე. ანუ პრეზიდენტმა შეიძლება საერთოდ არ მიმართოს პარლამენტს საგაზაფხულო სესიაზე, ან მიმართოს არა პირველ დღეს, არამედ მეორე, მერვე ან შემდგომ დღეებში. შესაბამისად, თუკი მოლაპარაკების საგანი გახდება და ორივე მხარე თანახმა იქნება, შეიძლება გამოსვლა გადაიდოს და რეგლამენტიც არ დაირღვეს. თავისუფლად შეგვიძლია ვთქვათ, რომ კონსტიტუცია არ ირღვევა და მოლაპარაკების შემთხვევაში რეგლამენტიც არ დაირღვეს.

საპირისპიროს ამტკიცებს საპარლამენტო ოპოზიცია. დავით დარჩიაშვილს მიაჩნია, რომ რეგლამენტით გათვალისწინებული წესის უგულებელყოფა თავისთავად ნიშნავს მის დარღვევას.

დავით დარჩიაშვილი, საპარლამენტო ოპოზიცია:

– კონსტიტუციაში ასე პირდაპირ არ წერია, როდის მიმართავს პრეზიდენტი. უბრალოდ, პრინციპად არის დადგენილი, რომ ანგარიში უნდა ჩააბაროს ყოველწლიურად. თუმცა ტრადიციად არის მიღებული, რომ ეს ხდება საგაზაფხულო სესიის დასაწყისში, ეს რეგლამენტშიც არის მითითებული.

– სააკაშვილის პრეზიდენტობის დროს, 2013 წლის გარდა, პრეზიდენტის სიტყვით გამოსვლის გადადების ფაქტი ყოფილა?

– პრეზიდენტის გამოსვლები შევარდნაძის დროს დაიწყო და მე ერთადერთი გადადებული გამოსვლა მახსოვს 2012 წელს, როდესაც „ქართულმა ოცნებამ“ არ მოისურვა სააკაშვილის მოსმენა. სხვა შემთხვევა არ მახსენდება, პრეზიდენტის გამოსვლა გადადებულიყო.

დავით დარჩიაშვილს შესაძლოა, მართლაც არ ახსოვს, მაგრამ სააკაშვილმა საქართველოს რეგლამენტი 2007 წელს დაარღვია, როდესაც პარლამენტში არა საგაზაფხულო სესიის პირველ სხდომაზე, არამედ ერთი თვის დაგვიანებით, 16 მარტს მივიდა. მაშინდელი ოპოზიცია აცხადებდა, რომ სააკაშვილმა დებატებს შეგნებულად აარიდა თავი, რადგან მას საზოგადოების წინაშე გამოსვლის ეშინოდა. ამის მიზეზი მოქმედ პრეზიდენტს ნამდვილად ჰქონდა, რადგან საგაზაფხულო სესიის პირველი პლენარული სხდომა 13 თებერვალს გაიმართა. მაშინ არა მარტო საპარლამენტო ოპოზიციის, არამედ მთელი საქართველოს მოსახლეობის კითხვები ერთადერთ თემას უკავშირდებოდა და ეს სანდრო გირგვლიანის მკვლელობა იყო... 13 თებერვალი კი – სანდრო გირგვლიანის დაბადების დღე... მაშინ პარლამენტმაც თავისი მუშაობა სწორედ დაღუპული ახალგაზრდის მიმართ წუთიერი დუმილით პატივის მიგებით დაიწყო...

„პარლამენტს წინა სესიიდან გადმოჰყვა რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი, ამიტომ პირველი პლენარული კვირის განმავლობაში გაგვიჭირდება პრეზიდენტის მოსმენა“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

მარი კორკოტაძე: „ექიმს ბავშვი 10 წუთის ნანახი ჰყავდა, როცა მითხრა, რომ 8-9 წლის ასაკში თუ მივიდოდა პირველად სკოლაში და თან სპეციალურში“

ხათუნა მგალობლიშვილი

მშობლები ჯანდაცვის სამინისტროსგან კონკრეტული რეგულაციების ამოქმედებას ითხოვენ, რომლის თანახმადაც ექიმი ვალდებული იქნება, პაციენტს დიაგნოზი კორექტული ფორმით მიაწოდოს. როგორი უცნაურიც არ უნდა იყოს, ვალდებულებისა თუ რეგულაციების ამოქმედების გარეშე ექიმების ნაწილი ადამიანურ საქციელს არ აღიარებს...



„3 წლის შემდეგ, იძულებული ვიყავი, ისევ იმ ექიმთან მიმეყვანა დათა, დიაგნოზის გადასამოწმებლად, რადგანაც მხოლოდ იმ კლინიკაში ტარდება სრული გამოკვლევები. ისევ ისეთი სტრესი მივიღე, როგორც მაშინ“

ანა არგანაშვილი: „თუ მსგავსი შემთხვევა კიდევ დაფიქსირდება, რეაგირებისთვის მივმართავთ შესაბამის უწყებას, სამედიცინო საქმიანობის რეგულირების სახელმწიფო სააგენტოს, თუ საჭირო გახდა – სასამართლოსაც“

დღევანდელი კანონმდებლობით ურთიერთობა ექიმსა და პაციენტს ან მის მშობელს შორის რეგულირდება, მაგრამ, როგორც ჩანს, კანონმდებლობის დონეზე არსებული ზოგადი ჩანაწერი საკმარისი არ არის იმისთვის, რომ ბავშვების მშობლებმა ტრავმა არ მიიღონ დიაგნოზის არაეთიკური შეტყობინებით. მეტიც, არის შემთხვევები, როდესაც მშობელს, რომლის შვილიც გარკვეული შეზღუდვით დაიბადა, სამშობიაროშივე სამედიცინო პერსონალი აძლევს „კეთილ“ რჩევას ბავშვის მიტოვების შესახებ. როგორც „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“ წარმომადგენლები აცხადებენ, ეს სერიოზულ პრობლემებს ქმნის და პირველ რიგში მშობლებს აზარალებს.

დიაგნოზის შეტყობინების ელემენტარული ეთიკური სტანდარტების განერა შესაძლებელი გახდება შესაბამისი კვლევის ჩატარების შემდეგ. მშობლების გამოკითხვით დადგინდება, რა ზიანი ადგებათ მათ ექიმების მიერ არაეთიკური შეტყობინებით, რაც თავისთავად სამედიცინო მტკიცებულებაც იქნება.

არასამთავრობო ორგანიზაციაში „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“ გაწევრიანებულები არიან მშობლები, რომლებმაც თავის დროზე სწორედ ასეთი ტრავმა მიიღეს ექიმებისგან. ისინი ცდილობენ, დანარჩენი მშობლები დაიცვან უსამართლობისგან და სწორედ ამიტომ საზოგადოებას საკუთარ ისტორიებს უყვებიან, უფრო სწორად კონკრეტულ ფაქტებს ასახელებენ, როგორი უხეში და არაადამიანური ფორმით ხდება დიაგნოზის მიწოდება მშობლისთვის, რომელიც ხშირ შემთხვევაში არანაირ ინფორმაციას არ ფლობს კონკრეტული დაავადებისა თუ ბავშვის მდგომარეობის შესახებ...

მარიამ თურმანიძე: „ჩემი შვილი 3 წლის ხდებოდა, როდესაც მითხრეს, სპეციალისტისთვის მიმემართა. ბავშვი რომ ნახა, ექიმი მომიბრუნდა და მითხრა: თქვენი შვილი ან დაინყებს ლაპარაკს ან არა, აუტიზმია და არცთუ ისეთი იოლი ფორმა, სპექტრს სცდებაო. ყველაზე მთავარი კიდევ ის იყო, რომ მეორე შვილზე ვიყავი ორსულად. ხელით მიმანიშნა მუცელზე და მეუბნება. მაგას რომ აჩენ, არ უნდა გეკითხა ჯერო? მაგასაც აუცილებლად აუტიზმი ექნებაო, „დამაიმედა“. ჩემი შვილი დაიბადა სრულიად ჯანმრთელი და მას აუტიზმი არ აქვს. ძალიან ძნელი ასახსნელია, რასაც მაშინ ვგრძნობდი – შოკი ცოტაა. ექიმის კაბინეტიდან რომ გამოვედი, ნერვიულობისგან ყველა ძვალი მტკიოდა, ვგრძნობდი, როგორ მემსხვრეოდა ხერხემალი. ჩემმა მეუღლემ მანქანამდე მიმიტანა. ვერ დავდიოდი. არანაირი თანაგრძნობა... რა უნდა მოხდეს, რომ ეს ყველაფერი დამავიწყდეს? არ მესმის, ასეთი რამე როგორ უნდა უთხრა ადამიანს, თან როდესაც ორსულად არის? მაშინ რომ ნერვიულობით რამე მომსვლოდა ან მე, ან ჩემს მუცლადმყოფ შვილს? ნუთუ, ამაზე არ უნდა ეფიქრა იმ „ექიმს“? ამის შემდეგ, ბავშვი ძალიან კარგ და გულისხმიერ ფსიქოლოგთან წავიყვანე , რომელმაც მითხრა, რომ აუტიზმი არის ის, რაც ჰქონდა მოცარტს, ბეთჰოვენს, აინშტაინსა და სხვა მრავალ გენიოსს. ახლა ჩემი შვილი 7 წლის არის, დადის საჯარო სკოლაში მე-2 კლასში, დამოუკიდებლად ზის გაკვეთილზე. მან დაიწყო მეტყველება და საუკეთესო მოსწავლეა მათემატიკაში.

მარი კორკოტაძეც აუტიზმის მქონე ბავშვის დედაა. მარიამის მსგავსად, მანაც მძიმე დღეები გაიარა და სწორედ მას შემდეგ მიიღო გადაწყვეტილება, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების უფლებებისთვის ებრძოლა...

მარი კორკოტაძე, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების აქტივისტი: „მინდა გავიხსენო ჩემს ცხოვრებაში ყველაზე მძიმე დღე, როდესაც ჩემს შვილს აუტიზმის დიაგნოზი დაუსვეს. მიუხედავად იმისა, რომ ექიმს ბავშვი 10 წუთის ნანახი ჰყავდა, მითხრა, რომ 8-9 წლის ასაკში თუ მივიდოდა პირველად სკოლაში და თან სპეციალურში. თან ეს ყველაფერი ისე დაუნდობლად მითხრა, ნერვიც არ შეტოკებია. ვის აქვს უფლება, აუტიზმის შემთხვევაში დაუსაბუთებელი პროგნოზი გააკეთოს?! კლინიკის ეზოდან რომ გამოვედი, თავის მოკვლა მინდოდა. სახლში რომ მივედი, დავიწყე ძებნა, თუ კიდევ სად სვამდნენ დიაგნოზს. რომ არა ის კეთილსინდისიერი ფსიქოლოგები, რომლებმაც ადამიანურად ამიხსნეს ეს ყველაფერი, რომლებმაც იმედის ნაპერწკალი ჩამისახეს, ძალა მომცეს და თან დამაკვალიანეს, როგორ უნდა დამეწყო ბავშვთან მუშაობა, არც კი ვიცი, დღეს ჩემი შვილი რა მდგომარეობაში იქნებოდა. 3 წლის შემდეგ, იძულებული ვიყავი, ისევ იმ ექიმთან მიმეყვანა დათა, დიაგნოზის გადასამოწმებლად, რადგანაც მხოლოდ იმ კლინიკაში ტარდება სრული გამოკვლევები. ისევ ისეთი სტრესი მივიღე, როგორც მაშინ. ანუ ის პროგრესი, რაც ბავშვს ჰქონდა, მაინცდამაინც არ ჩათვალა წინ გადადგმულ ნაბიჯად. ის, რომ ბავშვს მაღალი ინტელექტი აქვს, მითხრა, სულაც არაფერს ნიშნავსო. სულ უარყოფითი და უარყოფითი. სწორედ ამიტომაა, რომ ბევრი მშობელი ერიდება ამ ექიმთან მისვლას, რადგანაც აღარ სურთ თავიდან მიიღონ დიდი სტრესი. ამჟამად, ჩემი შვილის IQ არის 93. ის 6 ნლისაა და მზად არის, საჯარო სკოლაში პირველ კლასში მისასვლელად“.

ექიმის სახელისა და გვარის დასახელებაზე მარი თავს იკავებს. მისი აზრით, არ არსებობს მექანიზმი, რომელიც მის უფლებებს დაიცავს.

– ჩვენ გვინდა კვლევის ჩატარება, რომ შემდეგ კონკრეტული შედეგებით მივმართოთ ჯანდაცვის სამინისტროს.

– როდის იგეგმება კვლევის ჩატარება?

– ერთ-ერთმა ორგანიზაციამ უარი გვითხრა კვლევის ჩატარებაზე, თანხების უქონლობის გამო. ჩვენ მაინც ვაპირებთ, რომ უახლოეს პერიოდში კვლევა ჩავატაროთ.

– ძვირადღირებული კვლევაა?

– არც ისე ძვირადღირებულია, რადგან კვლევა არ იქნება დიდი, ის საკმაოდ პატარაა. უბრალოდ, ძალიან სანდო უნდა იყოს. ახლო მომავალში აღნიშნული კვლევა აუცილებლად ჩატარდება.

– რა ტიპის კვლევაზეა საუბარი და რას მოიმოქმედებს ჯანდაცვის სამინისტრო მისი ჩატარების შემდეგ?

– კვლევის ფარგლებში უნდა შევისწავლოთ, რამდენად გავრცელებულია ექიმების არაეთიკური მოქცევის პრაქტიკა საქართველოში, რამდენი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის მშობელმა მიიღო მორალური ზიანი ექიმის არასწორი ქცევისგან და შედეგად რამდენ მათგანს შეექმნა ფსიქოლოგიური პრობლემა. ასევე, გვაინტერესებს, რამდენად არის დაკავშირებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისთვის მკურნალობისა და რეაბილიტაციის კურსის დაგვიანება მშობლისთვის დიაგნოზისა თუ მდგომარეობის არასწორი გზით მიწოდებასთან. იწვევს თუ არა მშობლის სტრესში ჩაგდება და დათრგუნვა ბავშვის უფლებების დარღვევას. ყოველივე ამის შემდეგ, სამინისტროს დავარწმუნებთ, რომ შემუშავდეს რეგულაციები, როგორ უნდა მოექცნენ ექიმები მშობლებს, როგორ უნდა მიანოდონ ინფორმაცია დიაგნოზის შესახებ. ჩვენ გვინდა, რომ ეს რეგულაციები კონკრეტულად გაინეროს. როდესაც ექიმს ეცოდინება, როგორ არ უნდა მოიქცეს და დიაგნოზის კორექტულად მიწოდების ვალდებულება ექნება, ვფიქრობ, აღარ მოიქცევა ასე სასტიკად.

– ეს მხოლოდ აუტიზმს ეხება?

– არა, ზოგადად ყველა შშმ პირს და ძალიან ხშირია, როდესაც ექიმები პირდაპირ, ყოველგვარი შესავლის ან ახსნის გარეშე აცნობებს მშობლებს კონკრეტული დაავადების შესახებ. ასეთი ექიმები დღესაც მუშაობენ და დღესაც განაგრძობენ მშობლების იგივე მეთოდით დათრგუნვას.

– რამდენად ხშირია, როდესაც დაუზუსტებელ დიაგნოზსაც მტკიცებით ფორმაში ეუბნებიან მშობლებს?

– იცით, ასეთ შემთხვევაში არ აქვს მნიშვნელობა, დიაგნოზი დაზუსტებულია თუ დაუზუსტებელი, ასეთი ფორმით ინფორმაციის მიწოდება, მაშინ როდესაც მშობელს აუტიზმის შესახებ არანაირი ინფორმაცია არ გააჩნია, არაფრით არ შეიძლება. ექიმმა პირდაპირ არ უნდა უთხრას მშობელს, შენი შვილი მახინჯი იქნება, ბურთივითი მრგვალი და სკოლაში ვერ წავა ექვსი ნლის ასაკშიო. ეს ექიმები დღესაც განაგრძობენ თავიანთ საქმიანობას და მშობლების ტრავმირებას. დღესაც, როცა მშობლებს ვეკითხები, ვისთან დაუსვევს მათ შვილებს დიაგნოზი, ერთსა და იმავე ექიმებს მისახელებენ. ყველა მათგანს იმდენად დიდი ტრავმა აქვს მიღებული ექიმის გამო, რომ მათი სახელის გაგონებაც კი არ უნდათ.

– ექიმის სახელი და გვარი რომ გვითხრათ, შეიძლება?

– არა, ვერ გეტყვით, რადგან არ არსებობს მექანიზმი, რომელიც მე დამიცავს. დარწმუნებული ვარ, როდესაც ის ექიმები სტატიას წაიკითხავენ, გინდათ ჩემს ბლოგს, აუცილებლად მიხვდებიან, რომ კონკრეტულად მათზეა საუბარი.

– თქვენ მას შემდეგ დაინტერესდით აღნიშნული პრობლემით, როდესაც პირადად შეგექმნათ ის?

– ოთხი ნლის წინათ გადამხდა ეს ამბავი. ახლა დავიწყე მუშაობა ორგანიზაციაში „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“, სადაც საშუალება მომეცა, ხმამაღლა და საჯაროდ ვთქვა ყველაფერი. ექიმმა, რომელზეც ვსაუბრობ, გამოკვლევების გარეშე, პირდაპირ დაუსვა ჩემს შვილს აუტიზმის დიაგნოზი, მაშინ როდესაც აუტიზმის დადგენა ექიმთან ერთი ვიზიტით გამორიცხულია. საერთოდ, ადრეულ ასაკში აუტიზმის დიაგნოზის დასმა რთულია, შეიძლება მართლაც იყოს ნიშნები, მაგრამ ზუსტი დიაგნოზის დასმას ხანგრძლივი დაკვირვება და კვლევების ჩატარება ესაჭიროება, რომლის დროსაც ხდება ბავშვზე დაკვირვება, შემდეგ მშობელთან ტარდება რამდენიმე ინტერვიუ. ამის შემდეგ სვამენ დიაგნოზს. მე როდესაც მივიყვანე ბავშვი ექიმთან, ათი წუთი დააკვირდა და პირდაპირ მითხრა, შენი შვილი 8-9 წლის მივა პირველად სკოლაშიო... ეს დასკვნა გააკეთა მანამ, სანამ კვლევებს ჩავატარებდით. ექიმის მხრიდან ეს ძალიან არასწორი მიდგომაა, ეს ჩემთვის ძალიან დიდი შოკი და ცხოვრების დასასრული იყო...

დაზარალებულ მშობლებს ადვოკატობას უფლებადამცველი, ანა არგანაშვილი უწევს. მისი განცხადებით, კიდევ ერთი არაეთიკური ფაქტის დაფიქსირების შემთხვევაში, მშობლების თანხმობით, ორგანიზაცია აუცილებლად მიმართავს შესაბამის უწყებებს, საჭიროების შემთხვევაში კი – სასამართლოსაც.

ანა არგანაშვილი, უფლებადამცველი:

– ჩვენ მივაწოდეთ ინფორმაცია ჯანდაცვის სამინისტროს, თუმცა, სამწუხაროდ, არ გვაქვს გარანტია, რომ სამინისტრო ნამდვილად შეიმუშავებს რეგულაციებს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ თემაზე გავაგრძელებთ ადვოკატობას. თუ მსგავსი შემთხვევა კიდევ დაფიქსირდება აუცილებლად მოვახდენთ რეაგირებას შესაბამის უწყებაში, თუნდაც სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოში, თუ საჭირო გახდა, სასამართლოსაც მივმართავთ. ვფიქრობთ, სამედიცინო პერსონალმა არ უნდა მიაყენოს მშობელს ფსიქოლოგიური სტრესი ბავშვის შეზღუდული შესაძლებლობის შესახებ არაეთიკური გზით ინფორმაციის მიწოდებით. ამგვარი ქცევა პოტენციურად ზრდის მშობლის მიერ ბავშვის მიტოვების საფრთხეს და მშობლის ფსიქიკურ ჯანმრთელობას ზიანს აყენებს. ყოველივე ეს კი აისახება ბავშვისთვის რეაბილიტაციისა და სხვა სერვისების დაგვიანებით მიწოდებაში, რაც მშობლის არაინფორმირებულობითა და დათრგუნული მდგომარეობითაა გამოწვეული.

– ჯანდაცვის სამინისტროში ვის მიმართეთ?

– ინფორმაცია მივაწოდეთ ჯანდაცვის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელს და ვთხოვეთ, ინფორმაცია მიეწოდებინა მინისტრისთვის. ამ ეტაპზე არ ვიცით, დაუჭერს თუ არა სამინისტრო მხარს ჩვენს ინიციატივას, თუმცა ჩვენ ძალიან სერიოზულად ვეგეგმავთ ამ საკითხზე მუშაობის გაგრძელებას, მას შემდეგ, რაც კვლევის საფუძველზე მყარი მტკიცებულებები გვექნება.

Partnership for Human Rights
მისამართი: თბილისი 0193, ალექსიძის 1, კორპ. #5; ბ.17
ტელ: + 995 032 2 33 13 56;
ელ-ფოსტა: info@phr.ge
პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის-PHR
საზოგადოება

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ლევან კობიაშვილი რეზი არველაძეს

მაგდა კლდიაშვილი

ეროვნული ნაკრების ყოფილმა კაპიტანმა, ლევან კობიაშვილმა ცოტა ხნის წინ გააცხადა და დაადასტურა, რომ ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის მომავალ არჩევნებში მონაწილეობს. „პრაიმტაიმი“ ვეტერან ფეხბურთელს ბერლინში დაუკავშირდა და მასთან სამომავლო გეგმებზე ისაუბრა. როგორია იმ კანდიდატის გეგმები, რომელსაც საზოგადოების უდიდესი მხარდაჭერა აქვს. რას ფიქრობს ნაკრების ახალ მთავარ მწვრთნელზე და იქნება თუ არა, გაპრეზიდენტების შემთხვევაში, მისი გუნდის წევრი რევაზ არველაძე. კითხვები, რომლის პასუხები დღეს ყველას აინტერესებს.

„სანამ არ მორჩება ის, რომ კონკრეტული პიროვნებები თავიანთი ინტერესებისთვის იყენებენ ამ ყველაფერს, სულ ასეთ მდგომარეობაში ვიქნებით“

– როდიდან აპირებ საარჩევნო კამპანიაში ჩართვას და სამშობლოში დაბრუნებას?

– საქართველოში სამი კვირა ვიყავი და წელს ბევრჯერ მომიწევს ჩამოსვლა. ზუსტად როდის მექნება შემდეგი ვიზიტი, ჯერ არ ვიცი, მაგრამ სისტემატურად მომიწევს, რადგან, როგორც იქნა, დადგა 2015 წელი და აქტიურად ვიქნები ჩართული. სავარაუდოდ, თებერვლის შუა რიცხვებში ჩამოვალ თბილისში.

– საარჩევნო პროგრამაზე თუ მუშაობ, ვისთან ერთად და როდის გააცნობ მას საზოგადოებას?

– პროგრამას, თუ რა წარმომიდგენია, ჩემს ხედვებს და რა მესიჯი იქნება ჩემი მხრიდან, ამას, რასაკვირველია, გავაცნობ საზოგადებას. კონკრეტულ ადამიანებსაც შევხვდები, ვისაც აქვს ბედნიერება, რომ ხმა მისცეს სასურველ კანდიდატს და ყველას, მაგრამ როდის იქნება, მას ახლა ვერ ვიტყვი, რადგან არ ვიცი, არჩევნების თარიღი. ამაზე მუშაობა დღეს არ დამიწყია. ხშირად მითქვამს ჩემი ხედვის შესახებ, დეტალურად, როგორ წარმომიდგენია, მონახაზი მაქვს. მყავს ადამიანები, ვინც გვერდში მიდგანან. გერმანელი კოლეგები, მეგობრები, ჩემი კლუბიდან, ფეხბურთის ფედერაციიდან. მქონდა რამდენიმე შეხვედრა გერმანიის ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენლებთან, მაქვს ამ ადამიანების მხარდაჭერა, ვისაც ფეხბურთის განვითარებაში აქვთ მონაწილეობა მიღებული საკუთარ ქვეყანაში.

– ვის შეხვდებით და ვის გააცნობთ თქვენს ხედვებს საქართველოში?

– აბსოლუტურად ყველას. არ მგონია, არჩევნები მარტო 35 ადამიანზე იყოს დამოკიდებული. გულშემატკივარს, მედიას და ყველა იმ ადამიანს, ვინც კონკრეტულად იქნება ჩართული და დაინტერესებული ამ პროცესით. შეიძლება პირდაპირ ამ ყველაფრის თანამონაწილე არ არის, მაგრამ ქომაგებს და იმ ადამიანებს, ვისაც სურვილი ექნება, რომ მონაწილეობა მიიღოს. აუცილებელია, მათ ჰქონდეთ წარმოდგენა, რა იქნება მომავალი 4 წლის განმავლობაში და ამის შემდეგაც ქართულ ფეხბურთში. გულისტკივილი, დღევანდელი ქართული ფეხბურთისადმი, დიდია საზოგადოებაში, ყველა იმ ადამიანში, ვისთვისაც ახლოა ქართული ფეხბურთი. ძალიან მნიშვნელოვანია რეგიონებში, რეგიონალური ფედერაციების წარმომადგენლებთან შეხვედრა.

– როგორ გგონია, ყველა კანდიდატი თანაბარ პირობებში იქნება?

– რა უნდა იყოს ხელისშემშლელი, მე თუ ვილაცასთან შეხვედრას ვაპირებ და ჩემი ხედვის, კონცეფციის, განვითარების გეგმის წარდგენას. არ მგონია, ვინმემ ხელი შემიშალოს. ერთადერთი დაბრკოლება ის არის და ეს ბერკეტი აქვს ფეხბურთის ფედერაციას. კარგად ვიცით მათი დამოკიდებულება ფეხბურთისა და არჩევნების მიმართ. ჩემთვის გაუგებარია და ნამდვილად ვერ ამიხსნის ვერავინ, თუ რატომ არ ვიცით, როდის იქნება არჩევნები.

– ფედერაციის საპრეზიდენტო არჩევნები სავარაუდოდ აგვისტოში დაინიშნება. ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ დებულებაში 2015 წელი წერია და არა კონკრეტული თარიღი. რამდენად კანონზომიერია არჩევნების ამ დრომდე გადაწევა?

– ბატონ ზვიად სიჭინავას განცხადებებს რომ ვუსმენ, ხანდახან გრძნობა მაქვს, რომ ამ ყველაფერს იუმორის ხასიათი აქვს და ვფიქრობ, რომ უფრო სერიოზული პასუხები უნდა გაეცეს კონკრეტულ კითხვებზე. მოსაზრება, რომ არჩევნები აგვისტოში უნდა ჩატარდეს, რა ვიცი, საიდან მოდის. ერთ რაღაცაში ვეთანხმები, დებულებაში კონკრეტულად არ წერია თარიღი. 2011 წლის 21 იანვარს აირჩიეს. არ წერია იქ დრო, რომ დღიდან დღემდე უნდა დაინიშნოს ახალი არჩევნები და აუცილებლად 22 იანვარს უნდა ჩატარდეს. იქიდან გამომდინარე, რომ 4 წელი გადის, ისედაც ვიცით, რომ 2015 წელს უნდა ჩატარდეს. უნდა დაინიშნოს რიგითი ყრილობა, რომელიც წელიწადში ერთხელ ტარდება. როდესაც აღმასკომი მიიღებს გადაწყვეტილებას რიგითი ყრილობის დანიშვნასთან დაკავშირებით, ამ რიგით ყრილობაზე უნდა აირჩეს პრეზიდენტი და აღმასკომის წევრები. მთავარია, ეს ყრილობა როდის დაინიშნება. სწორედ ეს არის მთავარი კითხვა, არა მარტო ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის, არამედ გენერალური მდივნის და აღმასკომის წევრების მიმართ. მათ უნდა ესმოდეთ, რამდენად მნიშვნელოვანია ეს. ეს არ არის ერთი პიროვნების ინტერესები, ფეხბურთისთვისაა მნიშვნელოვანი იმის გააზრება, თუ რამდენად მძიმე მდგომარეობაშია დღეს ქართული ფეხბურთი. თუ ეს ადამიანები ერთხელ მაინც დაფიქრდებიან და პირად ინტერესებზე მაღლა ფეხბურთის ინტერესებს დააყენებენ, კარგი იქნება. ძალიან მნიშვნელოვანი და აუცილებელია, არჩევნები დაინიშნოს არა 2015-2016 წლების სეზონის დაწყების შემდეგ, არამედ 2014-2015-ის დასრულებისას. მხედველობაში მაქვს მარტი, აპრილი, მაისი, როდესაც სეზონი მთავრდება. იმას არ აქვს მნიშვნელობა, ვინ უხელმძღვანელებს მომდევნო 4 წელი ქართულ ფეხბურთს, მთავარია ეს მოხდეს ახალი სეზონის დაწყებამდე. ერთ რამეზე უნდა შევთანხმდეთ – ეროვნული ჩემპიონატი არის ძალიან მნიშვნელოვანი და მთავარი ქართული ფეხბურთისთვის. თუ არჩევნები დაინიშნება ახალი სეზონის დაწყების შემდეგ, ფაქტობრივად, ერთ წელიწადში არაფერი შეიცვლება, ჩატარდება ისევ იმ დებულებით, რასაც მიიღებენ ან მანამდე იყო და ფაქტია, სეზონი ვარდება. ეს არ არის ვილაც კონკრეტული პიროვნებების ინტერესი, ეს ფეხბურთს სჭირდება. რამდენიმე წლის წინ იყო საუბრები რიგგარეშე არჩევნებთან დაკავშირებით, არასდროს მითქვამს, პირიქით, წინააღმდეგი ვიყავი და ვამბობდი, რომ უნდა მიეცეს 2011 წელს არჩეულ გუნდს, ვისაც ნდობა გამოუცხადეს, იმ ვადებში, რაც იყო, დაენახვებინათ ყველასთვის, თუ რა გააკეთეს, რას აკეთებენ და შემდეგ მოხდებოდა მათი შეფასება. ამიტომ ვიყავი რიგგარეშე არჩევნების წინააღმდეგი და ახლაც ვიმეორებ, რომ 22 იანვარს არ უნდა დაინიშნოს არჩევნები, მაგრამ აბსოლუტურად წინააღმდეგი ვარ და მიუღებელია ის მოსაზრება და ის თამაში, რასაც ფეხბურთის ფედერაცია თამაშობს, რომ არჩევნები გადაიტანოს შემოდგომაზე. კარგი იქნება, თუ პრეზიდენტი, გენერალური მდივანი, აღმასკომი, დაფიქრდებიან და ერთხელ მაინც დააყენებენ პირად ინტერესებზე მაღლა ქართულ ფეხბურთს და, შესაბამისად, მიიღებენ ნორმალურ გადაწყვეტილებას. ეს კონკრეტული პიროვნების ინტერესებში არ შედის, ქართული ფეხბურთის ინტერესებშია. თუკი, მაგალითად, ფიფა და უეფა მოჰყავთ, რვა თვით ადრე იყო ცნობილი, თუ როდის გაიმართებოდა არჩევნები უეფაში ანუ მარტში და ფიფაში მაისში. რაც შეეხება იმას, რომ მაინცდამაინც ამ ხელმძღვანელობამ უნდა ჩაატაროს სუპერთასი, ამის მაგალითებიც არსებობს. ჩეხეთში, 2013 წელს ჩატარდა სუპერთასი, მაგრამ საპრეზიდენტო არჩევნები გაზაფხულზე გაიმართა. თუკი მაგალითად მოჰყავთ ეს, მაშინ მიბაძონ და ადეკვატური გადაწყვეტილება მიიღონ.

„კარგი იქნება, თუ პრეზიდენტი, გენერალური მდივანი, აღმასკომი, დაფიქრდებიან და ერთხელ მაინც დააყენებენ პირად ინტერესებზე მაღლა ქართულ ფეხბურთს და, შესაბამისად, მიიღებენ ნორმალურ გადაწყვეტილებას“

– ზვიად სიჭინავამ ერთი კვირის წინ ინტერვიუში სამართლიანობის აღდგენზე ისაუბრა. ის თვლის, რომ ორ წელიწად-ნახევარი დააკლეს მას და იურისტებთან კონსულტაციებს

„ავიღეთ ეს ფული, დაურიგეს ხელფასები გუნდებში და რა დარჩა ამით ქართულ ფეხბურთს, გაგვცენ პასუხი“

„ბევრი გადწყვეტილება, რაც ბოლო პერიოდში იქნა მიღებული, ჩემთვის გაუგებარია და ბევრ კითხვის ნიშანს აჩენს“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

თან თანამშრომლობას გამორიცხავს

„არასწორად მიმაჩნია ამ ყველაფრის გადანაწილება. ყველას ერთნაირად დაურიგო ისე, რომ ანალიზს არ აკეთებდე, რომელ გუნდს რა პრობლემა აქვს“

„ბატონ ზვიად სიჭინავას განცხადებებს რომ ვუსმენ, ხანდახან გრძნობა მაქვს, რომ ამ ყველაფერს იუმორის ხასიათი აქვს და ვფიქრობ, რომ უფრო სერიოზული პასუხები უნდა გაიცეს კონკრეტულ კითხვებზე“

EXCLUSIVE

გადის. მის განცხადებას სერიოზულად აღიქვამთ?

– ზუსტად ამას ვგულისხმობ, რომ მის ყველა პასუხს იუმორის ხასიათი აქვს. არ ვიცი, რომელ ორ წელიწადზე საუბრობს. ჩემი აზრით, იმაზე საუბრობს, როდესაც პირველად აირჩიეს. უნდა ვიცოდეთ, თუ ამას იუმორის ხასიათი აქვს, მივიღებთ იუმორით, მაგრამ თუ სერიოზულად აცხადებს ამას, მაშინ არ ვიცი. წესდებას კარგად უნდა გადახედონ, როდესაც აირჩიეს იმ ვადით, რაც უნდა დაესრულებინა, დაასრულა კიდეც და ხელახლა აირჩიეს 2011 წელს. არ ვიცი, სიმართლე გითხრათ, სამართლიანობის აღდგენასთან დაკავშირებით, ძალიან შორს ვარ ამ მოსაზრებებიდან და არ ვიცი, რომელ სამართლიანობის აღდგენზე ლაპარაკობს. ერთი ვიცი, ამ პასუხს უფრო იუმორით ვუყურებ, ვიდრე სერიოზულად.

– ფეხბურთის ფედერაცია ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილე გუნდებს 200-200 ათასი ლარით დაეხმარა, რომელიც მან უეფადან წინასწარ აიღო. მოახლოებული არჩევნების წინ, ხომ არ იყო ეს ერთგვარი ამომრჩევლის მოსყიდვა, რადგან ყველა ეს სუბიექტი არჩევნებში ხმას აძლევს?

– ამის იურიდიული საფუძველი არ ვიცი, როგორ უნდა მოხდეს, მაგრამ თვითონ ფაქტი, ფედერაციამ რომ გამოხატა მხარდაჭერა კლუბების მიმართ და თანხით დაეხმარა, ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავ. არასწორად მიმაჩნია ამ ყველაფრის გადანაწილება. ყველას ერთნაირად დაურიგო ისე, რომ ანალიზს არ აკეთებდე, რომელ გუნდს რა პრობლემა აქვს, არასწორია. ერთი ვიცი, რომ ამ თანხის მიღებამდეც და ამის შემდეგაც, კლუბებს ისევ აქვთ ფინანსური პრობლემები და ზოგიერთ კლუბში, კარგად იცით, რა სიტუაციაც არის. წინასწარ უეფაზე ფულის თხოვნა, ბევრ კითხვას სვამს. როგორც ვიცი, ეს კრედიტია.

– სფფ-ს პრეზიდენტმა განაცხადა, რომ მათ უეფას წინასწარ გამოართვეს მათზე მოსაცემი თანხები და ეს კრედიტი არ არის...

– შენც ხომ მუშაობ, რომელიმე თანამშრომელი რომ მივიდეს უფროსთან და უთხრას, რომ ერთი წლის ხელფასი წინასწარ მისცეს, გადაუხდიან? ვსაუბრობთ ორგანიზაციაზე, რომელიც უეფაა. ეს ძალიან ბევრ კითხვას აჩენს, საბუთი, საიდან რა მიიღეს, რა წერია იქ. კარგი იქნება, თუ გვნახავენ, თუნდაც წინასწარ იყოს აღებული, რა მნიშვნელობა აქვს. აიღეს თანხა, რომელიც უნდა შემოსულიყო შემდეგ წლებში და მოხმარებოდა ქართული ფეხბურთის განვითარებას. ავიღეთ ეს ფული, დაურიგეს ხელფასები გუნდებში და რა დარჩა ამით ქართულ ფეხბურთს, გაგვცენ პასუხი. ფინანსური პრობლემები ისევ დარჩა, მოგვარდა მხოლოდ მცირე მონაკვეთში. ეს თანხები, რომელიც უნდა შემოსულიყო მომავალში, ფეხბურთის ფედერაციას რეალურად, განვითარებისა და პროექტებისთვის უნდა მოეხმარებინა. ამიტომ გეთანხმებით მოსაზრებაში, ხომ არ არის სხვა მიზნებით ეს თანხა გამოყენებული, ეჭვებს ბადებს, რომ მიზანმიმართულად, საკუთარი ინტერესებისთვის იყენებენ ამას. სანამ არ მორჩება ის, რომ კონკრეტული პიროვნებები თავიანთი ინტერესებისთვის იყენებენ ამ ყველაფერს, სულ ასეთ მდგომარეობაში ვიქნებით. რამდენად რთულ მდგომარეობაშია ქართული ფეხბურთი, ამას ანალიზი სჭირდება.

– ხშირად მესმის ხმები, რომ არჩევნების წინ სფფ-ს მოქმედი გენმდივანი, რევაზ არველაძე, რომელიც მომავალ არჩევნებში ერთ-ერთი კანდიდატია, შენს სასარგებლოდ მოხსნის კანდიდატურას და ისევ შეინარჩუნებს ამჟამინდელ პოსტს. გამარჯვების შემთხვევაში, დარჩება თუ არა რეზი არველაძე ფედერაციაში, ან სხვა შემთხვევაში, იქნება თუ არა ის შენი მთავარი კონკურენტი?

– რაც შემიძლია გითხრათ, რეზი არველაძესთან არ მქონია კონტაქტი და ამ თემაზე არავისთან მისაუბრია. მაქვს ჩემი აზრი, მყავს გუნდი და მოვიაზრებ ადამიანებს, ვინც ვიცი, რომ ჩემ გვერდით იქნებიან იმ შემთხვევაში, თუ გავიმარჯვებ. არასერიოზულად მიმაჩნია ალიანსზე საუბარი.

– არა.

– ამ კითხვაზე ასე კონკრეტულად ვერ გაგცემთ პასუხს. ადრეც მაქვს ნათქვამი – ჩემთან ვერ იქნება ვერც რეზი არველაძე და ვერც სხვა. თუ დღეს მეკითხები და მისვამ კითხვას, გპასუხობ, რომ ამ ადამიანებთან არც მილაპარაკია და არც მომავალში ვაპირებ. მყავს ჩემი გუნდი, ვინც ვიცი, რომ ჩემ გვერდით იქნებიან, სხვანაირად არ ვიცი.

– ნაკრების ახალ მწვრთნელს 6+2 წლიანი სისტემით გაუფორმეს კონტრაქტი. მაშინ, როდესაც წინ მომავალი არჩევნებია და შესაძლოა, ახალი პრეზიდენტი მოვიდეს, რამდენად გონივრულია გრძელვადიანი კონტრაქტის გაფორმება?

– ზოგადად, მნიშვნელობა არ აქვს, ვინ იქნება ფეხბურთის ფედერაციის სათავეში. ცხადაძე ყველასთვის იქნებოდა ერთ-ერთი კანდიდატი, მაგრამ ამ სიტუაციაში, რამდენად სწორად მოხდა, ეროვნული ნაკრების შესარჩევს ვგულისხმობ, ასე გრძელვადიანი კონტრაქტით მწვრთნელის მოყვანა, ამაზე შეიძლება საუბარი. კახა ცხადაძე რომაა მწვრთნელი, არანაირი პრობლემა არ მქვს, მიხარია. იმსახურებს, რომ იყოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი, მაგრამ უფრო მნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო, რა იქნება მომავალი ოთხი წლის განმავლობაში ქართულ ფეხბურთში და უფრო მნიშვნელოვანი იქნებოდა, არჩევნების თარიღზე ემუშავათ და მის ჩატარებაზე, ვიდრე იმაზე, ახალ მწვრთნელს სამწლიან კონტრაქტს გაუფორმებდნენ თუ სხვა ვადით მოიყვანდნენ. ეს ადასტურებს იმას, თუ რამდენად სერიოზულად და პრინციპულად უდგებიან საქმეს და რამდენად მნიშვნელოვანია ქართული ფეხბურთის მომავალი მათთვის. ბევრი გადწყვეტილება, რაც ბოლო პერიოდში იქნა მიღებული, ჩემთვის გაუგებარია და ბევრ კითხვის ნიშანს აჩენს.

– ეროვნული ჩემპიონატის ერთ-ერთმა გუნდმა, ცხინვალის „სპარტაკმა“ სახელი შუა სეზონში შეიცვალა და „ცხინვალი“ გახდა. აკნინებს თუ არა ქართული ფეხბურთის პრესტიჟს კიდევ უფრო მეტად ასეთი ფაქტები და სხვაგან თუ გინახავს ამის პრეცედენტები?

– ყოველ შემთხვევაში, გერმანიში არ მახსოვს მსგავსი რაღაც მომხდარიყო. არ ვიცი, დებულებით თუა ეს შესაძლებელი, მაგრამ ამაზე უფრო მტკივნეული და ყურადღება მისაქცევია ის ფაქტები, რაც ეროვნულ ჩემპიონატში ხდება. მე თუ მკითხავთ, ბევრი ისეთი რამ ხდება, რაც პროფესიონალურთან ახლოსაც კი არ არის. ეს უფრო გულდასაწყვეტი და გულთან მისატანია. დავუბრუნდები იმ საარჩევნო პროგრამას, რომლითაც ისინი 2011 წელს მოვიდნენ. სად არის ფეხბურთელების დაზღვევები, სატელევიზიო პროგრამები, ბავშვთა სკოლების ლიცენზირება უნდა მომხდარიყო, ამის გამო შეიქმნა ბავშვთა ფეხბურთის ასოციაცია, რომელსაც დღეს რა ფუნქცია აქვს, კაცმა არ იცის. უფრო მეტი კითხვაა არასპორტულ, არაპროფესიონალურ მიდგომაზე, ეს ყველაფერი ხდებოდა იმის გამო, რომ წინასაარჩევნო გათვლები იყო, თუ საიდან რა ხმა უნდა მიეღოთ. დამოკიდებულება არაპროფესიონალურია, სპორტული პრინციპები არ დგას ყველაზე მაღლა. ეროვნული ჩემპიონტი არ არის დღეს, სამწუხაროდ, პროფესიონალური, იმ დონეზე, რასაც სტანდარტები მოითხოვს. ანლიზი რომ გავაკეთოთ, ფეხბურთისადმი ნდობა და პატივისცემა დაკარგა დღეს ჩვენს ქვეყანაში ფეხბურომა. ეს არის გულდასაწყვეტი და მტკივნეული.

– როგორი გრძნობაა, როდესაც საზოგადოების რჩეული ხარ და ყველას სურს შენი მოსვლა ფეხბურთის ფედერაციის სათავეში?

– ამ გადაწყვეტილების მიღება ჩემთვის არავის დაუძალებია. ჩემი პირადი განყვეტილება იყო. სულ ვამბობდი, რომ დავრბრუნდებოდი და დავბრუნდები კიდეც, რადგან მაწუხებს და მტკივა, რაც საქართველოში ხდება. აქ კარგად ვარ, მუშაობა კარგია, მაგრამ მაშინაც, როდესაც ფეხბურთს ვთამაშობდი, ვამბობდი, რომ პრიორიტეტი ეროვნული ნაკრები და ქართული ფეხბურთი იყო. თუ მხარდაჭერა მექნება, მარტო არ მინდა და ისე არავინ გაიგოს, რომ მარტო ვინმე რამეს შეცვლის, ყველა, ვინც მონაწილე იქნება პირდაპირ თუ გარედან იქნება ჩართული, ყველა ადამიანისთვის პრიორიტეტი ქართული ფეხბურთი უნდა იყოს. მას პატივს უნდა სცემდნენ, მისი ინტერესებიდან გამომდინარე უნდა ვდგამდეთ ნაბიჯებს. ერთი რაღაც უნდა გაიგოს ყველამ და მინდა ავხსნა, პრინციპულად, თუკი ჩვენს ქვეყანაში ფეხბურთი არ იქნება წარმატებული, ცალკეული მოთამაშე, კლუბი, რომელსაც კარგი პირობები აქვს შექმნილი, წარმატებული ვერ იქნება. ფეხბურთი უნდა იყოს მთავარი, ამ პრინციპით უნდა ვიმუშაოთ ქართული ფეხბურთისთვის. ყველა ადამიანი, ვინც იქნება ჩართული, უნდა აკეთებდეს და ემსახურებოდეს ქართულ ფეხბურთს, არავის პირადი ინტერესი არ უნდა იდგეს მაღლა. სამწუხაროდ, ბოლო წლებში რაც ხდებოდა, ყველგან, სადაც მუშაობდნენ, ჰქონდთ განცდა და სურვილი, რომ მათი ინტერესები დაკმაყოფილებულიყო. ეს დამღუპველია. ყველაფერი როდესაღაც დასრულდება, დაინგრევა, თუ მთლინად წარმატებული არ იქნება სისტემა. მხარდაჭერა და იმედი, რომ მომავალში გვეშველება, ავტომატურად არაფერი გაკეთდება. საჩუქარი და გამართლება არ ხდება, უნდა იმსახურებდე. თუ გააკეთებ რაღაცას, მაშინ იქნები წარმატებული, შემთხვევით არაფერი არ ხდება.

„ფეხბურთისადმი ნდობა და პატივისცემა დაიკარგა დღეს ჩვენს ქვეყანაში“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

სამოქალაქო დაპირისპირების ზღვარზე?

ხათუნა მგალობლიშვილი

სამოქალაქო ომი საქართველოში ერთხელ უკვე მოხდა და მოხდა მაშინ, როცა მთავარმა პოლიტიკურმა მოთამაშეებმა ერთმანეთში ვერ მოილაპარაკეს... გია ჭანტურიას ზვიად გამსახურდიასთან დაპირისპირებას საქართველოს დამოუკიდებლობის იდეა გადაჰყვა. პოლიტიკოსების შეჯახებით ძალიან კარგად ისარგებლეს რუსეთის სპეცსამსახურებმა და გაჩნდა თენგიზ კიტოვანის შეიარაღებული ბანდა. იარაღის ძალით კი პოლიტიკიდან ჯერ ზვიად გამსახურდია გაიყვანეს, შემდეგ კი – გია ჭანტურია. საინტერესოა, რომ საქართველოს პირველი პრეზიდენტი ბუნდოვან გარემოებაში ცეცხლსასროლი იარაღით გარდაცვლილი იპოვეს, პირველი ძლიერი ოპოზიციური პარტიის თავმჯდომარე კი მოგვიანებით საკუთარი სახლის სადარბაზოსთან ჩაცხრილეს. კიტოვანის გარდა, მაშინ საქართველოში სხვა შეიარაღებული დაჯგუფებებიც გამოჩნდნენ.

კიდევ უფრო გვიან საქართველოში უკვე უსისხლო რევოლუცია მოხდა, რომელიც „ვარდების რევოლუციის“ სახელით შევიდა ისტორიაში. აქაც დაპირისპირება მოხდა მაშინ, როცა მთავარმა პოლიტიკურმა მოთამაშე ძალებმა ერთმანეთში საერთო ენა ვერ გამონახეს. რეფორმატორების შევარდნაძის კორუმპირებულ ჩინოვნიკებთან დაპირისპირება ჟვანია-სააკაშვილის გამარჯვებით დასრულდა. მაშინაც დიდი იყო იმის რისკი, რომ შეიარაღებული ჯგუფები გააქტიურდებოდნენ. იყვნენ პოლიტიკოსები, რომლებიც ტერაქტებსა და არეულობებს აანონსებდნენ. მაგალითად, ირინა სარიშვილი, რომელიც ამბობდა, რომ ღამით ჟვანია-სააკაშვილს მოკლავდა...

იგივე საფრთხე არსებობს დღესაც... თუკი პოლიტიკაში მთავარი მოთამაშეები თამაშის წესებზე ვერ შეთანხმდებიან, დიდი შანსია, რუსეთის სპეცსამსახურებმა კვლავაც გამოიწვიონ საქართველოში დესტაბილიზაცია. კოალიცია „ქართული ოცნება“ და „ნაციონალური მოძრაობის“ დაპირისპირება ამ მხრივ გარკვეულ საფრთხეებს შეიცავს.

რა იწვევს პოლიტიკური ძალების კონფლიქტს. არც ზვიად გამსახურდიასა და გია ჭანტურიას შორის ყოფილა პოლიტიკურ ორიენტაციაში განსხვავება, არც შევარდნაძესა და ჟვანია-სააკაშვილს შორის და არც ახლანდელ პოზიცია-ოპოზიციას შორის. თითოეულს დაანონსებული ჰქონდა სწორედ პროდასავლური კურსი. და მაშინ რა მოხდა? ქართული ხასიათი – გავლენებისთვის ბრძოლა თუ უბრალოდ სახელმწიფოს მართვის გამოცდილების უქონლობა და უცოდინრობა? ექსპერტების მოსაზრება აქ იყოფა. ზოგი ქართულ ხასიათს ხედავს, ზოგიც – ხედვებში აცდენას.

ასეა თუ ისე, თუ პირველი გაკვეთილი სისხლიანი იყო, „ვარდების რევოლუციის“ დროს სისხლი არ დაღვრილა, სახელმწიფო სტრუქტურებიც არსებობდნენ და გამოცდილებაც უფრო მეტი გვქონდა. თუმცა, შევარდნაძემ სტაბილიზაციის შენარჩუნებაში დიდი როლი შეასრულა, ის გადადგა და „სახლში“ წავიდა. ისევე როგორც ჟვანიამ, რომელმაც საკუთარი ამბიციები უკანა პლანზე გადაწია. ასე რომ, სისხლი არ დაღვრილა, პოლიტიკურმა პროცესებმა ქუჩაში გადაინაცვლა.

ქუჩაში პროცესების გადატანის საფრთხე ახლაც არსებობს. ილია ჭავჭავაძის საზოგადოების ლიდერი თამარ ჩხეიძე სამოქალაქო ომის დროს აქტიურ პოლიტიკაში იყო. მას კარგად ახსოვს, როგორ იწყებოდა მაშინ დაძაბულობა, შესაბამისად, მისთვის პარალელების გავლებაც იოლია:

– სამოქალაქო დაპირისპირების საფრთხე, რა თქმა უნდა, არსებობს. რუსეთის მიზანი ქვეყნის სათავეში პრორუსული ხელისუფლების მოყვანაა, რომელიც ქართული სახელმწიფოსთვის ზიანის მომტანი იქნება. ამიტომ საფრთხე, რომ გარკვეული ძალების გამოყენების საშუალებით სიტუაცია დაიძაბება, თავისთავად არსებობს.

– შეიძლება იგივე ლევან ვასაძე გამოიყენოს რუსეთმა?

– ასე კონკრეტულად ვერ გეტყვით, ლევან ვასაძეს გამოიყენებენ თუ კიდევ სხვას, თუმცა ვიცი, რომ პრორუსულ განცხადებებს აკეთებს იგივე ვასაძე. მიმაჩნია, რომ, ვასაძის გარდა, სხვებიც არიან რუსული ინტერესების გამტარებლები და კიდევ უფრო მეტად მონდომებულები. მაგალითად, იგივე „პატრიოტთა ალიანსი“, იგივე ნინო ბურჯანაძე, რომელიც ღიად ქადაგებს რუსულ ინტერესებს. დღევანდელ სიტუაციასა და იმ პერიოდს შორის, როდესაც სამოქალაქო დაპირისპირება ღვივდებოდა, ნამდვილად შეინიშნება საერთო ნიშნები, თუნდაც ის, რომ პოლიტიკური ძალები საქართველოში, სამწუხაროდ, მაშინაც რუსეთიდან იმართებოდა და დღესაც იქიდან იმართება. ეს ფაქტორი კი ძალიან დიდ როლს თამაშობს. მაშინაც და ახლაც ერთი და იგივე ხელწერაა და ერთი და იგივე პოლიტტექნოლოგიების გამოყენება ხდება, უბრალოდ, პერსონაჟები იცვლებიან. გამსახურდიასდროინდელ სამოქალაქო დაპირისპირებასა და დღევანდელ ნიშნებს შორის საერთოა, ასევე, ისიც, რომ ქართულ პოლიტიკურ სივრცეს ინტელექტი აკლია.

„რუსეთის მიზანი ქვეყნის სათავეში პრორუსული ხელისუფლების მოყვანაა, რომელიც ქართული სახელმწიფოსთვის ზიანის მომტანი იქნება“

– თუმცა დღეს პრორუსულ ძალებს არც დასაყრდენი აქვთ და არც ისეთი ძლიერები არიან...

– სხვაობა ის არის, რომ მაშინ პრორუსული ძალები ინიღბებოდნენ, რადგან პრორუსულობა ცუდ ტონად ითვლებოდა. დღეს უკვე ღიად გამოხატავენ საკუთარ ინტერესებს და ღიად მოქმედებენ. ადრე რუსული ინტერესების გატარება ბევრად ცუდ ტონად ითვლებოდა, ვიდრე დღეს. პოლიტიკური ნაწილისთვის კი ეს გაშიფრულობა სულაც არ წარმოადგენს კომპრომატს ან უარყოფით მხარეს, ცუდი ის არის, რომ მათში ძალიან დიდია პოსტსაბჭოთა ნოსტალგია. დიდი იმედი მაქვს, რომ არც ისეთი დიდია ეს ნოსტალგია, რომ ასეთმა ძალამ გაიმარჯვოს, თუმცა მიმაჩნია, რომ ასეთ ძალებს უფრო მეტი დასაყრდენი აქვთ, ვიდრე უნდა ჰქონდეთ დღევანდელ რეალობაში.

– რამდენად შესაძლებელია არეულობის დაწყება?

– ბუნებრივია, შესაძლებელია, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ დასავლეთის ფაქტორი საკმაოდ ძლიერი აღმოჩნდება და ხელს შეუშლის, პრორუსულ ძალებს არ მისცემს უფლებას, ანტისახელმწიფოებრივი ნაბიჯების გადადგმა გაბედონ.

„ირა ჩქნე

ხათუნა მგალობლიშვილი

პოლიტიკურმა პროცესებმა შესაძლოა, ქუჩაში გადაინაცვლოს. ვალერი გელბახიანი მიიჩნევს, რომ საფრთხე საკმაოდ რეალურია და ყურადღებას იმ პოლიტიკურ ძალებზე ამახვილებს, ვინც ძალებს იკრებს და შესაძლოა, ქუჩაში შედგეს, როგორც ლიდერი. „ქუჩის აქციები დაიწყება“ – ასეთ დასკვნას დღეს სხვებიც აკეთებენ. ძირითადად პარლამენტსგარეთ დარჩენილი პარტიები. თუმცა, ვადამდელ არჩევნებზე ბოლო დროს საპარლამენტო ოპოზიციაც საუბრობს. არეულობისა და ქაოსის საფრთხეებს ხედავენ, შესაძლებლობას – ვერა.

თუმცა, პოლიტიკურ პროცესებს საქართველოში ყველა თავისებურად ხედავს. ლევან ვასაძის პოლიტიკაში შემოსვლაზე და ახალი ძალების გააქტიურებაზე „პრაიმტაიმს“ ვალერი გელბახიანი ესაუბრა:

– ჯერჯერობით თავად ლევან ვასაძე პოლიტიკაში ჩართვას უარყოფს, მაგრამ მისი საჯარო გამოსვლები და საერთო საქმიანობის მიზანი და დანიშნულება, მჯერა, რომ მაინც პოლიტიკა იქნება. თითქმის არ ვიცნობ ისეთ მაგალითს, როდესაც მაღალი ცნობადობის საზოგადოებრივი პირი საბოლოოდ პოლიტიკაში ჩართვის გადაწყვეტილებას არ იღებდეს, გინდათ ბიძინა ივანიშვილის მაგალითი აიღეთ. არ ყოფილა ფაქტი, როდესაც საჯარო პირი საზოგადოებრივ საქმიანობას, ქველმოქმედებას ეწეოდა და საბოლოოდ არ გაუჩნდა პოლიტიკაში მოსვლის სურვილი. ამიტომ არანაირად არ გამოვრიცხავ, რომ ვასაძე პოლიტიკაში გამოჩნდეს და საკუთარი პრეტენზიები და ამბიციები გამოავლინოს. თუ ადამიანს სურვილი ან მოთხოვნილება აქვს, აქტიურად ჩაერთოს საზოგადოებრივ საქმიანობაში, ბუნებრივია, ამის რეალიზების ყველაზე კარგი საშუალება პოლიტიკაა.

– როგორ ფიქრობთ, ის პრორუსულ ძალებს შემოიკრებს თავის გარშემო?

– მართლმორწმუნე, რელიგიური მორალის კუთხით შეეცდება საკუთარი თავის წარმოჩენას. ანუ არა ორიენტაციის, ან ვექტორების მიხედვით, არამედ სულიერი საწყისის, მორალის მიხედვით. მისთვის მთავარია, რომ ერს სულიერებაში აქვს დეფიციტი და ეს ნამდვილად ასეა. მხოლოდ ეკლესია ვეღარ ახერხებს, შეავსოს ეს დანაკლისი და საჭიროა საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობები, ანუ სახელმწიფო იდეოლოგია. გამომდინარე აქედან, ასანონ-დასანონია, რომელი უფრო ღირებულია პოლიტიკისთვის: სულიერი სამყაროს გაჯანსაღება თუ დასავლეთში პატრონის ძიება. მე რასაც ვუყურებ, არც რუსეთი და არც ამერიკა არ არის ჩვენთვის გამოსავალი, გამოსავალია ერის კონსოლიდაცია. ჩვენ, პრინციპში, ორივე გზა ვცადეთ, ვგულისხმობ რუსეთსა და ამერიკას. იმის თქმა, რომ რომელიღაც ახალი პოლიტიკური ძალა ახალ ვექტორებს აირჩევს და ეს იქნება საქართველოსთვის მნიშვნელოვანი, არასწორი იქნება. პირიქით, ვფიქრობ, ვექტორებით შიდა პრობლემები ვერ მოგვარდება.

– ანუ, როგორც ამბობენ, პროქართული ორიენტაციაა საჭირო და ეს ეგრეთწოდებული პროქართული ორიენტაცია როგორია?

– პროქართულ ორიენტაციას

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

... კლი ალასანია პირველი ...ბა, ვინც ქუჩას მიაკითხავს“

ვალერი გელბახიანი: „ვვარაუდობ, რომ მიმდინარე წელს ყველაზე კარგ ვარიანტში შეიძლება მივიდეთ ვადამდელ არჩევნებამდე, ყველაზე ცუდ ვარიანტში კი – რევოლუციამდე“

„მე სულ სხვა საკითხი მაწუხებს – მივალთ კი საერთოდ არჩევნებამდე? ვფიქრობ, დადგება დრო, როცა საარჩევნო ციკლს ვერ მივაღწევთ“

აქვს ერთადერთი ახსნა – მან უნდა შეასრულოს ერის ორგანიზების, ერის კონსოლიდირების მისია და არა კონფლიქტის გაღვივების, დაპირისპირების როლი.

– ვასაძეში ხედავთ ამ მუხტს?

– ნამდვილად ვერ ვიტყვი, რომ ვასაძე შეასრულებს ამ მისიას, უბრალოდ ის სწორედ ამ პოზიციიდან საუბრობს.

– ანუ მან მომგებიანი პოზიცია აირჩია?

– რა თქმა უნდა, ყველა ადამიანში ნახავ ერთსულოვნებას იმ იდეის ირგვლივ – რომ საზოგადოება განიცდის სულიერი სამყაროს ნაკლებობას, რომ მათში მტრობაა გაღვივებული. დაახლოებით ასეთი მიდგომა აქვს ყველა ადამიანს.

– თუმცა ორიენტაციის საკითხი ლოგიკურად ჩნდება სწორედ ასეთი მიდგომიდან, რადგან, გარყვნილება რომ ამერიკიდან მოდის, სწორედ რუსული მესიჯია, რომელსაც ვასაძეც იმეორებს...

– და ვინ ამბობს, რომ რუსეთში გარყვნილება არ არის? გარყვნილება იქ რომ არის, ისეთი უნდა... ზოგადად, სადაც თავისუფალი საზოგადოება ჩნდება, იქ თავისუფლების იდეებს მოაქვს ბუნებრივი ქცევის თავისუფლება. ეს არ არის ახალი და განსაკუთრებული საკითხი.

– რამდენიმე ექსპერტმა განაცხადა, რომ ხელისუფლებაში ჯერ ვასაძე მოვა და შემდეგ კვლავ „ნაციონალური მოძრაობა“, როგორ ფიქრობთ, რატომ ებმის ერთმანეთს ვასაძე და ნაციონალები?

– მე ამ რგოლს ვერც ერთი ლოგიკით ვერ ვაკავშირებ. როდესაც ამბობენ, ვასაძე ხელისუფლებაში მოვაო, ის ხომ სასნაულმოქმედი არ არის? ხელისუფლებაში მოსვლას სერიოზული მუშაობა სჭირდება და ამის მზაობას ვერც ვასაძეში ვხედავ და, მით უფრო, ვერც საზოგადოებაში. ამიტომ ამის გადაწყვეტით თქმა, რა თქმა უნდა, არასერიოზულია. თუმცა ლევან ვასაძე ხალხში იმ იდეებით თუ გამოვა, რომლითაც ის პოზირებს, ვფიქრობ, საზოგადოებაში მხარდაჭერას მოიპოვებს. ხალხს, ფულის გარდა, რელიგიის პრობლემაც აწუხებს, ამიტომ თუ ვასაძე ამ ფუნქციას პოლიტიკაში შეასრულებს, ის გარკვეულ მხარდაჭერას მოიპოვებს, მაგრამ არა აბსოლუტურს, რადგან ქართველი საზოგადოება გაყოფილია არა მარტო რელიგიური საკითხების, არამედ ორიენტაციის მიხედვითაც. პოლიტიკურად რამდენად მომგებიანია რელიგიური პრობლემების მოგვარების ფუნქციის საკუთარ თავზე აღება, არ ვიცი, მაგრამ ის, რომ ვექტორის საკითხი გადამწყვეტია, ფაქტია. ქართველ საზოგადოებაში არის დიდი ნაწილი, რომელსაც რუსული თემის გაგონება არ უნდა და ეს ნაწილი მხოლოდ დასავლეთზეა ორიენტირებული. შესაბამისად, ასეთ ამომრჩეველზე რელიგიური თემით ვერ მოახდენ ზეგავლენას. თუ არჩევნები თავისუფალი იქნება, ქართველი ხალხი გააკეთებს საკუთარ არჩევანს სურვილის მიხედვით. ვფიქრობ, ჩვენი მიზანიც სწორედ ეს უნდა იყოს – არჩევნები ჩატარდეს სამართლიანად.

– თუ ლევან ვასაძე პოლიტიკაში გადაინაცვლებს, შეიძლება, რომ თქვენ მის გუნდში აღმოჩნდეთ?

– არა მგონია, გამოვრიცხავ.

– ექსპერტებს დათვლილი აქვთ, რომ ნაციონალები დაახლოებით 20-25%-ს აიღებენ, „ქართული ოცნება“ – 45%-ს. როგორ ფიქრობთ, ლევან ვასაძეს გათვლა დანარჩენ ელექტორატზე აქვს გაკეთებული?

– ვფიქრობ, „ქართული ოცნება“ 45%-ს ვეღარ ეღირსება, რადგან თვითმმართველობის არჩევნები საუკეთესო მაჩვენებელი იყო მათთვის. ვფიქრობ, ნაციონალებიც ვერ გაზრდიან პროცენტულობას. სხვა, ახალი ვინც გამოჩნდება, ყოველთვის მიიღებს ხმების გარკვეულ რაოდენობას, იქნება ეს ლევანი თუ პეტრე. თუმცა მე სულ სხვა საკითხი მაწუხებს – მივალთ კი საერთოდ არჩევნებამდე? ვფიქრობ, დადგება დრო, რომ საარჩევნო ციკლს ვერ მივაღწევთ.

– რატომ ფიქრობთ ასე?

– ქვეყანაში ანარქიაა, ბევრი მიმართულებითაა უმართავი პროცესი, საგადასახადო სისტემა ინერციით მუშაობს, პოლიტიკური თვალსაზრისით იგივე უმართავი სიტუაციაა, არაფრის მოდერნიზება არ მოხდა, თითქოს ყველაფერი ისეა შენარჩუნებული, როგორც იყო. პარალელურად არ მოხდა არც საინვესტიციო პრობლემების, არც დასაქმების პრობლემის მოგვარება. ხალხი უკმაყოფილოა. ეს ყველაფერი კი ზრდის დანაშაულის ნიადაგს. აქედან გამომდინარე, ნებისმიერი პოლიტიკური ოპონენტისთვის ეს მისაღები ხდება. მაგალითად, ვაზაგაშვილის შვილის საფლავზე აფეთქებამ მთელი საქართველო შეძრა. ფაქტი იყო ამაზრზენი, თავხედური, ტერორისტული. აქ იკითხება ერთი რამ, რომ მსგავს რამეს სამოქალაქო პირები ვერ გააკეთებდნენ. როდესაც ქვეყანაში დანაშაული ყოველდღიურ მემთხვევად იქცა, ეს ნიშნავს, რომ სახელმწიფომ ფუნქციები დაკარგა. პოლიტიკისთვის კი ეს იმის საფუძველია, რომ ნებისმიერმა პოლიტიკურმა ძალამ შეიძლება აიყოლიოს მოსახლეობა.

– ვადამდელი არჩევნების შემთხვევაში რომელ პარტიას აქვს ყველაზე მეტი შანსი?

– არჩევნებამდე დომინანტულია „ქართული ოცნება“, ამაზე არავინ დაობს, რადგან მას აქვს დიდი რესურსი. ვფიქრობ, ეს საბოლოოდ რიცხვებში 15-20%-ია, დანარჩენი დამოკიდებულია უკვე პოლიტიკური ძალის მუშაობასა და ფინანსურ რესურსზე. სახელისუფლებო ძალა ფულს ვერ დახარჯავს არჩევნებზე, რადგან ეს უარეს შედეგებამდე მიიყვანს. მის ოპონენტებს კი ფინანსური რესურსი არც გააჩნიათ. ვფიქრობ, მზარდი პოლიტიკური ძალაა „პატრიოტთა ალიანსი“, მათ მიტინგი ჩაატარეს, სადაც საკმაოდ ბევრი ხალხი მივიდა, საკუთარი ტელევიზია აქვთ, რომელიც ასევე ძალაა, ყველაფერზე რეაგირებას ახდენენ. ასეთი ძალები, ბუნებრივია, ამომრჩეველს გაიზრდიან...

– ნაციონალებსა და „თავისუფალ დემოკრატებზე“ რას იტყვით?

– ამ ეტაპზე ალასანია არ აქტიურობს, მაგრამ აქტიურობის ყველაზე მეტი ბერკეტი სწორედ მას აქვს, რადგან საპარლამენტო ტრიბუნას ფლობს. როდესაც მიხვდება, რომ უნდა იაქტიუროს, მიუხედავად იმისა, რომ ალასანია ქუჩის პოლიტიკოსი არ არის, ალბათ, ერთ-ერთი პირველი იქნება, ვინც ქუჩას მიაკითხავს. ამომრჩევლისთვის ქუჩაში აქტიურობა ყველაზე მეტადაა მიმზიდველი. ვინც ქუჩაში გასვლას ბედავს, ითვლება, რომ ის ყველაზე გამბედავი და ბრძოლისუნარიანია. ყველაფერი ქუჩისკენ მიდის, როგორც კი გამოზაფხულდება და დათბება, ქუჩის მრავალ აქციას ვნახავთ.

– ვადამდელი არჩევნების მოთხოვნით?

– არ ვიცი, შეიძლება მთავრობის შეცვლა მოითხოვონ, შეიძლება პარლამენტის დათხოვნა, მაგრამ მიზეზი ნამდვილად ექნებათ.

– როდესაც ქუჩის აქციებზე საუბრობთ და ამბობთ, რომ ბურჯანაძე და ალასანია გამოვლენ, შეიძლება ძმები გაჩჩილაძეებიც გამოვიდნენ და სხვა ლიდერები გადაფარონ?

– გაგახსენებთ, ვინც ქუჩაში გამოვიდა, ყველამ მიიღო ხალხის მხარდაჭერა, იგივე 2007 წელს, როდესაც დროშების ფრიალითა და მანქანებით დაიწყეს ქუჩებში სირბილი. ასევე იყო ნაციონალების შემთხვევაშიც, მიუხედავად იმისა, რომ პარლამენტში დეპუტატები ჰყავდათ, მაინც ქუჩით დაიწყეს აქტიურობა. ქუჩა ყველაფრის პარამეტრია. ვვარაუდობ, რომ მიმდინარე წელს ყველაზე კარგ ვარიანტში შეიძლება მივიდეთ ვადამდელ არჩევნებამდე და ყველაზე ცუდ ვარიანტში – რევოლუციამდე.

– გამოკვეთილ ლიდერს ხედავთ?

– ვინც ქუჩას გადაკეტავს, ლიდერადაც ის გამოიკვეთება...

„ყველაფერი ქუჩისკენ მიდის, როგორც კი გამოზაფხულდება და დათბება, ქუჩის მრავალ აქციას ვნახავთ“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

დაგვიანებული სიძე – ლაშა ჯაფარიძემ ქორწილის

ნათია საღარაძე: „მამაჩემი ხუმრობდა, მგონი გადაიფიქრაო“

„ძალიან რთული პერიოდი გვქონდა. ფსიქოლოგიურად ძალიან გვიჭირდა. მე ვაცნობიერებდი, რომ ლაშას ჩვენზე მეტად უჭირდა“

მაგდა კლდიაშვილი

გაზეთი „პრაიმტაიმი“ იწყებს ახალ რუბრიკას – „ფეხბურთელების ცოლები“, რომლის პირველი სტუმარი, გორის „დილას“ ფეხბურთელის მეუღლე, ნათია საღარაძეა. ლაშა ჯაფარიძე და ნათია საღარაძე უკვე 8 წელია ცოლ-ქმარი არიან და სამი შვილი ჰყავთ. უფროსი, რვა წლის, რეზი, მამის კვალზე მიდის და ფეხბურთელობას აპირებს. მათ სახლში, ყველაზე მეტი სათამაშო სწორედ ბურთია. 3 წლის ლიზამ კი გაგვიმხილა, რომ მასაც ფეხბურთელობა სურს. ანდრია მალე ორი წლის გახდება და ისიც, და-ძმის მსგავსად, ბურთით ერთობა. თუმცა, ლიზამდე და ანდრიამდე წყვილმა დიდი ტრაგედია გადაიტანა და ორი შვილი დაკარგა. როგორ გადაიტანა ახალგაზრდა წყვილმა ეს დარტყმა და როგორ მიიღო ნათიამ კიდევ შვილების გაჩენის გადაწყვეტილება – „პრაიმტაიში“ ნათია საღარაძე გიამბობთ.

– ერთმანეთი ჩემი დაქალისგან გავიცანით, რომელიც ლაშას უახლოესი მეგობარიც იყო, შემდეგ უკვე ჩემი მეჯვარე გახდა. სულ ერთად გვიწევდა ყოფნა და ამის გამო ვხვდებოდით ხშირად, იმდენად ხშირად, რომ მეც მიკვირდა. ეს ყველაფერი მეგობრობიდან სიყვარულში გადაიზარდა, 10 წელია ერთად ვართ, აქედან 8 წელი – ცოლ-ქმარი.

– ლაშას გაცნობამდე რა შეხება გქონდა ფეხბურთთან, დადიოდი თამაშებზე?

– კი, ისედაც თამაშებზე ხშირად დავდიოდი, მაგრამ ლაშა რომ გავიცანი, შემდეგ უფრო აქტიურად დავიწყე სიარული და უკვე პირადად მისი გულშემატკივრობა.

– როგორც ვიცი, ლაშამ თქვენი ქორწილის დღესაც არ გამოტოვა გუნდის ვარჯიში. რამდენად რთულია აუწყო ფეხი ფეხბურთელი ქმრის ცხოვრებას?

– რთულია, მაგრამ უკვე ცხოვრების წესია. ქორწილის დღეს, მართლია, წავიდა ვარჯიშზე და ჩემთან დააგვიანა. მამაჩემი მეხუმრებოდა, მგონი გადაიფიქრაო (იცინის). მუდმივად უნდა შეურჩიო საკვები, პირობები უნდა შეუქმნა. მას სიმშვიდე სჭირდება. სახლში რომ მოდის, უნდა დაისვენოს. კვებაც განსაკუთრებული უნდა. ძირითადად, სალათებს ვუკეთებ, ყოველდღიურ რაციონში უნდა ჰქონდეს მოხარშული ხორცი, ქათმის ფილე, ხორცი გარნირით, წიწიბურა, სალათები. კვების რაციონი მრავალფეროვანი სჭირდება და ამას შერჩევა უნდა.

– მოსწონს შენი გაკეთებული საჭმელი?

– თუ გააკეთე, გემრიელს აკეთებო, მაგრამ იშვიათად აკეთებო, (იცინის). ძალიან რთულია სამ ბავშვთან ერთად სამზარეულოში ტრიალი. ძალიან მეხმარება ლაშას დედა, გადაყოლილია ჩვენზე. ასევე დამხმარე, ნანა დეიდა, ყველა ცდილობს, რომ დამეხმაროს.

– რას აკეთებ, ლაშა, როცა სახლში ხარ?

– როცა მე სახლში ვარ, სამ ბავშვს მოვლა სჭირდება. რეზი სკოლაში დადის. ლიზა ბაღში, მაგრამ ძალიან იშვიათად დადის. როდესაც რეზი სკოლიდან მოდის, ფეხბურთზე მიმყავს, სახლში ბავშვების მოვლის გარდა, მათთან ვთამაშობ და მათ ჭკუაზე გადავდივარ. აბა, სამ ბავშვს ისე რა გააჩერებს, უნდა აყვე თამაშში და გაართო (იცინის).

– როგორია შვილების დამოკიდებულება მამის პროფესიისადმი?

– რეზის აფანატებს ფეხბურთზე. მან თავად მიიღო გადაწყვეტილება ფეხბურთზე შესულიყო. მონაწილეობა არ მიგვიღია ამაში. მე ძალიან მინდოდა ცეკვაზე მიმეყვანა, მაგრამ ცოტა არ იყოს, გამიპროტესტა. ტანვარჯიშზეც დავდიოდით, მაგრამ ფეხბურთი მოინდომა, ორივეზე ერთად კი ძალიან რთული იქნებოდა. ამიტომ ფეხბურთზე შევიდა.

– მამის თამაშებს თუ ესწრებიან?

– რეზი ძალიან პატარა იყო, სულ დამყავდა, თუ ამინდის პრობლემა არ იყო. ლიზაც არის ნამყოფი. ანდრია ჯერ პატარაა და არ დასწრებია მამის თამაშს.

– როდესაც ლაშა მოლდოვაში გადავიდა სათამაშოდ, რამდენად ადვილი იყო სამი შვილის მოვლა და მათთვის მამის შეცვლა?

– ძალიან რთული პერიოდი გვქონდა. ფსიქოლოგიურად ძალიან გვიჭირდა. მე ვაცნობიერებდი, რომ ლაშას ჩვენზე მეტად უჭირდა. ბავშვებს ბევრი კითხვა ჰქონდათ, სად არის მამა, როდის მოვა, როდის ჩამოვა თვითმფრინავი. რეზის პატარაობიდან აქვს, როდესაც ლაშა შეკრებზე მიდიოდა, მამის დეფიციტს განიცდიდა, ტიროდა და მამას ითხოვდა. „სკაიპით“ ლაპარაკი უჭირდა, ბავშვებს რომ ხედავდა, გიჟდებოდა, ისე ენატრებოდა, მაგრამ ვცდილობდი ხელი შემეწყო, სისტემატურად ელაპარაკებოდა ბავშვებს. როდესაც მოლდოვაში ჩავიდა პირველად, დარჩენასაც არ აპირებდა, შიშობდა, რომ ვერ გაძლებდა, მაგრამ დავპირდი, რომ ხელს შევუწყობდი. ჩვენ ყველა აქ გვყავდა, თვითონ კი მარტო იყო. ახლაც გორშია, ორკვირიანი შეკრება აქვთ. ისე ყოველდღე უწევს სიარული და საღამოს მოდის. ამ შეკრების გამო, ერთი დღით იყო ჩამოსული რამდენიმე დღის წინ და ყველას მამასთან უნდა დაძინება.

– ფეხბურთი საქართველოში მაღალანაზღაურებადი პროფესია არ არის. ადვილად ინახავთ თავს ლაშას ხელფასით?

– ფაქტობრივად ლაშას ჰონორარით ვინახავთ თავს. იცით, რა პირობებიც არის საქართველ-

„ეგვიპტეში ვიყავით წასულები დასასვენებლად და ბავშვები ლაშას მამას დავუტოვეთ. ის მსოფლიოში ყველაზე მაგარი ძიძაა“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

დღეს ცოლის სახლში ვარჯიშის გამო დაავიანა

„როდესაც რეზი სკოლიდან მოდის, ფეხბურთზე მიმყავს, სახლში ბავშვების მოვლის გარდა, მათთან ვთამაშობ და მათ ჭკუაზე გადავდივარ. აბა, სამ ბავშვს ისე რა გააჩერებს, უნდა აყვე თამაშში და გაართო“

ლოში, მაგრამ ჩვენ სულ გვიმართლებდა და სულ ისე არჩევდა გუნდს, რომ სტაბილურად ვყოფილიყავით, მიუხედავად იმისა, რომ შეიძლებოდა სხვა გუნდში ერჩივნა ყოფნა. ვერ დავინუწუნებ, ვიცი, ზოგს რა სიტუაცია აქვს, მეც ხელს ვუწყობ მას.

– ფეხბურთელების უმეტესობა ცოლს მუშაობას უკრძალავს, ლაშას არ აქვს ამაზე გართულება?

– სხვათა შორის, ლაშა უფრო მონდომებული იყო. მეც არ ვარ ის ტიპი, სახლში ჩავჯდე. მისი ინიციტივით ვისწავლე. როდესაც ჩავაბარე, ლაშა ძალიან დამეხმარა, ბავშვიც დაუტოვებია. ხელს მიწყობდა, რთული დღეები იყო (იცინის).

„ძალიან მძიმე იყო ეს ყველაფერი. ყველა დედისთვის მძიმეა ეს, ლაშასთვის მძიმე იყო, მაგრამ არ მინდოდა ამას ლაშას რეჟიმზე ემოქმედა. როდესაც სულიერად მძიმედ ხარ, ვერაფერს აკეთებ. ვცდილობდი არაფერი შემემჩნია, მაგრამ რეზიმ გადაგვტანინა, ის პატარა იყო და უფლება არ გვქონდა“

– ეჭვიანი ხარ?

– თავიდან მქონდა ეგ მომენტი, მაგრამ დალაგებული გვაქვს ერთმანეთთან ურთიერთობა. ადრე, ლაშას გუნდელის ცოლთან ერთად ვხუმრობდი ხოლმე, როდესაც უკრაინაში მიდიოდნენ შეკრებაზე, რა დღეში იქნებიან-მეთქი, მაგრამ საბაბი არასდროს მოუცია.

– პროფესიიდან გამომდინარე, ალბათ, ბავშვების დაბადებასაც ვერ ესწრებოდა...

– რეზის დაბადება იყო განსაკუთრებით მნიშვნელოვანი. არ იყო დაგეგმილი და უცებ მოხდა. დამაჩქარებელი გამიკეთეს. ლაშა შეკრებიდან ბრუნდებოდა საქართველოში. დამირეკა, ბავშვს სთხოვე, დამელოდოსო. რეზის დაბადების პროცესს ვერ მოუსწრო, მაგრამ იმ ღამეს ჩამოვიდა. იმასაც განვიცდიდი, ჩემ გვერდით რომ არ იყო. ლიზას და ანდრიას დაბადებისას კი აქ იყო.

– თქვენმა ოჯახმა ტრაგედია გადაიტანა, ორი პატარა დაკარგეთ, სანამ ლიზა და ანდრია გაჩნდებოდა, როგორ შეძელით ამ ყველაფრის გადატანა ეს გმირობის ტოლფასია...

– ძალიან მძიმე იყო ეს ყველაფერი. ყველა დედისთვის მძიმეა ეს, ლაშასთვის მძიმე იყო, მაგრამ არ მინდოდა ამას ლაშას რეჟიმზე ემოქმედა. როდესაც სულიერად მძიმედ ხარ, ვერაფერს აკეთებ. ვცდილობდი არაფერი შემემჩნია, მაგრამ რეზიმ გადაგვტანინა, ის პატარა იყო და უფლება არ გვქონდა, სხვაგვარად ვყოფილიყავით. უდიდესი სიხარული იყო ლიზას და ანდრიას დაბადება. ექიმებმა მითხრეს და ამიკრძალეს ბავშვის გაჩენა, მითხრეს, რომ შეიძლება აღარც გეყოლოსო, ერთი გყავს და იკმარეო, მაგრამ მჯეროდა, რომ კიდევ გვეყოლებოდა ბავშვები.

– არ გაგჩენია სურვილი ქმარს უცხოურ შეკრებაზე გაჰყოლოდი?

– სურვილი გამომითქვამს, წამოვალ და რეზის წამოვიყვან-მეთქი, მაგრამ თვითონაც ამბობდა, მაინც არ მეცლება და ვერ გნახავთო. შეკრებაზე იმიტომ მივდივარ, რომ ვივარჯიშო და რეჟიმში ვიყოო. რუსთავის „მეტალურში“ ყოფნისას, როდესაც კობა ჟორჟიკაშვილი იყო მისი მწვრთნელი, მობილურებსაც ათიშინებდნენ. მე იმ პერიოდში გავაჩინე ლიზა, მაგრამ მობილურს მაინც თიშავდა, ძალიან ვნერვიულობდი, არ ვიცოდი, რა დროს დამჭირდებოდა, მაგრამ ის მაინც რთავდა ტელეფონს.

– სამი ბავშვის ხელში, დასვენებას ახერხებთ?

– საღამოობით, მეგობრებთან მივდივართ, ან ჩვენთან მოდიან, ან სადმე მივდივართ. ზაფხულში ბათუმში ვიყავით. ჩემი დები მეხმარებიან, სამსახურის შემდეგ მოდიან და კიდევ, ეგვიპტეში ვიყავით წასულები დასასვენებლად და ბავშვები ლაშას მამას დავუტოვეთ. ის მსოფლიოში ყველაზე მაგარი ძიძაა.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

მარკუს მეტრეველს ახალი „გელფრენდი“ ჰყავს?

„ქმრიან ქალებთან არ მაქვს ურთიერთობა. სხვის უბედურობაზე, საკუთარ ბედნიერებას არასდროს ვაგებ“

„ჟურნალისტი კი არა, გამომძიებელი ხარ, აგენტი“

- თუ არ ვცდები, ლელა ქმარშვილიანი ქალბატონია...

- არა, მე ქმრიან ქალებთან არ მაქვს ურთიერთობა. სხვის უბედურობაზე, საკუთარ ბედნიერებას არასდროს ვაგებ.

- გამოდის ლელა, შენი ბედნიერებაა.

- არ მსურს პირადზე ლაპარაკი.

- ლელას „ფეისბუქში“ ფოტოები ვნახე ბავშვებთან გადაღებული...

- ეს მისი მეგობრის შვილები არიან.

- ერთმანეთი ინტერნეტით გაიცანით?

- არა. დუბაიში გაიგო ჩემი არსებობის შესახებ. ერთ-ერთ კლუბში იყო მიწვეული. იქ უკრავდნენ ჩემს სიმღერას და გაუკვირდა. დიჯეის ჰკითხა, ვინ მღერისო. ქართველიაო, უპასუხეს. დაინტერესდა ჩემი ვინაობით. დამირეკა, მერე „ფეისბუქზე“ მომწერა და ასე გავიცანით ერთმანეთი.

my View

ნინო მჭედლიშვილი

მომღერალ, მარკუს მეტრეველის „ფეისბუქზე“ ახალი ფოტო გაჩნდა, სადაც მარკუსი ჩვენთვის, ჟურნალისტებისთვის უცნობ მანდილოსანთან ერთადაა აღბეჭდილი. ჩვენ ამ ქალბატონის ვინაობით დავინტერესდით და მომღერალს დავურეკეთ.

- მარკუს, ვინ არის ლელა მიქელაძე?

- (იცინის) ლელა მიქელაძე არის ჩემი მეგობარი.

- მხოლოდ მეგობარი?

- მხოლოდ.

- გამორიცხულია. მას „ფეისბუქის“ საკუთარ გვერდზე შენი სიმღერა აქვს გაზიარებული და აწერია, რომ მისი სიცოცხლე ხარ.

- მისი სიცოცხლე ვარ, ალბათ.

- ალბათ? ეს ზუსტად უნდა იცოდე, თქვენ 18 თებერვალს ერთად იყავით ერთ-ერთ კაფეში.

- (ხარხარებს) შენ ჟურნალისტი კი არა, გამომძიებელი ხარ, აგენტი.

- მადლობა შეფასებისთვის, მაგრამ მე პასუხები მჭირდება. ვინ არის ლელა მიქელაძე?

- ლელა არის ბიზნესლედი, საქართველოში არ ცხოვრობს, დუბაიში მოღვაწეობს. მისი საქმიანობა მოდას უკავშირდება. ახლა საქართველოში ჩამოვიდა დასასვენებლად და მინახულა.



რა კავშირ

my View

ნინო მჭედლიშვილი

ამჯერად ასტროლოგს, დავით ბუტიკაშვილს ია ფარულავას ასტროლოგიური დახასიათება ვთხოვეთ. ყველა დროის სკანდალური ქალბატონი საზოგადოების ყურადღების ცენტრში ხშირად ექცევა. უთვლიან ქმრებს, საყვარელ მამაკაცებს, კილოგრამებს, ახალ კაბებს. ერთი სიტყვით, სალაპარაკო თემა მის გარშემო არ ილევა.

როგორც უკვე იცით, ბატონ დავითს ჩვენ მხოლოდ რესპონდენტის დაბადების წელს, თვეს, რიცხვს, საათსა და სქესს ვეუბნებით. ასტროლოგმა რესპონდენტის დახასიათების მომენტში მისი ვინაობა არ იცის. ამდენად ორმაგად საინტერესო ხდება მისი გამოთვლები და კომენტარები ამა თუ იმ ცნობილი სახის მისამართით. თუმცა, მანამდე ჩვენი წინა რესპონდენტის, კესარია აბრამიძის შეფასებას გთავაზობთ, რომელიც, როგორც თავად ამბობს, ბატონი დავითის გამჭრიახობამ შოკში ჩააგდო.

კესარია: „საქვეყნოდ მომჭერით თავი, ფაქტობრივად რენდგენზე შემაერთეთ“

კესარია აბრამიძე:

- შოკირებული ვარ ბატონი დავითის ინტერვიუთი. რომ ვკითხულობდი, ასე მეგონა, მაგარ მკითხავთან, წინასწარმეტყველთან ვიყავი. საქვეყნოდ მომჭერით თავი (იცინის), ფაქტობრივად რენდგენზე შემაერთეთ. ასტროლოგიით ყოველთვის ვინტერესდებოდი, მაგრამ ასე თუ შეიძლებოდა ადამიანის ცხოვრების დეტალების გამოკვლევა, ვერც წარმოვიდგენდი.

- ყველაზე მეტად რამ გაგაოცა?

- ზუსტად დამახასიათა, ჩემი ხასიათი გამოიცნო. დახვეწილი მანერებით რომ ადამიანების მონუსხვა შემიძლია, მაგაში ხომ ორი აზრი არ არის. ყველაფერმა გამაოცა, ხატვასთან, დიზაინთან, ხელოვნებასთან რომ მაქვს სიახლოვე. ზუსტად გადმოსცა ჩემი შინაგანი სამყარო.

- სქესის გამო პრობლემები აქვსო, ესეც თქვა.

- ჰო (იცინის), ამან შოკში ჩამაგდო.

- საქართველოში დიდი მომავალი არ გიწინასწარმეტყველა.

- ამ ქვეყანაში ვის აქვს დიდი მომავალი (იცინის).

- ხომ არ აპირებ წასვლას?

- ტურისტულად ხშირად მივდივარ, მაგრამ დიდი ხნით ვერსად ვერ ვჩერდები. სულ მენატრება ჩემი საქართველო, აქაური ჭორიკნებიც კი მენატრება. მაინც სადღაც ქართველი ვარ, ტრადიციული ქალი ვარ.

- მიუხედავად ყველაფრისა?

- მიუხედავად ყველაფრისა, მაინც ჩოხოსანი ქალი ვარ.

- ბრიჯიდ ბარდოსთან გქონია კავშირი...

- ჰო, ამისთანა მსახიობს რომ შემადარა, ძალიან მესიამოვნა. რატომაც არა, ულამაზესი ქალია და უნიჭიერესი მსახიობი. ნეტავ პირადი ცხოვრება აწყობილი ჰქონდა (იცინის)? ღმერთმა ქნას, მისი დონის მსახიობი გავხდე, მეტი არ მინდა.

- პოლიტიკაში წასვლას არ გირჩევს ბატონი დავითი. ხომ არ აპირებდი?

- ცხოვრება სიურპრიზებით სავსეა, რა ვიცი, არაფერია გამორიცხული. ცოტა დავბრძენდე, 35 წლის შემდეგ, ალბათ, უფრო მოვიხდენ.

- მაინც რომელ უწყებაში ან სამინისტროში წარმოგიდგენია საკუთარი თავი?

- ჯანდაცვა, კულტურა... ან სოციალურად დაუცველების კუთხით წავალ, სიამოვნებით დავეხმარებოდი ბევრ გაჭირვებულ ადამიანს.

დავით ბუტიკაშვილი:

- იუპიტერი, წარმატებების მომტანი პლანეტა, მის ჰოროსკოპში იმყოფება კირჩხიბის ზოდიაქოში, ეს ფაქტი მიუთითებს იმას, რომ ბავშვობიდან ხვდება ისეთ გარემოებებში, რაც მისთვის პროფეისულ არჩევანს განაპირობებს, აქ შესაძლოა გარკვეულწილად მშობლების დამსახურებაც იყოს.

ვენერა თევზების ზოდიაქოში მიუთითებს, რომ საქმიანობით ის დაკავშირებულია ხელოვნებასთან.

„უნდა მოერიდოს ტკივილის მიყენებას, ვინმესთან ბრძოლას, ნარმატებების გზაზე სხვა ადამიანების თავებზე გადავლას“

მერკურის ტრიგონი მარსთან მიუთითებს, რომ ეს შეიძლება იყოს სასცენო ხელოვნება, კერძოდ მსახიობის ან რეჟისორის ან დრამატურგის პროფესია, თუმცა ეს ასპექტი არ გამორიცხავს საქმიანობას საინფორმაციო სფეროში ან იურისპრუდენციის (კერძოდ ადვოკატურის სფეროში), იმიტომ, რომ მერკური მერწყულში განაგებს რადიოს და ტელევიზიას. საქმე

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ი აქვს ი ა ფარულავას ლენინთან

„ვენერა თევზებში მის ჰოროსკოპში მიუთითებს, რომ შესაძლოა ადგილი ჰქონდეს რამდენიმე დაოჯახებას“

EXCLUSIVE

იმაშია რომ მერკურის ასეთი პოზიცია პირად ჰოროსკოპში მიუთითებს, რომ როდესაც ეს ადამიანი საუბრობს, ძლიერ ფსიქოლოგიურ გავლენას ახდენს გარშემომყოფებზე. ეს გამოწვეულია იმით, რომ მას აქვს უნარი საუბრისას საკუთარი ემოციები გადასცეს მსმენელს და ამ ემციის გავლენის ქვეშ მოახვედროს ის.

მთვარე მის ჰოროსკოპში იმყოფება მშვილდოსნის ზოდიაქოში, ეს ფაქტი მიუთითებს რომ შესაძლოა უყვარდეს რჩევების მიცემა ადამიანებისთვის და ხშირად ეს რჩევები სწორია, იმიტომ, რომ ნაკარნახევია ინტუიციით.

ძლიერ ინტუიციაზე მიუთითებს მის ჰოროსკოპში სამკუთხედი სატურნს, ნეპტუნსა და იუპიტერს შორის.

- როგორ გგონიათ, საქართველოდან შორს ყოფნა მისთვის მომგებიანია?

- მთვარის ასეთი პოზიცია პირად ჰოროსკოპში მიუთითებს აგრეთვე, რომ შესაძლოა ხანგრძლივი ცხოვრება მოუწიოს უცხოეთში. ეს უკავშირდებოდა სწავლას ან საქმიანობას. მაგრამ რეტროგრადული იუპიტერი კირჩხიბში მიუთითებს, რომ შეექმნა ისეთი გარემოებები, რომლებმაც ის აიძულეს სამშობლოში დაბრუნებულიყო. უცხოეთში ცხოვრება მისთვის ადვილი არ არის. ამაზე მის ჰოროსკოპში მიუთითებს მთვარისა და სატურნის კვადრატული ასპექტი ანუ იქ მას უწევს უფრო მეტი სიძნელეების დაძლევა ვიდრე სამშობლოში.

- ზოდიაქოს რომელ ნიშნებს მოაქვთ დადებითი ენერგეტიკა მის ცხოვრებაში?

- სელენა მის ჰოროსკოპში იმყოფება თევზების ზოდიაქოში. ეს ფაქტი მიუთითებს, რომ მის ცხოვრებაში ხშირად ჩნდებიან ადამიანები, რომელთა მხრიდან მოსული დახმარება და ხელშეწყობა მას ისეთ სივრცეში ახვედრებს, სადაც შეუძლია კარგი ფინანსური შემოსავლები მიიღოს.

ყველაზე დადებით როლს მის ცხოვრებაში ხშირად ითამაშებენ ადამიანები, რომლებიც დაბადებულნი არიან თევზების, კირჩხიბის და მორიელის ზოდიაქოს ნიშნით. არა აქვს მნიშვნელობა რა ურთიერთობები აკავშირებს მას ამ ადამიანებთან, მაგრამ სასურველია გაითვალისწინოს, რომ ამ ადამიანების ლოგიკა ხშირად დაემთხვევა მისი წარმატებების გზას.

- რომელი ზოდიაქოს ნიშნები უქმნიან პრობლემებს?

- პრობლემები მოსალოდნელია გამოიწვიონ ადამიანებმა, რომლებიც დაბადებულნი არიან: ვერძის, თხის რქის და სასწორის ზოდიაქოს ნიშნით. აუცილებელი არ არის, ეს ადამიანები მაინცდამაინც მისი მტრები ან არაკეთილმოსურნეები იყვნენ, უბრალოდ, უნდა გაითვალისწინოს რომ, ამ ადამიანების ლოგიკა ხშირად ეწინააღმდეგება მისი წარმატებების გზას, მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა მისთვის კარგი სურდეთ.

- რაც შეეხება ოჯახს, ოჯახურ ურთიერთობებს?

- ვენერა თევზებში მის ჰოროსკოპში მიუთითებს, რომ შესაძლოა ადგილი ჰქონდეს რამდენიმე დაოჯახებას, იმიტომ რომ თევზების ზოდიაქო მიეკუთვნება ცვლად ზოდიაქოს ნიშნებს. ის ფაქტი, რომ მისი ჰოროსკოპის მე-7 სახლი (ეს სახლი განაგებს დაოჯახებას და ოჯახურ ურთიერთობებს) მოხვდა ლომის ზოდიაქოში, მიუთითებს, რომ ასეთი ადამიანის დაოჯახება და ოჯახური ურთიერთობები საზოგადოების ყურადღების ცენტრში ხვდება. მარსი სასწორის ზოდიაქოში მიუთითებს მიდრეკილებაზე დავისადმი და კონფლიქტებისადმი ოჯახურ ცხოვრებაში, თუმცა ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელი ზოდიაქოს ნიშნით არის დაბადებული მისი მეუღლე.

- რომელ ზოდიაქოს ნიშანთან იპოვის ბედნიერებას?

- მისთვის საუკეთესო დაოჯახების თვალსაზრისით არის თევზების, კირჩხიბის ან მორიელის ზოდიაქოს ნიშნით დაბადებული პიროვნება. განსაკუთრებით თევზები, იმიტომ, რომ როგორც მისი ჰოროსკოპიდან ჩანს, თევზების ზოდიაქოს ნიშნით დაბადებული მამაკაცი, მის ცხოვრებაში, მეტად მნიშვნელოვან როლს თამაშობს, არ ვიცი ეს შესაძლოა იყოს მეუღლე ან მშობელი, რომელიც მასზე დიდ მზრუნველობას გამოავლენს. პრობლემური იქნება ურთიერთობა სასწორის, თხის რქის ან ვერძის ზოდიაქოს ნიშნით დაბადებულ მამაკაცთან, თუმცა სასწორებმა და ვერძებმა შეიძლება თავიდან ის ძალიან მოხიბლონ. სიახლეები, რომლებსაც მის ცხოვრებაში ადგილი აქვს, 2014 წლის 17 ივლისიდან 2015 წლის 12 აგვისტომდე პერიოდში, მოსალოდნელია დადებითად აისხოს პირადი ოჯახის მოწყობასთან და ოჯახურ ურთიერთობებთან დაკავშირებულ სფეროზე... აღმავალი კარმული კვანძი კუროს ზოდიაქოში მიუთითებს, რომ კარმულად მისთვის არ შეიძლება ფინანსურად და მატერიალურად ოჯახის ნევრების კმაყოფაზე ყოფნა. ის ყოველთვის უნდა ეცადოს საკუთარი შრომით გამოიმუშაოს ფინანსური სახსრები...

რაც შეეხება ბიზნესს. იუპიტერი კირჩხიბის ზოდიაქოში მიუთითებს, რომ საკმაოდ წარმატებული ბიზნესი შეიძლება მან ააგოს საკუთარი უძრავი ქონების ბაზაზე, ან ისეთი უძრავი ქონება შეიძინოს, საიდანაც კარგ შემოსავლებს მიიღებს.

- მის ხასიათზე და თვისებებზე რას მეტყვით? მკაცრია?

- შავი მთვარე ვერძის ზოდიაქოში (შავი მთვარის ასეთი პოზიცია პირად ჰოროსკოპში ჰქონდა ლენინს და მაჰათმა განდის) მიუთითებს, რომ კარმულად ის ყოველთვის უნდა მოერიდოს ვინმესთვის რაიმე ტკივილის მიყენებას, ვინმესთან ბრძოლას, წარმატებების გზაზე სხვა ადამიანების თავებზე გადავლას, იმიტომ, რომ სხვა ადამიანებისთვის დაუმსახურებლად მიყენებული დარტყმების სანაცვლოდ, მოსალოდნელია ორჯერ უფრო ძლიერი საპასუხო კარმული დარტყმები მიიღოს. აგრეთვე ნებისმიერი აჩქარება და იმპულსურობა ხშირად მისთვის პრობლემების მომტანი იქნება. ის ცხოვრების იმ ტემპზე უნდა იყოს აქცენირებული, როგორსაც თავად გარემოებები სთავაზობს. რადგან იუპიტერი რეტროგრადულია. ეს მიუთითებს იმაზე, რომ მთავარია ასეთი ადამიანი ჩამოყალიბდეს საკუთარ მიზნებში, რისი მიღწევა სურს და შემდგომ ამ მიზნების რეალიზაციისაკენ მოძრაობა დაიწყოს საკუთარ თავზე მუშაობით, იმ აუცილებელი ინფორმაციის ან ცოდნის მოპოვებით, რომლებიც მას ამ მიზნების რეალიზაციისათვის სჭირდება და იმ თვისებების გამომუშავებით საკუთარ თავში, რომლებიც ასევე ამ მიზნების განსახორციელებლად არის საჭირო. და როდესაც ამ მხრივ გარკვეული სამუშაო ჩატარებული ექნება საკუთარ თავზე, გარემოებები მას თავად შესთავაზებს ამ მიზნების განხორციელების საუკეთესო შესაძლებლობებს. ანუ ასეთ ადამიანთან მიზნების განხორციელების შესაძლებლობები მოდის მაშინ, როდესაც ის ამისთვის უკვე მზად არის... თუ რაიმე სიახლეებს ჰქონდა ადგილი 2013 წლის მეორე ნახევრიდან 2014 წლის 17 ივლისამდე, მოსალოდნელია, რომ ამ სიახლეებმა მომავალშიც კარგი შედეგები მოუტანოს.

- როგორი იქნება 2015 წელი მისთვის?

- მიმდინარე 2015 წელი 12 აგვისტომდე პერიოდში მოსული შესაძლებლობები მას ნებისმიერი ურთიერთობების ისეთ ჰარმონიზაციაში შეუწყობს ხელს, როგორც თავად სურს. გარემოებები ხშირად ხელს შეუწყობს ნებისმიერის ისეთი სადავო საკითხების მოგვარებაში, რომელთა მოგვარება მანამდე მისთვის ძნელი იყო. სიახლეები, რომლებიც მასთან მოვა 12 აგვისტოს შემდგომ პერიოდში, მას ცხოვრებაზე უკეთესად მორგებაში შეუწყობს ხელს. მოსალოდნელია ისეთ სიახლეებსაც ჰქონდეს ადგილი, რომლებიც დადებით გავლენას მოახდენს ფინანსური ინვესტიციების მოზიდვაზე ან ფინანსური პრობლემების მოგვარებაზე.

ამ პერიოდში მოსული შესაძლებლობები ხშირად ისეთი პრობლემების მოგვარებაზე მოახდენს დადებით გავლენას, რომელთა მოგვარება მანამდე მისთვის ძნელი იყო. აგრეთვე მოსალოდნელია ხშირად ისეთი დახმარება და ხელშეწყობა მოვიდეს მასთან, რომელიც წარმატებების ახალ სივრცეში მოახვედრებს. ამ პერიოდში ორიგინალური იდეების განხორციელების საშუალება ექნება.

„ასეთი ადამიანის დაოჯახება და ოჯახური ურთიერთობები საზოგადოების ყურადღების ცენტრში ხვდება“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ექსკლუზიური ამბები სოფო ბედი

my View
ნინო მჭედლიშვილი

22 იანვარს მომღერალმა სოფო ბედიამ და მიშა მესხმა ჯვარი დაიწერეს. „პრაიმტაიმს“ ჰქონდა საშუალება მათი ჯვრისწერა „სამებაში“ და ქორწილი „მონოპოლში“ გადაეღო.

ჯვრისწერას მხოლოდ მეჯვარეები, სოფოს ძმა ბორისი და წყვილის რამდენიმე მეგობარი ესწრებოდა.

დარბაზში მოწვეულ სტუმრებს შორის იმდენი მომღერალი იყო, სცენასთან რიგი იდგა. წყვილის ქორწილი გაალამაზეს ანსამბლებმა: „ფორტემ“, „თეატრალურმა კვარტეტმა“, „ქუჩის მუსიკოსებმა“, „ქუჩის ბიჭებმა“, „ალილომ“. სოლო სიმღერები შეასრულეს, ტატო გოდერძიშვილმა, ლაშა ღლონტმა, გელა გნოლიძემ, გიორგი წერეთელმა. დუეტში იმღერა სოფომ ძმასთან, ბორის ბედიასთან ერთად.

ულამაზეს მეუღლესთან ერთად მოვიდა მუსიკოსი გია ბაღაშვილი. საპატიო სტუმრებს შორის იყვნენ: სოზარ სუბარი მეუღლითურთ, მამუკა ლომაშვილი, ნანა ცინცაძე, ლელა ნინუა, პაატა თედიაშვილი, დათო როსტომაშვილი. ამ უკანასკნელის „მკერდის ცეკვამ“ ისე გაამხიარულა მაია ასათიანი, მთელი საღამოს განმავლობაში სთხოვდა, კიდევ იცეკვე, ვიდეო მინდა გადავიღოო. თამადის მოადგილე გახლდათ მომღერალი და ახლა უკვე მოცეკვავეც, ზურა მანჯავიძე. თვალი გოგა ხაინდრავასაც მოვკარი.

ბედნიერმა წყვილმა სტუმრებისთვის „დაისი“ შეასრულა. იცეკვეს „აჭარულიც“ და „რუმბაც“. პატარძალმა ცეკვისთვის „რუმბა“ კაბა გამოიცვალა. სანამ სტუმრები ერთობოდნენ, რამდენიმე მათგანს საშუალება მივეცით „პრაიმტაიმის“ საშუალებით სოფოსთვის და მიშასთვის ბედნიერება მიელოცათ.



მაია ასათიანი:

- სოფოსა და მიშას სიყვარულის თითქმის ყველა ეტაპი ჩვენ ავსახეთ „პროფილში“. ამიტომ ძალიან მიხარია, რომ დღეს აქ, ამ საოცარ ამბავს ვესწრები. ოღონდ მარტო არ ვარ, მთელი „პროფილი“ აქ ვართ.

ზურა მანჯავიძე:

- ორივე ძალიან ახლობელი ადამიანია ჩემთვის, სოფო, როგორც კოლეგა, მიშა, როგორც თანამებრძოლი. ძალიან გამიხარდა მათი სიყვარულის ამბავი. სულითა და გულით ვუსურვებ ბედნიერებას.

- თამადის მოადგილეობისთვის როგორ მოემზადე?

- პირველ რიგში ფსიქოლოგიურად მოვემზადე, ფიზიკურად ჯერჯერობით არ მიჭირს (იცინის). დღეს ცეკვა-სიმღერით ვარ მოსული.

ნუცა ჯანელიძე:

- პირველად რომ ვნახე სოფო, ვუთხარი, შიგნიდან ანათებ ბედნიერებას-მეთქი, მაშინ არ ვიცოდი შეყვარებული თუ იყო. ვიგრძენი, რომ უყვარდა. მიხარა- ია, რომ მისი სიყვარული ქორწილით გადვირგვინდა. მინდა სულ ასეთი ბედნიერი იყოს მთელი ცხოვრება.

თამთა ყუბანეიშვილი (სოზარ სუბარის მეუღლე):

- მიშას ჯერ კიდევ იმ დროიდან ვიცნობთ, როცა სახალხო დარბევები იყო და მიშა ერ-ერთი აქტივისტი გახლდათ. სოზარი მაშინ სახალხო დამცველი იყო და ბევრჯერ გადაურჩენია მიშა. იმ დროიდან მოყოლებული ვახლობლობთ. ამდენად, როცა მივიღეთ მიპატიჟება, სიამოვნებით დავთანხმდით. ნამდვილ ქართულ, ღირსეულ ოჯახს ჩაეყარა დღეს საფუძველი. ვულოცავთ ბედნიერებას, ვუსურვებთ სიხარულს, მრავალშვილიანობას. მინდა ყოველთვის ღიმილი ჰქონდეთ სახეზე.

„თეზერვალში ამერიკაში წავალთ. კონცერტი მაქვს და თან თაფლობის თვესაც მოვიწყობთ“

გია ბაღაშვილი:

- სულითა და გულით ვულოცავ ბედნიერებას. იმდენად თბილები არიან და იმხელა ნიჭი აქვთ სიხარული გაუზიარონ სხვას, ნამდვილად იმსახურებენ იმ დიდ სიხარულსა და ჟრიამულს, რაც დღეს მათ ქორწილში ტრიალებს. შებერებოდნენ ერთმანეთს, მათი თანამდევი სიყვარული ყოფილიყოს. ვუსურვებ შვილთა სიმრავლესა და ყველაფერს საუკეთესოს.

მიშა მესხი:

- მიშა, საოცარი ქორეოგრაფიული მონაცემები გამოავლინე, იმეცადინე, ალბათ, ამ დღისთვის...

- ქართულ ცეკვაში არ მივარჯიშია. გუშინ მაცეკვა ჩემმა მეგობარმა გოჩა დაუშვილმა. ამაზე ვნერვიულობდი ყველაზე მეტად, მეშინოდა, რომ არ გამომივიდოდა, მაგრამ გავართვი თავი. ძალიან მიყვარს ქართული ცეკვა, მაგრამ, ჩემი საქმიანობიდან გამომდინარე, არასდროს მქონდა საშუალება, დამეხვეწა. მხოლოდ სხვისი ყურებით ვტკბებოდი აქამდე.

- ვიცი, რომ სოფომ აგამღერა კიდეც.

- არა, გამორიცხულია მიშა მესხმა სცენაზე იმღეროს. ჩვენი, ქართველების უბედურება სწორედ ეს არის, გვინდა ვაკეთოთ ის, რაც ჩვენ გვინდა და არა ის, რაც გამოგვდის. ამიტომაც მინდა გითხრათ, რომ, სამწუხაროდ, სიმღერისგან ძალიან შორს ვარ, მიუხედავად იმისა, რომ ჩემი მეუღლეა სოფო ბედია. თუმცა, გასართობ შოუებში ერთჯერადად თუ ვიმღერებ ამით არაფერი დაშავდება.

- ესე იგი დღეს სოფო ბედიას გვერდზე ვერ დაუდგები?

- სოფო ბედიას მთელი ცხოვრება გვერდით დავუდგები, მაგრამ არა დუეტში (იცინის).

- საქორწინო მოგზაურობა ხომ არ დაგიგეგმავთ?

- სამწუხაროდ ამის საშუალებას ჩემი სამსახური არ მაძლევს.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ასა და მიშა მესხის ქორწილიდან

„სოფო ბედიას მთელი ცხოვრება გვერდით დავუდგები, მაგრამ არა დუეტში“

EXCLUSIVE

- რას საქმიანობთ?

- ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროში ვმუშაობ, მონიტორინგის სამსახურში. ასე რომ, რამდენიმე თვე ამის გადადება მოგვიწევს.

სოფო ბედია:

- სოფო ეს პირველი თეთრი კაბაა შენთვის?

- კი, ასე გრანდიოზულად პირველია.

- აქამდეც ერთად ცხოვრობდით შენ და მიშა თუ დღეიდან დაიწყებთ ერთ ჭერქვეშ ცხოვრებას?

- დღეიდან.

- მიშასთან გადადიხარ თუ ცალკე მოიწყვეთ ბუდე?

- მიშას სახლში ახლა რემონტია, ამიტომ დროებით ჩემთან ვიცხოვრებთ.

- საქორწინო მოგზაურობას გეგმავთ, გავიგე.

- სავარაუდოდ თებერვალში ამერიკაში წავალთ. კონცერტი მაქვს და თან თაფლობის თვესაც მოვიწყობთ.

- ლამაზი ცეკვა იყო, იმეცადინეთ?

- ორი გაკვეთილი გვქონდა



„მიშას სახლში ახლა რემონტია, ამიტომ დროებით ჩემთან ვიცხოვრებთ“

სულ, ქართულიც და რუმბაშიც. ნიჭიერი მყავს (იღიმება).

- მაგრამ შენთან ერთად სიმღერაზე უარს ამბობს...

- ვინ თქვა?! რას ლაპარაკობ, ამბიციები გაუჩნდა უკვე, ვიმღერით, ვიმღეროთო, სულ მეუბნება (იცინის).

- მითხარი ყველაზე გამორჩეული საჩუქარი, რაც დღეს მიიღე...

- ბედნიერება, ღვთის წინაშე უკვე ცოლ-ქმარი ვართ. ამაზე დიდი ბედნიერება და საჩუქარი არ არსებობს.

- ძალიან ლამაზი კაბა გაცვია, ვისი ნახელავია?

- ეს „მარიონელას“ კაბაა. თამუნა ზაუტაშვილის აქსესუარები და სამკაულები მამშვენებს.

ქორწილის ბოლოს ნეფე-დედოფალმა საქორწინო ტორტი გაჭრა.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ავთანდილ დავითაძ

my View
თამარ გონგაძე

იმდენი ვიძახე ეს ჩემი რუბრიკა „მეორე ნახევარი“ აპოლიტიკური და „სემიჩკასავით“ საკითხავია-მეთქი, გამონაკლისის დაშვება მომიხდა. ავთანდილ დავითაძის მეუღლის ინტერვიუ პოლიტიკური პასაჟების გარეშე არაფრით გამოვიდოდა. 53 წლის პოლიტიკოსის ცხოვრება იმდენად მრავალფეროვანია, ერთ რუბრიკაში მისი მოქცევა, ალბათ, შეუძლებელიც არის. მუდმივად თანამდებობაზე მყოფმა ის მოახერხო, რომ პიროვნულად არ შეიცვალო და ბოლომდე ღირსეული დარჩე, ქებისა და აპლოდისმენტების ღირსია. მით უმეტეს მაშინ, როდესაც ეს სამი ერთმანეთისგან განსხვავებული ხელისუფლების დროს ხდება. ეს კი 25 წელიწადში განფენილ პერიოდს მოიცავს. 90-იან წლებში მისი სახელი ჯერ თავდაცვის სამინისტროს ჩამოყალიბებასთან, შემდგომ კი მინისტრის მოადგილეობასთან ასოცირდება. ის მთავარი სამხედრო საბიუჯეტო-სახაზინო სამმართველოს უფროსი გახლდათ. ამ ყველაფერზე შესანიშნავად გვიამბობს ბატონი ავთანდილის მეუღლე. ამჟამად კი პოლიტიკოსს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - ეროვნული ფორუმის“ ფრაქციის თავმჯდომარის ადგილი უჭირავს. გახლავთ საკრებულოს სარევიზიო კომისიის და ქონებისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრი. მაშ ასე, „მეორე ნახევრის“ რესპონდენტი - ირმა დავითაძე თავის ცხოვრებაზე გვიამბობს.

„ავთო არ არის ის პიროვნება თანამდებობას შეეცვალა. ზევიდან არავისთვის შეუხედავს. 24 წლიდან სულ თანამდებობებზეა, წარმატებული იყო. მაგრამ ამას არასდროს გაურყვნია. ძალიან უბრალოა. ზოგჯერ ვეუბნები - მდგომარეობა შეიფერე-მეთქი“

30 წელი ერთად - გამართლება

ამ მომხიბვლელმა ქალბატონმა თავი ოჯახს მიუძღვნა და არ ვნანობო, ამბობს. პროფესიით ეკონომისტია. ამჟამად თავისი მცირე ბიზნესი აქვს.

ეს წყვილი ერთმანეთს ირმას ბიძაშვილმა სამტრედიაში გააცნო. ბათუმელი 24 წლის ავთანდილი 17 წლის ირმამ მაშინვე დაატყვევა. ეს იყო ერთი ნახვით შეყვარება. სულ სამჯერ ჰყავდა ნანახი, რომ მისი მოტაცება გადაწყვიტა.

ირმა დავითაძე: თავიდან გული არ მიმივიდა და რომ გავიგე, მოვწონდი და ჩემზე ნათქვამი ჰქონდა, ეს გოგონა ჩემი ცოლი უნდა გახდესო, მეცინებოდა. ჩემი ბიძაშვილისგან ვიცოდი, რომ განათლებული, წარმატებული, უკვე შემდგარი, კარგი პიროვნება იყო. იაროსლავში სამხედრო-საფინანსო ეკონომიკური სასწავლებლის დასრულების შემდეგ ბუდაპეშტში საფინანსო სამსახურის უფროსად მუშაობდა. მოკლედ, მომიტაცა... დედას ავთო ისე მოსწონდა, ეჭვი მაქვს ხელი შეუწყო კიდეც. ჩემი პროტესტის მიუხედავად ფანტასტიკური ოჯახი შეიქმნა. ავთო არაჩვეულებრივი პიროვნებაა, ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ თავი შეეყვარებინა. ისეთი ფორმით მჩუქნიდა საჩუქრებს და ისეთი ფორმით მიკეთებდა სიურპრიზებს, რომ არ შეიძლებოდა, არ შემყვარებოდა. დაფასებას იმსახურებდა. დადებითი პიროვნებაა. შეუძლებელი იყო ამდენი ზრუნვის და სიყვარულის უგულებელყოფა. მე ის მალევე შემიყვარდა. აგერ უკვე 30 წელია ერთად ვცხოვრობთ. ეს, ალბათ, გამართლებაა, კარგად გავუგეთ ერთმანეთს.

ბუდაპეშტში

„ქორწინების შემდეგ მალევე წავედით ბუდაპეშტში. თავიდან ცოტა გამიჭირდა, მაგრამ ნელ-ნელა შევეწყვეთ ერთმანეთს. იქ ხუთი წელი დავყავით. ქალიშვილი ლიკა ბუდაპეშტში გაგვიჩნდა. იმდენად დიდი სითბოა სახლში ბავშვის დაბადება, რომ იმ ასაკშიც შევძელი დედობის გაცნობიერება. მარტო გაზრდა გამიჭირდა, მაგრამ რუსი კარის მეზობელი ჟანა დედასავით დამეხმარა ლიკას გაზრდაში. მას შვილი არ ჰყავდა და მთელი ეს სითბო ჩემზე გადმოიტანა. ავთო ძალიან მეხმარებოდა. ჩემთან ერთად ათევდა ღამეებს, ბავშვს აბანავებდა. მე უფრო მეშინოდა ლიკას ბანაობა, ვიდრე მას. ერთხელ სამსახურში მორიგე იყო და მე ვაბანავე. შემდეგ ჯერზე ავთომ რომ დაბანა და ბავშვმა ტირილი დაიწყო, მკითხა, რა ხდება, რატომ არის შეშინებული, რა უქენიო? ანუ თუ მანამდე ეს პროცესი მოსწონდა ლიკას, ახლა ტირილი რომ დაიწყო, ავთო მიხვდა რაღაცაში იყო საქმე. ხელიდან გამისხლტა და აბაზანაში ჩამივარდა-მეთქი, გამოვტყდი.

იმ წლებში დამოუკიდებელი გავხდი, ბევრი რამ ვისწავლე. პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე მქონდა აღებული. ავთოსთან ერთად ვწყვეტდი საკითხებს. ოჯახის წარმართვის გამოცდილება მივიღე“.

სამინისტროს წლები

საქართველოში 1990 წელს დაბრუნდნენ. წარმატებული ფინანსისტი მაშინდელმა მთავრობამ გამოიძახა.

„თავდაცვის სამინისტრო ჩამოყალიბებას იწყებდა და ამაში წვლილი ავთოს მიუძღვის. ათი წლის მანძილზე თავდაცვის მინისტრი ვინც კი იყო (ფირცხალაიშვილი, ნადიბაიძე, თევზაძე) ყველას მოადგილე იყო ფინანსების დარგში. იმ დროს საქართველოს შეიარაღებულ ძალებს ფინანსტისტ-ეკონომისტი არ ჰყავდა. გარდა ამისა ავთო თავდაცვის სამინისტროს ერთ-ერთი დამფუძნებელი იყო. ჯონი ფირცხალაიშვილთან და თემურ ლორიასთან ერთად ჩამოაყალიბა სამინისტრო. მას შემდეგ, წლების მანძილზე, თავდაცვის სამინისტროს ფინანსისტი იყო“.

- თანამდებობამ რა მოიტანა?

- ავთო არ არის ის პიროვნება თანამდებობას შეეცვალა. ზევიდან არავისთვის შეუხედავს. მანქანა ემსახურებოდა და პრივილეგირებული იყო, მაგრამ ამას მასზე ზეგავლენა არ მოუხდენია. ყოველთვის სერიოზული და განონასწორებული პიროვნება გახლდათ. მძიმე არც ყოფილა და არც თანამდებობას გაუხდია. თბილი, კაცთმოყვარე ადამიანია. თანამდებობამ მოიტანა ის, რომ უფრო დაკავებული გახდა და გვიანობამდე მუშაობდა. სადაც არ უნდა იყოს, თავისი სამსახურისადმი დიდი პასუხისმგებლობის გრძნობა აქვს. როცა სამსახურს სჭირდება, შეუძლია ყურადღება ჩვენ მოგვაკლოს და სამსახურს - არა.

„პირველი ჩვენ აღმოვჩნდით, ვისაც წაართვეს და დაიჭირეს. ეს სამაგალითოდ გააკეთა“

- თანამდებობას თავისი გარდერობი „სჭირდება“, პიჯაკები, ჰალსტუხები... თქვენ ზრუნავდით ამაზე?

- მისთვის ყოველთვის მე ვყიდულობდი სამოსს. ეს თემა არ აინტერესებს. ავთო ჩემს გემოვნებას ენდობა. ყოველთვის მე ვუძენ. დღემდე ასეა.

გამგებლის სამაგალითო დასჯა

მერე მთავრობა შეიცვალა და ბატონი ავთანდილი „ნაციონალური მოძრაობის“ შტაბის უფროსი გახდა. ერთი წელი ქვემო ქართლის რეგიონში საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულის პირველი მოადგილე გახლდათ ეკონომიკურ საკითხებში. შემდეგი ერთი წელი კი ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგებელი იყო.

„მთელი კარიერის მანძილზე თუ რაიმეს ნანობს ავთო, არის ის, რომ მიშა სააკაშვილს წაჰყვა. ვერ გამოვიცანი და ღმერთმა დამსაჯა, რომ ამ მოძრაობის გვერდით ვიდექიო, ამბობს. ახალი მოსულები იყვნენ მთავრობაში, ავთო ვაკე-საბურთალოს გამგებლად რომ დანიშნეს. ჩემი დები 20 წელია მოსკოვში ცხოვრობენ. თავიანთი დანაზოგით შევარდნაძის მთავრობის დროს ქავჭავაძის გამზირზე, სახანძროს წინ მერიისგან მიწის ნაკვეთი იყიდეს, სადაც კანონიერად და პრივატიზებულად შენობა (სავაჭრო ცენტრი) აეშენეს. ნელ-ნელა აქ ჩამოსვლაზე ფიქრობდნენ. ექსპრეზიდენტმა ქონების წართმევები რომ დაიწყო, პირველი დაარტყა ავთოს. ჩათვალა, რომ ეს შენობა ჩვენ გვეკუთვნოდა და რახან ავთო ვაკე-საბურთალოს გამგებელი იყო, შენობა გააუქმეო სთხოვდა. ავთო გაგიუდა, როგორ დავანგრიო შენობა, ჯერ ერთი ჩემი ქვისლების არის და მეორე - აბსოლუტურად კანონიერად ეკუთვნითო. ეს შეთავაზება მისთვის მიუღებელი იყო, ვისიც არ უნდა ყოფილიყო შენობა. მიშამ გულში ჩაიდო ეს და რახან ავთომ ამ შენობის გაუქმებას ხელი არ მოაწერა, მისი მოადგილე გამოიყენეს. იყო შანტაჟი, მუქარა, ყოველ მეორე დღეს ჩემს დას პროკურატურაში იბარებდნენ, შვილებს უსსენებდნენ, ავთოც უსსენეს... ირინა იქიდან აკანკალებული გამოდიოდა. მერე ჩემი და მონაცვლეობის გაკეთებას სთხოვდა, სხვაგან მომეცით ფართი რაკი ეს ადგილი ასეთი მნიშვნელოვანია თქვენთვისო. ისინი ამ წინადადებაზე არ წამოვიდნენ. ვერ წარმოგვედგინა, რომ ამ შენობას წაგვართმევდნენ. მეგონა, საკაშვილი ავთოს არ გაიმეტებდა. მაგრამ პირველი ჩვენ აღმოვჩნდით, ვისაც წაართვეს და დაიჭირეს. ეს სამაგალითოდ გააკეთა მიშამ - თავისი ნებით არ გადმოგვიფორმა და აი, რა ვუყავით დავითაძეს და თუ ასე მოიქცევით, თქვენც მის მსგავსად წახვალთ ციხეშო. ავთო ჯერ გამგებლის თანამდებობიდან გაათავისუფლეს. მერე მივხვდით, რა სქემა დახაზეს.

სტუდქალაქის რამდენიმე მაცხოვრებელს დამტკიცებული არ ჰქონდა ის 12 კვადრატული ბინა, სადაც წლებია ცხოვრობდნენ. სააკაშვილი რომ ხელისუფლებაში მოვიდა, კანონი დაუშვა - ამ ხალხს დაუკანონეთ ეს ფართებიო. ხალხმა გამგეობას მიმართა. გამგებელი ავთო იყო. გამგეობამ შეისწავლა და მისმა 12 წევრმა გადაწყვიტა, ზოგს დაუკანონეს ბინები, ზოგს - ვერა. ავთოზე განაწყენებულმა მთავრობამ მიზეზად მოსდო ის, რომ მან უკანონოდ დაუკანონა ამ ადამიანებს ბინები და ჩემი მეუღლე ამ სარჩულით დააკავეს“.

„განსაცდელები უფრო კრავს ოჯახს. თუმცა ნერვულ სისტემაზე კვალი დამიტოვა. ავთოს არაფერი ეტყობა, თითქოს არც ციხეში მჯდარა და არც ეს ყველაფერი გადახდენია. მხოლოდ ეგ იყო, რომ ციხეში ჭაღარა მოემატა“

გათავისუფლება

„რვა თვე იჯდა ორთაჭალის კრიტში. ავთოს არ უნდოდა რომ

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ის მეორე ნახევარი

„ავთო არაჩვეულებრივი პიროვნებაა, ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ თავი შეეყვარებინა. დადებითი პიროვნებაა. შეუძლებელი იყო ამდენი ზრუნვის და სიყვარულის უგულებელყოფა. მე ის მალევე შემიყვარდა“

ირმა დავითაძე: „რომ არა ჭეშმარიტი სიყვარული, ამდენ რამეს ვერ გავუძლებდით...“

EXCLUSIVE



„იმ დროს, როდესაც ავთო დაკავებული იყო, მე ძალიან ცუდად ვიყავი. მედიკამენტების და ფსიქოლოგის ჩარევა დამჭირდა მეც და გიორგისაც“

ციხეში სანახავად მივსულიყავი. მიწის გადაფორმებაზე რომ მიდგა საქმე, პროკურატურამ თავისი სურვილით შემიყვანა ავთოსთან. ძალიან მაგარია. არ იყო გატეხილი. მხნედ გამოიყურებოდა. მე ყოველდღე მიბარებდნენ პროკურატურაში და ჩემი დის მიწის ნაკვეთის გადაფორმებას მთხოვდნენ. ასე თუ მოიქცევი ავთოს ხვალვე გამოვუშვებთ ციხიდანო. ამ დროს სავაჭრო შენობა უკვე დანგრეული ჰქონდათ. გახსოვთ, ალბათ, ის ხმაურიანი დანგრევა. მერაბიშვილთან შესვლა მოვითხოვე, მაგრამ მან არ ისურვა. მერე ქალბატონი ელენე თევდორაძე გარანტად დამიდგა. და მართლაც, როგორც კი მიწა გადავუფორმე, მაშინვე გამოუშვეს ავთო ციხიდან“.

სტრესის კვალი

„იმ დროს, როდესაც ავთო დაკავებული იყო, მე ძალიან ცუდად ვიყავი. მედიკამენტების და ფსიქოლოგის ჩარევა დამჭირდა მეც და ჩემს ვაჟს, გიორგისაც. მაშინებდნენ. არ იცით, რა ზარები შემოდიოდა და რას მეძახდნენ. გიორგი გარდატეხის ასაკში იყო და მძიმედ გადაიტანა. ამ ტრავმამ დაღი დაასვა და დღემდე ნევროზი აქვს. ორი წელი ვმკურნალობდით. ლიკა ლონდონში სწავლობდა და გვიან, შემთხვევით გაიგო მამის დაჭერის ამბავი. ფეხზე დასადგომად მედიკამენტები დამჭირდა და როგორც კი გამოვკეთდი ყველგან სიარული დავიწყე, მაგრამ ვერაფერს მივაღწიე. რაც უნდოდათ, ის მაინც წაიღეს. წეროვანში გვაქვს აგარაკი. წეროვანიდან თბილისში ვბრუნდებოდი. მანქანის სარკიდან ვხედავ უკან დამედევნა მანქანა. ხან მომიახლოვდა, ხან გამისწრო, გზიდან მაგდებდა, ავარიულ სიტუაციას მიქმნიდა. 25 წელია საჭეს ვუზივარ, მაგრამ ბნელდებოდა, თან რომ დავაფიქსირე მომდევდნენ, ვინერვიულე და დავიბენი. თბილისამდე ასე „ვიჭიდავეთ“. დიღომში რომ შემოვედი, პირველივე პატრულთან გავჩერდი და ვუთხარი, რაც ხდებოდა. ეს მანქანაც გაჩერდა, გადმოვიდნენ, ორი სიტყვა უთხრეს პატრულს და პატრულიც უცერემონიოდ დამემშვიდობა...“

გასახლება

„2009 წლიდან ავთო „ეროვნული ფორუმის“ პარტიის წევრი გახდა. 2012 წელს, არჩევნებამდე რამდენიმე თვით ადრე, ყოფილმა მთავრობამ სახლიდან გაგვასახლა და ექვსი თვე ქირით ვცხოვრობდით. მთავრობა რომ არ შეცვლილიყო, აქედან წასვლაზე ვფიქრობდი. მინდოდა ყველაფრის გაყიდვა და აქედან გადახვენა. იმ დონეზე გაგვამწარეს, ავთოს გვერდით მიტინგებზე ვიდექი. რატომ გაგვასახლეს? საზღვარგარეთ მცირე ბიზნესი მაქვს. ჩემი დანაზოგით „ქართული ოცნების“ და „ეროვნული ფორუმის“ პარტიას დავეხმარე. საბუთები წარვადგინე, საიდანაც მქონდა ეს თანხა. მაგრამ „ქართულ ოცნებას“ როგორ ეხმარებიო და სახლიდან ამიტომ გაგვასახლეს. გარემოცვა გაოგნებული მეუბნებოდა - რა რისკზე წახვედიო? მაგრამ მე დასაკარგი აღარაფერი მქონდა...“

შეკრული ოჯახი

- ბევრი განსაცდელი გამოიარეთ, ეს უფრო კრავს ოჯახს?

- განსაცდელები უფრო კრავს ოჯახს. თუმცა ნერვულ სისტემაზე კვალი დამიტოვა. ავთოს არაფერი ეტყობა, თითქოს არც ციხეში მჯდარა და არც ეს ყველაფერი გადახდენია. მხოლოდ ეგ იყო, რომ ციხეში ჭაღარა მოემატა. ციხიდან რომ გამოვიდა იქაური ამბები არც უხსენებია. იმ დროს მცირე დოზით მოჰყვა და მორჩა. არ დაუწუწუნია. ჩვენ ურთიერთობას ეს არეული პერიოდები არ შეხებია. ბზარი არ ყოფილა. სულ გვერდში ვედექი და მის გვერდით ვიბრძოდი. რკინის ქალამნებით ყველას კაბინეტთან მე მნახავდით.

- ამ ყველაფრის მერე მეუღლე დაახასიათეთ.

- 24 წლიდან სულ თანამდებობებზეა, წარმატებული იყო. მაგრამ თამამდებობას არასდროს გაურყვნია. ძალიან უბრალოა. ზოგჯერ ვეუბნები - მდგომარეობა შეიფერე-მეთქი. სულ ცდილობს სიკეთე გააკეთოს და იმდენი მადლობის მთქმელი ჰყავს, როცა უხსენებენ, კონკრეტული ისტორიები არც ახსოვს ავთოს. ჩემთანაც მოდიან და მადლიერებას გამოხატავენ. არ არსებობს ზარს არ უპასუხოს. თბილი და ლმობიერი პიროვნებაა. არ ბრაზდება. მაგარი ხარ-მეთქი, კომპლიმენტს ვუკეთებ. რაც გადაიტანა არაფერი ეტყობა. არც მე ვარ ნაზი. მაგრად დავდექი.

შვილებთან მეგობრობენ. 28 წლის ლიკას ორი ქალიშვილი ჰყავს, 24 წლის გიორგიმ დის მსგავსად ლონდონში მიიღო განათლება. ქალბატონი ირმა ბებია 42 წლის ასაკში გახდა. ბებიობა ფანსტატიკურიაო, ამბობს.

- რა არის თქვენი ასეთი ფორმისა და სილამაზის საიდუმლო?

- საღამოობით მე და ჩემი ვაჟი ფეხით დავდივართ. ბოტასებს ჩავიცვამთ და ქალაქს წრეს ვარტყავთ. კარგია ცურვაც. მეტს განსაკუთრებულს არაფერს ვაკეთებ.

- სიყვარული რა არის ქალბატონო, ირმა?

- სიყვარული დიდი ადრენალინის გამოყოფაა, სიხარული და ბედნიერებაა. როცა სიყვარული არ გაქვს, ეს ყველაფერი ხელოვნურია. რომ არა ჭეშმარიტი სიყვარული ამდენ რამესაც ვერ გავუძლებდით...

„ჩვენ ურთიერთობას ეს არეული პერიოდები არ შეხებია. ბზარი არ ყოფილა. სულ გვერდში ვედექი და მის გვერდით ვიბრძოდი. რკინის ქალამნებით ყველას კაბინეტთან მე მნახავდით“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

60 წლის პაატა ბურჭულაძის საიუბილეო

my View

თამარ გონგაძე

12 თებერვალს რომ პაატა ბურჭულაძის 60 წლის იუბილესთან დაკავშირებულ სპორტის სასახლის გრანდიოზულ კონცერტს სახელოვნებო ინდუსტრია „არტპალასი“ აკეთებდა, ამის შესახებ მისმა დამფუძნებელმა გია ანდღულაძემ ექსკლუზიურად ჩვენ გაზეთს გაუმხილა. „ბედნიერები ვართ, რომ ამ საღამოს „არტპალასი“ აკეთებს. დიდი ხანია ვცდილობთ პაატა ბურჭულაძის დაყოლიებას. თვითონ ამ საიუბილეო კონცერტის წინააღმდეგი იყო, პომპეზურ იუბილეს აპროტესტებდა და იმედს ვიტოვებდით, რომ სტუმრის რანგში დასწრებაზე მაინც დაგვთანხმდებოდა. დიდი ძალისხმევის შემდეგ დავიყოლიეთ. ისეთი დონის მომღერლები მოვიწვიეთ, ვისაც ერთი წლით ადრე უთანხმებენ კონცერტში ჩასმას, მაგრამ ჩვენ დარჩენილ მცირე დროში მოვახერხეთ, რომ ისინი ორი საათით მაინც ჩამოფრენილიყვნენ ამ გრანდიოზულ საიუბილეო საღამოზე“ – „პრაიმტაიმს“ განუცხადა ბატონმა გიამ. ეს იქნება დაუვიწყარი კონცერტი და თუ რატომ, ამ სტატიიდან შეიტყობთ. „არტპალასის“ კონცერტები - კრის ბოტის კონცერტი და საშობაო საღამო კაჭრეთში ამის დამადასტურებელია.

„პაატა ბურჭულაძეს ქართველების დიდი ნაწილი იცნობს, როგორც ქველმოქმედსა და „იავნანას“ დამფუძნებელს. საზოგადოების დიდ ნაწილს არ აქვს ინფორმაცია მისი მიღწევების, ორდენებისა და აღიარების შესახებ. ჩვენ არ გვყავს უფრო ტიტულოვანი ხელოვანი, ვიდრე ის არის. ამ ყველაფრის საზოგადოებამდე მიტანა გვინდოდა“

იდეა

- ბატონო გია, როგორ დაიბადა ამ გრანდიოზული კონცერტის გაკეთების იდეა?

- გავიგე, რომ ბატონ პაატას 60 წლის იუბილე ჰქონდა და გადაწყვიტე ასეთი დიდი იუბილე „არტპალასს“ გაეკეთებინა. პაატა ბურჭულაძეს ქართველების დიდი ნაწილი იცნობს, როგორც ქველმოქმედსა და „იავნანას“ დამფუძნებელს. საზოგადეობის დიდ ნაწილს არ აქვს ინფორმაცია მისი მიღწევების, ორდენებისა და აღიარების შესახებ. ჩვენ არ გვყავს უფრო ტიტულოვანი ხელოვანი, ვიდრე ის არის. ამ ყველაფრის საზოგადოებამდე მიტანა გვინდოდა, ეს იუბილე კი ამაში ხელს გვიწყობდა. თუმცა მისი დაყოლიება გაგვიჭირდა. არ სურდა იუბილის ასე პომპეზურად აღნიშვნა. ამის გამოა, რომ ჩვენ ახლა ფორსმაჟორში ვმუშაობთ. ისეთი ვარსკვლავები ჩამოგვყავს, რომელთაც განრიგი მინიმუმ ერთი წელი გაწერილი აქვთ ხოლმე. ბატონ პაატას იუბილის უცხოეთში ვიწრო წრეში აღნიშვნა ჰქონდა დაგეგმილი. აქ კი მეგობრებთან ერთად უნდა აღენიშნა. 12 თებერვლამდე ორ თვეზე ნაკლები რომ დარჩა, მხოლოდ ამ პერიოდში მოვახერხეთ მისი დაყოლიება, რომ სტუმრის რანგში მოსულიყო ამ ღონისძიებაზე.

ალენ დელონი - წამყვანის რანგში

ასევე პირველად ჩვენთვის გახდა ცნობილი, რომ ამ ვარსკვლავურ კონცერტს მსოფლიო კინოლეგენდა - ალენ დელონი წაიყვანდა. თუ ეს ჯერ კიდევ არ იცით, უნდა გაგიმეოროთ, დიახ, ალენ დელონი! ფრანგი მსახიობი ამ კონცერტის ერთ-ერთი წამყვანია, მეორე კი ამერიკაში მოღვაწე ქართველი პიანისტი დათუნა ალადაშვილი გახლავთ. „არტპალასი“ დიდ მსახიობთან დეტალებზე მოლაპარაკებას ჯერ კიდევ აწარმოებს. ამიტომაც იყო, რომ ამის შესახებ ინფორმაცია აქამდე თამამად არ ხმაურდებოდა. როგორც „არტპალასმა“ გვითხრა, ჩვენს სპორტის სასახლეში უკვე ასი პროცენტით შეგვიძლია ალენ დელონის ხილვა.

- ბატონო გია, როგორ აწარმოეთ ალენ დელონთან მოლაპარაკება? ადვილი იყო მისი თბილისში ჩამოსვლაზე დაყოლიება?

- ასეთი მნიშვნელობის საღამოზე, პაატა ბურჭულაძის რანგის ხელოვანიდან გამომდინარე, წამყვანად გვინდოდა მსოფლიო დონის პერსონა მოგვეწვია. და სხვადასხვა ვერსიის განხილვის შემდეგ შემოქმედებითი ჯგუფი მუშაობის დროს ალენ დელონზე შეჩერდა. ეს ლეგენდა თავისი ჩამოსვლით ქართველ ხალხს მრავალი წლის ოცნებას აუსრულებს-მეთქი. წელს 80 წელი უსრულდება და შეგვიძლია აღვნიშნოთ კიდეც. დელონის დაყოლიებაში მისი აგენტი დაგვეხმარა. მოლაპარაკება რამდენიმე ეტაპად მიმდინარეობდა. განსაკუთრებული მოთხოვნა არ ჰქონია. როგორც ვარსკვლავს უნდა ჰქონდეს შესაბამისი ფრენა, სასტუმროს ნომერი... კიდევ მიმოწერაში ვართ, დეტალებს ვაზუსტებთ. თუმცა შემიძლია გითხრათ, რომ მსოფიო დონის ვარსკვლავური მოთხოვნები არ აქვს.

- პაატა ბურჭულაძის შემოქმედებას რომ არ იცნობდეს, ბუნებრივია, წამყვანობაზე არ დაგთანხმდებოდათ.

- რასაკვირველია, იუბილეზე ვერ მოიწვევ ადამიანს და ის არც დაგთანხმდება, თუ მას არ აქვს ინფორმაცია ხელოვანზე. ალენ დელონის ჩამოსვლა პაატა ბურჭულაძის ავტორიტეტის შედეგია. ორივე პატივს სცემს ერთმანეთის შემოქმედებას.

- და როგორი იყო პაატას აზრი ალენის ჩამოყვანაზე?

- ამ დონის ლეგენდის ფიგურიდან გამომდინარე, პომპეზურობა რომ არ მოჰყოლოდა, ბატონი პაატა დელონის ჩამოყვანისგან თავის შეკავებას გვთხოვდა. სხვათა შორის, ჯერ ისევ მთხოვს, რომ საღამოს გაკეთება გადავიფიქრო. იქნებ უფრო მოკრძალებულად აღვნიშნოთ, არ გვინდა სპორტის სასახლე და ალენ დელონიო.

- თავისი იქ ყოფნით დელონი ხომ არ დაჩრდილავს ამ საღამოს?

- არ უნდა დაჩრდილოს. საოპერო მომღერლები და ალენ დელონი ერთმანეთს შეავსებენ. ვისთვისაც ძვირფასია საოპერო ხელოვნება მათ იციან, რა დონის ვარსკვლავები ჩამოდიან, როგორც ქართველები, ისე უცხოელები. ჩვენ ისეთი საოპერო მომღერლები გვყავს, რომ ნებისმიერ

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

საღამოს 80 წლის ალენ დელონი წაიყვანს

EXCLUSIVE

რას ვიხილავთ ვიოლინოს გასაღების ფორმის სცენაზე სპორტის სასახლეში

გია ანდღულაძე: „ასეთი მნიშვნელობის საღამოზე, პაატა ბურჭულაძის რანგის ხელოვანიდან გამომდინარე, წამყვანად გვინდოდა მსოფლიო დონის პერსონა მოგვეწვია. ალენ დელონს წელს 80 წელი უსრულდება და შეგვიძლია აღვნიშნოთ კიდეც“

ქვეყანას გაუჭირდება მათი ერთად თავმოყრა. მათ მსოფლიოში კარიერა მაღალ დონეზე აქვთ აწყობილი. ამდენად ეს იქნება საოპერო ხელოვნებისა და ასევე კინოს მოყვარულთა ზეიმი.

რა მოხდება გრანდიოზულ კონცერტზე

ქართველი და უცხოელი ვარსკვლავი ქალბატონები მსოფლიო ბანს 60 წლის იუბილეს ულოცავენ. კონცერტში მონაწილეობის მისაღებად, სპეციალურად „არტპალასის“ მოწვევით, საქართველოს ესტუმრებიან ქართველი მსოფლიო ვარსკვლავები: მაყვალა ქასრაშვილი, ანიტა რაჭველიშვილი, თამარ ივერი, ნინო სურგულაძე, ნინო მაჩაიძე, თეონა დვალი, იანო თამარი (ალიბეგაშვილი), მარიკა გულორდავა და ნანა მირიანი (ქავთარაშვილი). როგორც „არტპალასში“ ამბობენ, სწორედ ამ გრანდიოზული პროექტის ერთ-ერთ მთავარ მიზანს წარმოადგენს აღნიშნული ვარსკვლავების პოპულარიზაცია ქართველ მსმენელში, რომლებიც ქვეყნის ფარგლებს გარეთ მოღვაწეობენ. უმეტესი მათგანი იშვიათად სტუმრობს საქართველოს და ამის გამო მათ მდიდარ შემოქმედებას ქართველი მსმენელის მხოლოდ მცირე ნაწილი იცნობს.

ქართველ საოპერო მომღერალთა გარდა, სპეციალური მოწვევით კონცერტში მონაწილეობას მიიღებენ უცხოელი ვარსკვლავები: მიშელ კრაიდერი, ოლგა ბოროდინა და ირინა მაკაროვა.

სპეციალურად ამ დღისთვის ერთიანდება ორი სიმფონიური ორკესტრი, ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სიმფონიური ორკესტრი და ე. მიქელაძის სახელობის სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი. გაერთიანებულ ორკესტრს უდირიჟორებენ: ჯანლუკა მარჩანო და ნიკოლოზ რაჭველი.

გარდა მომღერლებისა კონცერტში მონაწილეობას მიიღებენ ნაციონალური ბალეტის - „სუხიშვილების“ მოცეკვავე ქალბატონები და ოპერის საბალეტო დასის ქალბატონებთან ერთად თავად ნინო ანანიაშვილი.

საღამოს ერთ-ერთი წამყვანი დავით ალადაშვილია, ხოლო მეორე წამყვანია ფრანგი მსახიობი, ალენ დელონი. კონცერტის რეჟისორია დავით საყვარელიძე, მუსიკალური პროდიუსერი მარინა ბერიძე გახლავთ. როგორც ბატონმა გიამ გვითხრა, სპორტის სასახლის ინტერიერს ამ საღამოზე მისული მაყურებელი ვერ იცნობს. იქ წარმოუდგენლად შთამბეჭდავ დეკორაციას ვიხილავთ, რომელზეც მხატვარი ირაკლი ავალიანი მუშაობს.

„ამ დონის ლეგენდის ფიგურიდან გამომდინარე, პომპოზურობა რომ არ მოჰყოლოდა, ბატონი პაატა ალენ დელონის ჩამოყვანისგან თავის შეკავებას გვთხოვდა. სხვათა შორის, ჯერ ისევ მთხოვს, არ გვინდა სპორტის სასახლე და ალენ დელონიო“

გია ანდღულაძე: სპორტის სასახლეში გვექნება დეკორაცია და სცენა, რომლის მსგავსი საქართველოში არსად ყოფილა, რომელზეც ამერიკიდან დაბრუნებული ირაკლი ავალიანი მუშაოს. მას ამერიკის ცნობილი თეატრის სცენები აქვს გაფორმებული. ირაკლის სცენოგრაფიით აშენდება სცენა.

- როგორც ვიცი, ვიოლინოს გასაღების ფორმის სცენა გექნებათ.

- დიახ და ამბობენ, რომ მსგავსი სცენა და დარბაზი არც საზღვარგარეთ უნახავთ. მოკლედ, „არტპალასისგან“ კიდევ ერთი დაუვიწყარი საღამო გელით.

პროექტის მხარდამჭერები არიან საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო და ქ. თბილისის მერია. საინფორმაციო მხარდამჭერებს შორის არიან: გაზეთი „პრაიმტაიმი“, პალიტრა მედია, myvideo.ge, ჟურნალი OK! და Georgia Today. ასევე - Outdoor.ge, Alma+, საქართველოს რადიოსადგურები: „ფორტუნა“, „ავტორადიო“ და „არ დაიდარდო“. ინფორმაციისთვის შეგიძლიათ დარეკოთ: 205 10 10.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

მეთოდი, რომლითაც ნატუკა გულისაშვილმა 12 კილოგრამი დაიკლო



EXCLUSIVE

კულინარიული რჩევები ნატუკა გულისაშვილისგან

my View
ნინო მჭედლიშვილი

ნატუკა გულისაშვილი „იმედის დილის“ ეთერში კულინარიის ბლოკს უძღვება. გამოცდილი კულინარის რჩევები, ვფიქრობ, ჩვენი მკითხველისთვისაც საინტერესო იქნება. მსახიობს ტელევიზიაში ვესტუმრეთ.

- ნატუკა, ყოველ დილით „იმედის“ მაყურებელს გემრიელი კერძების რეცეპტებით ანებივრებ. თავად როგორი კერძები გიყვარს?

- გეტყვით რა არ მიყვარს, მიუხედავად იმისა, რომ კახელი ვარ, ეს არის გულ-ღვიძლი და ტვინი. თუმცა ორივე კერძის მომზადება ვიცი. შევჭამ იმ შემთხვევაში, თუ ისეთი შიმშილია, რომ ბალახიც არ მაქვს ზეთში რომ ჩავთუში (იცინის). არასდროს გამისინჯავს სუში, კუს წვნიანი, ბაყაყი, ლოკოკინა და მსგავსი პროდუქტები. რატომ უნდა ვჭამო ეს ყველაფერი, როცა უამრავი ინგრედიენტი არსებობს, რომლითაც თავად შეგიძლია გამოიგონო საჭმელი.

- რომელი ქვეყნის სამზარეულო მოგწონს ყველაზე მეტად?

- პირველ რიგში ქართული, მერე იტალიური, ფრანგული, ოღონდ ლოკოკინების გარეშე, ინდური, რადგან მრავალფეროვანი სანელებლები აქვთ, ესპანური ქართულს ნაგავს, უფრო მეგრულს, სიცხარით. ისე, რომ გითხრათ, ძალიან განებივრებული ვარ სხვადასხვა ქვეყნების რესტორნებში ვახშმობითა და სადილობით-მეთქი, მოგატყუებთ.

- ყველაზე ეგზოტიკური რა გაგისინჯავს?

- თუ არ ვიცი რა ინგრედიენტებისგან შედგება ესა თუ ის კერძი, არ გავსინჯავ. რადგან კაცმა არ იცის სად შემომაპარებენ, რვაფეხას ფეხის ნაგჯელს. ქართული სამზარეულო, ქართული ინგრედიენტები იმდენად მდიდარია, რატომ უნდა ვჭამო ლოკოკინები და ბაყაყები. მაგალითად, ნაცარქათამას ფხალი გაგიგიათ? დარწმუნებული ვარ, არა. ყველანაირ ფხალს ჯობია, წითელსაც და ისპანახსაც და ბევრად სასარგებლოა. ძალიან მიყვარს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ბებიებთან დავჯდომა და მათგან ძველი, საინტერესი კერძების რეცეპტების სწავლა. თავადაც ვცდილობ, მაყურებელს მაქსიმალურად ხელმისაწვდომი და მარტივად მოსამზადებელი კერძების რეცეპტები შევთავაზო.

- ჩვენც გაგვიმხილე რამდენიმე ასეთი კერძის რეცეპტი.

- სიამოვნებით. გაგიმხელთ მაჭკატების ანუ „ალადიკების“ მომზადების წესს, ოღონდ ჩემებურად. თასში ერთად მოვათავსებთ: ორ კვერცხს ერთ ჭიქა მაწონს, სოდას, ძმარს, ცოტა მარილს და ფქვილს იმდენს, რომ სქელი არაჟნის სისქის მასა მივიღოთ. მიღებულ მასას დავასხამთ გაცხელებულ ტაფაზე, დავაყრით პიტნაგარეულ გახეხილ ყველს და ზემოდან ისევ თხელი ცომის მასას დავასხამთ კოვზით. ყველი შიგნით მოექცევა და ასე შევწვავთ ორივე მხრიდან. ყველში გარეული პიტნა შეიძლება იყოს ცოცხალიც და თუ არ არის ამისი საშუალება, ხმელიც შეიძლება. ასე გამოვაცხობთ, პატარ-პატარა მაჭკატებს, გადმოვიღებთ თეფშზე და სუფრასთან მივიტანთ საწებელთან ერთად, რომელიც შემდეგნაირად მზადდება. მაწონს გადავწურავთ, რომ წყალი არ დარჩეს, გავურევთ ცოტა გახეხილ ყველს და ცოტა პაპრიკას (არამწარე წიწაკა). კარგად გავქნით მიღებულ მასას და გნებავთ ზედ მოასხამთ, გნებავთ ცალკე მიიტანთ სუფრასთან... დიასახლისის პრინციპია, ისეთი სადილი გააკეთოს, რომ მეორე დღემდე ეყოს. ამიტომ ყოველთვის ვითვლი, რომელი საჭმელი რა თანხა ჯდება, რამდენ ულუფაზეა გათვლილი და ა.შ. ახლა გასწავლით კერძს, რომლისთვისაც უმჯობესია შეიძინოთ ქათმის ფილე და არა ქათამი. ფილე დაჭერით გრძლად, დააწურეთ ერთი ფორთოხალი. ამასობაში ალყა-ალყა დაჭერით სამი თავი ხახვი. აიღეთ ღრმა ტაფა, მოასხით ზეთი, ჩაყარეთ ხახვი, ფილე თავის ფორთოხლის მარინადიანად და დაჭრილი სოკო. გნებავთ ქილის, გნებავთ ცოცხალი. დაბალ ცეცხლზე ვადუღებთ. ფილე რომ მოიხარშება დაუმატებთ მაიონეზს ან არაჟანს, პილპილს, მარილს და ორ ყავის ჭიქა მდუღარე წყალს. 2-3 წუთი დაბალ ცეცხლზე ვადუღებთ და მზად არის. ვისაც არ გიყვართ სოკო, სტაფილოთი შეგიძლიათ ჩაანაცვლოთ.

- რა ჰქვია ამ კერძს?

- ნატუკასეული ჟულიენი დავარქვათ.

- ნატუკა, წონის პრობლემა ძალიან აქტუალურია ქალებში. ვიცი, რომ შენც ხშირად ებრძვი ზედმეტ კილოგრამებს. თუმცა, არასდროს მკაცრ დიატაზე არ ყოფილხარ. რა მოხდა ახლა, როგორ დაიკელი 12 კილოგრამი?

- არ მინდა რეკლამაში ჩამეთვალოს, ამიტომ სახელს არ დავასახელებ. თბილისში არსებობს სწორი კვების ცენტრი, სადაც ძალიან ცნობილი და ნაკლებად ცნობილი ქალები დადიან. მეც მირჩიეს მისვლა და აჰა შედეგიც... ამ ცენტრში დადიან ონკოლოგიური ავადმყოფებიც ქიმიოთერაპიის შემდგომი აღდგენისთვისაც. იქ გვასწავლიან სწორ კვებას, თუ რა უნდა მიირთვა პირველ რიგში, როცა სუფრას მიუჯდები. ერთ საიდუმლოს გავთქვამ. პირველ რიგში უნდა მიირთვათ უჯრედისი. უჯრედისს შეიცავს კიტრი, პომიდორი, მწვანილი და ყველი. უჯრედისი კუჭში ფუვდება და შიმშილის გრძნობას გიკარგავს, უარეს შემთხვევაში გიმცირებს. იქ აქვთ ისეთი სასწორი, რომელიც იგებს რა მოგაკლდა, ცხიმი თუ კუნთი. თუ ცხიმის ხარჯზე მოიკელი წონაში, იმას ნიშნავს, რომ სწორად იკვებები. მხოლოდ გახდომაზე არაა საქმე. როცა ადამიანი წონაში იკლებს, ენერგია ემატება. საოცრად დატვირთული დღის რეჟიმი მაქვს, მაგრამ რაც წონაში დავიკელი, ამ დატვირთვას ვეღარ ვგრძნობ. თუ დამიჯერებ, ყოველგვარი შეზღუდვების გარეშე ვიკლებ წონაში. გუშინ ქადაც კი გეახელით.

- აბა, დოზები შეამცირე?

- თავისთავად შემცირდა.

- მაინც არ ამბობ დიეტის მთავარ საიდუმლოს.

- მაგ საიდუმლოს იმ კლინიკაში ამბობენ ზემოთ რომ გესაუბრეთ.

- რაიმე დესერტის რეცეპტიც გაგვანდე აქვე...

- ახლა გასწავლით ისეთი დესერტის რეცეპტს, რომლის გამოც მეგობრები დღემდე მემადლიერებიან. ბავშვებს არ უყვართ არაჟანი, ხაჭო, რაც ასე აუცილებელია მათთვის. მე ვაკეთებ ისეთ ტორტს, რომელშიც ეს რძის პროდუქტები ცოცხლადაა. ამისთვის დაგჭირდებათ ბლინები, რომლის გამოცხობაც ყველამ იცის. დამწყები დიასახლისებისთვის გეტყვით, რომ ბლინჩიკი მზადდება შემდეგი ინგრედიენტებისგან: ერთი კვერცხი, ერთი ჭიქა რძე ან წყალი, ორი სუფრის კოვზი ფქვილი და ცოტა შაქარი. ამისგან გამოდის ოცი ბლინი. ცალკე მოვამზადებთ ცოცხალ კრემს შემდეგი ინგრედიენტებისგან: ერთი შეკვრა ხაჭო, არაჟანი, ვანილინი (ვანილი ცოტა მწარეა), შაქრის პუდრი გემოვნებით და რომელიმე მურაბის წვრილად დაჭრილი ხილი. მიღებული მასა უნდა დავაბლენდეროთ. შემდეგ ფენებად დავალაგებთ ბლინებს და ყოველი ფენის შემდეგ ნავუსვავთ ცოცხალ კრემს. ბოლოს გადავასხამთ მინანქარს, რომელიც შემდეგნაირად მზადდება. სამი სუფრის კოვზი კაკაო, ერთი ჩაის კოვზი კარაქი, სამი სუფრის კოვზი წყალი და შაქარი. წამოვადუღებთ და ცოტა რომ შესქელდება ცხელსვე გადავუსმევთ ტორტს. ზემოდან დარჩენილი მურაბის ხილის ნაჭრებს დავალაგებთ და ტორტი მზად არის. დაჭრით ისე, როგორ ჭრით ტორტს.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ზალიკო ბერგერი და ნინა წკრიალაშვილი საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციას ქმნიან EXCLUSIVE

„ამსტერდამში ყველა მნეველი გავიცანი“

რატომ ვერ გაიარეს შემოწმება აეროპორტში ზალიკო ბერგერმა და ნინა წკრიალაშვილმა

my View

ნინო მჭედლიშვილი

რამდენიმე დღის წინ ზალიკო ბერგერი და ნინა წკრიალაშვილი ჰოლანდიიდან დაბრუნდნენ. იქ მეგობრებმა ხუთი დღე გაატარეს. რას ემსახურებოდა მათი ვიზიტი, ზალიკო თავად გიამბობთ.

- მე და ნინამ ნათლისღების დღესასწაულზე ჰოლანდიაში, კერძოდ, როტერდამში მოვნათლეთ ჩვენი ქართველი მეგობრების, ლიკა ლომჯარიას და დიმიტრი კორთხონჯიას შვილი, ელისაბედი. სწორედ მათ გაგვიკეთეს საჩუქარი და გვიყიდეს აეროპორტის ბილეთები. ოღონდ ბილეთებთან დაკავშირებით ისეთი ჩეპე დაგვემართა თბილისი აეროპორტში, ოცი წუთის განმავლობაში მე და ნინა გაოგნებულები ვუყურებდით ერთმანეთს. გაფრენის დრო ბილეთზე ეწერა, 06:15. ნინამ ღამის ოთხის ნახევარზე გამომიარა, არ დაგვაგვიანდესო და ხუთის წუთებზე უკვე აეროპორტში მივედით. აღმოჩნდა, რომ საღამოს შვიდის თხუთმეთ წუთზეა გაფრენა. ვდგავართ ბარგით ხელში და არ ვიცით, რა ვქნათ. ერთმანეთს ვუყურებდით, ყველა ჩვენ დაგვცინოდა. რაღას ვიზამდით, წავედით, ყავა დავლიეთ და დავიმალეთ სახლებში. საღამოს ოთხის ნახევარზე თავიდან წავედით აეროპორტში.

ჩვენი ვიზიტი საქმიანიც გახლდათ. მე, ნინა და ჩვენი იქაური მეგობარი ლიკა ვაპირებთ საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციის შექმნას. შეხვედრა გვქონდა საქართველოს საელჩოში.

- საკუთარი თავი როგორ წარმოგიდგენია არასამთავრობო ორგანიზაციაში, რას გააკეთებ?

- გავაკეთებ იმას, რაც შემიძლია. კომუნიკაბელური ვარ, ამ კუთხით ვიმუშავებ. იურისპრუდენციის შესწავლას არ ვაპირებ. თან, ჩემს პარტნიორს, მოდელიერ, ტესა კუბსს 17 იანვარს გამოფენა ჰქონდა ამსტერდამის ცენტრში, „ვისკონტრში“. მის გამოფენასაც დავესწარით. ტესაც ჩართული იქნება მომავალში ჩვენ არასამთავრობო საქმიანობაში.

- გართობა თუ მოასწარით?

- ერთი დღე გავერთეთ მხოლოდ, შაბათს. ჩვენი მასპინძლების სახლთან არის „ვიაიპი“ კლუბი, სადაც მოხვედრა ძალიან რთულია. უნდა გიცნობდნენ ან კლუბის წევრი უნდა იყო, ან წინასწარ გადახდილი და დაჯავშნილი გქონდეს ადგილი. ჩვენმა მასპინძლებმა დაგვბრონეს ადგილები. ჩვენი მომღერალიც სათანადოდ გამოიპრანჭა. ევროპაში მგონი არსად აღარ ენევიან, ჰოდა, სადაც მოსაწევი ადგილი იყო, ყველგან ვიყავი, ყველა მწეველი გავიცანი და გავაცანი ნინაც. „ფემოუ სინგერ ფრომ ჯორჯია, ში ზე სთარ“, ვაცხადებ ნინაზე მთელი ხმით. იქვე ნინას და შორენას „იუთუბის“ ლინკები გავუგზავნე ყველას. მეორე დღეს ნახვებმა მოიმატა „იუთუბზე“, ნინა „პოპულარნია“ უკვე ჰოლანდიაში (იცინის). მერე ვლადაობდით, მომავალში შეიძლება გასტროლიც მოვუწყოთ ნინას ჰოლანდიაშიო. თან ისეთი ხალხი გავიცანი, ბანკის მფლობელები და ორგანიზაციების დირექტორები. 20 თებერვალს ბანკის დირექტორის ცოლის დაბადების დღეზე ვართ დაპატიჟებულები. იმ კლუბში ფოტოების გადაღება არ შეიძლებოდა, ამიტომ ბევრი ფოტო ვერ გადავიღეთ, მაგრამ ყველას გავაგებინეთ რომ ქართველი „ვიპები“ ვიყავით. საკუთარი თავი მე წარვუდგინე იქ მყოფთ (იცინის).

- ენის ბარიერი არ გქონდათ?

- ნინამ არაჩვეულებრივად იცის ფრანგული, მე ინგლისურს ვფლობ, ასე რომ, არ გაგვჭირვებია კომუნიკაცია. როტერდამი ხომ ბელგიის საზღვარზეა, ასე რომ, ფრანგულად მოლაპარაკე ბევრია იქ.

- „იშოპინგეთ“?

- ზუსტად შოპინგცენტრის ქუჩის გვერით ვცხოვრობდით. „სეილები“უკვე მთავრდებოდა. ამ წვეულებების გადამკიდეს მე მთელი დღეები მეძინა, ბოლო დღეს ძლივს მოვასწარი რაღაცების ყიდვა. სამაგიეროდ ნინამ იშოპინგა კარგად.

- იქაური მეტრო როგორ მოგწონა?

- ცოტა დაფიქრება სჭირდება, დაბნეული თუ ხარ, შეიძლება სულ სხვა ქალაქში ამოყო თავი. რამდენიმე წლის წინ პარიზიდან ანტვერპენში მივდიოდი. თურმე ანტვერპენი არის „ანვერს“. ვერ მივხვდი რომ გამოაცხადეს და რომ გავცდი ანტვერპენს, „სტოპკრანი“ გადმოვწიე და მატარებლიდან გადმოვხტი.

- ნინას დაბადების დღე სად აღნიშნეთ?

- თბილისში ვიყავით უკვე. მის დაბადების დღეზეც საქმიანი შეხვედრა გვქონდა „მარიოტში“, იქვე დავლიეთ ერთი-ორი ჭიქა ვისკი და მერე კლუბ „აკადემიაში“ წავედით. ვითამადე კიდეც.

- მახსოვს, შენ გამოძახებით თამადობაზეც თანახმა იყავი, გივი სიხარულიძეს უწევდი კონკურენციას.

- ძალიან ბებრული ქორწილი რომ იქნება გივი შეუცვლელია, მაგრამ, ახალგაზრდებში ზალიკო არ ჯობია?! უფრო დასამახსოვრებელი ქორწილი იქნება.

- შენ განსაკუთრებით საინტერესო სადღეგრძელოები გეცოდინება.

- არა, ტრადიციულ სადღეგრძელოებს ვსვამ ხოლმე.

- აბა, რით განსხვავდები გივი სიხარულიძისგან?

- გამოცხადების მანერით (იცინის). მეზიზღება გაზეპირებული სადღეგრძელოები, ლექსს რომ დაიწყებენ და აღარ ამთავრებენ თამადები.

- ახალ ჩვენებას როდის გეგმავ?

- გაზაფხულზე. მინდა ჩამოვიყვანო ჩემი პარტნიორი, ტესაც. ნარმოგიდგენთ ახალ კოლექციას და აქსესუარებს.

„სტოპკრანი“ გადმოვწიე და მატარეგლიდან გადმოვხტი“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ასლან აბაშიძეს ყოფილი რძლის დაბრუნება გაუხარდა

my View

თამარ გონგაძე

23 იანვარს გიორგი აბაშიძემ ხელი ყოფილ ცოლთან მოაწერა. 11-წლიანი განშორების შემდეგ წყვილმა ისევ ერთად ყოფნა გადაწყვიტა. როგორც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ყოფილი ლიდერის რძალმა, სალომე ბაჯელიძემ „პრაიმტაიმთან“ საუბრისას განაცხადა, ისინი ამ წლების მანძილზე მეგობრობდნენ და მეორედ ქორწინების გადაწყვეტილება ერთად მიიღეს.

EXCLUSIVE

გიორგი აბაშიძემ თერთმეტწლიანი განშორების შემდეგ ყოფილ ცოლზე იქორწინა

„მე და გიორგი გასული წლის ოქტომბრის ბოლოდან უკვე ერთად ვართ. მანამდე ვმეგობროობდით. ბუნებრივად მოხდა და აეწყო. ერთად ყოფნის გადაწყვეტილება ორივემ ერთად მივიღეთ“

სალომე ბაჯელიძე: ჩვენ გასული წლის ოქტომბრის ბოლოდან უკვე ერთად ვართ. მანამდე ვმეგობრობდით. ბუნებრივად მოხდა და აეწყო. ერთად ყოფნის გადაწყვეტილება ორივემ ერთად მივიღეთ. და უკვე ერთი თვეა, რაც ერთად ვცხოვრობთ.

წყვილმა ხელი სასტუმრო „ინტურისტების“ საქორწინო სახლში მოაწერა და ქორწინების დაკანონებაც იქვე, სუფრით აღნიშნა.

„მხოლოდ ოჯახის წევრები და ახლობლები გვყავდა. მეც სამი მეჯვარე და გიოსაც სამი მეჯვარე ჰყავს. კარგად გავერთეთ. სოფო ხალვაშმა რამდენიმე სიმღერა გვიმღერა. მე და სოფო ვმეგობრობთ“.

- ასლანმა დაგირეკა?

- რა თქმა უნდა, ხშირად გვირეკავს და ჩვენც ასევე. მას ჩვენი ქორწინება ძალიან უხარია. ძალიან თბილია ჩემ მიმართ, მეც მამასავით მიყვარს და ყოველთვის მიყვარდა.

- სად იცხოვრებთ?

- ჯერჯერობით, თბილისში ვიცხოვრებთ. რამდენიმე დღით მოსკოვში ჩავალთ.

სამი წლის წინ სალომემ გაზეთ „პრაიმტაიმს“ ექსკლუზიური ინტერვიუ მისცა. მან მხოლოდ ჩვენ ფურცლებზე მოყვა თავისი სიყვარულის, ქორწინებისა და განქორწინების ამბავი. ექსკლუზიურად ჩვენი მკითხველი წაიკითხავს მეორედ დაქორწინებული წყვილის ინტერვიუს. ამის პირობა მიღებული მაქვს.

ნლების წინ ბათუმში ჭორაობდნენ, გიორგის პატარა გოგონა შერთეს ცოლად, სარძლო დედამთილმა შეარჩიაო. მუდმივად განხილვის საგანი იყო აბაშიძის ვაჟის ბოჰემური ცხოვრება. თავისი ცხოვრების სტილით მუდმივად ყურადღების ცენტრში ექცეოდა. ვერც სუსტი სქესი რჩებოდა გულგრილი მის მიმართ. და ამ დროს ბათუმში ყველაზე პოპულარულმა და სიმპათიურმა 27 წლის გიორგი აბაშიძემ ცოლად 17 წლის სალომე ბაჯელიძე შეირთო. შორიდან შესაშურად ბედნიერები ჩანდნენ, თუმცა ქორწინება უიღბლო გამოდგა. თაფლობის თვეს სალომეს მამის დაღუპვა დაერთო. წყვილს არც ჯვრისწერა ჰქონია. გიორგის დედას, მაგული გოგიტიძეს სიმსივნე აღმოაჩნდა და მალევე გარდაიცვალა. ახლად დაქორწინებულებმა დიდი სტრესი გადაიტანეს. ერთმა საყვარელი მამა დაკარგა, მეორემ - დედა. დაინყო დაძაბულობა. მალე კი დაგროვილ სტრესს ვერც ერთმა ვერ გაუძლო და დაშორება არჩიეს. ეს გიორგის ინიციატივით მოხდა. მას შემდეგ 11 წელი გავიდა...

„ჯერჯერობით, თბილისში ვიცხოვრებთ“



სალომე ბაჯელიძე: „მას ჩვენი ქორწინება ძალიან უხარია. თბილია ჩემ მიმართ, მეც მამასავით მიყვარს და ყოველთვის მიყვარდა“

სალომე ბაჯელიძე: ჩვენი ოჯახები მეგობრობდნენ. სულ მახსოვს ერთმანეთთან სტუმრად რომ დავდიოდით. იმდენად ვახლობლობდით, რომ აბაშიძეები ჩემი ნათესავები მეგონენ. გიორგი პირველად რომ გავიცანი, 12 წლის ვიყავი. მერე ის სასწავლებლად ლონდონში წავიდა. კარგა ხნის უნახავი მყავდა. რომ ჩამოვიდა, ერთმანეთი თავიდან გაგვაცნეს. მე 16 წლის ვიყავი, გიორგი - 26-ის. ჩემთვის დიდი იყო ეს ასაკობრივი სხვაობა. ძალიან პატარა ვიყავი, ბავშვური, გათხოვებისთვის მზად არც ვყოფილვარ. სწავლის გაგრძელება მინდოდა. არც ჩემს ოჯახს უნდოდა ჩემი გათხოვება. მერე დაიწყო შეხვედრები მეგობრებთან ერთად, სეირნობა... როგორც ხდება ხოლმე. თუმცა იმ განსხვავებით, რომ ეს ჭორებისა და მითქმა-მოთქმების ფონზე ხდებოდა. ჩემს ასაკში ეს ძალიან დამთრგუნველი იყო. წარმოიდგინეთ, სკოლის, სახლის და მასწავლებლის გარდა რომ არაფერი ვიცოდი და უცებ მთელი ქალაქის ყურადღების ცენტრში აღმოვჩნდი. ყველა ფეხის ნაბიჯს მიკონტროლებდნენ - ახლა ის აცვია, ახლა იქ არის, იმას აკეთებს... რა თქმა უნდა, ყველაფერს გადააკეთებდნენ და ისე ავრცელებდნენ.

- იმ ასაკში ეს ყველაფერი მართლა არ მოგწონდა?

- რაღაც დოზით შეიძლება ეს ყურადღება მომწონდა კიდეც, მაგრამ ჭორები არასასიამოვნო და დამთრგუნველი იყო. გიორგისთან მიჰქონდათ ენა, რომ თითქოს მე რაღაც ვთქვი და პირიქით.

- რამდენი ხანი იყავით შეყვარებულები?

- შვიდი თვე. 2002 წლის სექტემბერში დავიწყეთ ურთიერთობა და 2003 წლის მარტში დავქორწინდით. სიყვარული მანამდე არ აუხსნია, ეს მერე იყო, რომ ვიქორწინეთ. მართლა არ მახსოვს ეს როგორ გააკეთა. დიდი ხნის წინ იყო... მახსოვს ის, რომ მე ძალიან შეყვარებული ვიყავი. ან როგორ არ უნდა ვყოფილიყავი გიორგიზე შეყვარებული?

- რითი მოგხიბლა?

- ჩემი დასაწუნი არაფერი ჰქონდა. ძალიან განათლებული იყო, სიმპათიური. მომწონდა პიროვნულად, ძალიან კეთილი და შეგნებული ადამიანი იყო.

- ყოველთვის საუკეთესო მანქანებით დადიოდა. იმ ასაკში, შენ რომ მოგხიბლა, პიროვნულ თვისებებს ნაკლებად აქცევენ ყურადღებას, უფრო „ბრჭყვიალა“ მოსწონთ.

- მე „ბრჭყვიალა“ არ მიზიდავდა. არ ვიცი, ამას როგორ გაიგებთ, მაგრამ ჩემს ოჯახში სხვა ფასეულობები იყო და ისე გამზარდეს, რომ ურთიერთობები და სიყვარული იყო ჩემთვის მთავარი. ფულს და მისი ოჯახის გავლენას არ მოვუხიბლივარ. ეს შეიძლება ძნელად დასაჯერებელი იყოს, მაგრამ ასეა. ვერ წარმოვიდგენდი თუ გიორგის ყურადღებას მივიქცევდი. ამიტომ ამ ურთიერთობით აჟიტირებული ვიყავი. ერთი ის იყო, რომ მის ოჯახთან კარგი ურთიერთობა მქონდა. მერე, სანამ ვიქორწინებდით, დაშორებულები ვიყავით. ეს ჭორებმა განაპირობა, თან პატარაც ვიყავი. სასწავლებლად თბილიში გადავედი. რამდენიმე თვე არანაირი კონტაქტი არ გვქონია. მერე ჩვენი საერთო ნათესავი გარდაიცვალა და პანაშვიდზე ჩამოვედი. იქ ვნახეთ ერთმანეთი და მეორე დღეს უკვე საქორწინო მოგზაურობაში წავედით. ტაილანდში თითქმის ერთი თვე ვიყავით. იქ ყოფნის დროს მამა ტრომბით გარდამეცვალა. ასლან აბაშიძემ უმამობა არ მაგრძნობინა. გვერდში დამიდგა და მამობა გამიწია. დიდი სითბო გამოხატა. გიორგიც დამეხმარა. ქორწილი ვეღარ გადავიხადეთ, ვერც ჯვარი დავიწერეთ. იმ დროს გავიგეთ, რომ ქალბატონი მაგული ავად იყო. ეს ძალიან დიდ სტრესთან იყო დაკავშირებული. მამაჩემის გარდაცვალებაზე არანაკლებად განვიცადე ქალბატონი მაგულის გარდაცვალება. ბედნიერებასთან ერთად მეც და გიორგისაც უბედურება გვეწვია.

- რვა თვეში რატომ გაიყარეთ?

- ვერ გავუძელით სირთულეებს. დაგვეძაბა ურთიერთობა. მე ბავშვი ვიყავი, ის ჩამოყალიბებული და ვერ გავუგეთ ერთმანეთს. დედამისის გარდაცვალების მერე აგვერია ურთიერთობა. გიორგის ძალიან უყვარდა დედა და მისი გარდაცვალება განიცადა. დეპრესია ჰქონდა. ყველანაირად ვცდილობდი დახმარებას, მაგრამ...

- გქონიათ კონფლიქტი?

- არ გვქონია, არ უყვირია. ბავშვივით მექცეოდა. პატივს მცემდა და ამას ვაფასებდი მასში. მახსოვს... ბულვარში ვისხედით, სასტუმრო „ინტურისტების“ წინ. ოქტომბერი იყო. მაშინ ვილაპარაკეთ... და დავშორდით.

ყველაფერი კარგია, რაც კარგად მთავრდება - დაელოდეთ გაგრძელებას.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

საღ და როგორ აღნიშნა დაბადების დღე გია სურამელაშვილმა

my View

ნინო მჭედლიშვილი

23 იანვარს, მომღერალმა, გია სურამელაშვილმა დაბადების დღეზე მიგვიპატიჟა. რესტორანში „სამი საუკუნე“ შეკრებილ სტუმრებს გიამ სოლო სიმღერები და მეგობრებთან დუეტები მიუძღვნა. მომღერალმა წითელ ხალიჩაზე გამოიარა, იქვე შეკრებილ მოწვეულ „ფეისებს“ ფოიერვერკების თანხლებით მიესალმა და პროექტიდან „ცეკვავენ ვარსკვლავები“ შეძენილ მეგობართან, ნანა ნებიერიძესთან ვალსი იცეკვა. იქვე მეგობრებმა შამპანურით დალოცეს მომდევნო დღის იუბილარი (გია 24 იანვარს დაიბადა) და დარბაზში მიგვიპატიჟეს.

„182 წლის არის და არ ამხელს. დაღმართებზე უთიშავს, რომ „სპიდომეტრმა“ არ დაუწეროს“

EXCLUSIVE

თამადა მომღერლის მეგობარი და უკვე ნათესავი, ტელეწამყვანი, ოთარ ტატიშვილი გახლდათ. როგორც შევიტყვეთ, ოთარს ნათლისღების ბრძნყინვალე დღესასწაულზე გიას შვილიშვილი, პატარა ლიკა მოუნათლავს. კონცერტი მასპინძელმა, გიორგი ნერეთელმა გახსნა. მანვე გვამცნო, რომ იუბილარი უკვე 27 წელია სცენაზეა და თამადაც წარგვიდგინა. „ვიცი ახლა მეტყვის, თუ გაპატიოო, მაგრამ მაინც უნდა ვთქვა, მიუხედავად იმისა, რომ 80 წლის გახდი, ჩემო გია, სულ არ გეტყობა“, - იხუმრა ტელეწამყვანმა. სადღეგრძელოებში გაილექსა დათო როსტომაშვილი. მალე გიორგი ნერეთელს საყვარელი მეუღლე, ლოლიტაც შემოუერთდა. სცენაზე ერთმანეს ცვლიდნენ: კაკი ბოლქვაძე, გიორგი შავლაშვილი, დათო როსტომაშვილი. რესტორნის მოცეკვავეებმა ქართულ ქორეოგრაფიას გვაზიარეს. მაესტრო მორისმა კი ცეცხლოვანი ცეკვებით გაგვახურა. იუბილარმა ოთხჯერ გამოიცვალა სასცენო კოსტიუმი. სხვა სიმღერებთან ერთად გვიმღერა: „გაპატიებ“, „აბა რა“, „ნინიკო“, ერთი სიმღერა გარდაცვლილ დედასაც მიუძღვნა, რომლის სახელიც თურმე გიას შვილიშვილს ჰქვია. კამერებს ემალებოდა გიას შვილი, ნუგა სურამელაშვილი. თუმცა ბოლოს, როგორც ჩანს, ალკოჰოლმა თავისი ქნა და ნუგა მამასთან სცენაზეც კი ავიდა. გიამაც თავი მოიწონა და დამსწრე საზოგადოებას შვილი გააცნო. სცენის უკან რატომღაც არ ჩანდა დაცვა. სამაგიეროდ შორიახლოს ტრიალებდა გიას პარაფსიქოლოგი, ნანა მამაგულაშვილი, რომელიც, როგორც ჩანს, სტუმრების აურას ამოწმებდა. აურის მიუხედავად არავის ეკრძალებოდა მომღერალთან მისვლა, ჩახუტება, ფოტოების გადაღება. აქტიურობდნენ გაბარიტებით დიდი, მძიმეწონიანი ქალბატონები. ყვავილების თაიგულები უხვად მიართვეს მომღერალს. „გადაგვაგდეს“ სარეკლამო ფლაერზე დაანონსებულმა სტუმრებმა, იუმორისტებმა: ვახო ბიჭიკაშვილმა, ნიკა არაბიძემ და ალეკო მალხაზიშვილმა.

იუბილარი ისეთი დაკავებული აღმოჩნდა, ვერაფრით მოვიხელთეთ, ამიტომ მისი ასაკი და არა მარტო ასაკი, მოწვეულ სტუმრებს ვკითხეთ.

დათო როსტომაშვილი:

- 27 წელი სცენაზე არ არის ადვილი. რაც არ უნდა ცერად ილაპარაკოს ხალხმა, გიამ თავისი გააკეთა, ის ხალხს უყვარს. ისრაელში ვიყავით ერთად გასტროლზე, მე იქ გიას ფანები ვნახე, მიმიქარავს ჯექსონი (იცინის). თან როგორ გამოიყურება, დაღმართებზე უთიშავს ეტყობა, რომ „სპიდომეტრმა“ არ დაუწეროს.

- რამდენი წლის გახდა, ხომ არ იცი?

- 182 წლის არის და არ ამხელს.

ნანა ნებიერიძე:

- მე და გია „ცეკვავენ ვარსკვლავების“ მერე დავმეგობრდით. ძალიან პოზიტიური, კარგი ადამიანია. მეორე წელია დაბადების დღეზე მპატიჟებს და სიამოვნებით მოვდივარ.

- რამდენი წლის გახდა?

- არ ვიცი და არც ვეკითხები. ასი წლისაც რომ იყოს, კარგი ადამიანი ყველა ასაკში კარგი ადამიანია.

გია ჯაჯანიძე:

- 29 იანვარს „სხვა რაკურსში“ გვყავს მოწვეული გია. გუშინ უკვე ჩავწერეთ გადაცემა და დღეს დაბადების დღეზე მოგვიპატიჟა. დიდი ხანია ვიცნობ გიას, ჯერ კიდევ იმ პერიოდიდან, როცა მას ფილარმონიის გარედანაც უკრავდნენ ტაშს. მაშინ არ მქონდა საშუალება ბილეთი მეყიდა და გარედან ვტკბებოდი. შემდეგ რამდენიმე კონცერტზე დამპატიჟა

„არ მქონდა საშუალება გიას კონცერტზე ბილეთი მეყიდა და ფილარმონიის გარედან ვტკბებოდი“

და დღეს მაქვს საშუალება ცოცხლად მოვისმინო. ვულოცავ დაბადების დღეს. სულ ახალგაზრდა და ბედნიერი მინდა იყოს.

- შენ თუ იცი რამდენი წლის გახდა?

- მგონი 48-ის, მაგრამ ჩვენ მოვილაპარაკეთ, რომ ის მუდმივად 27-ის არის.

ოთარ ტატიშვილი:

- ოთარ, ყველას ვკითხე და შენც გკითხავ, ხომ არ იცი, რამდენი წლის გახდა დღეს გია?

- ეს ბებერი? წარმოდგენა არ მაქვს. მიუხედავად იმისა, რომ უკვე რვა წელია ვმეგობრობთ, მართლა არ ვიცი. ხან იუბილე აქვს, ხან დაბადების დღე, მაგისას რას გაიგებ. არც ვეკითხები, მაინც არ ამბობს... მესამე წელია თამადა ვარ მის დაბადების დღეზე. კიდევ ერთხელ ვულოცავ და ყველაფერს კარგს ვუსურვებ. ჩვენ მართლა კარგი მეგობრები ვართ.

დათო როსტომაშვილი: „მე იქ გიას ფანები ვნახე, მიმიქარავს ჯექსონი“

- მგონი გიამ აგამღერა.

- არა, გიორგი ნერეთელმა ამამღერა, მაგრამ გია იყო მეორე, ვისთანაც ვიმღერე.

სოფო კალანდაძე (გია სურამელაშვილის რძალი):

- რა კარგი გვარი გქონია...

- ჰო, მაგრამ გიას უყვარს როცა ვამბობ, სურამელაშვილი ვარ-მეთქი. ეს მისი სიყვარულის გამოხატულებაა, მეც ძალიან მიყვარს გია.

- როგორც ვიცი, მისგან გაიცინა.

- ასეა. თავიდან გიას ფანებში ვირიცხებოდი, ყველაზე აქტიურ ფანებში. არც ერთ მის კონცერტს არ ვტოვებდი. მის სიმღერებზე ვგიჟდებოდი და ასე ვარ დღემდე.

- რას ეძახი გიას?

- მამიკოს.

- ეს მისი სურვილია?

- არა. თვითონ ძალიან თბილი ადამიანია, თვითონაც ასე მოგვმართავს, მამიკო, მამიკო. ჩემი შვილი, ლიკაც თავიდან მამიკოს ეძახდა. ასე რომ მოგვმართავს ყველას, ბავშვმა დაიმახსოვრა (იცინის).

- ყველას ვკითხე და შენ ზუსტად გეცოდინება, რამდენი წლის გახდა შენი მამამთილი?

- 45-ის. მართლა 80 წლის კი არ არის (იცინის). არაჩვეულებრივი მამათილი და ბაბუაა. მე და ნუგას კამათი თუ გვაქვს, ყოველთვის ჩემ მხარესაა. მართლა ძალიან მიყვარს.

- სოფო, როგორც ვიცი, შენ ბანკში მუშაობ. ლიკასთან ძიძაა ამ დროს?

- არა, გიამ ძიძა კატეგორიულად აგვიკრძალა. ლიკა ხან ჩემს მეუღლესთან არის, ხან გიას დაჰყავს რესტორნებში. ბავშვი ისე მიეჩვია უკვე ამ გარემოს, სიმღერა რომ იწყება, ცეკვას იწყებს.

რძალი გია სურამელაშვილს მამიკოს ეძახის

სოფო: „გიას აქტიურ ფანებში ვირიცხებოდი, მის სიმღერებზე ვგიჟდებოდი, ასე ვარ დღემდე“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

დავით სირაძე – შეიძლება ითქვას, რომ ქეცბაიას მთავარი მწვრთნელის პოსტი მე გავუხანგრძლივე

მაგდა კლდიაშვილი

EXCLUSIVE

საქართველოს ეროვნული ნაკრების ყველაზე შედეგიანი მოთამაშე, მოქმედი ფეხბურთელებიდან, კარიერას მოლდოვაში გააგრძელებს. დავით სირაძემ ბოლო 5 თვე ბოლნისის „სიონის“ რიგებში გაატარა და სამშობლოს ისევ დაემშვიდობა. ამჯერად, ორი წლით. როგორ მოხვდა დაჩიაში, რატომ ვერ დაბრუნდა რუსეთში და როგორ დაითანხმა ლადო ბურდულმა „სიონში“ თამაშზე. დავით სირაძე თემურ ქეცბაიას დროინელ ნაკრებსა და ძველ წყენებზე.

– საქართველოს ეროვნულ საფეხბურთო ჩემპიონატს დიდი ხნის პაუზის შემდეგ დაუბრუნდი. სხვა ვარიანტები არ გქონდა, როგორ დაგიყოლია ლადო ბურდულმა „სიონში“ თამაშზე?

– თბილისში ჩამოვედი, ვარიანტებს ველოდებოდი. არ გამოვიდა იქიდან არაფერი. საქართველოში, „სიონის“ გარდა, ბათუმის „დინამოს“ და „სამტრედიასაც“ სურდა ჩემი გადაბირება, თუმცა თბილისიდან გასვლა აღარ მინდოდა. ისედაც დიდი ხანი არ ვყოფილვარ სახლში და დაღლილი ვიყავი. სახლში მინდოდა და ლადოს დავთანხმდი.

– მაშინ იცოდი, რომ ისეთ სტადიონზე მოგიწევდა ვარჯიში, როგორიც „მერანია“?

– ამდენი არ ვიცოდი, მაგრამ საქართველოში ახლა რაც ხდება, ადრე ასე არ იყო. სულ პრობლემებია და ამაზე ლაპარაკობენ მხოლოდ. ძნელია საქართველოში თამაში. როდესაც უცხოეთში ხარ წლები, აქ ყველაფერი სხვანაირად ჩანს მერე. ისინი, ვინც საქართველოში დიდი ხანია თამაშობენ, ამას შეიძლება ვერ ამჩნევენ, ეგუებიან.

– როგორ შეაფასებ ეროვნული ჩემპიონატის დონეს?

– ჩემპიონატის დონეს რაც შეეხება, საქართველოში არიან ფეხბურთელები, პერსპექტიული ბიჭები, რომლებიც არავის ჩამოუვარდებიან. ცარიელ სტადიონზე თამაშს პერსპექტივა არ აქვს. ვარჯიშითაც ვერ ემზადები სათანადოდ. ძალიან ბევრი პრობლემაა. საქართველოს გუნდები რომ ავიღოთ სათითაოდ, შეიძლება მოლდოვის, რუსეთის გუნდებს შეხვედრებში მოუგონ და მოუგებენ კიდეც, დარწმუნებული ვარ, მაგრამ თუკი ხალხი არ მივა სტადიონზე, თუ არ გაივსება, ფეხბურთელმა თუ არ იგრძნო საკუთარი პასუხისმგებლობა, რომ მინდორზეა და ვიღაცის წინაშე ანგარიშვალდებულია, სხვანაირად დონე ვერ მოიმატებს.

– მიუხედავად ამდენი სირთულისა და არასათანადო პირობებისა, რამდენად ადვილია საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში ფეხბურთის თამაში?

– ზუსტად ამას ვამბობ, ადვილი კი არა – ყველაზე ძნელი საქართველოში თამშია. ძალიან ბევრგან მითამაშია, დავბრუნდი და ბევრს რომ ჰგონია, მარტივია, სინამდვილეში პირიქით არის. ფეხბურთელებსაც ვგულისხმობ. ქართველებმა იციან ფეხბურთის თამაში.

– „სიონის“ რიგებში ძალიან კარგად დაიწყე. ორ შეხვედრაში სამი გოლი გაიტანე ზედიზედ, თუმცა შემდეგ ტრავმა მიიღე. ამან შეგიშალა ხელი სასურველ კონდიციებს დაბრუნებოდი?

– ფაქტობრივად, შეკრებაგამოვლილი მივედი „სიონში“, რაღაც პერიოდი ვივარჯიშე, მოვემზადე. კარგად დაიწყო, გოლებიც გავიტანე. შემდეგ პაუზა იყო, მერე ფეხი ვიტკინე და ორი თვე გამიცდა. ძალიან გავწვალდი. საქართველოში რამე თუ გეტკინება, ტრავმას თუ მიიღებ, რთულია მოირჩინო და იმკურნალო.

– როგორი იყო შენი პირველი რეაქცია, როდესაც, ქობულეთში, თამაშის მიმდინარეობისას, სტადიონზე სატვირთო მანქანა შემოვარდა?

– ეს რა იყო, არ ვიცი. დავწერე კიდეც ამაზე. ქობულეთში რომ მოედანზე სატვირთო შემოვარდა, ასეთი რამ ცხოვრებში არ მინახავს. რა უნდა ყოფილიყო ამაზე უარესი, კიდევ კარგი მინდორზე არ გადმოვიდა.

– მახსოვს, ამბობდი, რუსეთში გინდოდა დაბრუნება, როგორ აღმოჩნდი მოლდოვაში, „დაჩიაში“?

– რუსეთში ვიყავი, მოსკოვში მოლაპარაკებებზე ჩასული. ერთი მწვრთნელის დანიშვნას ველოდებოდით „ამკარში“, მაგრამ ისე მოხდა, რომ გაჯიევი დანიშნეს და ჩემი იქ გადასვლის ვარიანტი ჩაიშალა. ლევან კორღალიძემ კი „დაჩიაში“ დაიწყო მუშაობა და მან შემომთავაზა. 33 წლის ვარ, ამ ასაკში, ჩემთვის მისაღები პირობები და კონტრაქტი შემომთავაზეს და დავთანხმდი. ჩემპიონატი ჯერ არ ვიცი. ჯაბა დვალს შევეკითხე და ნორმალური ჩემპიონატია, საინტერესო გუნდიო. პირველ ადგილზე არიან და ამიტომ, ჩემთვისაც საინტერესო იქნება.

– ახლა ორი ქართველი ფორვარდი შეუტევთ „დაჩიასთვის“ დვალი შენთვის კონკურენტი იქნება თუ ერთად გააძლიერებთ გუნდის შეტევას?

– ვფიქრობ, კონკურენტი არ იქნება. ერთმანეთის კონკურენტებად არ წამოგვიყვანეს. მოგვიწევს თამაში თუ არა, ეს მწვრთნელზეა დამოკიდებული, მაგრამ ორი ფორვარდით თამაშობს „დაჩია“ და, ალბათ, სწორედ ამიტომ წამოგვიყვანეს აქ.

– კონკურენციის გეშინია?

– არა, რა კონკურენციის უნდა მეშინოდეს. ამდენი წელია ვთამშობ. კონკურენციის თუ ფეხბურთელს ეშინია, ცუდად არის საქმე.

– კიშინიოვზე ამბობენ, რომ საბჭოთა კავშირის დროინდელი ელფერი დაჰკრავს. არ არის მოსაწყენი მანდ ცხოვრება?

– ჯერ მხოლოდ რამდენიმე დღეა აქ ვარ. ქალაქი არ დამითვალიერება. ნამდვილად ტოვებს საბჭოთა კავშირის დროინდელ შთაბეჭდილებას, მაგრამ აქაურობა არ განსხვავდება რუსეთისგან. ყველამ იცის რუსული და პრობლემა არ იქნება, ასე მგონია.

– რა იქნება „დაჩიას“ მიზანი?

– მიზანი პირველი ადგილი, მინიმუმ მეორე და ევროსაგზურის მოპოვება. ახლა პირველზეა გუნდი და თუკი შეინარჩუნებს, კარგი იქნება.

– ხშირად გითქვამს, რომ შემოთავაზებების ნაკლებობა იმით იყო განპირობებული, ქეცბაია ნაკრებში რომ არ გიძახებდა. აპატიე მას, თუ ისევ ნაწყენი ხარ, ამდენი წელი, ნაკრებში რომ არ გამოუძახებიხარ?

– რაც თემურ ქეცბაია ნაკრებში მოვიდა, მე მის გუნდში ყველაზე მეტი გოლი გავიტანე. რამდენიც ვითამაშე, ან შეცვლაზე შემიყვანა, ყოველთვის გამიტანია. შემოვდიოდი, გამქონდა. ცუდი არაფერი გამიკეთებია. ჩემი მოვალეობა რაც იყო, იმას ვუკეთებდი – გამქონდა გოლები. ისე გამოვიდა, რომ არ გამომიძახა. წყენა პრესის საშუალებით გამოვთქვი. პირისპირ არ შევხვედრივარ და არ მითქვამს. ფეხბურთელის კარიერა ისეთია, შეიძლება ერთმა შეცდომამ ყველაფერი გადაწყვიტოს, მაღლიდან დაბლა ჩამოვარდე. მე რომ ნაკრებში ვყოფილიყავი და აქამდე მეთამაშა, ჩემს კარიერაში ბევრი რამე უფრო სასიკეთოდ იქნებოდა, შეიძლებოდა ძლიერ ჩემპიონატშიც ვყოფილიყავი, უკეთეს გუნდში მეთამაშა. ნაკრები ბევრს ნიშნავს. მე ნაწყენი არ ვარ. მან თავად გადაწყვიტა ასე.

– არასდროს შეხვედრიხართ ერთმანეთს მას მერე?

– არა წლები გავიდა და არასდროს შემხვედრია.

– გულახდილად მინდა, რომ მიპასუხო ამ კითხვაზე – იმის ფონზე, რომ ქეცბაიას ნაკრებში შენ ყველაზე შედეგიანი იყავი, თვლი თუ რა, რომ შენ მას პოსტი შეუნარჩუნე?

– შევუნარჩუნე რა, ახალი მოსული იყო ნაკრებში და სამი-ოთხი თამაშის შემდეგ მას არ გაუშვებდნენ, მაგრამ კი არ შევუნარჩუნე, გავუხანგრძლივე. სწორედ ასე ვფიქრობ, რომ გავუხანგრძლივე.

– გწყდება თუ რა გული იმაზე, რომ მოქმედი ფეხბურთელებიდან ნაკრების მაისურით ყველაზე მეტი გატანილი გოლის ავტორი დღეს სათანადოდ დაფასებული არაა?

– ხალხისგან დაფასებას, სიყვარულს და სითბოს მუდამ ვგრძნობდი, სადაც არ უნდა წავსულიყავი. სიყვარულით მიხსენიებდნენ და ჩემთვის ყოველთვის სასიამოვნოა, შენს გოლებს და თამაშობს როცა იხსენებენ.

– რას იყო ნაკრების ყველაზე დიდი პრობლემა?

– ვფიქრობ, რომ ქეცბაიამდე უფრო შემტევ ფეხბურთს თამაშობდნენ ნაკრებში. იქმნებოდა მომენტები, ამ პრობლემას ცხადაძე უფრო მოაგვარებს.

– რაში ხედავ გამოსავალს?

– ქართულ ფეხბურთს ბავშვთა ფეხბურთიდან უნდა მიეხედოს, ჩემპიონატიდან და თითოეულ დეტალს აქვს დიდი მნიშვნელობა. რა ფეხბურთელებიც გვყავს, იმ ფეხბურთელებით ნაკრებს აქვს ძალა, რომ შედეგი დადოს. ისეთი პერსპექტიული ფეხბურთელები, როგორებიც არიან ოქრიაშვილი, ყაზაიშვილი და სხვები, მათ შეუძლიათ ფეხბურთის თამაში, წარმატების მიღწევა. მწვრთნელების კატეგორია არსებობს, რომელიც ამ რესურსით შედეგს დადებდა. ქეცბაიას სხვა სტილის იყო, ცხადაძეს სხვა აქვს და ვფიქრობ, ეს უკეთესობისკენ შეცვლის ყველაფერს.

„ქობულეთში რომ მოედანზე სატვირთო შემოვარდა, ასეთი რამ ცხოვრებში არ მინახავს. რა უნდა ყოფილიყო ამაზე უარესი, კიდევ კარგი მინდორზე არ გადმოვიდა“

– საიდან უნდა დაიწყოს ცხადაძემ?

– ეს მან თავად უკეთ იცის, მაგრამ ურთიერთობების დალაგება ფეხბურთელებთან მთავარია. მწვრთნელსა და ფეხბურთელებს შორის ძმაკაცური ურთიერთობა არ უნდა იყოს, მაგრამ უნდა იყოს პროფესიული. რაც ქეცბაიას ნაკრებში ვიყავი, მისი ურთიერთობა ფეხბურთელებთან არ მინახავს. ყველაფერი ფსიქოლოგიაა. ბევრი მწვრთნელი მყოლია და მწვრთნელისა და ფეხბურთელების ურთიერთობა გადადის მინდორზე.

– გაქვს ნაკრებში დაბრუნების იმედი?

– რა გითხრათ, ცხადაძის ინტერვიუში წავიკითხე, რომ მისთვის მნიშვნელობა არ აქვს ასაკს და იმას, ვინ სად თამაშობს. ვინც იმ მომენტისთვის მზად იქნება, თუ ჩათვლის საჭიროდ, მას გამოიძახებს. სასიამოვნო იქნება ჩემთვის და სიამოვნებით ვითამაშებდი კიდევ ნაკრებში.

– წელს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნებია. იქნება თუ არ შენი ფავორიტი ლევან კობიაშვილი, რომლის გვერდითაც არაერთხელ გითამაშია?

– ვიდრე ლევანი კანდიდატურას წამოაყენებდა, ვთქვი კიდეც, რომ ის ღირსეული კანდიდატი იქნება და პრეზიდენტი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის. მე მას მხრში დავუდგები ყველნაირად. „კობი“ ჩემი ფავორიტია.



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ჯენარო გატუზოს გიორგი მერებაშვილთან მუშაობა სურს

„გუნდიდან წასვლის შემდეგ, დაახლოებით, სამი კვირა იყო გასული, როდესაც ჯენარომ მოულოდნელად დამირეკა“

EXCLUSIVE

„ძალიან კარგი პრესა გვაქვს, პრობლემები არ გვინდა, გულშემატკივრები გვაფასებენ, მაგრამ, როდესაც ლეგიონერი ხარ და უცხო ქვეყანაში ცხოვრობ, რთულია“

მაგდა კლდიაშვილი

გიორგი მერებაშვილი და გიორგი ლორია ბერძნულ „ოფში“ სეზონის დაწყებისას გადავიდნენ. ეროვნული ნაკრების კარის კიპერი საუკეთესო ტრანსფერად დასახელდა, გიორგი მერებაშვილი კი გულშემატკივრების საყვარელ ფეხბურთელად იქცა. სტარტიც ფანტასტიკური ჰქონდა ქართველ შემტევს ჯენარო გატუზოს გუნდში. თუმცა ყველაფერი ისე არ წავიდა, როგორც დაიწყო. „ოფს“ ფინანსური პრობლემები აქვს და ნაცვლად წელიწად-ნახევრისა, ორივე ქართველი გუნდს მაისის ბოლოს დატოვებს. გუნდში არსებულ ვითარებაზე და სამომავლო გეგმებზე „პრაიმტაიმი“ გიორგი მერებაშვილს კუნძულ კრეტაზე დაუკავშირდა.

– რა ხდება „ოფში“, რამ გამოიწვია ფინანსური კრიზისი?

– გუნდში რთული პერიოდია. ფინანსურად ძალიან გაუჭირდათ და აირია სიტუაცია. „ოფს“ პრეზიდენტი არ ჰყავს. აქ როგორ არის იცით? – გუნდი რამდენიმე პიროვნებას ეკუთვნის და გულშემტკივრებსაც აქვთ გარკვეული წილი. აქედან გამომდინარე, ფინანსებთან დაკავშირებით, პრობლემები შეიქმნა. ვინც გუნდში დავრჩით, გვაქვს იმედი, რომ სიტუაცია გამოსწორდება. ფაქტობრივად, გადაწყვეტილია, რომ სეზონს დავასრულებთ, რადგან რაც დავალიანება იყო „ოფმა“ გაისტუმრა ყველაფერი, ფედერაციაშიც, მაგრამ ძალიან ბევრმა მოთამაშემ დაგვტოვა და ძველი გუნდიდან 4-5 კაცი დავრჩით, დანარჩენი სულ პატარა, ახალგაზრდა ფეხბურთელები გვყავს.

– თქვენ იმიტომ დარჩით, რომ გუნდის გამოცვლის უფლება არ გქონდათ?

– გუნდის უკვე ყოფილი მთავარი მწვრთნელი, ჯენარო გატუზო მოლაპარაკებებს აწარმოებდა რამდენიმე პიროვნებასთან. როგორც თავად ამბობდა, გუნდის პრეზიდენტს, ინვესტორს ეძებდა. სამწუხაროდ, ვერ მოახერხა და ამიტომ გუნდში მუშაობა ვეღარ გააგრძელა, რადგან სამუშაო პირობები ცუდი იყო. ჩვენ კონტრაქტები გვაკავშირებს გუნდთან, თუმცა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე უკვე გავწყვიტეთ კონტრაქტები კლუბთან. თუ აქამდე წელიწადნახევარი გვქონდა, ხელახალი ხელშეკრულებები გაფორმდა და მაისის ბოლომდე ვიქნებით აქ. კარგად იცით, რომ მესამე კლუბის გამოცვლის უფლება არ გვაქვს და იძულებულები ვართ „ოფში“ დავრჩეთ. იყვნენ გუნდები, რომლებმაც შემოგვთავაზეს, რომ მაისამდე მათთან გვევარჯიშა, შემდეგ კი გვეთამაშა, მაგრამ იმედი მოგვცეს, 3 თებერვლამდე ყველაფერი გამოსწორდება, დავალიანებები გასტუმრდება და ჩვენც, აქედან გამომდინარე, დარჩენა გადავწყვიტეთ.

– შენი და გიორგი ლორიას მენეჯერმა განაცხადა, რომ „ოფს“ თქვენს მიმართ დავალიანებები არ აქვს და კეთილსინდისიერად ასრულებს დაკისრებულ მოვალეობებს, რატომ იცრუა ჯანლუკა მარინმა?

– თავიდან დავალიანებები არ ჰქონიათ. ეს პრობლემა დიდი ხნის წინ წასულ ფეხბურთელებთან იყო. ჩვენც, თავიდან, გვიხდიდნენ კეთილსინდისიერად, მაგრამ უკვე სამი თვეა, ფაქტობრივად, ხელფასი არ აგვიღია. გვეუბნებოდნენ, ერთ კვირაში იქნება, ორ კვირაში, ამას კიდევ აიტან, მაგრამ, როდესაც ორი-სამი თვე ვერ იღებ, გაუსაძლისი გახდა. ძალიან კარგი პრესა გვაქვს, პრობლემები არ გვინდა, გულშემატკივრები გვაფასებენ, მაგრამ, როდესაც ლეგიონერი ხარ და უცხო ქვეყანაში ცხოვრობ, რთულია.

– უხერხული კითხვა უნდა დაგისვა, ოჯახი მანდ გყავს, სამი თვე უხელფასოდ – როგორ ინახავთ თავს?

– როდესაც ჩამოვედით, მაშინ დაგვირიცხეს და ის გვაქვს შემორჩენილი. ჭამისთვის გვყოფნის, გასართობად და სასეირნოდ არ დავდივართ. რაც სპორტსმენს სჭირდება, კვება, მომზადება თამაშისთვის, ამისთვის ვიმყოფინებთ, ვიზოგებთ.

– კრეტაზე ჩასულმა ძალიან კარგად დაიწყე, გადასარევი სტარტი გქონდა, ახლა მოტივაცია ხომ არ დაკარგე არსებული პრობლემების ფონზე?

– არა, პირიქით, მოტივაციას არასდროს ვკარგავ. ვინც კარგად მიცნობს, იცის, რომ ძალიან მიყვარს ფეხბურთი. ვთამშობ იმისთვის, რომ ფული ვიშოვო და ოჯახი მყავდეს კარგად, მაგრამ მხოლოდ ამის გამო არა. ფეხბურთი მიყვარს და ჩემი ცხოვრებაა, მის გარეშე ვერ წარმომიდგენია, ყველნაირი პრობლემა მავიწყდება. მოტივაცია არ დამიკარგავს, ვერ ვიტყვი, რომ ახლა უფრო მონდომებული ვარ, მაგრამ ისევ ისე ვარ და მინდა კარგი სეზონი ჩავატარო. რამდენიმე კლუბია დაინტერესებული და ამის გამო, უკეთეს გუნდში თამაში მსურს.

– „ოფს“ კრიზისის გამო 6 ქულა დააკლეს და ახლა სარელეგაციო ზონაში იმყოფებით, რა არის გუნდის მიზანი?

– ვთქვი უკვე, ბევრმა ფეხბურთელმა დაგვტოვა. საშუალო ასაკი გუნდში 19-20 წელია და ძალიან რთული იქნება ადგილის შენარჩუნება, მით უმეტეს, 6 ქულა დაგვაკლეს ამ ფინანსური პრობლემების გამო. თუმცა, მიდის ლაპარაკი, რომ ისევ დაგვიბრუნონ, რადგან გუნდმა დაფარა დავალიანებები. თუკი ეს მოხერხდება, უფრო გაიოლდება ჩემპიონატში დარჩენა. ჩვენ ყველა თამაშზე საბრძოლველად გავალთ, რომ სამი ქულა მოვიპოვოთ და დარჩენა შევძლოთ.

– ჯენარო გატუზოს შენთვის ჰქონდა ნათქვამი, რომ თუკი სხვა გუნდში წავიდოდა, აუცილებლდ წაგიყვანდა, „ოფის“ დატოვების შემდეგ გქონდა მასთან კონტაქტი?

– გუნდიდან წასვლის შემდეგ, დაახლოებით, სამი კვირა იყო გასული, როდესაც ჯენარომ მოულოდნელად დამირეკა. გამომკითხა გუნდის ამბები და ჩემი მდგომარეობა. მან იცის, რომ მესამე კლუბის შეცვლის უფლება არ მაქვს მაისის ბოლომდე, მიუხედავად ამისა, დამპირდა, თუ სადმე წავედი, დიდი სურვილი მაქვს ჩემს გუნდში გიხილოო. ვეცდები ხელმძღვანელობა დავარწმუნო დ შენს მენეჯერსაც დაველაპარაკები, რომ ჩემს გუნდში ჩამოგიყვანოსო. ამის შემდეგ აღარ გამოჩენილა. პრინციპში, მაისამდე დიდი დროა. იქამდე კი ვეცდები, უფრო მეტად წარმოვაჩინო თავი, რომ სერიოზული გუნდები დაინტერესდნენ.

– თუკი „ოფში“ ფინანსური სიტუაცია მოგვარდება, მაინც არ დარჩებით?

– მაისამდე დიდი დროა, შეიძლება საგრძნობლადაც შეიცვალოს ვითარება, სერიოზული ფული ჩაიდოს და კარგი გუნდი გაკეთდეს, თუმცა, მე ნაკლებდ მჯერა ამის, რადგან ძალიან სერიოზული პრობლემებია. მაქსიმუმ გუნდი ლიგაში დარჩეს და წვალებით გააგრძელოს ასპარეზობა. სავარაუდოდ, არ მოხდება ახალი კონტრაქტის გაფორმება. რამდენიმე კლუბია დაინტერესებული, სერიოზული გუნდები, სადაც სიამოვნებით ვითამაშებდი.

– რომელიმე მათგანს არ დაასახელებ?

– ამ ეტაპზე არ დავკონკრეტდები.

– საბერძნეთის ლიდერ გუნდებზეა საუბარი?

– წინასწარ არ მიყვარს ლპარაკი. რამდენჯერაც მითქვამს, ჩაშლილა მოლაპარაკებები და თუ განხორციელდება, პირობას გაძლევთ, რომ თქვენ პირველებს გეტყვით. საბერძნეთის გუნდებიც არის და ევროპის სხვადასხვა გუნდებიც. ვერ ვიტყვი, რომ გრანდები არიან, მაგრამ ცნობილი, კარგი, ამბიციური კლუბებია. ამბიცია მთავარია ფეხბურთელისთვის, რადგან როდესაც გუნდი ჩემპიონთა ლიგისა და ევროპის ლიგაზე მოსახვედრად იბრძვის, შენც ცდილობ კარგი სეზონი ჩაატარო.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

PRIME Time

N3 (304) ორშაბათი, 26 იანვარი, 2015 წ.

ყოველკვირეული გაზეთი ფასი 2 ლარი

www.ptpress.ge



მარიკო ებრალიძე ორწლიან სასიყვარულო ისტორიაზე პირველად ყვება exclusive

სამორი ბალდემ „ერისიონის“ მოცეკვავეზე იქორწინა

exclusive

ექსკლუზიური ამბები სოფო ბედიასა და მიშა მესხის ქორწილიდან

exclusive

ISSN 1987-7404

9 771987 740005

შპს „ასავალ-დასავალის სტამბა“



„მე და გიორგი გასული წლის ოქტომბრის ბოლოდან უკვე ერთად ვართ. მანამდე ვმეგობრობდით“

- ასლანმა დაგირეკა?

- რა თქმა უნდა, ხშირად გვირეკავს და ჩვენც ასევე. მას ჩვენი ქორწინება ძალიან უხარია. ძალიან თბილია ჩემს მიმართ, მეც მამასავით მიყვარს და ყოველთვის მიყვარდა.

exclusive

exclusive

60 წლის პაატა ბურჭულაძის საიუბილეო საღამოს 80 წლის ალენ დელონი წაიყვანს

მარინა ბერიძე ოჯახის დანგრევით გამოწვეულ დეპრესიულ პერიოდზე exclusive

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება